N12 (563) 24/III-30/III-2011 ფასი 1 ლარი

გზა

1168
2011

ქართული პროზის საბანკო
ტომი №56
ნოდარ წულეისკირი
თუთარჩელა
შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს
შემდეგი ტომი
ჭოლა ლომთათიძე

დედის აღსარება
40 წლის შემდეგ

„გზამ“ მკითხველს
დაკარგული
დედა აპოვნინა

„ღმერთმა დასასჯელი დასაჯა,
არც მე დამტოვა დაუსჯელი“...

ექსკლუზივი

„დაზარალებული
ადამიანების
მოთაფვლა
მე მევალება“

„გზა“ – ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!

წლის
ლბატონი
ალცხის
ზზე
შაობს

„მანქანის სიყვარულს
მთელი ცხოვრება შევალიე“...

„მათი მხრიდან არაობიექტური
ინტერვიუები არ დასრულდა“...

ყოფილი თანაგუნდელების ანგარიშსწორება
ანუ ბრძოლა მაყურებლისთვის – 2

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი XVIII

დელაკრუა

4-დან - 11 აპრილამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Elos სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილაცია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე

29 00 66 29 47 47

თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

---

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE



ირინა ონაშვილი:
„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები."

ნიკო კეკერაშვილი:
"ბრიტანულ ცენტრში" მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, რადგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერთიფიკატი ავიღო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე

ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოევგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

პიმაფუცინი® თეთრად შლის სამკურნალოდ

ნატამიცინი

უსაფრთხოა ორსულობის დროს

ვაგინალური კანდიდოზის ეფექტური მკურნალობა

ნებადართულია ორსულობის ყველა ტრიმესტრში და ლაქტაციის დროს

1 სანთელი ვაგინალურად ძილის წინ 3-6 დღე
ექიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენებ
ხანგრძლივი დროით. ზოგჯერ შეიძლებ
აღინიშნოს წვის შეგრძნება

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალურ
ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

astellas

იკითხეთ აფთიაქებში....

დისტრიბუტორი
„ავერსი ფარმა,"
აღმაშენებლის 148/2

სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი საშუალება

რა არის თეთრად შლა?

ვულვოვაგინალური კანდიდოზი (ანუ თეთრად შლა) – გარეგანი სასქესო ორგანოების და საშოს სოკოვანი დაზიანებაა. კანდიდოზის გამომწვევია კანდიდას სახეობის საფუარისმაგვარი სოკო. ცნობილია, რომ ქალების 75%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც აწუხებს აღნიშნული პრობლემა.

თეთრად შლის სიმპტომები:

პაციენტების ძირითადი ჩივილებია: ხაჭოსებრი გამონადენი საშოდან, ქავილი (რომელიც ძლიერდება სითბოში, ძილის დროს, თბილი აბაზანის შემდეგ), წვა, ტკივილი სქესობრივი აქტისა და მოშარდვის დროს.

რა იწვევს თეთრად შლას?

კანდიდას სახეობის სოკო შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელი ქალის საშოში (კანდიდამტარებლობა) და ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებისას ისინი ხდებიან პათოგენურები. იმუნიტეტის დაქვეითება კი თავის მხრივ შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა დაავადებამ ან ანტიბიოტიკების და მაღალდოზირებული ჰორმონალური კონტრაცეპტული საშუალებების ხანგრძლივმა და უკონტროლო გამოყენებამ. ორსულებში თეთრა შლა 2-ჯერ მეტი სიხშირით გვხვდება ჰორმონული ბალანსის შეცვლის გამო. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია: მჭიდრო საცვლის (ტანსაცმელის) ტარება, სიმსუქნე, პირადი ჰიგიენის უგულვებელყოფა, ცხელი კლიმატი.

თეთრად შლა ორსულობის დროს:

თეთრად შლა ორსულობის პერიოდში სახიფათოა, რადგანაც შეიძლება ჰქონდეს არასასურველი გავლენა ახალშობილზე. სამშობიარო გზებში ნაყოფის გავლისას შესაძლოა პირის ღრუს კანდიდოზის განვითარება, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს საყლაპავის კანდიდოზში და შემდეგ გავრცელდეს სხვა ორგანოებზე. პიმაფუცინის უპირატესობაა მისი არატოქსიურობა და მხოლოდ ადგილობრივი მოქმედება, რის გამოც იგი შეუცვლელი პრეპარატია ორსულებში კანდიდოზის სამკურნალოდ და ახალშობილების ინფიცირების პროფილაქტიკისათვის.

რობორ ვუმკურნალოთ თეთრად შლას?

პიმაფუცინის ვაგინალური სანთლების გამოყენებისას მდგომარეობის გაუმჯობესება შეინიშნება მკურნალობის მეორე დღესვე. საშოს მწვავე სოკოვანი ანთების დროს პიმაფუცინის ვაგინალური სანთელი ინიშნება ერთხელ დღეში ძილის წინ 6 დღის განმავლობაში. ქრონიკული პროცესის დროს იგივე დოზირებით 9 დღე. მკურნალობი ეფექტურობის გაზრდის მიზნით ექიმმა შეიძლება დანიშნოს პიმაფუცინის ნაწლავში ხსნადი ტაბლეტები, ასევე პიმაფუცინის კრემი პარტნიორის სამკურნალოდ. მკურნალობის პროცესში არ არის აუცილებელი სქესობრივი კონტაქტის გამორიცხვა, არ არის რეკომენდებული მკურნალობის ჩატარება მენსტრუაციის დროს. მკურნალობისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს თქვენი პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№12 (563)
24 - 30 მარტი. 2011 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
შალიკო — ჩოჩელიდან ობამამდე!

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **პოლიტიკა** 7

■ **საგანძური** 9
„სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები“

■ **ოკუპირებული ზონა** 11

■ **ენერგეტიკა** 13

■ **პერსონა** 15

■ **მსახიობი** 18
დაზარალებული ადამიანების
მომთაფლავი, მოუცლელი გოგონა

■ **ეკრანს მიღმა** 20
ვინ ადგენს სატელევიზიო რეიტინგებს

■ **წარმატების ფორმულა** 23
„დემოკრატიის შუქურას“ მოთმინების ფიალა აევსო

■ **კულისები** 26
რომელ კომპანიას არ ეტყვის უარს
ეროტიკულ სცენაში მონაწილეობაზე
„TV თერთმეტის“ გრიმიორი“

■ **ფსიქოპორტრეტი** 28
„თუ პიროვნება ხარ, უნდა შეძლო
საზღვრების გარღვევა“

■ **შთამომავლობა** 30
„ჩვენი სანათესაო ამაყობს,
რომ ჰყავს გმირი წინაპარი“

■ **შემოქმედი** 32
„ლიტერატურის ფიროსმანის“
„ხადავოი ტავარი“ მშრალ ხიდზე

■ **გვიმრავლოს!** 34
ხუთშვილიანი ოჯახის ბედნიერი ცხოვრება და
წლებით განმტკიცებული სიყვარული

ქვეყანა



ატომური ენერგია — ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ენერგია

„მომწონს ინგლისელების ხუმრობა: ვიყოთ აქტიურები, ვიდრე გავხდებით რადიოაქტიურები... ევროპის რუკას თუ დახედავთ, ნახავთ, რომ ეს კონტინენტი დახუნძლულია რეაქტორებით“.

13

სახე

დაზარალებული ადამიანების მომთაფლავი, მოუცლელი გოგონა

„კი, გოგონებთან ერთად „ქლაბ-შოუში“ ვცეკვავდი. ასევე ვმონაწილეობდი პატარ-პატარა სკეტჩებში“...

18

ცხოვრება

ხუთშვილიანი ოჯახის ბედნიერი ცხოვრება

„არ დაიჯეროთ... მართლაც ბევრს უკვირს, როგორ ვახერხებთ ასეთი ურთიერთობის შენარჩუნებას, მაგრამ მთავარია, ადამიანები ოჯახის პასუხისმგებლობას არ გაექცნენ და ერთმანეთის პატივისცემა შეინარჩუნონ“.

34

ეზოს ნილები

სიყვარულმა ასაკი არ იცის

„გადავწყვიტეთ, რესტორანში გაგვეტარებინა საღამო. გვერდით მაგიდაზე 17 წლის გოგონას დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ჩვენმა ლაშამ როგორც კი გოგონა დაინახა, მეხნაკრავივით ფეხზე წამოვარდა, შეიცვალა“.

76

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ტკივილი 36
40 წლის შემდეგ ნაპოვნი დედის აღსარება

■ მმართველები 38
ავადმყოფობა და ძალაუფლება: ჰიტლერი, სტალინი, კენედი, ელცინი და სხვები...

■ ბედისწერა 41
წარმოსახვების „უსიერ ტყეში“

■ ეს სამყაროა 43

■ ისტორიის ლაბირინთები 44
1919 წლის „სერვერ-ბეგის ავანტიურა“ მესხეთ-ჯავახეთში

■ ავტო 47

■ საკითხავი ქალებისათვის 48

■ ტაძარი 50

■ ჯანმრთელობა 51

■ პროფესია 54
მძღოლობის 50-წლიანი გამოცდილება და ქალბატონი, რომელმაც საყვარელ საქმეს პირადი ცხოვრება მიუძღვნა

■ სიტუაცია 56
„ქალბატონო, პრობლემა გაქვს!“

■ თინეიჯერული პონტები 59
ოჯახური კონფლიქტი და დაკომპლექსებული შვილები

■ წვეთი პოეზია 62

■ სახსოვარი 63

■ რეალური 64
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)

■ რომანი 72
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)

■ გზავნილები 76

■ ყველა ერთისათვის 80

■ მობილი-ზაცია 82

■ მოზაიკა 90

■ ერუდიტი 92
ვის მოჰპარა კასპელმა ზაურამ „ოსური ზღაპრები“

■ გასართობი 94

■ ასტროლოგია 96

■ სკანვორდი 97

■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



წვენებით მკურნალობა

წვენში არ გადადის უმი ხილისა და ბოსტნეულის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზმისთვის უსარგებლო და მავნე ნივთიერებები (ნიტრატები, პესტიციდები და სხვა), რადგან ისინი გამონაწურში რჩება;

51

ადამიანი

ქალბატონი, რომელმაც საყვარელ საქმეს პირადი ცხოვრება მიუძღვნა

„დაკრძალვის წინაღამეს ჩემი ძმა დამესიზმრა და შეიძლება ითქვას, რომ მიწინასწარმეტყველა: საჭე შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდებაო. მაშინ ცამეტი წლის ვიყავი“.

54

ბიბლუსი

სამუშაო დღის მიწურულს ორდენიძის კაბინეტში ანდრო ლეკიშვილმა შეიხედა.
— აბა, როგორ არის საქმე? — ჰკითხა მას გამომძიებელმა.
— ყველას დავურეკე და ვაცნობე, — საფრთხე გემუქრებათ-მეთქი...

68

ტაიმ-აუტი

„მინდა, ტომ სოიერისნაირი მეგობარი მყავდეს“

„ოკეანეში დაკარგულები“ და „80000 კილომეტრი წყალქვეშ“. ამ წიგნებმა ჩემს ფანტაზიას ფრთები შეასხა. როცა მათ ვკითხულობდი, თავს ნაწარმოების ერთ-ერთ გმირად აღვიქვამდი“.

92

შალიკი – ჩოჩელიდან ობამამდე!

შესავლის ნაცვლად საერთოდ, ჟურნალისტისთვის არაოპოზიციონერობა, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

არც ის არის აუცილებელი, რომ ზოგიერთივით ყოველდღე მიტინგზე იდგე, ან შიმშილობდე (მეც ვამბობ, რა... ვინ ზოგიერთივით?! სადღაა მიტინგები?!), მაგრამ რალაცას რომ წერ, განსაკუთრებით კი ასეთ „პროვოკაციას“, ხელისუფლების მხარდამჭერის პოზიციიდან საუბარი, სასაცილოდ გამოჩნდებოდა.

ცხადია, „ბალანსის დასაცავად“, ოპოზიციასაც უნდა გაჰკრა კბილი და ასეც ვაკეთებდი ყოველთვის, მაგრამ რა დასამალია (და ჩემმა მკითხველმაც იცის), რომ ხელისუფლების — უკეთეს შემთხვევაში სისულელეები და უარესში კი — უნამუსობები უფრო „გემრიელი ლუკმაა“ ხოლმე.

წინა ხუთშაბათს შალვა ნათელაშვილზე ვწერდი, — მკვდარი ცხვრით რომ დარბოდა ცეზარ ჩოჩელის სახლის წინ, და ვფიქრობდი, „დემოკრატიულობის პრინციპი“ დაცულია და შემდეგ „პროვოკაციაში“ ხელისუფლებას მივდგები-მეთქი, მაგრამ...

...მაგრამ ის, ჩემო კეთილებო, რომ ადგა ეს ჩვენი შალიკო და ჩოჩელის სახლიდან პირდაპირ თეთრ სახლთან გადაფრინდა და ობამას ფანჯრებთან მოაწყო მიტინგი — სააკაშვილი გადადგესო!!!



საქმე ის არის, რომ ნათელაშვილის ის ინტერვიუ, სადაც ამერიკაში ჩადენილი „გმირობის“ („ძალიან დიდი საქმის“ — თვითონ ასე ამბობს) შესახებ ლაპარაკობს, თითქმის მთლიანად არის გადმოსაწერი და არავითარი ჩემი ოხუნჯობა და „ღლაბუცი“ აღარ სჭირდება იმას, ისედაც „პროვოკაციაა“. ამიტომ ბოლოსთვის მოვიტოვებ და ჯერ გასული კვირის კიდევ ერთ „წმინდა ქართულ ინიციატივაზე“ ვიტყვი, რომელიც, ჩემი აზრით, პირდაპირ კავშირშია ოპოზიციასა და მიტინგებთან (ჭკუა რომ ეყოთ და მე რომ დამიჯერონ):

„თი-ბი-სი ბანკმა“ უნიკალური შესაძლებლობა შესთავაზა (მათივე წარმომადგენლის სიტყვებია) საქართველოს მოქალაქეებს — 10 ათასი დოლარი დამარხა სადღაც მიწაში და ვინც იპოვის, იმისი იყოსო!

მერე რა, კარგი უქნია? „ცხონებული“ ოპოზიციის დიდი მიტინგების შემდეგ ამდენი ხალხი ერთად არ მინახავს — გადაკეტილი იყო მარჯანიშვილის, უზნაძის, სანქტ-პეტერბურგის ქუჩები, 23-ე სკოლის ბავშვებს პირველი და მეორე გაკვეთილი გაუცდათ, რადგან სკოლის კარი ბარიან-თოხიანი ადამიანების მიერ იყო ჩახერგილი, რომლებიც ბანკის წარმომადგენლის გამოსვლას და „განძის რუკის“ მიღებას ელოდნენ... და აი, დადგა ნანატრი წამი! თვით „რუსთავი 2“-ის პირმშვენიერი ჟურნალისტი გამოვიდა და საკუთარი ხელით დაიწყო რუკების დარიგება (როგორც გაირკვა, პირდაპირ ჩართვას ელოდნენ და იმიტომ დაგვიანდა)!

იქ ამბავი ატყდაააა!!! რა „დედა“ და რისი „შვილის ხელში აყვანა“! სულ სასოფლო-სამეურნეო იარაღები ურტყეს ერთმანეთს თავში! კარგი, აღარ გავაგრძელებ (მით უმეტეს, რომ განძის ძებნა ჯერ კიდევ გრძელდება), ამ იდეის ავტორსა და განმახორციელებელს „ისტორია განსჯის“, მაგრამ მე იმას გეტყვით, — რა კავშირი დავინახე ამ იდიოტობას, ოპოზიციის პრობლემებსა და ნათელაშვილის ამერიკულ აქციას (თუ აქტს) შორის:

გაჩეჩილაძიდან დაწყებული, ბურჯანაძით დამთავრებული (შუაში კიდევ ვიღაც-ვიღაცები), ფულისთვის რომ დარბიან ხან მოსკოვში და ხან პარიზში, ის ფული აქციების ორგანიზებისთვის არ სჭირდებათ? რამდენადაც მე ვიცი, ერთი მოზრდილი მიტინგის ჩატარებას (დაახლოებით იმდენი მონაწილით, რამდენი ბარი და ნიჩაბიც იყო იმ დღეს „თი-ბი-სი ბანკის“ წინ) ორმოცდაათი ათასამდე ლარი სჭირდება (ხალხის ჩამოყვანიან-ჭამიან-სმიანა). აგერ შალვამ, — ვაშინგტონში 90-კაციანი მიტინგი ჩავატარე და ეს დღეისთვის კარგი შედეგიაო!

მერე, თქვე დალოცვილებო, მაგაშიც ბანკირებმა უნდა გაჯობონ?! გამოაცხადეთ: „ამა და ამ დღეს, რესპუბლიკის მოედანზე ეწყობა ოპოზიციის მიტინგი დილის 10 საათიდან მეორე დილის ათ საათამდე. ორგანიზატორები გთავაზობენ სიურპრიზს: ამ 24 საათის განმავლობაში, შემთხვევით შერჩეულ დროს ხალხში გადმოისვრიან 10 ათასი დოლარით სავსე ტომარას! ვინც დაიჭერს, იმისია!!!“

აი ნახავთ, რამდენი ათასი კაცი მოვა და თუ ვინმე მოიცვლის ფეხს ტომრის გადაგდებამდე! რაც მთავარია, როცა გაიგებენ, რომ არ იტყუებით, შემდეგ მიტინგზე უნდა ნახოთ დასწრება...

მოკლედ, აბა თქვენ იცით — მომენატრა თქვენი მიტინგები, უამრავ „საკბილოს“ ვიღებდი თქვენი „ნაბეჭუტურებიდან“.

P.S. ახლა კი, როგორც დაგპირდით, შალვა ნათელაშვილის ნაამბობის ფრაგმენტები, უკომენტაროდ: „მიტინგზე დაახლოებით 90-მდე კაცი იყო მოსული, მაგრამ ორი ავტობუსი რალაც პრობლემის გამო ფილადელფიიდან ვერ ჩამოვიდა — აქედან გამომდინარე, ეს აქცია უნდა ჩაითვალოს ძალიან წარმატებულად“... „ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ჩვენ მიმართ იყო დიდი ინტერესი“... „სურათებს გვიღებდნენ, ხელს გვიქნევდნენ“... „ალბათ, დამჭირდება ჩემს მეგობართან, გაეროს გენერალურ მდივან პან გი მუნთან ძველი კონტაქტების განახლება, რათა ეს თაღლითი და ეს იარაღით მოვაჭრე თემურ ალასანია იქიდან გამოაძევონ! ლეო კაჩინსკი თურმე მაგას დაუთრევია სააკაშვილისთვის და ეს სოროსიც თემურ ალასანიას გამოჩხრეკილი ყოფილა თურმე“...

ეეეჰ, წავედი, წავედი, ისე ყველაზე მეტად ეს ბოლო სიტყვა მომეწონა — „თურმე“!!!

P.P.S. ახლა გადავიკითხე და წარმოვიდგინე, ვინმე „ახალი მკითხველი“ რომ გამოჩნდეს, ვინც პირველად კითხულობს „პროვოკაციას“ — არ ვეგონები „სააკაშვილის მაჩალკა“?! ასეთების საყურადღებოდ: დაელოდეთ „გზის“ მომავალ ნომერს!

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა

შალვა ნათელაშვილის აქცია თეთრ სახლთან

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ვაშინგტონში, თეთრ სახლთან, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართა. როგორც გაირკვა, აქციაში ადგილობრივ ქართველებთან ერთად, ამერიკის მოქალაქეებიც მონაწილეობდნენ. პარტიის წევრების თქმით, თეთრ სახლთან სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით გამართული აქცია ისტორიული ფაქტი და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპია.

ინდიელები ბარაკ ობამას გონზე მოყვანას ცდილობენ?!

სალვადორში მცხოვრებმა მაიას ტომის ინდიელებმა რიტუალი ჩაატარეს იმისთვის, რათა აშშ-ის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ ბრძნული გადაწყვეტილებები მიიღოს. ცერემონია

მაიას ძველ საკურთხეველთან, სალვადორიდან 25 კილომეტრის მოშორებით გაიმართა. ხუთმა შამანმა ცეცხლში სანთლები და კაკაოს მარცვლები შეყარა და დანარჩენებთან ერთად ვულკანებს, მთებს, მზის ენერგიასა და წინაპრებს შესთხოვა, რომ ობამა გონივრული გადაწყვეტილებები მიღებაში დაეხმარონ. ცერემონიაზე 100-მდე ადგილობრივი მცხოვრები შეიკრიბა. ისინი შამანებს ლოცვისას ეხმარებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ცერემონიას აშშ-ის სპეცსამსახურის თანამშრომელიც ესწრებოდა. ■

რა თქვეს თიკა კანდელაკის გადაცემაში საქართველოზე

თიკა კანდელაკმა და ანდრეი კოლესნიკოვმა გადაცემაში — „არარეალური პოლიტიკა“ სტუმრად სკანდალური ბიზნესმენი ევგენი ჩიჩვარკინი მიიწვიეს. კითხვაზე, — სად უფრო უსაფრთხოა ბიზნესის კეთება მსოფლიოში? — ჩიჩვარკინმა უპასუხა, — საქართველოში, სადაც საუკეთესო საგადასახადო და სოციალური კანონმდებლობაა. ამ რეპლიკას გადაცემის ავტორსა და სტუმარს შორის მცირე დებატი მოჰყვა... ■

პრეზიდენტის პოსტში გაცვლილი ქმარი

გვატემალის პრეზიდენტი ალვარო კოლომი ცოლს იმისთვის ეყრება, რათა მან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა შეძლოს. კოლომიმ და მისმა მეუღლემ სანდრა ტორესმა, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, განქორწინების მოთხოვნით, უზენაეს სასამართლოს უკვე მიმართეს. გვატემალის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მოქმედი მეთაურის ნათესავებს ამ თანამდებობაზე კენჭისყრა არ შეუძლიათ. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ქვეყნის პირველი ლედი გვატემალის პირველი პრეზიდენტი ქალი გახდება. ■

რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘ
ᲗᲣ ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ?!

ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი „დედამიწაზე ჯოჯოხეთის მოწყობით“ იმუქრება, ევროპელი სამხედრო ექსპერტების ნაწილი კი მესამე მსოფლიო ომის დაწყებით გვაშინებს. „დასავლეთი დაეცემა, ისევე, როგორც ჰიტლერი და მუსოლინი დაეცნენ. ჩვენ ვაიარაღებთ ლიბიელ ხალხს, ჩვენ გავხსენით იარაღის საწყობები და მტერი დაეცემა. ჩვენს ტერიტორიას აგრესორისგან გავათავისუფლებთ“, — ეს განცხადება კადაფიმ მას შემდეგ გააკეთა, რაც კოალიციურმა ძალებმა ლიბიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ

გადაწყვეტილება პარიზში გამართულ მსოფლიო ლიდერების საგანგებო სამიტზე მიიღეს. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას (რომლის მიხედვითაც, მსოფლიო თანამეგობრობას დიქტატორის წინააღმდეგ ძალის გამოყენების უფლება ეძლევა) 15 წევრი ქვეყნიდან 10-მა დაუჭირა მხარი. თავი შეიკავეს: რუსეთმა, ჩინეთმა, გერმანიამ, ინდოეთმა და ბრაზილიამ.

სამხედრო ოპერაციაში პირველად საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალები ჩაერთვნენ. „რაფალეს“ ტიპის ავიაგამანადგურებლებმა დიქტატორის მომხრე ჯარების სამხედრო კოლონა დაბომბეს, რომელსაც 40-მდე საავიაციო ბომბი და მართვადი რაკეტა ესროლეს. კადაფიმ თავის დაცვა „ცოცხალი ფარის“ მეშვეობით სცადა: ტრიპოლიში, იმ ობიექტებთან, რომლის დაბომბვასაც ელოდება, კადაფის ასობით მომხრე შეიკრიბა... ოპერაციაში მალევე ჩაებნენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, კანადა, ბელგია, დანია, კატარი და ნორვეგია (სხვათა შორის, ყატარი პირველი არაბული ქვეყანაა, რომელმაც კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ დასავლურ კოალიციას დაუჭირა მხარი. პენტაგონის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კატართან ერთად, მალე დასავლეთს სხვა არაბული ქვეყნებიც ამოუდგებიან მხარში). კოალიციასთან ერთად, სამხედრო მოქმედებების დაწყების მზადყოფნა გამოხატეს ესპანეთმა და თურქეთმა. თავის მხრივ, მუამარ კადაფი იარაღის დაყრასა და დანებებას არ აპირებს. ლიბიელი დიქტატორი კოალიციურ ძალებს საერთაშორისო სამართლის დარღვევაში ადანაშაულებს და მსოფლიოს ხანგრძლივი ომით ემუქრება.

სამხედრო ექსპერტების ნაწილი კადაფის მუქარას უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს — მათი თქმით, საფრანგეთისა და აშშ-ის კვალდაკვალ, ლიბიაზე საჰაერო თავდასხმებში დიდი ბრიტანეთის ჩაბმა და ესპანეთისა

ᲛᲣᲚᲢᲤᲘᲚᲛᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

იაპონელებმა ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუშიმა 1“-ზე მომხდარი ავარიის შესახებ საბავშვო მულტფილმი გადაიღეს. მულტფილმში პატარებისთვის გასაგები ენით ახსნილია, თუ რა მოხდა ელექტროსადგურზე.



ფილმს ინგლისური ტიტრები ახლავს. ატომური ენერგეტიკა წარმოდგენილია „ბირთვული ბიჭუნას“ სახით, რომელსაც საჭმლის მონელების პრობლემა აქვს. „ფუკუშიმა 1“-ზე მომხდარი ავარია მეტეორიზმის შეტევაა, რომლის შეკავებასაც „ბიჭუნა“ უშედეგოდ ცდილობს. ექიმები მას წამლებს აძლევენ და არწმუნებენ, რომ ყველაზე საშინელი — დიარეა ჯერ არ დამართვია; რაც შეეხება ცუდ სუნს, გარკვეულ მანძილზე ის აღარც კი იგრძნობა... ექიმები იმ სპეციალისტებს განასახიერებენ, რომლებიც ბირთვული რეაქტორების გაგრილებას ცდილობენ, წამლები კი — ზღვის წყალსა და ბორის მჟავას, რომელსაც გავარვარებულ რეაქტორებს ასხამენ. დასასრულს მაყურებლებს „ფუკუშიმას“ პრეფექტურის მოსახლეობისთვის ლოცვას სთავაზობენ და იმედს გამოთქვამენ, რომ იაპონია ამ განსაცდელს გაუმკლავდება. ■

7-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ
ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ისრაელის ყოფილ პრეზიდენტს, მოშე კაცავს თელ-ავივის სასამართლომ 7-წლიანი პატიმრობა თანამშრომელი ქალბატონის გაუპატიურების გამო მიუსაჯა. განაჩენის თანახმად, კაცავმა დაზარალებულის სასარგებლოდ, 100 ათასი შეკელი უნდა გადაიხადოს. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔᲛ

ᲥᲝᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ
ᲒᲚᲣᲙᲝᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ
69 ᲚᲐᲠᲘ
35 ᲚᲐᲠᲘᲓᲐᲜ
ᲨᲠᲗ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ“
ᲛᲘᲡ: ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ Ქ. №4 Ტ: 34 74 03; 899 19 60 55
ᲩᲐᲑᲐᲠᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ, ᲓᲐᲐᲛᲐᲢᲔ 27 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲚᲣᲙᲝᲛᲔᲢᲠᲘ + 10 ᲢᲔᲡᲢ-ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

და თურქეთის მხრიდან მზადყოფნის გამოცხადება უკვე მიანიშნებს კადაფის სიძლიერესა და იმაზე, რომ ლიბიაში დაწყებული საომარი მოქმედებები მოკლე ხანში არ დასრულდება. ამისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს პოლიტოლოგ ***პეტერ ულენტს****, რომელსაც მიმდინარე მოვლენების შესახებ ვესაუბრეთ.*

— რით განსხვავდება კადაფი სხვა ავტოკრატი მმართველებისგან და რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ლიბიის ხელისუფლების წინააღმდეგ ასეთი რადიკალური ზომა მიიღო?

— სხვა მმართველებისაგან კადაფი განსხვავდება არა მხოლოდ მის მიერვე შექმნილი, ე.წ. „კადაფის მწვანე წიგნში“ ასახული „უნიკალური იდეოლოგიით“ (რაც, ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ისლამური და სოციალისტური იდეების ნაზავს წარმოადგენს), არამედ ამ იდეებზე დამყარებული, მის ქვეყანაში არსებული, განსაკუთრებული პოლიტიკური წყობით. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს იდეები, ძირითადად მისი კლანის წევრებისგან შემდგარი უშიშროების სამსახურები, უმეტესად ნავთობის გაყიდვის შედეგად მიღებული არცთუ მცირე შემოსავალი და საკმაოდ აწონ-დაწონილი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ზოგიერთი ქვეყნის პრაგმატულ პოლიტიკაზე იყო გათვლილი, მის რეჟიმს სტაბილური არსებობის გარანტიას აძლევდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ძალამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, კარგად გამოიყენა ახლო აღმოსავლეთში აგორებული სახალხო გამოსვლების ტალღა, ხანგრძლივი დიქტატორული მმართველობით გამოწვეული, ხალხის ნაწილის უკმაყოფილება და კადაფის შეცდომები დააშვებინა, რამაც საბოლოოდ, დასავლეთის სახელმწიფოებს ამგვარი დახმარების საბაბი მისცა. შეცდომებზე რომ ვლაპარაკობ, პირველ რიგში ვგულისხმობ დამსჯელ სამხედრო ოპერაციებს ოპოზიციის წინააღმდეგ, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

ჩემი აზრით, მაჰმადიანური სამყაროს მოსახლეობაში გარკვეული თანაგრძნობა ეუნება, ხოლო ლიდერების მხრიდან — არა

ამჟამად „ანტიკადაფური კოალიციის“ შეხედულებით, მის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიბიელ ხალხს იცავენ განადგურებისაგან

— მსგავსი კოალიციური აქციების დროს ლიდერად ყოველთვის აშშ გვევლინებოდა; ამჯერად ის გარკვეულწილად, უკანა პლანზე დარჩა; რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება და ის, რომ კადაფის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციაში განსაკუთრებულ აქტიურობას საფრანგეთი იჩენდა?

— ჯერ ერთი, ნატოს ფარგლებში, აშშ საკმაოდ აქტიურია — მხედველობაში მაქვს თუნდაც ამჟამინდელი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური კურსი (თუმცა „რესპუბლიკელების“ საგარეო პოლიტიკისგან ამ კურსის განსხვავებულმა „ნიუანსებმა“ არა მხოლოდ ლიბიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც იჩინა თავი). გარდა ამისა, ჩემი აზრით, ამის მიზეზია, როგორც ევროპის (განსაკუთრებით — სამხრეთ ევროპის) სახელმწიფოების ისტორიული თუ ამჟამინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური დაინტერესება მათთან გეოგრაფიულად ძალიან ახლოს მდებარე ჩრდილოეთ აფრიკით, ასევე საფრანგეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ კადაფის მიერ გაკეთებული განცხადებები.

— დაარღვიეს თუ არა საერთაშორისო სამართლის ნორმები სამხედრო კოალიციის წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ლიბიაში ძალისმიერ ოპერაციას ახორციელებენ?

— საერთაშორისო სამართლის ნორმების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა და მსოფლიოში არსებული ავტორიტარული ან დიქტატორული რეჟიმების მიერ ახალი არ არის. საერთაშორისო სამართლის ბევრი ნორმა, ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულების მუხლების მსგავსად, ე.წ. „ორმაგი გაგების“ საშუალებას იძლევა. ამიტომ, როგორც სხვა შემთხვევაში, მსოფლიოს ნაწილისთვის ეს დარღვევა იქნება, ნაწილისათვის კი — არა, ყოველ შემთხვევაში — სანამ არ დაიწყება უცხოელთა სახმელეთო ოპერაციები საკუთრივ ლიბიის ტერიტორიაზე. ამჟამად „ანტიკადაფური კოალიციის“ შეხედულებით, მის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიბიელ ხალხს იცავენ განადგურებისაგან.

— როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ გაეროს რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს რუსეთმა, ჩინეთმა, ბრაზილიამ, ინდოეთმა და მათ გვერდით გერმანიაც აღმოჩნდა?

— ძალიან უბრალოდ: რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი და გერმანია აღმოჩნდნენ ყველაზე „რეალპოლიტიკურ“ პოზიციაზე ანუ მიიჩნიეს, რომ მათი ქვეყნების უპირველეს ინტერესებში არ შედის ამ რეზოლუციის სრული მხარდაჭერა.

— მაშინ რატომ არ გამოიყენა რუსეთმა ვეტოს უფლება გაეროს რეზოლუციის მიღებისას?

— ნათელია, და მე სრულიად ვეთანხმები მათ, ვინც ამის თაობაზე პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთმა ამ ნაბიჯით კიდევ ერთხელ „ივაჭრა“ დასავლეთთან და პირველ რიგში — აშშ-თან. წარმატებული იყო თუ არა ეს „ვაჭრობა“ და რა მიიღო მან სანაცვლოდ, ეს, ჩემი აზრით, არცთუ დიდი ხნის შემდეგ გამოჩნდება.

— კადაფიმ გაეროს რეზოლუციას „დაუფარავი კოლონიალიზმი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწოდა. შესაძლებელია თუ არა, რომ მან „ინტერვენციის მსხვერპლის“ მანტიის მორგება მოახერხოს და მუსლიმანური სამყაროს თანაგრძნობა გამოიწვიოს?

— ჩემი აზრით, მაჰმადიანური სამყაროს მოსახლეობაში გარკვეული თანაგრძნობა ექნება, ხოლო ლიდერების მხრიდან — არა, რადგან მაჰმადიანური სამყაროს ლიდერების ინტერესებშიც კი (განსაკუთრებით, სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების ფონზე), „გაჭრილი ბანქოს“ მხარდაჭერა არ შედის.

— ევროპელი ლიდერები შიშობდნენ, რომ ეგვიპტეში მუბარაქის ხელისუფლების დამხობას „ალ-ქაიდას“ პოზიციების გაძლიერება შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მსგავსი საფრთხეები ლიბიაში არ არსებობს?

— მსგავსი საფრთხე ლიბიაში უფრო არსებობს, ვიდრე ეს ეგვიპტეში იყო. მაგრამ როგორც დასავლეთის კოალიცია, ისე არაბული რეჟიმები ყველაფერს გააკეთებენ (და, ჩემი აზრით, შეძლებენ კიდეც) საიმისოდ, რომ ეს არ მოხდეს.

— ამერიკელი სამხედრო მალალჩინოსნები მუამარ კადაფის მხრიდან სამხედრო წინააღმდეგობის გაწევის საფრთხეს ვერ ხედავენ, თუმცა თავად დიქტატორი მათ „გრძელვადიან ომს“ ჰპირდება. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები და რამდენად საფუძვლიანია სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ექსპერტების გაფრთხილება — რომ ლიბიაში განვითარებული მოვლენები მესამე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი შეიძლება გახდეს?

— ჩემი აზრით, „გრძელვადიანი ომი“ ნაკლებსავარაუდოა, ხოლო მესამე მსოფლიო ომის დაწყება ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება... ■

„სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები“

დღეს „ქართული პროზის საგანძურს“ კიდევ ერთი საინტერესო ავტორი — ნოდარ წულეისკირი შეემატა რომანით — „თუთარჩელა“. ეს წიგნი განსაკუთრებული საჩუქარია მათთვის, ვისაც აინტერესებს ქართული, განსაკუთრებით კი მეგრული მითოლოგია და რაც მთავარია, უყვარს ნამდვილი ლიტერატურა.



წამალი ჩვენშია, ყოველ ჩვენგანში სძინავს იმ ჯადოქარს

თამთა დოლიძე

თეთრი ღამეები

როცა ერისიონი განათდება, მთვარე ყვითელ ბაკმს შემოივლებს, ერისიონში მიწიერ საქმეთა მოსაგვარებლად თუთა მობრძანდება... ასე მგონია, გზააბნეული მგზავრივით უცხო სოფელში მოვხვდი და ჩემივე ნებით ვეფლობი მის „თეთრ წყვდიადში“. მივდივარ და „ჩემი სული სავსეა ეჭვით და იმედით, ეჭვით იმიტომ, რომ ურთულეს გზებს ვეძებ; იმედით იმიტომ რომ ბუნება იძლევა ამ იმედს“.

ჯერ ფრთხილად მივაბიჯებ თუთარჩელას იდუმალებით მოცულ სამყაროში, მერე კი, ოჯახურ უთანხმოებას შემთხვევით შესწრებული სტუმარივით, მასპინძელს ჭკუას ვარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებ, მის გაკიცხვასაც კი ვბედავ. ბოლოს კი ჯაჭვებად ვისხამ მათ ტკივილს, რადგან მეც მძაფრად განვიცადე თუთარჩელა („**კალანდარიები ისე განიცდიან თუთარჩელას, როგორც შმაგ სიყვარულს**“).

ჰეკატეს „სამოთხე“

მივიდნენ „ურუ კალანდარიები“ სინათლესთან და ჰკითხეს:

„**მარქუ ჩუენ სიტყვაი, ვითარ ვცხონდეთ?**“

„**წამალი ჩვენშია, ყოველ ჩვენგანში სძინავს იმ ჯადოქარს, ვისაც შეუძლია ადამიანებს შორის წესრიგი დაამყაროს. ეს ჯადოსანი სიყვარულია**“, — მოთმინებით. უხსნის მათ გიორგი (რომანის მთავარი გმირი), მაგრამ სოფელს აღარ ესმის „ქადაგის“ ენა, დიდი ხანია რწმენა დაკარგა, კაპუნიასავით (წარმართული ღმერთი) გადაიჩეხა უფსკრულში და მას შემდეგ ცისკენ აღარ იყურება, მიწას ჩასცქერის.

სოფელში, სადაც მამის სიკვდილით გამდიდრებას აპირებენ და აღარავის ეხმარებიან უსასყიდლოდ, სადაც სიბრიყვე საზრიანობის ტყავში შემძვრალა, „ჰიპნოზის“ უნარი მხოლოდ ბუნებას შესწევს. ჰეკატეს ბაღის დედოფალს — ცოდვას „**მძივისხელა თვალებით დააქვს ადამიანების წარსული**“, იმედის გვერდით ეჭვს თესავს, სილამაზისა და შიშის მოსავალს ერთდროულად გვაძლევს, თან გვაფრთხილებს — „**სილამაზე და შიში ერთად დიდი ძალაა**“.

— „**უკეთუ გცეს ვინმე მარჯუენესა ყვრიმალსა შენსა, მიუპყარ მარცხენაიცა შენი**“, — ისმის წარსულიდან. ადამიანები კი ისევ ჯიუტად ვიმეორებთ — არ შეგვიძლია!..

ძლევამოსილი მკურნალია სიმშვიდე. ახლაც, მტკიცედ გადაუწყვეტია, ჩაბნელებული გაანათოს, მძინარე გააღვიძოს. ისე იხედება ჩვენს სულებში, როგორც სარკეში და მტკიცე ხმით ამბობს:

— **უკვე დროა, გაიღვიძეთ და გიყვარდეთ ერთმანეთი!**

„ანინა დაფეთებულ ირემს ჰგავდა“

თეთრ მთაზე დგას სიყვარულის ქალღმერთი, სილამაზისა და შიშის ნაყოფი. პეპლის ფრთებისგან შეკერილი კაბა აცვია, გასაქცევად ყოველთვის მზადაა. მის მსხვერპლს „სიამაყის ჯაჭვიც“ კი ვერ გადაარჩენს. ნოთეს (თევზაობის სახეობა) ჰგავს ასეთი სიყვარული, კვარივით ბუუტავს და გიზიდავს, სანამ სიმართლის მოსვლას სიკვდილივით არ იგრძნობ („**გასაოცარი სიმართლეა სიკვდილი**“).

ნუთუ ქალღმერთსაც შეუძლია სინანული?

თუ მკითხველი მხოლოდ სინანულის ყულფში თავგაყოფილ ცოლსა და დედას დაინახავს, მისი ნებაა. მაგრამ ჩემი „ჭოგრიტიდან“ ეს საბედისწერო ქალი მსხვერპლის ტყავში გახვეულ მონადირეს უფრო ჰგავს. ანინა თითქოს იმისთვისაა გაჩენილი, რომ გახელებული ხარის თვალწინ წითელ ფერად ენთოს. მას ეკუთვნის ყველა „უინი ანთარი“ (სიყვარულის რაინდი) — ყველა დაკარგული სიტყვა. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს, „ადამიანის თვალი მაინც ვერ არჩევს დიდ სიმშვიდეს, ამაყ მოთმინებას და მონურ გაჩუმებას ერთმანეთისგან“.

...გიორგის დიდი სიმშვიდით უყვარდა.

„კაპუნია, კაპუნია, სქანი სახელი ხვამილი“

ხალხს ალბათ მოსწონს სხვისი ტანჯვის ყურება. ასე რომ არ იყოს, სიმართლის გზაზე დამდგარ კაცს ერთი მხარი მაინც შეეშველება, მოგონილ რწმენას ცამდე აატანინებს, მაგრამ რადგან „**უმაღლესი ჭეშმარიტებაა ადამიანი**“, მას სხვისი იმედის, სხვისი რწმენის ქვეშ ეჭვის ჭიის გამოზამთრება უფრო კარგად გამოსდის. „**საოცარი ძალა აქვს ეჭვს, ადამიანს რომ შეუჩნდება, ნელ-ნელა, შეპარვით სულშიც ჩაუძვრება და დაიმორჩილებს. თუ ეჭვის ჯადოსნური თესლი ნოყიერ ნიადაგზე დაეცა, უცებ იბარტყებს და ფრთებს გაშლის**“. სწორედ ასეთი ნიადაგი აღმოჩნდა უსამშობლო, უღმერთო კალანდარიების გულები.

ძლევამოსილი მკურნალია სიმშვიდე. ახლაც, მტკიცედ გადაუწყვეტია, ჩაბნელებული გაანათოს, მძინარე გააღვიძოს

ხანდრა (ხანგრძლივი ავდარი)

როგორც წესი, კარგ ამინდებს ცუდი მოჰყვება ხოლმე. ბუნების კანონს ვერავინ გაექცევა, ვერც საკალანდარიო გაექცა. დაიწყო და აღარ გადაიღო განსაცდელის წვიმამ გუგუ კალანდარიას ოჯახში, სოფელს დაეკარგა დიდი სიმშვიდე. სხვების სულებზე ზრუნვისას საკუთარი ჩაუბნელდა გიორგის, სიკეთე ბოროტებად ექცა. და რადგან „**ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი**“, მანაც შეიძულა „**ერთი დღის სინათლე**“ — მზე. ცოცხალი ადამიანების გულებისკენ მიმავალი გზა დაივიწყა და სულეთის სამეფოს მსმენელი გახდა. შიში კი ისევ ძველებურად ჩურჩულებს სიბნელიდან: „**სიკვდილის წამალი თუ იცით რამე, ჯიმალია? არ მინდა სიკვდილი**“...

ვის არ უგრძნია უპასუხოდ დარჩენილი კითხვის უხერხულობა?! ალბათ, ამ წიგნის გმირების მსგავსად, ჩვენც ბევრი გვიფიქრია, მაგრამ ბევრი კითხვა მაინც უპასუხოდ გვრჩება, მე კი არ მინდა თანაგრძნობის გარეშე დავტოვო დაბეჩავებული კალანდარიები და ვეუბნები: — „**სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები**“. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინალ ხაშიგი: „ეს აფხაზეთის „გარდაცვალების“ ტოლფასი იქნება...“

„პატარა, მაგრამ ამაყმა ერმა არც ქართულ-აფხაზური „მორდუობის“ საუკუნოვან ტრადიციას გაუწია ანგარიში და სისხლი დაიღვარა. ჩვენ იმიტომ ვესროლეთ ქართველებს, რომ ისინი ჩვენს მამაპაპისეულ მიწას გვედავებოდნენ... სულ რამდენიმე წლის წინ აფხაზური ოჯახები ამაყობდნენ იმით, რომ ცოცხალი თუ გარდაცვლილი, თითო გმირი ყველას ჰყავდა. გვიჭირდა, მაგრამ ვითმენდით; ვფიქრობდით, — დადგება დრო და შთამომავლობა დამოუკიდებლობისთვის გაღებულ მსხვერპლს დაგვიფასებსო. თუმცა ეს ნანატრი დღე არა და არ დადგა. შედეგად კი „უფროსმა ძმამ“, აფხაზეთის თანდათან და საფუძვლიან გარუსებას მიჰყო ხელი: ჯერ იყო და, აფხაზურ პოლიტიკაში პრორუსული კადრები მოიყვანა, რომლებსაც პირდაპირ შეიძლება „რუსეთის ინვესტიცია“ ვუწოდოთ, შემდეგ კი აფხაზურ ჯარში რუსი მღვდელმსახურები „შემოაპარა“, რაც პრაქტიკულად, ჩვენი ეკლესიის გაუქმებას ნიშნავს... გაგრა, ბიჭვინთა და სოხუმი ისედაც რუსულ ქალაქებად იყო ქცეული, ახლა კი ეს სახელმწიფო გაგრის რაიონის იურიდიულად გაფორმებას აპირებს, ის ჩვენგან, გაგრის რაიონის 160 კვადრატული კილომეტრის დათმობას მოითხოვს“, — მითხრა სოხუმელმა აფხაზმა ისტორიკოსმა, ბეჟან კვარჩიამ, რომელსაც რუსეთის ბოლო-დროინდელ სახიფათო ნაბიჯზე აზრის გამოთქმა ვთხოვე.

თუ ბაღაფში რუსეთს ამაზე დათანხმდება, იგი თავისი ქვეყნის ისტორიაში სამარცხვინო ლიდერის სტატუსით შევა

ლალი პაპასქირი

მისი შეშფოთება საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის: „მოძმე რუსეთმა“ აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ „მიაყენა კედელთან“. მედვედევის ხელისუფლება მათთან ტერიტორიულ დათმობაზე წასვლას მოითხოვს — გაგრის რაიონი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ნაწილი იურიდიულად უნდა გახდეს.

ამ პრობლემას აფხაზი ჟურნალისტი, ინალ ხაშიგიც ეხმიანება, რომელიც ერთ-ერთ აფხაზურ ოპოზიციურ გაზეთში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში სეპარატისტული ხელისუფლების მიერ მოსკოვის პოლიტიკაზე მსჯელობს და იმ შემთხვევაში, თუ ბაღაფში ამ დათმობაზე წავა, მომავლის სავარაუდო მონახაზსაც უზიარებს მკითხველს. აფხაზ ჟურნალისტს ელექტრონული ფოსტით დავუკავშირდი და აფხაზი საზოგადოების განწყობილების გარკვევას შევეცადე.

ინალ ხაშიგი:

— საზღვრის დემარკაციის საკითხზე მუშაობას ორმხრივი — რუსულ-აფხაზური კომისია 28 მარტს დაიწყებს და 1-ელ აპრილს დაასრულებს. თუ მოსკოვის სურვილი დაკმაყოფილდა და გაგრა მიიერთეს, ეს აფხაზეთის „გარდაცვალების“ ტოლფასი იქნება... ვისაც აფხაზეთში უცხოვრია ან ამ ქვეყნის რუკა უნახავს, მიხვდება — 160 კვადრატული კილომეტრის მიერთება ნიშნავს, რომ გაგრის რაიონს მთლიანად ვკარგავთ; ეს „სადავო ტერიტორია“ გაგრას, „კრასნაია პოლიანას“ დიდ ნაწილს, სოფელ აიბგას, ზემო და ქვემო ეშერასა და რუსეთის საზღვრისპირა ყველა სოფელს მოიცავს... როგორც ამბობენ, ფსოუს მარცხენა ნაპირიდან რიწის ტბამდე, რუსეთის ხელმძღვანელობის დავალებით, რუსი მილიარდერები „ახალი ლას-ვეგასის“ აშენებას აპირებენ, სადაც გასართობი ცენტრები, რესტორნები, კაზინოები და ღამის კლუბები იქნება. ეს პროექტი 2014 წლის სოჭის ოლიმპიადამდე უნდა დასრულდეს, რათა ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა აფხაზეთში ჩადებული რუსული ინვესტიციის შედეგი ნახონ... ჟირინოვსკიმ რამდენჯერმე ხუმრობით თქვა, — აფხაზეთი, გუმისთის ხიდამდე, ჩვენი იქნება, დანარჩენ ტერიტორიაზე კი მხოლოდ ბიზნესს ვაწარმოებთო... ეტყობა, მისი ხუმრობის განხორციელებაზე დუმის დეპუტატები სერიოზულად მუშაობენ.

— კონკრეტულად, ვის ინტერესშია გაგრის მიერთება? როგორც ადგილობრივმა აფხაზებმა აღნიშნეს, ხელისუფლება რამდენიმე ბინზესმენის სურვილს ამზეურებს...

— სიახლეს არავისთვის წარმოად-

თქვენი შვილი 5- 6 წლისაა და ვერ გადაწყვიტეთ, მზადაა თუ არა სკოლისთვის?

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“ გთავაზობთ სკოლისთვის მზაობის დიაგნოსტიკას.

ტესტირება საინტერესო და სახალისო ფორმით ტარდება.
თქვენ შეიტყობთ, რამდენად კარგად აქვს განვითარებული ბავშვს მეხსიერება, მეტყველება, ინსტრუქციით მოქმედების, ლოგიკური აზროვნების, გარემოში ორიენტაციის და ადაპტაციის უნარი.
ტესტირების შედეგები და ფსიქოლოგის რეკომენდაცია წერილობითი ფორმით გადმოგეცემათ.
პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“

მის: ბარნოვის №71 ტელ: 895 28 60 40



აფხაზეთში ბიზნესი თითქმის ყველა რუს მილიარდერს აქვს

გენს, რომ მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი აფხაზეთში თავის ბიზნესს სულ უფრო და უფრო აფართოებს. მან გაგრაში უზარმაზარი მრავალპროფილიანი ბიზნესსახლი — „რუსკი დომ“ დააფუძნა, სადაც ტურისტული კომპანია, გასართობი ცენტრები, რესტორნები და სასტუმროებია გაერთიანებული... აფხაზეთში ბიზნესი თითქმის ყველა რუს მილიარდერს აქვს, მაგრამ ბოლო დროს თურქი ბიზნესმენებიც გააქტიურდნენ. საქმე ის არის, რომ ჩვენი ხალხი მათთან საერთო ენას იოლად პოულობს და რუსებმა რეალური კონკურენციის საფრთხე იგრძნეს. როგორც ჩანს, გაგრის მიერთებით, ისინი თავს იზღვევენ. თურქებს ძირითადად, ელექტროტექნიკის ბიზნესი აქვთ — ხსნიან მაღაზიებსა და ტექნიკის ცენტრებს, სადაც ადგილობრივებსაც ასაქმებენ. მათგან განსხვავებით, რუსები სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების გახსნით არიან დაინტერესებული, ჩვენი ხალხისთვის კი იქ მუშაობა, ტრადიციებიდან გამომდინარე, მიუღებელია... რაც შეეხება სერგეი ბაღაფშს, — მას თავის პოლიტიკურ კარიერაში ახლა ყველაზე მთავარი გამოცდა ელოდება. ჩემი აზრით, მოვლენათა განვითარების ორი „ვერსია“ არსებობს: თუ ბაღაფში რუსეთს ამაზე დათანხმდება, იგი თავისი ქვეყნის ისტორიაში სამარცხვინო ლიდერის სტატუსით შევა; არსებობს მეორე, მისთვისა და ზოგადად აფხაზი ერისთვის უკეთესი გზა — ბაღაფშმა საკუთარ კეთილდღეობაზე უარი უნდა თქვას და ხალხის აზრი თუნდაც სიცოცხლის ფასად დაიცვას... ვიცი, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. მოლაპარაკების მონაწილეები კი კომენტარისგან თავს იკავებენ. თუმცა პარლამენტიდან გამოუონილი ინფორმაციით, მოსკოვის მოთხოვნამ აფხაზი დეპუტატები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო... სიტუაციას ამწვავებს ისიც, რომ საკმაოდ პოლიტიზებული აფხაზი საზოგადოება ხელმძღვანელობისგან პასუხს ელოდება.

— რას ფიქრობს აფხაზი საზოგადოება „მოძმე რუსეთის“ მოთხოვნასთან დაკავშირებით?

— ცხადია, ამ საკითხის გარშემო მთელი აფხაზეთი ერთსულოვანია — ამ მიწისთვის 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, სისხლი დაიღვარა და ასე უბრალოდ დათმობა, თუნდაც მსოფლიოში ერთადერთი, რეალური პარტნიორის სასარგებლოდ, რბილად რომ ვთქვათ, არალოგიკური იქნება... გაგრის მოსახლეობას ფულად კომპენსაციას ჰპირდებიან, თუმცა აფხაზისთვის ფულზე მნიშვნელოვანი რამ არსებობს: შეიძლება, საკუთარ მიწაზე მონასავით ამუშაო, მაგრამ სახლ-კარს არ გაყიდის... ვიცი — ხალხისგან განსხვავებით, ჩვენი ხელმძღვანელობა გაცილებით დამყოლი და დამთმობი იქნება, ვინაიდან ის რუსული ფულის მიმართ მადლიერებას საქვეყნოდ გამოხატავს. ასევე დარწმუნებული ვარ — მოლაპარაკებების დროს, რუსული მხარე მათ დამოუკიდებლობის აღიარებას შეახსენებს; სამწუხაროდ, აფხაზ დეპუტატებზე ზეწოლისთვის კიდევ ერთი და მთავარი ბერკეტი აქვს, — მატერიალური დაინტერესება: რუსეთიდან წამოსულმა ფინანსურმა დახმარებებმა აფხაზეთის ეკონომიკა ფეხზე ვერ დააყენა, მაგრამ ადამიანობის დაკარგვამდე გაამდიდრა ადგილობრივი ბიუროკრატია... ასე რომ, ახლა ჩვენი პრეზიდენტი ორ ცეცხლშუაა: თუ რუსეთს უარს ეტყვის, ფინანსური დახმარება შეუწყდება, რაც ქვეყანაში დესტაბილიზაციასა და ხელისუფლების შეცვლას გამოიწვევს; თუ ამ მოთხოვნას რაიმენაირად „გააფორმებენ“, შიდა არეულობა მაინც გარდაუვალი იქნება — ანუ იმის თქმა მინდა, რომ რუსეთს აფხაზეთში ნიადაგი წინასწარ აქვს მომზადებული, ახლა კი გულმოდგინედ აკვირდება, თუ როგორ წარმატებით „იმუშავებს“ მათი ფული შორეულ პერსპექტივაში. ასე რომ, რუსული შავი ფული ორმაგ საქმეს აკეთებს: თან აფხაზეთში „ათეთრებენ“, თან რუსეთს აფართოებენ. რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა, სერგეი სტეპაშინმა რუსული ფინანსური დახმარების ხარჯვის შემოწმებისას, 347 მილიონი რუბლის დანაკლისი აღმოაჩინა და ამას არა ქურდობა, არამედ უცნაური ტერმინი — „გაძვირებულობა“ უწოდა, რაც შემთხვევითი არ არის. მან იცის, რომ აფხაზეთში ჩადებული რუსული ინვესტიცია უკვალოდ არ გაქრება... აფხაზეთის ხელმძღვანელობამ უკვე არაერთგზის გამოხატა მადლიერება: ყოფილი ლიდერების — სტალინის, ხრუშჩოვის, გორბაჩოვისა და ბერიას აგარაკები „მოძმე რუს“ ჩინოვნიკებზე გააჩუქა; შემდეგ კი სახელმწიფო კორპორაცია „როსნეფტს“ აფხაზეთში ნავთობის მოძიებისა და მოპოვების ექსკლუზიური უფლება გადასცეს და „არგუმენტიც“ იპოვეს — თუ ნავთობს რუსეთი არ მოიპოვებს, სხვა ამოქაჩავსო; ოღონდ არ დაუკონკრეტებიათ, ვინ უნდა ყოფილიყო ის „სხვა“... მართალი გითხრათ, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ბაღაფშის ხელმძღვანელობა საზღვრის დემარკაციის საკითხის „შეფუთვასაც“ დააპირებს. და შესაბამისი „ახსნის“ პოვნას შეეცდება...

— მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, ბაღაფში მიწის დათმობის კატეგორიული წინააღმდეგია...

— დიახ, გავრცელდა მსგავსი ინფორმაცია, მაგრამ... შესაძლოა, რაღაც საკითხში სააკაშვილიც კატეგორიული იყოს, მაგრამ თუ ამერიკის პრეზიდენტი მისგან დათმობას მოითხოვს, იძულებული გახდება, დათანხმდეს... აფხაზეთში რუსეთის ელჩმა დოკუმენტის ხელმოწერამდე ნებისმიერი ინფორმაციის დაბლოკვა მოითხოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე ძალიან რთულად არის... ჩემი ინფორმაციით, რუსეთს კარტოგრაფიული მასალაც აქვს, სადაც 1917 წლამდე აფხაზეთი რუსეთის გუბერნიად არის მოხსენიებული. მე კარგად ვიცნობ ჩემი ქვეყნის ისტორიას, მაგრამ მსგავსი რუკის არსებობის შესახებ არასდროს მსმენია...

— დასასრულ, რაც უნდა უსიამოვნო მოსასმენი იყოს თქვენთვის, ფაქტია — რუსეთი საფუძვლიანად „მუშაობს“ აფხაზების გარუსებისთვის. არ მიგაჩნიათ, რომ თუნდაც ამ ერთი კონკრეტული საკითხის გარშემო ქართველი და აფხაზი საზოგადოების გაერთიანება, ორივესთვის მომგებიანი იქნება?

— ამაზე მე ასეთი პასუხი შემიძლია გაგცეთ: აფხაზ ხალხს გუბეში დახრჩობას, ზღვაში დახრჩობა ურჩევნია... ■



ინალ ხაშიგი

თუ ატომურ ელექტროსადგურებს გააჩერებენ, „ვაის გავეყრებით და უის შევეყრებით“

ატომური ენერგია – ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ენერგია

იაპონიაში მომხდარმა კატასტროფამ ევროპა ატომურ ელექტროსადგურებზე უარის თქმის საკითხზე დააფიქრა. ევროკავშირის ენერგეტიკის მინისტრებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ევროპული ქვეყნები ატომურ ელექტროსადგურებს დროებით გააჩერებენ და მათ საიმედოობას შეამოწმებენ. გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა გერმანიის იმ 7 ატომური ელექტროსადგურის მუშაობის შეჩერების ბრძანება გასცა, რომლებიც 1980 წლამდეა შესული ექსპლუატაციაში. ბირთვული ენერგიის პროგრამა შეაჩერეს: შვეიცარიამ, ვენესუელამ, კორეამ, ყაზახეთმა. აშშ-ში მსგავს ზომებს ჯერჯერობით მხოლოდ განიხილავენ. რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ „როსატომის“ პროგრამის გადახედვას არ აპირებს. იაპონიის ტრაგედიამ ვერც პოლონეთის ხელისუფლებაზე მოახდინა გავლენა: ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, დონალდ ტუსკის თქმით, პოლონელები შესაძლო საფრთხეებს გაითვალისწინებენ და ატომურ ელექტროსადგურს მაინც ააშენებენ.

სათუნა გახტურიძე

ექსპერტები ასახელებენ მსოფლიოში 5 ატომურ ელექტროსადგურს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, ესენია: სომხეთის მეწამორის ელექტროსადგური, დიდი ბრიტანეთის ატომური წყალქვეშა ფლოტი, რუმინეთის ჩერნავოდის, რუსეთის ლენინგრადისა და მიჩიგანის (აშშ) ენრიკო ფერმის სახელობის ელექტროსადგურები.

რა შემთხვევაში ხდება ატომური ელექტროსადგური ბირთვული საფრთხის შემცველი და რამდენად შესაძლებელია ატომური ენერგიის სხვა წყაროთი ჩანაცვლება? — ამის შესახებ ასტროფიზიკოსი, აკადემიკოსი ***ჯუმბერ ლომინაძე*** *გვესაუბრება.*

— ბატონო ჯუმბერ, ბოლო დროს გახშირდა დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად უსაფრთხოა ატომური ენერგიის გამოყენება. რას იტყვით ამის შესახებ?

— როგორ უცნაურადაც უნდა ეღერდეს, ბირთვული, ატომური ელექტროსადგური ეკოლოგიურად სუფთაა. რეაქტორების შიგნით რადიოაქტიური ნივთიერება — ურანი ან პლუტონიუმი სპეციალურ კონტეინერებშია მოთავსებული, მის ირგვლივ ცირკულირებადი წყალი მერე ორთქლად გადაიქცევა, ორთქლი კი ტურბინებს ამოძრავებს და წარმოიქმნება ელექტროენერგია. აქ თითქოს სახიფათო არაფერია, თუ ავარია არ მოხდა ან სპეციალისტებმა ტექნიკური შეცდომა არ დაუშვეს. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, 100%-იანი უსაფრთხოების მიღწევა საკმაოდ ძნელია. „ფუკუსიმა 1“-ზე 6 რეაქტორია. ცუნამის შედეგად დაზიანდა გამაგრილებელი სისტემა, კონტეინერი გადახურდა და დაზიანდა. მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ კატასტროფის ძირითადი ფაქტორი აღმოჩნდა ცუნამი, ხოლო თვით მიწისძვრამ რეაქტორი ვერ დააზიანა. მიუხედავად ამისა, ატომურ ენერგიაზე ერთბაშად უარის თქმა ალბათ არ შეიძლება. მე მიმაჩნია, რომ საჭიროა შეიკრიბონ მსოფლიო ლიდერები, მეცნიერებთან ერთად, და გადაწყვიტონ მომავალში ბირთვული ენერგიის გამოყენების პერსპექტივა. ძალიან მომწონს ინგლისელების ხუმრობა: ვიყოთ აქტიურები, ვიდრე გავხდებით რადიოაქტიურები... ევროპის რუკას თუ დახედავთ, ნახავთ, რომ ეს კონტინენტი დახუნძლულია რეაქტორებით.

— ყველაზე მეტ ატომურ ენერგიას რომელი ქვეყანა მოიხმარს?

— ატომური ენერგიის ყველაზე დიდი მომხმარებელი საფრანგეთია — ამ ქვეყნის ელექტროენერგიის 78%-ს ბირთვული სადგურები გამოიმუშავებს.

— ატომური ენერგიის მზის ენერგიით ჩანაცვლება არარეალურად მიგაჩნიათ?

— მზის ენერგიის გამოყენება ნამდვილად რეალურია, ამაზე მეცნიერებმა 50 თუ 60 წლის წინ დაიწყეს ფიქრი. ლაპარაკია თერმობირთვული რეაქციის გამოყენება-

ზე. ამ გზით შემუშავებული ენერგიის უპირატესობა და პერსპექტივა იმაში გამოიხატება, რომ მის საწვავს წარმოადგენს უბრალო წყალი, უფრო ზუსტად — მძიმე წყალბადი და ზემძიმე წყალბადი. სწორედ ასეთი თერმობირთვული რეაქციები მიმდინარეობს მზეზე და მზე გამოყოფს ენერგიას მილიარდი წლის განმავლობაში. ეს არის მომავლის პროექტი, რომლის განხორციელებას სულ ცოტა, 20 წელი მაინც დასჭირდება. ამიტომ ჯობს, ამ ეტაპზე ისევ უსაფრთხო ატომურ ელექტროსადგურებზე ვიფიქროთ.

— საქართველოს ხელისუფლებამ რატომ არ იზრუნა ატომური ელექტროსადგურის აშენებაზე?

— საბჭოთა კავშირის დროს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა საქართველოშიც იგეგმებოდა (გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში), მაგრამ ამ გეგმას ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ბირთვულ ენერგიას მეცნიერული კვლევებისთვის მაინც ვიყენებდით. სწორედ 1959 წელს შევიდა ექსპლუატაციაში მცხეთის რეაქტორი (მუხათგვერდში) ИРТ-2000. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ეს არის კვლევითი ბირთვული რეაქტორი და არა ბირთვული ელექტროსადგური. სხვათა შორის, ადგილობრივი მოსახლეობა ამ რეაქტორის არსებობამაც ძალიან გააღიზიანა. მან კატეგორიულად მოითხოვა რეაქტორის ლიკვიდაცია. ლიკვიდაცია შეუძლებელი იყო და რეაქტორი უბრალოდ გავაჩერეთ, ხოლო 1990 წელს მისი სრული კონსერვაცია მოვახდინეთ: მისი ფსკერი დავაბეტონეთ. რეაქტორის გარშემო დღემდე კონტროლდება რადიაციის დონე. სახიფათო იქ არაფერია.

— მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ენერგეტიკოსებმა სომხეთის მეწამორის ატომური სადგური პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე სახიფათოდ მიიჩნიეს და მისი ლიკვიდაციისთვის 200 მილიონი ევროც გამოყვეს, სომხები სადგურის გაჩერებაზე უარს ამბობენ. რატომ მიიჩნევენ სპეციალისტები „მეწამორს“ სახიფათოდ და ჩვენ რა საფრთხე გველის მისი

ჩერნობილის ტრაგედია უფრო დიდი მასშტაბის იყო. ამავე დროს, მთავრობამ რამდენიმე დღე დამალა მომხდარი კატასტროფა

აფეთქების შემთხვევაში?

— სომხეთის ატომური ელექტროსადგური ყველაზე ადრეული მოდელია, ძველი ტექნოლოგიებითაა შექმნილი და უსაფრთხოების თვალსაზრისით, უამრავი ნაკლი აქვს. მისი რესურსი უკვე ამოწურულია, მაგრამ სომხეთს ბუნებრივი რესურსები არა აქვს იმისთვის, რომ ელექტროენერგია აწარმოოს. აღსანიშნავია ისიც, რომ სადგური სეისმურად სახიფათო ზონაშია აგებული. რაც შეეხება საფრთხეს, — ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ავარიის შემთხვევაში, საით დაუბერავს ქარი. რადიაციული ღრუბლის გავრცელება და მიმართულება კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული: საით და რა სიჩქარით დაუბერავს ქარი, როდის მოვა წვიმა და რომელი ტერიტორიის თავზე იქნება წვიმის დროს ღრუბელი. ჩერნობილის ავარიის შემდეგ, რადიაციულმა მტვერმა მთელ ევროპას შემოუარა და საქართველოსაც გადმოსწვდა.

— შესაძლებელია თუ არა, რომ „ფუკუსიმა 1“-ზე მომხდარი ავარია იაპონიისთვის ისეთივე დამანგრეველი იყოს, როგორიც ჩერნობილის ავარია აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის?

— ჩერნობილის ტრაგედია უფრო დიდი მასშტაბის იყო. ამავე დროს, მთავრობამ რამდენიმე დღე დამალა მომხდარი კატასტროფა და ყველაზე აღმაშფოთებელი იყო ის, რომ 1986 წლის 1-ელ მაისს (კატასტროფა მოხდა 1986 წლის 26 აპრილს) ადამიანები და ბავშვები დაზიანებულ ტერიტორიაზე დადიოდნენ ტყეში სოკოს მოსაკრეფად. იაპონელებმა კი ზომების მიღება, ფაქტობრივად, აფეთქების მომენტიდანვე დაიწყეს. სხვათა შორის, თუ ახლა იაპონიაში არსებულ გამოსხივების დონეს, ჩერნობილში მაშინ არსებულს შევადარებთ, კარდინალურად განსხვავებულ მონაცემებს მივიღებთ: ჩერნობილში რადიაცია რამდენიმე ათასჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. აღსანიშნავია ისიც, რომ იაპონელები გაცილებით მომზადებულნი შეხვდნენ კატასტროფას, ვიდრე სომხები — სპიტაკში მომხდარი მიწისძვრის დროს. იაპონიის მთავრობამ მოსახლეობას, რომელიც ელექტროსადგურის მიმდებარე რაიონებში ცხოვრობს, უკვე დაურიგა იოდის შემცველი პრეპარატები. ალბათ იცით, რომ იოდი ადამიანის ორგანიზმიდან რადიოაქტიურ ნივთიერებებს გამოდენის და ფარისებრი ჯირკვლის დაცვა შეუძლია. მაღაზიებიდან ამოიღეს ყველა პროდუქტი, რომელიც ფუკუსიმადან 30 კილომეტრში იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ რადიაციის დონეს გამუდმებით ზომავენ და შესაბამის ღონისძიებებსაც იღებენ. ფაქტია, რომ ატომური ელექტროსადგურები გარკვეული რისკის მატარებელია, მაგრამ სწორედ ასეთი დიდი პროექტების განხორციელებას მოჰყვება საზოგადოების პროგრესი. შეიძლება, უცნაურად ეღერდეს, მაგრამ ომსაც კი უზარმაზარი პროგრესი მოჰყვება. მაგალითად, სწორედ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიგონეს რადარები და განვითარდა რადიოასტრონომია. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემს ოჯახში ყველა თავისი საქმის პროფესიონალია...“

წლის ბოლოს გაცილებით მეტი მექნება სათქმელი: 2 დიდი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ

გიორგი ვაშაძე დღევანდელ ხელისუფლებაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და წარმატებული მაღალჩინოსანია. როგორც თავად ამბობს, მისთვის საინტერესო სფეროში მოღვაწეობს, საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზების საშუალებაც აქვს, პირადი ცხოვრებითაც კმაყოფილია — მომხიბვლელი და ჭკვიანი მეუღლე ჰყავს... და მაინც, არ მიაჩნია, რომ განსაკუთრებულად იღბლიანი ადამიანია.

ნათელა ბახტურიძე

პროფესიით მენეჯერია. დამთავრებული აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტი. ექიმი მშობლები და პროდიუსერი ძმა ჰყავს. მეუღლე, ქეთევან სიჭინავა ჯერ კიდევ სტუდენტია, — მენეჯმენტსა და მარკეტინგს სწავლობს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, მეგობრებთან ერთად წვეულებებზე სიარული უყვარს, მაგრამ ღრეობას ვერ იტანს. ამბობს, რომ ყანწების „ტრიალი“ და პირფერობად ქცეული სადღეგრძელოები ქართული ტრადიციის გამოხატულება არ არის — ეს მავნე ჩვევა ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც რუსეთმა დაგვიპყრო...

მავნე ჩვევები თავად გიორგის არა აქვს, უფრო სწორად — თითქმის არა აქვს: იშვიათად სვამს, იშვიათად ეწევა, ვარჯიშობს, აზარტულობას მხოლოდ საქმიანობისას ამყლავნებს. თავის უარყოფით თვისებად იმას მიიჩნევს, რომ ზედმეტად მიმნდობია, ამის გამო ხშირად ჩავარდნილა არასასურველ მდგომარეობაში, მაგრამ „ჭკუას მაინც ვერ სწავლობს“... კომუნიკაბელური და თავმდაბალი ადამიანია. საპირისპირო აზრის მოსმენა არ აღიზიანებს, უფრო მეტიც — საუბრის ხალისს მატებს...

— ბატონო გიორგი, 29 წლისა უკვე მინისტრის მოადგილე ხართ, რატომ ფიქრობთ, რომ იღბლიანი არ ხართ?

— იღბლის, ბედისწერისა და მსგავსი რაღაცების არ მჯერა. ყველა ადამიანი თავად ქმნის საკუთარ მომავალს. მიზნის მისაღწევად ძალიან ბევრი ვიშრომე, ვიწვალე, უამრავი ბარიერის გადალახვამაც მომიწია... არაერთხელ გამცრუებია იმედი, მაგრამ ხელი არასდროს ჩამიქნევია, მიზნის მისაღწევად ბოლომდე მიბრძოლია. აქ არც ახლობელს მოვუყვანივარ, არც ნათესავს. სისტემაში მუშაობა ტერიტორიული სამსახურის უფროსობიდან დავიწყე. ჩუღურეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი ვიყავი.

— მაინც რა ბარიერების გადალახვამ მოგიწიათ?

— ძალიან რთულ პერიოდში მომიწია სტუდენტობამ — მაშინ საქართველოში ცოდნის მიღება ურთულესი იყო...

— რატომ? კარგად სწავლა ცუდ ტონად მიიჩნეოდა?

— არა, უბრალოდ, სწავლის პირობები არ იყო. ორ უნივერსიტეტში ერთდროულად ვსწავლობდი და ორივეგან კარგი სტუდენტი ვიყავი. არც ერთი გამოცდა არ „ჩამიწყვია“, ყველა სემინარს პირველი ვაბარებდი, მაგრამ „დედიკოს ბიჭი“ ჩემთვის არავის უწოდებია, რადგან არც ბიჭებთან ურთიერთობისას მეშლებოდა რამე. უფრო მეტსაც გეტყვით — პირველ კურსზე მხოლოდ მე ვაბარებდი სემინარებს, მეორე კურსზე კი 15 კაცი მაინც შემომიერთდა. თუ ადამიანი შინაგანად ძლიერი ხარ, სხვებისთვისაც მაგალითი ხდები. ბარიერები უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც შემხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ორი ფაკულტეტი წარმატებით დავამთავრე, სამსახურის პოვნას მაინც ვერ ვახერხებდი. ძალიან ბევრჯერ გამომისტუმრეს უარით. იძულებული გავხდი, ჩემთვის სრულიად უინტერესო უწყებაში დამეწყო მუშაობა. ერთხანს ინტერპოლსა და პარლამენტშიც ვმუშაობდი. ორივე უწყება ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო.

— ინტერპოლში რას აკეთებდით, ან რატომ იყო ეს უწყებები თქვენთვის მიუღებელი?

— ინტერპოლში ინსპექტორი ვიყავი. იქ ერთ თვეზე მეტხანს ვერ გავჩერდი. ამ უწყებებში ერთფეროვანი საქმის კეთება მიწევდა. დილის 10-დან საღამოს 7 საათამდე რუტინული საქმის კეთება ჩემთვის ძალიან მოსაბეზრებელია. ისეთ სისტემაში უფრო კარგად ვგრძნობ თავს, სადაც ახალი იდეების მოფიქრებისა და განხორციელების საშუალება მეძლევა.

თალიზი
თმის გადანერგვის კლინიკა

ტაშკენტის ქ. 27 ტელ: 25 37 39
www.talizi.ge

— იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტზე თავს კარგად გრძნობთ?

— დიახ, ეს არის ადგილი, სადაც ახალი იდეების მოფიქრება და განხორციელება შემიძლია. ამ უწყებაში თვითრეალიზაციის საშუალება მეძლევა. სულაც არ ვფიქრობ, რომ ყველაფერი ვიცი და განვითარება აღარ მჭირდება. გამუდმებით ვსწავლობ, ვკითხულობ, ვფიქრობ...

— თქვენს მთავარ წარმატებად რას მიიჩნევთ?

— ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა სამოქალაქო რეესტრის გამართული მუშაობა და ბიომეტრიული პასპორტების შემოღებაა. წლის ბოლოს გაცილებით მეტი მექნება სათქმელი: 2 დიდი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, ეს არის — ახალი იუსტიციის სახლების გახსნა და ელექტრონული ბარათების შემოღება. ახალი იუსტიციის სახლებში მოქალაქეებს მომსახურების უპრეცედენტო სერვისს შევთავაზებთ...

— ბიომეტრიული პასპორტების შემოღებამ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ხომ არ ფიქრობთ, რომ ელექტრონულ ბარათებსაც იგივე მოჰყვება?

— ბიომეტრიული პასპორტების შემოღება ერთ-ერთი აუცილებელი წინა პირობა იყო სავიზო რეჟიმის გამარტივებისა. საზოგადოება სიახლეებს ყოველთვის რთულად ეგუება. ასეთი წინააღმდეგობების არ მეშინია.

— დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევთ?

— ვერ ვიტყვი, რომ რაც მიზნად დავისახე, ყველაფერი გავაკეთე, დაბრკოლებებს დღესაც ვაწყდები, მაგრამ ეს კიდევ უფრო მიმძაფრებს ბრძოლის სურვილს. ჩემი აზრით, სირთულეების გარეშე ცხოვრება უინტერესო და მოსაწყენია. ასეთ დროს თითქოს დუნდები კიდეც. მოდუნება და უმოძრაოდ ყოფნა სიკეთის მომტანი არავისთვისაა. თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ ბოლო დროს აღმოსავლური ქვეყნები (მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი) გაცილებით სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე დასავლეთის ქვეყნები. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ აღმოსავლეთში გაცილებით მეტი პრობლემაა და ხალხიც ევროპელებზე მეტადაა მობილიზებული. ევროპელები ბოლო დროს ძალიან მოდუნდნენ. უბრალო მაგალითს მოვიყვან: დასავლეთში დღეს ადამიანები ბიუროკრატიის გამო თვეების განმავლობაში ვერ ახერხებენ საქმეების მოგვარებას.

— საქართველოში არსებულ ბიუროკრატიაზე რას იტყვით?

— ჩემი აზრით, საქართველო ყველაზე ნაკლებად ბიუროკრატიული ქვეყანაა. დღეს ქვეყანას მართავენ ახალგაზრდა, ენერგიული, კონტაქტური ადამიანები, რომლებისთვისაც ბიუროკრატიზმი უცხოა. ჩემთან ანუ მინისტრის მოადგილესთან მთავარი სპეციალისტი ყოველგვარი პრობლემის გარეშე შემოდის. შეუძლებელია, ვერ ამჩნევდეთ, რომ კომუნიკაცია საგრძნობლად გავამარტივეთ რიგითი მოქალაქეებისთვისაც. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მომსახურება კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. მე მგონი, არც ჟურნალისტებს გექმნებათ პრობლემები ჩვენთან ურთიერთობისას.

— გეთანხმებით, მაგრამ სხვა უწყებებში რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა.

— ნელ-ნელა ყველა სამინისტროში გამოსწორდება ვითარება. ერთბაშად არაფერი ხდება. მაგალითისთვის გეტყვით: 2003 წელს ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, თუ არ ვცდები, 800 თუ 900 დოლარს შეადგენდა, დღეს უკვე 2.500 თუ 2.700 დოლარს აღწევს. ასე რომ, ყველაფერს დრო, წლები სჭირდება, ერთბაშად არაფერი ხდება. დარწმუნებული ვარ, სამინისტროებსა და თვითმმართველობებში დღეს არსებული ხარვეზები გამოსწორდება. იმედი მაქვს, უახლოეს 3-4 წელიწადში საქართველო ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა იქნება.

— თქვენ კი ამბობთ, რომ ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი იზრდება, მაგრამ რიგითი მოქალაქეების მდგომარეობა დღითი დღე უარესდება, ბევრი მათგანი უკვე სიღარიბის ზღვარზეა.

— ქვეყანაში პრობლემები არის, მაგრამ ბოლო დროს აშკარად გაუმჯობესებულია ეკონომიკური ინდიკატორი, იზრდება შობადობა და მცირდება ემიგრანტების რიცხვი...

— ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები აქვთ დემოგრაფებსა და ექსპერტებს. მათი აზრით, ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას: გარდა იმისა, რომ შემცირებულია შობადობა, ქართველ ემიგრანტთა რიცხვიც დღითი დღე იზრდება...

— ექსპერტები, რომლებიც ამას ირწმუნებიან, ერთხელაც არ მოსულან ჩვენთან ამ საკითხზე სასაუბროდ. ბოლო დროს შობადობა აშკარად გაიზარდა იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში... დემოგრაფებს ამ მონაცემების ნახვა ჩვენს ვებგვერდებზე შეუძლიათ; თუ დეტალური ინფორმაცია დასჭირდებათ, თანამშრომლობისთვისაც მზად ვართ.

— ემიგრანტების შესახებ რას იტყვით?

— ამ მხრივ, სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. საზღვრის დაცვის სამსახურისა და საპატრულო პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ქართველ ემიგრანტთა რიცხვი თანდათან მცირდება. არ ვამბობ, რომ საქართველოში დღეს იდეალური მდგომარეობაა და უმუშევრობის დონე დაბალია, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ჩნდება ვაკანსიები, ხალხი გვჭირდება, საქმის მცოდნე, პროფესიონალ კადრებს კი ვერ ვპოულობთ. იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში ეს პრობლემაც მოგვარდება. არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ჩვენზე სწრაფად აქვს გავლილი განვითარების გზა. დღეს ჩვენი პრიორიტეტებია — სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ვფიქრობ, ამ დარგების განვითარების სიკეთეს თითოეული ქართული ოჯახი იგრძნობს. ხელისუფლება ცდილობს, სწრაფად განავითაროს სოფლის მეურნეობა, მაგრამ მოსახლეობის მხრიდან პრობლემებს აწყდება. ქართველ გლეხს რატომღაც, არ სურს, დათესოს ამერიკული სიმინდი, რომელიც შვიდჯერ მეტ მოსავალს იძლევა.

— გლეხები ამბობენ, რომ ეს სიმინდის თესლი გენმოდიფიცირებულია.

— არ არის გენმოდიფიცირებული. მედია ყოველთვის უარყოფით ინფორმაციას ავრცელებს, საზოგადოებაც ცუდს უფრო ადვილად იჯერებს და იმახსოვრებს. შარშან ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აჭარის მაღალმთიან რაიონში კარტოფილის ახალი ჯიში აიტანა და გლეხებს უფასოდ დაურიგა. 30-კომლიანი სოფლიდან მხოლოდ სამმა ოჯახმა აიღო ეს თესლი. როდესაც ამ ოჯახებმა ხუთჯერ მეტი მოსავალი მოიწიეს, მერე სხვებსაც გაუჩნდათ ახალი ჯიშის კარტოფილის დათესვის სურვილი... ამ პრობ-

ერთმანეთი უცხოეთში გავიცანით: მივლინებაში ვიყავი, ქეთევანი კი იქ სწავლობდა

ბიომეტრიული პასპორტების შემოღება ერთ-ერთი აუცილებელი წინა პირობა იყო სავიზო რეჟიმის გამარტივებისა

ლემის მოგვარებასაც დრო სჭირდება. ადრე თუ გვიან, ხალხი მიხვდება, რომ პროცესი შეუქცევადია — თანამედროვე სამყარო ახალ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული. რატომ შემოდის სოფლის მეურნეობის პროდუქტები მეზობელი ქვეყნებიდან? იმიტომ, რომ იქ ახალ ტექნოლოგიებს იყენებენ და ჩვენსავით ამინდზე არ არიან დამოკიდებულნი. ქართველ გლეხებს აუჩემებიათ, მამაპაპური ქართული ტრადიციული ჯიშის კულტურების მოყვანა გვირჩევნიაო. მსოფლიოში არც ერთი კულტურა არ არის პირვანდელი სახით შემორჩენილი, ყველა გამოყვანილია. რქაწითელი გამოყვანილი ჯიშია, მაგრამ დღეს კახელ გლეხს რომ უთხრა, რქაწითელს თავი დაანებე და საფერავი დარგე, უფრო შემოსავლიანიაო, იტყვის, — რასაც ჩემი მამა-პაპა რგავდა, მეც ის უნდა დავრგოო.

— როგორ გგონიათ — რატომ არ ენდობა ხალხი ხელისუფლებას?

— იმიტომ, რომ მათ გონებაში ძალიან ბევრი ნეგატიური ინფორმაციაა დალექილი. გარდა ამისა, ადამიანებს სიახლეების ეშინიათ. სიმინდის ფქვილი, რომლისგანაც ტრადიციულ ღომს ვამზადებთ, საქართველოში XVIII საუკუნეში შემოვიდა, მანამდე მეგრელები ღომს ღომისგან (მცენარე) ამზადებდნენ: ღომი მცირემოსავლიანი და უბარაქო იყო, ამიტომაც ჩაანაცვლა ის სიმინდმა. არც კიტრი, პომიდორი და ლობიოა ქართული კულტურა. ჭოპორტის პომიდორი, რომელიც ასეთი განთქმულია, სწორედაც რომ ხელოვნურად გამოყვანილ ჯიშს წარმოადგენს. თანამედროვე ტექნოლოგიების არ უნდა შეგვეშინდეს, სხვაგვარად, წინ ვერ წავალთ.

— თქვენ რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?

— მეშინია, ქვეყანაში არასტაბილური სიტუაცია არ შეიქმნას.

— ხედავთ ამის წინა პირობას?

— დღეს — ვერა. ისე, ასეთ თემებზე არც ვფიქრობ: პოლიტიკოსი არა ვარ — მენეჯერი გახლავართ, რომელიც მხოლოდ თავის საქმეს აკეთებს. არასტაბილურობის მხოლოდ იმიტომ მეშინია, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკაზე ცუდად მოქმედებს. პირადად მე, არც მიტინგის მეშინია და არც სხვა რამის.

— როგორ გგონიათ — ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, თანამდებობას შეინარჩუნებთ?

— ჩემი საქმიანობა რომელიმე ხელისუფალზე არ არის დამოკიდებული. პროფესიონალი ვარ, ამიტომ თუ ხელისუფლებას ოდესმე აღარ დავჭირდები, ჩემი გზის პოვნა არ გამიჭირდება.

— მინისტრთან ანუ თქვენს ხელმძღვანელთან საკუთარი პოზიციის დაცვას თუ ახერხებთ?

— უწყებაში მომუშავე ყველა ადამიანს აქვს თავისი პოზიციის დაცვისა და საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება. როგორც გითხარით, ჩვენი უწყება ბიუროკრატიზმისგან სრულიად თავისუფალია. ერთმანეთის მოსაზრებებს რომ ვისმენთ და ვიზიარებთ, იმიტომ ვართ წარმატებულები.

— თქვენს მოსაზრებებს მეულლეც იზიარებს?

— რა თქმა უნდა, სხვაგვარად ერთად ვერ ვიქნებოდით.

— რამდენი ხანია, რაც დაქორწინდით?

— ერთი წელიც არ არის გასული.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— ერთმანეთი უცხოეთში გავიცანით: მივლინებაში ვიყავი, ქეთევანი კი იქ სწავლობდა.

— როგორც ჩანს, ქეთევანი თქვენი მომავალი კოლეგაა. იუსტიციის სამინისტროში დასაქმებთ?

— ჩემი დასასაქმებელი რა სჭირს?!. სხვათა შორის, ჩემს ძმასაც სახელმწიფო მართვის მაგისტრატურა აქვს დამთავრებული, მაგრამ „კინოცენტრში“ მუშაობს, შესანიშნავი პროდიუსერია. ჩემს ოჯახში ყველა თავისი საქმის პროფესიონალია...

■

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე

დაზარალებული ადამიანების მომთაფლავი, მოუცლელი გოგონა

„შუა ქალაქის“ ერთ-ერთი ახალი პერსონაჟი — ნანიკო, რომელმაც სულ რამდენიმე წუთში მოახერხა 2 მამაკაცის ყურადღების მიპყრობა, სალომე დავითიშვილია. ხალისიანმა, მხიარულმა და ლაღმა გოგონამ გამიმხილა, რომ მისი და ამ პერსონაჟის ცხოვრება ძალიან ჰგავს ერთმანეთს: ისეთი განცდა მაქვს, თითქოს სცენარისტები ნანიკოსა და ჩემს ამბავს ერთად წერენო, — მითხრა ღიმილით. ნანიკოსი არ იყოს, სალომეც მოთმინებით ელოდება ადამიანის გამოჩენას, რომელიც მის ყურადღებას მიიპყრობს.

ელენე გასილიძე

— პროფესიით მსახიობი ხარ?

— კი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი დავამთავრე, კინოსა და დრამის მსახიობი ვარ. მედეა კუჭუხიძის ჯგუფში ვსწავლობდი. სხვათა შორის, მე და რუსკა მაყაშვილი ჯგუფელები ვიყავით. თეატრალური უნივერსიტეტის პარალელურად, დამთავრებული მაქვს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ცეკვას 10 წელი მივუძღვენი, ამჟამად კი სამსახიობო კარიერაზე ვზრუნავ.

— როგორც ვიცი, „ვერნისაჟშიც“ ცეკვავ–

— კი, უკვე დიდი ხანია, ამ ჯგუფში ვცეკვავ, მაგრამ ბოლო დროს ცეკვისთვის დრო ნაკლებად მრჩება. ბავშვობაში ძალიან მინდოდა, ბალერინა გავმხდარიყავი... ჩემი ოცნება ოპერის სცენაზე დგომა გახლდათ, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, მიდრეკილებებიც შემეცვალა და მაშინ, როცა უკვე სკოლას ვამთავრებდი, მივხვდი, მსახიობობა მინდოდა. მსურდა მეთამაშა, სხვადასხვა ადამიანის ცხოვრება „შემეგრძნო“, საკუთარი ცხოვრება მრავალფეროვანი გამეხადა და სამსახიობო ფაკულტეტზე ამიტომაც ჩავაბარე. სხვათა შორის, უნივერსიტეტში სწავლის დროსაც ვიცლიდი ცეკვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი რეჟისორი, ქალბატონი მედეა კუჭუხიძე მუდამ მირჩევდა, ცეკვასა და მსახიობობას შორის არჩევანი გამეკეთებინა, მე ამას მაინც ვერ ვახერხებდი. ცეკვის გამო ხშირად მიწევდა გასტროლებზე საზღვარგარეთ წასვლა და ქალბატონი მედეაც ხშირად მსაყვედურობდა. თუმცა მაინც ცდილობდა, ხელი შეეწყო ჩემთვის. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ფიგარო ვარ — სულ აქეთ-იქით დავრბივარ (*იცინის*).

— მახსოვს, „ქლაბ-შოუშიც“ მონაწილეობდი...

— კი, გოგონებთან ერთად „ქლაბ-შოუში“ ვცეკვავდი. ასევე ვმონაწილეობდი პატარ-პატარა სკეტჩებში. გადაცემა „კაბარეს 5 ვარსკვლავშიც“ ვთამაშობდი, სადაც ბოლო პერიოდში ახალი პერსონაჟი დაამატეს. ამ პროექტის დახურვის შემდეგ, ისევ ცეკვა გავაგრძელე. სხვათა შორს, აერობიკის ინსტრუქტორიც ვარ და „იმედის“ დილის ეთერში აერობიკის ვარჯიშის წამყვანი გახლავართ. ასე რომ, დილას ხალისიანად ვიწყებ მაყურებლებთან ერთად.

— რამდენიმე ადგილზე ერთდროულად გიწევს მუშაობა, როგორ ასწრებ?

— წეღანაც აღვნიშნე, ფიგაროს მეძახიან მეგობრები, ყველგან ვასწრებ მისვლას, მთელი დღის გრაფიკი გაწერილი მაქვს და წუთი წუთში მაქვს ჩასმული. ამასთან ერთად, არ მიყვარს დაგვიანება, სახლში ყველა საათი 15 წუთით წინ მაქვს გადაწეული და ამ დროის მიხედვით ვხელმძღვანელობ, როცა სადმე მივდივარ... დილით გამამხნევებელ ვარჯიშებს ვაკეთებ, ვარ ვაკის საცურაო აუზის აერობიკის ინსტრუქტორი, ვთამაშობ, „შუა ქალაქში“, ახლახან „ღამის შოუს“ ქორეოგრაფიული გაფორმებაც მე გადმომებარა, ოთარ ტატიშვილს ცეკვებს ვუდგამ და ამასთან ერთად, „ვერნისაჟშიც“ ვცეკვავ ხანდახან...

— ახლა ის მომიყევი, როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხვდი სერიალ „შუა ქალაქში“?

— როცა ტელეკომპანია „იმედში“ აერობიკის ინსტრუქტორად დავიწყე მუშაობა, ალბათ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ამ სერიალში ვითამაშებდი. „ღამის შოუს სტუდიამ“ მსახიობების შერჩევა გამოაცხადა და მეც ისევე, როგორც სხვა მსახიობს, დამირეკეს, კასტინგზე მობრძანდითო. მოვედი, ვიფიქრე, ვცდი და იქნებ გამოვიდეს რამე-მეთქი. კასტინგზე ყველა გაღიმებული მიყურებდა: ძალიან მშვიდად ვიყავი, არ ვღელავდი, რადგან როცა ღელავ და ნერვიულობ, არაფერი გამოგდის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შენს ცხოვრებას ლაღად წაიყვან, ყველაფერი დაუბრკოლებლად წარიმართება. მოკლედ, კასტინგზე მითხრეს, — დაგიკავშირდებითო (როგორც იციან ხოლმე თქმა). მაშინვე „იმედში“ წავედი, სადაც გადაცემის ჩაწერისთვის მოსალაპარაკებელი გვქონდა მთელ რიგ საკითხებზე და დაახლოებით ნახევარ საათში დამირეკეს, — ხვალ გელოდებით რეპეტიციაზე, გადაწყდა, რომ თქვენ იქნებით „შუა ქალაქის“ ახალი პერსონაჟი — ნანიკოო... ამ სიტყვების გაგონებისას დავმუნჯდი. კოორდინატორი მეუბნება, — ალო-ო-ო, აქ ხართო? საკმაოდ გრძელი პაუზა გამომივიდა და დავაეჭვე, როგორც ჩანს... აი, ასე მივედი ამ სერიალში.

— ახალ კოლექტივს როგორ შეეჩვიე?

— სხვათა შორის, ძალიან ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, როგორ მიმიღებდნენ: მე ახალი, სრულიად უცხო ადამიანი მივედი მათთან, ისინი კი მთელი 4 წლის განმავლობაში ერთად მუშაობენ და შეკრული გუნდი აქვთ-მეთქი, — მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სერიალში მოსვლის პირველივე დღეს, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე ვიგრძენი თავი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მათ წლების განმავლობაში ვიცნობდი. იმდენად თბილები არიან, რომ არანაირი დაბრკოლება არ მქონია და თავი უცხოდ არ მიგრძნია. მეც მათი ოჯახის წევრი გავხდი და როცა რეპეტიციაზე მოვდივარ, ვამბობ, ოჯახში მოვდივარ-მეთქი. პაწაწუნტელას მეძახიან და მიხარია, რომ ვიცი, — იქ უნდა მივიდე, სადაც ჩემს საყვარელ ადამიანებს ვნახავ...

— სერიალს თუ უყურებდი მანამ, სანამ თავად მოგიწევდა აქ თამაში?

— სიმართლე გითხრათ, ძალიან იშვიათად, რადგან იმდენად დატვირთული ვარ, ტელევიზორის საყურებლად დრო თითქმის არ მრჩება. ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ კვირაში ერთი დღე მაინც ვისვენებდე. იმდენად ვარ მიჩვეული „გადარბენებს“, რომ ვერ ვეგუები დასვენებას.

— მოკლედ, მუშა ფუტკრივით ხარ...

— კი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გრაფიკი ძალიან მღლის, ყოველთვის მადლობას ვამბობ, რომ დაკავებული ვარ და სამუშაო მაქვს, შესაბამისად, საკუთარ თავს არაფერზე წუწუნის უფლებას არ ვაძლევ. ვაკეთებ საყვარელ საქმეს და წარმატება ბევრი შრომის, ღამისთევისა და დაღლილობის შედეგად მოვიპოვე.

— როგორია შენი თვალით დანახული პერსონაჟი — ნანიკო?

— ნანიკო პირველ რამდენიმე სერიაში ის ლამაზი გოგონა იყო, რომელიც დებ ღლონტებს ეჭვიანობის საბაბს აძლევდა, მაგრამ მათ მალევე ისე შეაყვარა თავი, როგორც სალომემ — „ღამის შოუს სტუდიას“. თუ პირველ სერიებში დებმა იეჭვიანეს, იჩხუბეს და ნანიკოს გამო ქმრები სახლიდან გამოყარეს, მოვლენები შემდგომში ისე განვითარდა, რომ ნანიკო მათი გაჭირვების ტალკვესი გახდა.

— ნანიკომ იოლად დაიპყრო ორი მამაკაცის — ამირანისა და პაატას გული...

— თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რომ ნანიკო ვულგარული გოგონა არ უნდა ყოფილიყო; ასე რომ, საყვარელმა, სათნო, მიამიტმა გოგონამ ღლონტებს ისე შეაყვარა თავი, რომ კავალრის იოლად ამორჩევაში თავადაც ეხმარებიან. სხვათა შორის, კლინიკაში ლაშა „მშვიდობის მტრედად“ მიყენებს. იმ შემთხვევაში, თუ ის რამეს დააშავებს, დაზარალებული ადამიანების მოთაფვლა მე მევალება, ღიმილი და დადებითი ემოციები კი ისე განაწყობს კლიენტებს ჩემდამი, აქეთ იხდიან ბოდიშს.

ყოფილა შემთხვევა, მანქანა უჩუქებიათ, მაგრამ უკან გამიგანებია

— შენი გმირის მსგავსად, ერთდროულად რამდენიმე თაყვანისმცემელი თუ გყოლია?

— კი, ყოფილა მსგავსი შემთხვევა, მაგრამ ნანიკოსგან განსხვავებით, იმ პერიოდში შეყვარებული მყავდა და ამიტომაც, ჩემს თაყვანისმცემლებს გრძნობაზე გრძნობით ვერ ვუპასუხებდი.

— ახლა შეყვარებული ხარ?

— არა, დღეს ჩემ გვერდით არავინაა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი და ჩემი პერსონაჟის ცხოვრება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ნანიკომ ახალი სამსახური იშოვა, მეც ახალი ოჯახი აღმოვაჩინე „შუა ქალაქის“ სახით; ნანიკომ ახალი ფლირტი დაიწყო და მეც (*ღიმის*)... სახლში ისეთი დაღლილი ვბრუნდები, რამით თუ არ გამაოცეს და გადამრიეს, პირადი ცხოვრებისთვის ვერ მოვიცლი.

— სალომესაც სამსახურში აქვს ფლირტი?

— არა, ეს ნანიკოს აქვს სამსახურში, მე — არა. მივიჩნევ, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰყავდეს მეორე ნახევარი. მართალია, ჯერჯერობით ვერ ვიპოვე, მაგრამ რატომღაც მგონია, როგორც სერიალში განვითარდება მოვლენები, ჩემს ცხოვრებაშიც იდენტური ამბები მოხდება. თუ სერიალში მეორე ნახევარს ვიპოვი, ცხოვრებაშიც იგივე მელის.

— როგორი ბიჭები მოგწონს?

— პირველ რიგში — ყურადღებიანი, საინტერესო. სიურპრიზების გაკეთება უნდა შეეძლოს...

— ხშირად გიკეთებენ სიურპრიზს?

— კი. ამას წინათ გადაღება გვქონდა და დაცვის წევრმა დამირეკა, — თქვენთან რაღაც არის გამოგზავნილიო. მომიტანეს სუნამო და ჩემი მანქანის ჯარიმის გადახდილი ქვითარი... არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ძვირად ღირებულ საჩუქარს მომართმევს ვინმე, მთავარია, საინტერესო ადამიანი იყოს, გამახალისოს და გამაბედნიეროს. ყოფილა შემთხვევა, მანქანა უჩუქებიათ, მაგრამ უკან გამიტანებია, რადგან მე ასეთი საჩუქრები არ მაინტერესებს. მთავარია, მამაკაცი არ უნდა იტყუებოდეს, ტყუილს ვერავის ვაპატიებ!

— იმედია, როგორც შენი, ასევე შენი პერსონაჟის ცხოვრება მალე სასიკეთოდ შეიცვლება.

— კი, ამაში დარწმუნებული ვარ. ყოველთვის ვცდილობ, კარგი განწყობილება შევინარჩუნო და არასოდეს ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში. თუ დილით იღვიძებ და ამბობ — „მე ბედნიერი ვარ!“ — მით უფრო მეტი კარგი რამ ხდება შენს ცხოვრებაში. ყველას დიდ ბედნიერებას გისურვებთ!

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ადგენს სატელევიზიო რეიტინგებს

ანუ „რუსთავი 2“-ის იუმორისტების პასუხი „იმედის“ იუმორისტებს

„რუსთავი 2“-ის იუმორისტული შოუების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ალეკო მალხაზიშვილს ინტერვიუსთვის ტელევიზიაში ვეს-ტუმრე. მის კაბინეტამდე მიშა ანდღულაძემ მიმაცილა და „შეფს“ ისიც მოახსენა, შენთან ჟურნალისტიაო. „მობრძანდი, ნათკაااა“ — გაპრანჭული ხმით მიმიწვია ალეკომ. კაბინეტში შესვლისთანავე ვუთხარი, წლები გემატება, მაგრამ ვერაფრით ვერ დასერიოზულდი-მეთქი. რას ლაპარაკობ, ამ სიგიჟით ვჭამ პურსო, მიპასუხა. მიუხედავად ასეთი მხიარული დახვედრისა, ჩვენი ინტერვიუ იმდენად საქმიანი აღმოჩნდა, რომ ალეკო მართლაც დავასერიოზულეთ...

ნათია ჭივაძე

— რაც იუმორისტული გუნდის ხელმძღვანელად დაგნიშნეს, შენთან ინტერვიუ არ ჩამიწერია. როგორ მოერგე უფროსის ამპლუასა და სავარძელს?

— აქ სავარძელი არ არსებობს.

— პერსონალური კაბინეტი რომ გაქვს?

— ეს ფორმალობაა, თორემ ამ კაბინეტით ჩემი მეგობრებიც სარგებლობენ. ამ ეტაპზე იუმორისტული შოუების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქციას ვასრულებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავარი მე ვარ. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და აბსოლუტურად ყველა პროექტს ერთად ვაკეთებთ. ერთმანეთს ძალიან ვუწყობთ ხელს.

— მკაცრი უფროსი ხარ?

— მთავარია, სამართლიანად მკაცრი ვიყო. ჩხუბით არ ვჩხუბობ, მაგრამ როცა ადამიანი იმსახურებს, შენიშვნას ვაძლევ. თუ არ გაითვალისწინებს, მერე უკვე სხვა სანქციებს ვიყენებ, რომელიც შესაძლოა, ხელფასზეც კი აისახოს.

— ასეთი რა სანქციები გაქვს?

— ჩვენ მეგობრები ვართ. შესაბამისად, ერთმანეთის გაკონტროლება საკმაოდ რთულია. გუნდში პირველ ადგილზე დისციპლინაა. თუ სამსახურში დისციპლინა არ არის, მაშინ ის სამსახური ხანგრძლივი ვერ იქნება და ვერც კარგ პროდუქტს მიიღებ.

პიარ-აქცია და იმის „დაყვირება“, რომ ახალ პროექტს ვიწყებთ-თქო, ვერ მოვასწარით

აქედან გამომდინარე, დილის 10-დან საღამოს 8-მდე ჩვენთვის სავალდებულო სამუშაო საათებია, მაგრამ თუ საქმეს დასჭირდება, შეიძლება სამსახურში 10-12 საათამდეც დავრჩეთ. თუ რომელიმე თანამშრომელი დააგვიანებს, ხელფასიდან გარკვეული თანხა ექვითება. ვცდილობთ, ამ გზით ვაკონტროლოთ ერთმანეთი.

— შენ თვითონ თუ დაგიგვიანია და ამის გამო ხელფასი თუ დაუქვითავთ?

— როგორ არ დამიგვიანია, მაგრამ რუსებს ერთი კარგი გამოთქმა აქვთ: „შეფ ნე აპაზდივაეტ, შეფ ზადერჟივაეტსია“.

— მოდი, ახლა თქვენს პროექტებზე ვისაუბროთ. ყველაზე ახალია „ეთამაშე ვარსკვლავს“, რომელშიც პოპულარულ ადამიანებთან ერთად რიგითი ადამიანებიც არიან ჩართულნი. სიმართლე რომ გითხრა, ამ გადაცემას პირადად მე, ძალზე იშვიათად ვუყურებ. მაინტერესებს, ხალხს მოსწონს ეს პროექტი? გაამართლა?

— ამის დადგენა ძალზე მარტივად, რეიტინგების მიხედვით შეგვიძლია. ეს პროექტი რომ დავიწყეთ, მაშინ ახალი სეზონი არ იყო — პირველი გადაცემა შარშან ზაფხულში, ივნისში გავიდა. ეს ტელევიზიებისთვის ჩავარდნის დროა — სეზონის ბოლოა; ამ დროს წესით, ახალი პროექტები არ იწყება, რადგან ხალხი ქუჩაში უფრო მეტს სეირნობს და ტელევიზორისთვის არ სცალია. უბრალოდ, საჭირო იყო, რაიმე ახალი პროექტი და ჩვენც იმიტომ წამოვიწყეთ ეს გადაცემა. საერთოდ, ზაფხულში აბსოლუტურად ყველა გადაცემას დაბალი რეიტინგი აქვს. ის რეიტინგი, რაც ამ გადაცემაზე მოდიოდა, იმ სეზონისთვის ნამდვილად კარგი იყო, მაგრამ პიარ-აქცია და იმის „დაყვირება“, რომ ახალ პროექტს ვიწყებთ-თქო, ვერ მოვასწარით. შემოდგომის სეზონზე უკვე მაღალი რეიტინგი მივიღეთ და იმდენი თამაშის მსურველი მოგვაწყდა, რომ კასტინგსაც კი ვატარებთ. მსუბუქი, გასართობი გადაცემაა და გამორიცხულია, რომ მაყურებელი ამ გადაცემაში ერთმა დეტალმა მაინც გააღიზიანოს.

შემოდგომის სეზონზე უკვე მაღალი რეიტინგი მივიღეთ და იმდენი თამაშის მსურველი მოგვაწყდა, რომ კასტინგსაც კი ვატარებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოტა უცნაურია, იუმორისტებმა აქცენტი სპორტზე რომ გააკეთეთ და მაყურებელს სპორტული პროექტი შესთავაზეთ.

— ეს სპორტული გადაცემა არ არის. თუ ერთი გადაცემა მაინც გინახავს, მიხვდებოდი, რომ მხოლოდ სპორტზე არ გვაქვს აქცენტი. გვაქვს ინტელექტუალური, სასაცილო თამაშების ტურები. ლასტებითა და „ბინოკლით“ ფეხბურთის თამაში სპორტი სულაც არ არის. როგორი მაგარი ფეხბურთელიც უნდა იყოს ადამიანი, შეუძლებელია, დურბინდით კარგად ითამაშოს. ჩვენ გასართობი შოუების გაკეთება გვევალება და მიმაჩნია, რომ ეს გადაცემაც სწორედ ასეთია.

— ამჟამად მას კარგი რეიტინგი აქვს?

— არა მგონია, მკითხველისთვის საინტერესო იყოს, რეიტინგის ციფრებსა და პროცენტებზე ლაპარაკი. საკმაოდ ნორმალური რეიტინგი აქვს — თავის ზონასა და დროში არსებულ ნებისმიერი ტელევიზიის ყველა გადაცემას უგებს. რომ არ გაემართლებინა, ამის კეთებას ხომ არ გავაგრძელებდით?

— ვინ ადგენს ამ რეიტინგებს?

— არსებობს კვლევის ცენტრი, რომელიც ყოველ კვირას რეიტინგების შედეგებს გვაწვდის, მაგრამ მგონია, რომ ისედაც მარტივია შენი პოპულარობისა და რეიტინგის გაგება. როცა ქუჩაში შენი სკეტჩის ხუმრობებს იგებ, ხვდები, რომ მაყურებელს მოსწონხარ. გარდა ამისა, როცა ფილარმონიაში კონცერტებს ვატარებთ, ყოველთვის ანშლაგია. ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია.

— სხვებისგან განსხვავებით, ნაყიდ პროექტებზე იშვიათად მუშაობთ; ძირითადად, ახალი გადაცემის იდეაც და ფორმატიც თქვენ გეკუთვნით. ნაყიდი პროექტები უმეტეს შემთხვევაში მომგებიანია. თქვენი ფორმატის გადაცემებიც ასევე ამართლებს?

— რაც ჩვენ გაგვიკეთებია, აბსოლუტურად ყველა პროექტმა გაამართლა. არა აქვს მნიშვნელობა, ამ გადაცემების ფორმატი ნაყიდია თუ ჩვენი მოფიქრებული. როცა დიდი გუნდი გყავს, ამის გაკეთება იოლია. არაერთი საპილოტო გადაცემა ჩაგვიწერია, რომელიც არ მოგვწონებია და აღარ გაგვიგრძელებია მასზე მუშაობა. როცა დარწმუნებულნი ვართ, რომ პროექტი მაყურებელს მოეწონება, მაშინ ვაკეთებთ და ვუშვებთ ეთერში. იმიჯსაც ვუფრთხილდებით — რამდენიმე პროექტი რომ გავაკეთოთ და დავხუროთ, როგორც ამას სხვები აკეთებენ, ჩვენი იმიჯი საგრძნობლად დაეცემა.

— რას ლაპარაკობ?! როგორც მახსოვს, თქვენც არაერთი პროექტი დაგიხურავთ...

— როგორ არა, მაგრამ ეს 3-4 თვეში არ გაგვიკეთებია. მაგალითად, „ქლაბ-შოუმ“ სამი წელი იმუშავა. საქართველოში რომელიმე გადაცემა სამი წლის მანძილზე რომ იქნება პოპულარული, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი პროექტი იყო. იგივე შემიძლია, „სიცილის ზონაზე“ ვთქვა.

— თუ არ ვცდები, „ცოცხალი შოუ“ გაცილებით ადრე დახურეთ.

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ამ პროექტმაც დაახლოებით 2-3 წელი იმუშავა. ერთსეზონიან პროექტს რომ აკეთებენ, ჩვენ ასეთი რამ არ გაგვიკეთებია, რადგან ჩვენი გადაცემები ყოველთვის „მუშაობენ“. „ვანოს შოუსა“ და „კომედი შოუზე“ აღარაფერს ვამბობ. სხვათა შორის, „ფარული კამერაც“ 5 წლის მანძილზე გადიოდა ეთერში.

— თუ ეს პროექტები ასეთი პოპულარული იყო, რამ განაპირობა მათი დახურვა?

— საერთოდ, საქართველოში საკმაოდ პრეტენზიული მაყურებელი გვყავს. პრინციპში, ჩვენც პრეტენზიულები ვართ: თუ პროექტი ერთ ადგილზე გაჩერდა და ვგრძნობთ, რომ შესაძლოა, მისი რეიტინგი დავარდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდა თუკი ხუმრობის რესურსი ამოიწურა, ჩვენივე გადაწყვეტილებით ვხურავთ და ახალზე ვიწყებთ მუშაობას.

— ახლაც ხომ არ მუშაობთ რაიმე ახალზე?

— სწორად მიხვდი. ნამდვილად ვმუშაობთ ახალ პროექტზე, რომლის პრომოებიც სულ მალე გავა „რუსთავი 2“-ის ეთერში, თუმცა ამაზე წინასწარ საუბარი არ მსურს. არ მიყვარს ხოლმე ჩვენი პროექტების ქება-დიდება. მიმაჩნია, რომ მაყურებელმა უნდა განსაჯოს, მაგრამ თურმე საჭირო ყოფილა, შენვე ილაპარაკო და ამიტომ გეტყვით, რომ მართლა ძალიან მაგარი და სახალისო პროექტი იქნება. უკვე დავიმატეთ რამდენიმე ახალი, „ჯანმრთელი“ და კარგი თანამშრომელი, რომელიც ამ პროექტში გამოჩნდება. დანარჩენს ვერაფერს გეტყვი — ძალზე თავმდაბალი ადამიანი ვარ. ისე, იმის თქმა კი თამამად შემიძლია, რომ მუდმივ პროექტებზე ვმუშაობთ. იცით, რას ვგულისხმობ? რომელი გადაცემებიც დავხურეთ, მაგალითად — „სიცილის ზონა“ და „ფარული კამერა“, მათი გამეორებები პერიოდულად მიმდინარეობს ხოლმე და ის გამეორება სხვა არხზე რომელ გადაცემასაც „აზის“, იმას აუცილებლად უგებს.

— მოკლედ, ამ „სხვა არხებს“ რომ ვკითხოთ, თქვენ გიგებენ, თქვენ კი პირიქით ამბობთ. ნეტავ, საბოლოოდ ვინ არის მოგებული?



„შუა ქალაქის“ ერთ-ერთ ახალ სერიას ამ კონცერგის გამეორება „დავასვით“ და რეიგინგით მოუგო

— საბოლოო ჯამში ჩვენ ვუგებთ. მკითხველს რად უნდა იმის წაკითხვა, თუ ვინ ვის უგებს? დაფიქრდეს, მოიფიქროს, რომელ გადაცემებს უყურებს და მიხვდება, რომელი უფრო პოპულარული პროექტია.

— არ ვიცი, შენ რომელ პროექტებს გულისხმობ, მაგრამ მიუხედავად ხანგრძლივობისა, „შუა ქალაქს“ მაყურებელი მაინც არ აკლია...

— იგივე შემიძლია ვთქვა „კომედი შოუზე“. უბრალოდ, ეს ორი გადაცემა ერთმანეთს არ „აზის“...

— შეიძლება, რომ ეს ორი პროექტი ერთსა და იმავე დროს გავიდეს ეთერში? როგორც ვიცი, კონკურენტი არხები ყოველთვის ცდილობთ, რომ ერთმანეთს რეიტინგი და მაყურებელი წაართვათ...

— კონკურენცია ცოტა სხვანაირად მესმის. კონკურენტი გაძლევს სტიმულს, რომ შენი საქმე უკეთესად გააკეთო. ჩემი აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს არასწორი წესებით ვებრძოლოთ და ერთმანეთს მაყურებელი წავართვათ. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და საერთოდ არ ვფიქრობ იმაზე, ვის რა წავართვა.

— სხვა არხზე კონკურენტ გადაცემებს არ უყურებ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, ვუყურებ. ტელევიზიის სფეროში როცა მუშაობ, აუცილებლად უნდა იცოდე, თუ ვის როგორი გადაცემა აქვს და ვინ რას აკეთებს...

— რომ მერე ვანო ჯავახიშვილმა მათზე იხუმროს...

— თუნდაც...

— „იმედის“ იუმორისტული შოუების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ „ვანოს შოუს“ მათ სერიალზე — „გოგონა გარეუბნიდან“, გაცილებით დაბალი რეიტინგი აქვს...

— არავის კომპეტენციაში არ ვერევი. კარგად გაარკვიონ, ვის რა რეიტინგი აქვს. ამ ნათქვამზე უბრალოდ, მეცინება, რადგან არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ. „ვანოს შოუს“ მართლაც კარგი რეიტინგი აქვს. ამ შოუსა და მათ სერიალს შორის რასაკვირველია, ჭიდაობა მიმდინარეობს, მაგრამ ძირითად შემთხვევებში „ვანოს შოუ“ იგებს...

— თქვენ ერთი დიდი გუნდი იყავით, მერე სამ ნაწილად გაიყავით. მიშა მშვილდაძე, ნიკა ქავთარაძე — „ფორმულა კრეატივში“, ირაკლი კაკაბაძე და დათო გოგიჩაიშვილი — „იმედში“, თქვენ კი „რუსთავი 2“-ში ხართ. იმ ორმა გუნდმა არაერთი სერიალი გადაიღო და საკმაოდ დიდი წარმატება ხვდა წილად. თქვენ რატომ არ იღებთ სერიალს?

— უნდა გადავიღოთ?

— რატომაც არა? თუ კონკურენტები ხართ, ბარემ კონკურენტები იყავით...

— ეს ჯერ არავის უთქვამს ჩვენთვის. მადლობა რჩევისთვის. აუცილებლად გავითვალისწინებთ.

— მათ ფილმებიც გადაიღეს...

— ფილმის სცენარი 2008 წლის დეკემბრიდან გვიდევს და მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს. საქართველოში ხომ იცი, როგორც ხდება, ფილმის გადაღებას რაც შეიძლება მცირე თანხა უნდა ეყოს. „ვანოს შოუში“ კახი კავსაძე რომ გვყავდა სტუმრად, მან თქვა ასეთი რამ: „შენ მთავარი როლიც გინდა და ანაზღაურებაც გინდა, კაცო?“ არ გვინდა, რომ ასე მოგვივიდეს და მსახიობები ენთუზიაზმზე ვამუშაოთ. ფული ხომ უნდა გადავუხადოთ? ჩვენ კი საკმაოდ მრავალფეროვანი გეგმა გვაქვს და ამიტომ ცოტა მეტი თანხაა საჭირო. თავიდანვე გვქონდა ამაზე მოლაპარაკებები, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო შეჩერდა. დღესაც, შენს მოსვლამდე, სწორედ ამ საკითხზე მქონდა სატელეფონო საუბარი და იმედია, მალე ჩვენც გადავიღებთ ფილმს.

— მოკლედ, ეშინოდეთ კონკურენტ არხებს — მალე სერიალიც გექნებათ და ფილმიც...

— (*იცინის*) ზოგადად, არ მიყვარს, რომ მაშინებენ და არც ის, მე რომ ვაშინებ. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს...

— ყოველ წელიწადს კონცერტს მართავთ. ამას რატომ აკეთებთ, „კავეენის“ თამაში გენატრებათ?

— უკვე ტრადიციაა, რომ წელიწადში ერთი კონცერტი გავმართოთ ფილარმონიაში. ამ კონცერტებს ისეთი მაღალი რეიტინგი აქვს, რომ როცა მათ განმეორებით ჩვენებას რომელიმე გადაცემას „ვასვამთ“, იმ გადაცემას რეიტინგით აუცილებლად უგებს. მაგალითად, „შუა ქალაქის“ ერთ-ერთ ახალ სერიას ამ კონცერტის გამეორება „დავასვით“ და რეიტინგით მოუგო.

— არაერთხელ მსმენია საზოგადოების ნაწილისგან, რომ „კომედი შოუ“ აღარ მოსწონთ და თქვენს ხუმრობებზე აღარ ეცინებათ. რა აცოცხლებს ამდენ ხანს ამ პროექტს?

— როცა „იმედი“ გაითიშა, შესაბამისად, კონკურენტები აღარ გვყავდნენ და ყურადღება მოვადუნეთ. რეიტინგის ვარდნას კი ვატყობდით ჩვენს პროექტს და გამოსწორებასაც ვცდილობდით, მაგრამ ადამიანს სტიმული ყოველთვის სჭირდება. ეს ნახევარწლიანი ჩავარდნა იყო. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურენტები გამოჩნდნენ, კვლავ გავაქტიურდით. გადაცემის გაკეთება მხოლოდ ხუმრობის დაწერა და თამაში არ არის. აქ სტრატეგიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და პროექტზე საკმაოდ დიდხანს გვიხდება მუშაობა. ახალი ბიჭები დავიმატეთ, უფრო მეტად მოვინდომეთ და პროექტი კვლავ რეიტინგული გახდა. იმ ჩავარდნის პერიოდში სამი კონცერტი გავაკეთეთ და უამრავი ცარიელი ადგილი დარჩა დარბაზში. ახლა რომ კონცერტები ჩავატარეთ, ბილეთები სამი დღით ადრე გაიყიდა. ამით მივხვდით, რომ ის ჩავარდნა გამოვასწორეთ.

— რა იყო მიზეზი, რომ თქვენი გუნდი არაერთხელ დაიშალა?

— ახლანდელი შემადგენლობით 2003 წლიდან მოვდივართ და არ დავშლილვართ. რაც შეეხება ძველ გუნდს, მათი წასვლის მიზეზებზე არც მაშინ მისაუბრია, როცა ისინი აქედან წავიდნენ და არც ახლა ვისაუბრებ. რადგან როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდება, ერთმანეთი არ უნდა ლანძღონ. იგივეა ჩვენს შემთხვევაშიც. მათ არავითარ შემთხვევაში არ გავლანძღავ. რაც იყო — იყო. ახლა უკვე ახალ ეტაპზე გადავედით. ახლა მართლა ერთ მუშტად ვართ შეკრულნი.

— სად არის გოჩა თანდარაშვილი?

— „რუსთავი 2“-ზეა და „ბრავო“-სთან და კიდევ რამდენიმე სხვა გადაცემასთან თანამშრომლობს. მასთან საკმაოდ კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. დახმარება რომ დაგვჭირდეს, უარს ნამდვილად არ გვეტყვის.

— ძველ თანაგუნდელებთან თუ აგრძელებთ მეგობრობას?

— როგორ არა. ხანდახან ვურეკავთ ერთმანეთს მოსაკითხად, იშვიათად — ვხვდებით კიდეც. სამწუხაროდ, ყველა ჩვენგანს საკმაოდ გადატვირთული გრაფიკი გვაქვს და ხშირად შეხვედრას ვერ ვახერხებთ. ამის გამო, გასულ კვირას შონზოს დავურეკე და გადაცემაში — „ეთამაშე ვარსკვლავს“ მოვიწვიე. ძალზე დიდი ხნის უნახავი მყავდა და გადავწყვიტე, ამ ხერხით მაინც მომეხერხებინა მისი მონახულება.

— ერთმანეთს ალბათ დაუნათესავდით კიდეც...

— რა თქმა უნდა. გოჩა თანდარაშვილი ჩემი შვილის ნათლიაა. ბაკურ სვანიძისა და გიგა ნასარიძის შვილების ნათლია მე ვარ. ოთო ლომთაძის ბიძა ჩემი ნათლიაა. ვართე ჩემი მეორე შვილის ნათლიაა. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს... რა ვიცი, „გადავნათლეთ“ ერთმანეთი... ■

„დემოკრატიის შუქურას“ მოთმინების ფიალა აევსო

იუმორისტი ვანო ჯავახიშვილი უკვე მეხუთე წელია, რაც „ვანოს შოუს“ წარმატებული წამყვანია. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის ხელმძღვანელია, თავს ლიდერად არ მიიჩნევს; გუნდის წევრებს ემადლიერება და ამბობს, რომ ჩვენთან საუკეთესო სცენარისტები მუშაობენო... წარმატების საფუძვლად საკუთარ თვისებას — უდიდეს პასუხისმგებლობის გრძნობას მიიჩნევს...

ლალი ფაცია



აქტიურად „შეჯდა“ მაყურებელი ჩემს იუმორზე

— ვანო, იღბლიანი ბავშვი იყავი?

— მთლად იღბლიანი არა, მაგრამ ჩემი ეშმაკობის წყალობით, რაღაცებში მიმართლებდა... მაგალითად, იოლად მოვხვდი სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე.

— როგორც ვიცი, იუმორის სფეროს სტუდენტობისას „დაუმეგობრდი“ — უნივერსიტეტის „კავეენის“ გუნდში თამაშობდი და სწორედ იმ პერიოდმა განსაზღვრა შენი დღევანდელი საქმიანობაც... რომ არ ყოფილიყო „კავეენი“, ვინ იქნებოდი დღეს?

— ალბათ რომელიმე საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებელი ვიქნებოდი. შესაძლებელია, რომელიმე ბანკში კრედიტ-ოფიცრად მემუშავა ან კომპიუტერის სპეციალისტი ყოფილიყავი...

— იუმორი შენთვის საკუთარი თავის რეალიზების საშუალება აღმოჩნდა. რა არის ამ სფეროში მთავარი?

— თუ კარგი სცენარისტი ხარ, იუმორის სფეროში ადგილს აუცილებლად იპოვი. სცენარისტობის შემდეგ მთავარია, შენი ნამუშევარი საზოგადოებას ისე მიაწოდო, რომ გააცინო. ამ საქმესაც ცოდნა უნდა.

— პირველად ტელევიზიით როდის გამოჩნდი?

— ეს 2004 წლის 1-ელ იანვარს, „შაბათის შოუში“. მე და ვასო ფხაკაძემ სკეტჩი წარმოვადგინეთ — იეღოველები ვიყავით... მაყურებელმა კარგად მიიღო...

— იქიდან გახდი „ვანო ჯავახიშვილი“?

— ალბათ — არა. მერე რაღაც ტიპაჟები კიდევ შევქმენი და ნელნელა უკვე აქტიურად „შეჯდა“ მაყურებელი ჩემს იუმორზე. ჩვენი კოლექტივის ყველა წევრს სხვადასხვანაირი იუმორი გვაქვს.

— როგორია შენი იუმორი?

— ჩემგან უფრო აქტუალურ თემებზე ხუმრობებს ელიან... სცენარისტები ჩემთვის ყოველთვის ჩემს შესაფერის ხუმრობებს წერენ. ბევრი კარგი ხუმრობა იმის გამო „დამიბრაკავს“, რომ „ჩემი“ არ ყოფილა... ჩემთვის დაწერილი ხუმრობები სხვამ რომ თქვას, შეიძლება, ხალხმა არ გაიცინოს.

— გამოთქმა — „დემოკრატიის შუქურა“ ვის ეკუთვნის?

— ერთხელ ვთქვი და ხალხს მოეწონა... სასიამოვნოა, რომ ხშირად ადამიანები ჩემი ფრაზებით მელაპარაკებიან, მაგრამ ვწუხვარ, რომ ხალხში ვერ ამოვძირკვე ერთი გამოთქმა: — „რათა? რათა? რათა?“ რომ დამინახავენ, სასწრაფოდ მომაყოლებენ ხოლმე. ისევ გურამის ფრაზებით მელაპარაკებიან...

— მართლაც, შენ მიერ განსახიერებული პერსონაჟით (გურამი) ერთ-ერთი სერიოზული ეპიზოდი ჩაიწერა შენს კარიერაში...

— ამ პერსონაჟმა ბევრ ოჯახში მოახერხა შეღწევა. არადა, არ მეგონა, თუ ის გაუნათლებელი, პროვინციელი ტიპაჟი ხალხს მოეწონებოდა. ისე კი, მგონია, რომ ცხოვრებაში ასეთი ადამიანი ყველას ჰყავს ნანახი — მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკაცი, რომელიც ცოლს ჰყავს დამონებული... რაც მთავარია, გურამის პერსონაჟი დროულად შევაჩერეთ. იმ პროექტის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

— შემდეგი საფეხური შენს კარიერაში „ვანოს შოუ“ იყო. ვინ გადაწყვიტა, რომ მისი წამყვანი უნდა ყოფილიყავი?

— ერთხელაც, დადგა ისეთი პერიოდი, რომ „ღამის შოუს“ რეიტინგი მკვეთრად დაეცა და აუცილებელი გახდა შოუსთვის ახალი „სისხლის გადასხმა“. ჰოდა, დავით გოგიჩაიშვილისგან მივიღე შემოთავაზება, რომ გადაცემა მე წამეყვანა. ამის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ უარი არ გამივიდა. იმის მერე ისე მოხდა, რომ ჩვენი გუნდი დაიშალა და ამ ჩვენს გაყოფაზე დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა.

— სხვათა შორის, დათო გოგიჩაიშვილი რამდენიმე თვის წინ, ამავე რუბრიკაში ჩავწერე, სადაც ამ „დაშლაზე“ გულისტკივილით საუბრობდა და ისიც აღნიშნა, რომ მაშინ გუნდმა, რომელიც „რუსთავი 2“-ზე დარჩით, ამ გაყოფაში დიდი როლი ითამაშეთ. რას იტყვი ამაზე?

— ამ თემას ჩვენ არასდროს შევხებივართ, რადგან არ ვართ ის ადამიანები, რომლებიც სააშკარაოზე სკანდალურ თემებს გამოიტანენ ხოლმე. არ მიგვაჩნდა საჭიროდ, რომ ჩვენი გუნდი დაშლილიყო, რადგან კარგად აწყობილი, წარმატებული ჯგუფი ვიყავით, სიტუაციას ვმართავდით. მით უმეტეს, რომ წინასწარ არ ვიცოდით, როგორ განვითარდებოდა მომავალში მოვლენები. არ ვამბობ, რომ რაღაცაში მართლები ვართ ან — ვტყუით. მაგრამ როდესაც მიგაჩნია, რომ კარგი მენეჯერი ხარ, 15 კაცი შენი გუნდიდან არ უნდა წავიდეს. ე.ი. რაღაცაშია საქმე, ხომ? იმ „რაღაცას“ არავინ ამბობს და არც ჩვენ ვიტყვით არასოდეს. თუმცა, ბოლო დროს, პრესაში არაერთხელ წამიკითხავს გოგიჩაიშვილის გუნდის წევრების მოთხოვნის შესახებ, რომ ჩვენი შოუების ფორმატები უნდა შევცვალოთ, რადგანაც მათი თქმით, ლიცენზირებული პროექტებია. რაც მთავარია, ამ ყველაფერს პრესის მეშვეობით ვიგებთ... ჩვენი პროექტების ასეთი სახით გაგრძელებას აღარც ჩვენ ვაპირებდით, მაგრამ „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობის მოთხოვნა იყო, რომ ისინი არ გაგვეჩერებინა და სწორედ ისეთი სახით გასულიყო ეთერში, როგორითაც მანამდე გადიოდა. ისე, რაც ამ პროექტების ლიცენზიას შეეხება — ის რეალურად არ არსებობს, რადგან „ვანოს შოუსა“ და „კომედი შოუს“ ფორმატის მსგავსი გადაცემა ამერიკაში არაერთია და სხვადასხვა არხზე გადის. ისინი გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა და ლიცენზიები არა აქვთ. ამის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვეთ, გამოვიკვლიეთ და შეგვიძლია, ნებისმიერ მსურველს დავუსაბუთოთ და ავუხსნათ ყველაფერი...



ე.ი. რაღაცაშია საქმე, ხომ? იმ „რაღაცას“ არავინ ამბობს

— „ღამის შოუს სტუდიის“ აღმასრულებელმა პროდიუსერმა, ჩვენს ჟურნალს ცოტა ხნის წინ ინტერვიუ მისცა, სადაც თქვა, რომ „ვანოს შოუ“ ყურებადი გადაცემაა, მაგრამ მის საეთერო დროს „იმედის“ არხზე ჩვენი სერიალი — „გოგონა გარეუბნიდან“ გადის და ერთ-ერთ კვირას მას რეიტინგით მოვუგეთო...

— ჩემი აზრით, ეს არაკოლეგიალური საქციელია, რადგანაც ჩვენ რეიტინგები ასე სააშკარაოდ არ გამოგვაქვს. მაშინ მეც შემიძლია, მსგავსი მაგალითები მოგიყვანოთ. მაგალითად, გასულ კვირას, „ვანოს შოუმ“ სერიალს — „გოგონა გარეუბნიდან“ რეგიონში 6%-ით მოუგო. ჩვენ 25% გვქონდა, მათ — 19%. მთლიანად საქართველოში კი 20%-ით 19% მოვუგეთ. ამასთან, წინა სეზონზე საერთოდ არ წამიგია, მაგრამ არ გამოვსულვარ და ამაზე საქვეყნოდ არ მისაუბრია, რადგან ასე დაწვრილმანება არ მინდა, მაგრამ როგორც ვატყობ, მაიძულებენ. ჩვენი გუნდის მთავარი მიზანი კარგი გადაცემების კეთებაა და არა — მაყურებლისთვის გაუგებარ პროცენტებზე ლაპარაკი.

— უკვე 5 წელი ხდება, რაც „ვანოს შოუ“ მიგყავს და ხალხს არ ჰბეზრდები. რა განაპირობებს, ზოგადად, შენი გადაცემის პოპულარობას?

— კვირის მოვლენებს განვიხილავთ, საინტერესო სტუმრებს ვიწვევთ; ყოველთვის აქტუალურ და ხალხისთვის საინტერესო თემებზე ვხუმრობთ. ალბათ ეს არის ჩვენი წარმატების მიზეზიც. შარშან წლის საუკეთესო ტელეპროექტის ნომინაცია გადმოგვეცა.

— პირადად შენი წარმატების ფორმულად რას მიიჩნევ?

— პასუხისმგებლობის უდიდეს გრძნობას. საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არ ვაძლევ.

— არ იღლები?

— რა თქმა უნდა. დაღლილობას განსაკუთრებულად პარასკეობით ვგრძნობ. სახლში გასავათებული მივდივარ ხოლმე.

— წონასწორობიდან რას გამოჰყავხარ?

— საერთოდ, მოწესრიგებული ადამიანი ვარ და არ მიყვარს, როდესაც სამსახურში დისციპლინას არღვევენ. როგორც მე ვმუშაობ, ასევე ვითხოვ სხვებისგანაც.

— მონოლოგებში ხშირად კონკურენტი ტელევიზიის პროექტები და მისი წამყვანები „დარტყმის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტები ხდებიან. ამოჩემებული გყავს ისინი?

— „დარტყმის“ ობიექტებს სპეციალურად არ ვირჩევ, რომ მიზანმიმართულად „დავარტყა“. როდესაც კვირის განმავლობაში ესა თუ ის გადაცემა „ყვირის“ ანუ მასზე ხალხი ლაპარაკობს, მათზე მეც ვხუმრობ. მიხუმრია ჩვენი არხის პროექტებზეც და მის წამყვანებზეც — თუნდაც, „პროფილზე“.

— თვითონ რომელი გადაცემის მაყურებელი ხარ?

— ყველა გადაცემას ვუყურებ, რადგან ეს საქმესაც სჭირდება. მიკერძოებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ყველაზე მეტად „კომედი შოუს“ ველოდები. მომწონს სერიალი — „დეტექტივები“. მისი აქტიური მაყურებელი ვარ.

— ტელესერიალს — „შუა ქალაქში“ არ უყურებ?

— ნანახი მაქვს, ვიცი რაც არის, მაგრამ მისი მაყურებელი არ ვარ. დრო არ მრჩება მაგისთვის.

— ვანო, ალბათ პირველად ჩემგან არ გაიგონებ — ამბობენ, რომ თქვენი გუნდი პროვინციულ იუმორს აკეთებს, ხოლო კონკურენტ არხზე მომუშავე იუმორისტები — უფრო დახვეწილსო. რას იტყვი ამაზე?

— კი, ეს აზრიც მსმენია და ჩვენი გუნდის მისამართით გამოთქმული სხვა კრიტიკაც. ჩვენ იუმორისტები ვართ, გვყავს 20-კაციანი გუნდი, ყველას სხვადასხვანაირი იუმორი აქვს და ასეთ მრავალფეროვან გუნდში ბევრი კარგი სცენარისტია. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „დახვეწილი“ იუმორი რას ნიშნავს, ამას ვერავინ გაშიფრავს. კონკურენტების პროდუქციაშიც არის პროვინციულ თემებზე ხუმრობები, რადგანაც ამის გარეშე იუმორი არ იქმნება. ჭეშმარიტი იუმორი სწორედაც რომ პროვინციაში, რეგიონებში მოიპოვება. მთავარია, იუმორის ხარისხი შეფასდეს ანუ პროდუქტმა ხალხი გააცინოს. „პროვინციული იუმორი“ — ასეთი შეფასება კი პროვინციელებისთვისაა დიდი შეურაცხყოფა.

— ვანო, უჩვეულოდ სერიოზული ინტერვიუ გამოგვივიდა. რა არის ამის მიზეზი?

— ამის მიზეზი ის არის, რომ ხანდახან ადამიანის მოთმინების ფიალა ივსება. ჩვენ დიდი ხანია, ვითმენთ, არ ვრეაგირებთ კონკურენტების მოსაზრებებზე, საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ მათი მხრიდან არაობიექტური ინტერვიუები არ დასრულდა...

— როგორც წარმატებულ ადამიანს, არაერთ შოუში გიწვევენ. „ნოჭიერში“ ჟიურის წევრად მოევლინე საზოგადოებას...

— არ ველოდი ამდენ საინტერესო მონაწილეს. მაყურებელს წინ ბევრი კარგი ნომერი ელოდება. ხალხი ამჯერად მომზადებული მოვიდა. დადგმული, დახვეწილი ნომრები წარადგინა უმრავლესობამ. იმდენი ძლიერი ნომრები იყო, რომ კრიტიკული შეფასების მიცემა გამიჭირდა. ჩემი აზრით, გამართლებული ტელეპროექტია. იქ ჩემს თავსაც კრიტიკულად ვაფასებ — კომენტარებს, მიმიკებს, მეტყველებას, ვიზუალურ მხარეს ვაქცევ ყურადღებას. ამ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. ვცდილობ, მაინც იუმორით შევაფასო გამომსვლელები.

— „დემოკრატიის შუქურის“ სამომავლო გეგმებზეც ვისაუბროთ.

— კვლავაც ვაგრძელებთ დიდი კონკურენციის პირობებში მუშაობას და ჩვენი გადაცემების მომზადებას. მაყურებელს კი ორმაგად საინტერესო გადაცემებს ვპირდებით, რადგანაც ძალიან საინტერესო გეგმები გვაქვს...



რომელ კომპანიას არ ეტყვის უარს ეროტიკულ სცენაში მონაწილეობაზე „TV თერთმეტის“ გრიმიორი“

სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“, მომხიბვლელი გრიმიორი — ნია ახლახან გამოჩნდა და რუსკა მაყაშვილის პერსონაჟის გარდა, „TV თერთმეტის“ ყველა თანამშრომლის გული იოლად მოიგო. სიყვარულში იმედგაცრუებული ნიას როლს სალომე კოკუაშვილი ასრულებს, რომელიც ალბათ, ტელემაყურებლებს სხვა ქართული სერიალებიდანაც ახსოვს. სალომესთან ინტერვიუ 2 კვირის წინ „ექსტრემალურ პირობებში“ (სერიალის გადაღების პარალელურად), ლამის ჩურჩულით ჩავწერეთ...

ეთო ყორღანაშვილი

— ერთი სერიის გადასაღებად რამდენიმე დღე გვჭირდება. ახლა მეოთხე სერიას ვიღებთ. პირადად მე, დღეს მხოლოდ ერთ სცენაში ვმონაწილეობ, პატარა ტექსტით — ანჩოს ვესალმები, რომელსაც მაინცდამაინც, გულზე არ ვეხატები. მე ანჩოც და რა თქმა უნდა, მისი როლის შემსრულებელი — რუსკა მაყაშვილიც ძალიან მომწონს.

— როგორ ფიქრობ, ანჩოს ნია რატომ არ მოსწონს?

— ამ სერიაში ანჩო ჩემ შესახებ ამბობს: რაღაცნაირი გოგოა და მე არ მომწონსო! „რაღაცნაირში“ რას გულისხმობს, არ ვიცი (*იცინის*).

— რუსკას თუ მოსწონხარ?

— მართალია, ცოტა ხნის წინ გავიცანი, მაგრამ რუსკა ძალიან მიყვარს. მანამდეც ძალიან მიყვარდა. ის კარგი, მხიარული ადამიანია. მიხარია, რომ ვმეგობრობთ. როცა ენერგიულ ადამიანებთან ვურთიერთობ, მეც ენერგიით ვივსები.

— ნიამ ახალი თანამშრომლების გული იოლად მოიგო. შენ როგორ ააწყვე ურთიერთობა სერიალის შემოქმედებით ჯგუფთან?

— მსახიობთა თათბირი ყოველი სეზონის დასაწყისში ტარდება. თათბირზე აკანკალებული შევედი. ყველამ თბილად მიმიღო. შემოქმედებით ჯგუფთან ისეთი კარგი ურთიერთობა მაქვს, რომ მგონია, თითქოს თავიდანვე მათთან ვმუშაობდი.

— კარგა ხანს „ფორმულა კრეატივთან“ თანამშრომლობდი. „ლამის შოუს სტუდიაში“ როგორ მოხვდი?

— სერიალის — „გოგონა გარეუბნიდან“ ამერიკული ვერსია ძალიან მომწონდა. სამწუხაროდ, კასტინგის პერიოდში, საქართველოში არ ვიმყოფებოდი. როცა დავბრუნდი, უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ სერიალის წარმომადგენლებთან მაინც დავრეკე და თავხედურად ვუთხარი, მსახიობი ვარ და თუ შეიძლება, რომ კასტინგზე მოვიდე-მეთქი? მოკლედ, მე და რამდენიმე ადამიანმა კასტინგი გავიარეთ, მაგრამ სერიალში ვერც ერთი ვერ მოვხვდით. 1 წლის შემდეგ კასტინგი კიდევ გამოცხადდა. მივედი. მითხრეს, ძალიან მოგვწონხარ და თუ სხვა პროექტში არ დაგაკავეს, დიდი სურვილი გვაქვს, რომ დაგასაქმოთო. ისე გამიხარდა, რომ სხვა კომპანიასთან თანამშრომლობის სურვილიც არ გამჩენია. ყოველთვის ვიცოდი, რომ „ლამის შოუს სტუდია“ მხოლოდ საქმეზეა გადართული — აქ დღე და ღამე მუშაობენ, ყველა დეტალს ყურადღებას აქცევენ. ვაღიაროთ, რომ ყველაზე რეიტინგული, ხარისხიანი პროექტები აქვთ. მუშაობის განრიგიც ფანტასტიკური გვაქვს... „ლამის შოუს სტუდიიდან“ რომ დამირეკეს, ძალიან გამიხარდა. ჩემი პერსონაჟი — ნია, 3 წლის განმავლობაში ამერიკაში სწავლობდა. ამერიკიდან დაბრუნებული გათხოვებას აპირებდა, მაგრამ საქმრომ საუკეთესო დაქალთან უღალატა. ამჟამად ტელევიზიაში გრიმიორად მუშაობს. კეთილი, თბილი გოგონაა. ცდილობს, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს, მაგრამ ტელევიზიაში ისეთ ადამიანს გაიცნობს, როგორიც თავადაა და შეუყვარდება... ვინ შეუყვარდება, ამას არ გაგიმხელთ. წინ ბევრი საინტერესო სერია გელით.

— წელან ახსენე, კასტინგის დროს საქართველოში არ ვიმყოფებოდიო. სად იყავი?

— მამიდაჩემთან, საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე დასასვენებლად გახლდით. ვაღიარებ, რომ კარგად დავისვენე.

— კარგად — როგორ?

— „პენსიონერულად“: მთელი დღის განმავლობაში მეძინა, ხან პლაჟზე გავდიოდი, ვცურავდი, მზეზე ვირუჯებოდი, როცა მამიდა ფულს მაძლევდა, საშოპინგოდ მივდიოდი... მთელი თვე ასე გავიდა. მოგეხსენებათ, საბერძნეთი ღირსშესანიშნაობებით გამოირჩევა, მე კი თვით ზევსის სამშობლოც არ მინახავს, რომელიც ჩვენი სახლიდან 3 კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა. ჩემი საქციელის მრცხვენია. ამიტომ ვეცდები, ამ ზაფხულს საბერძნეთის ღირსშესანიშნავი ადგილები დავათვალიერო.

— ძალიან დაღლილი იყავი თუ ზოგადად, კულტურული ძეგლებით არ ინტერესდები ხოლმე?

— პირიქით, ძალიან ვინტერესდები. საქართველოში ვმუშაობდი, ვსწავლობდი, კარგი მეგობრები მყავდა და მყავს, მაგრამ რაღაცნაირად, დავიღალე. ერთფეროვნება არ მიყვარს. ყოველთვის ვცდილობ, რომ რაღაც ახალი გავაკეთო, ვნახო... იმ პერიოდში ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი რუტინულად ხდებოდა და ამიტომ გამგზავრება გადავწყვიტე. საქართველოდან იმ განწყობილებით წავედი, რომ მთელ საბერძნეთს დავათვალიერებდი, მაგრამ იქ რომ ჩავედი, დამეზარა (*იცინის*). არ ვიცი, ამ ასაკში დეპრესია რატომ დამემართა — ყველაფრით დავიღალე. სიჩუმე, უცხო გარემო, უცხო ადამიანები მინდოდა.

მაკიაჟის გაკეთებას თავად ვცდილობ ხოლმე

— დასვენებამ გიშველა?

— მიშველა. საბერძნეთიდან ისეთი ენერგიული დავბრუნდი, რომ... ااااბა, „იმედში“ ახალი სამსახური მინდა-მეთქი, განვაცხადე...

— „ფორმულა კრეატივთან“ აღარ თანამშრომლობ?

— „ფორმულა კრეატივის“ შემოქმედებითი ჯგუფიც ძალიან მიყვარს... „ღამის შოუს სტუდიაში“ თავს კარგად ვგრძნობ; აქ ყველა წვრილმანზე ზრუნავენ: რა გაცვია, როგორი საყურე გიკეთია და ა.შ. როცა შენზე ზრუნავენ, ეს ძალიან სასიამოვნოა... „ფორმულა კრეატივი“ ახალი ფილმის გადაღებას აპირებს და შეიძლება, ვითანამშრომლო. ვნახოთ...

— სერიალში შენი პერსონაჟი გრიმიორია. თავად მაკიაჟის გაკეთება კარგად იცი?

— ტუშის წასმაც კი არ ვიცი.

— ყოველდღიურად მაკიაჟს არ იკეთებ?

— არა, უფრო ზუსტად — ვერა.

— როცა წვეულებაზე მიდიხარ, მაკიაჟის გასაკეთებლად სალონს სტუმრობ?

— მაკიაჟის გაკეთებას თავად ვცდილობ ხოლმე. მერე, სარკეში რომ ვიხედები, ვხვდები, რომ თავი დავიმახინჯე. ამიტომ ჩემს დაქალებს ვურეკავ, რომ გამომიარონ და დამეხმარონ.

— ნიას ჩაცმის სტილი მოგწონს?

— კი, ძალიან. ნია კლასიკურად იცვამს, რაც ჩაცმის ჩემი სტილისგან განსხვავდება — მე კედი, ჯინსი, მაისურები მიყვარს, ნია კი მოწესრიგებული გოგონაა: ქუსლიანი ფეხსაცმლით დადის, გემოვნებიანი სამოსი აცვია.

— შენ და ნიას რამე საერთო გაქვთ?

— მაგალითად, ორივე ვცდილობთ, ყველასთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს. ჩვენ შორის სხვაობას რაც შეეხება, როცა ნიას მეგობარმა საქმრო წაართვა, ნიამ ეს ჩვეულებრივად მიიღო — უბრალოდ, ორივეს დაშორდა. მე ასეთი საქციელის პატიება არ შემიძლია. ნიას ადგილზე ალბათ ორივეს — საქმროსაც და მეგობარსაც დავხოცავდი!

— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— როგორც ყველა მსახიობი იტყოდა, მეც ვიტყვი: პირად ცხოვრებაზე არ ვსაუბრობ... მაინც გაგიმხელთ, რომ ამ მხრივ, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა.

— ანუ შეყვარებული გყავს?

— არა, მაგრამ პირადი ცხოვრება უკვე მაქვს (*იცინის*)...

— როგორც ვიცი, წინათ თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლა გინდოდა, მაგრამ არ გაგიმართლა. ამ მხრივ, რაიმე სიახლე ხომ არაა?

— ყოველ წელს ვამბობ, რომ თეატრალურ უნივერსიტეტში უნდა ჩავაბარო, მაგრამ რატომღაც, ასე არ ვიქცევი. წელს უნივერსიტეტში, მენეჯმენტის ფაკულტეტზე სწავლს ვამთავრებ: სადიპლომო ნამუშევრები, გამოცდები... ასე რომ, წელს თეატრალურ უნივერსიტეტში ნამდვილად ვერ ჩავაბარებ. თეატრის სცენაზე თამაში ძალიან მინდა. თეატრალურში ჩაბარებაც ამიტომ მსურს.

— თეატრის სცენაზე ჯერ არ მოგისინჯავს ძალა?

— არა, მაგრამ თუ გავიგე, რომ კასტინგია, აუცილებლად მივალ. განსაკუთრებულად, კოტე მარჯანიშვილის სახელობის და მუსიკისა და დრამის თეატრი მხიბლავს. სამწუხაროდ, სიმღერა მაინცდამაინც კარგად არ გამომდის.

— ფილმში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილებაც გაქვს. არსებობს როლი, რომლის შესრულებაზეც კატეგორიულ უარს იტყვი?

— ალბათ, ეროტიკულ სცენებში მონაწილეობაზე კატეგორიულ უარს ვიტყოდი, რადგან სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სცენები ძალიან „პახაბნი“ და არაესთეტიკური გამოდის.

— უცხოეთში ასეთ ფილმში მონაწილეობას დათანხმდებოდი?

— მაგალითად, „უნივერსალ ფიქჩერსმა“ სერიოზულ როლზე რომ დამამტკიცოს, არა მგონია, ეროტიკულ სცენაში მონაწილეობაზე უარი ვთქვა. თუმცა არც ის მგონია, რომ „უნივერსალ ფიქჩერსისგან“ ასეთ შეთავაზებას მივიღებ (*იცინის*). როცა ფილმში შიშვლდები, ამას რაღაც აზრი უნდა ჰქონდეს. ჩემი აზრით, მხოლოდ ლამაზი სხეულის გამოსაჩენად, არც ერთი მსახიობი არ უნდა გაშიშვლდეს.

— შენი აზრით, ქართველი რეჟისორები (რომლებიც ეროტიკულ სცენებსაც იყენებენ) უაზრო ფილმებს იღებენ?

— ამაზე ვერაფერს გეტყვი. მე ასეთ სცენაში მონაწილეობას არ დავთანხმდებოდი... შეიძლება, მეძავის როლი შეასრულო, მაგრამ ეკრანზე გაშიშვლება საჭირო საერთოდ არ იყოს.

— სალომე, სერიალებში — „მესამე თაობა“, „ჩვენი ოფისი“ და გადაცემა „ვა-ბანკი“ მონაწილეობდი. როგორ ფიქრობ, ახალ სერიალში ტელემაყურებელმა გიცნო?

— არ ვიცი. ჩემი მონაწილეობით, ეთერში ჯერ მხოლოდ რამდენიმე სერია გავიდა, მაგრამ იმედია, მაყურებლები ასე მალე არ დამივიწყებდნენ (*იღიმის*)...

■



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება

„თუ პიროვნება ხარ, უნდა შეძლო საზღვრების გარღვევა“

მსახიობი გიორგი გურგულია მართლაც ალალი და გულახდილი ადამიანია, ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტებთან ასეთად ავლენს თავს... არის თემები, რომლებზეც ცნობილი ადამიანები არ საუბრობენ, გიორგისთვის კი არანაირ თემაზე საუბარი დაბრკოლებას არ წარმოადგენს... 3 ქორწინება, 3 ვაჟი და არაერთი კინოროლი. ეს გიორგი გურგულიას ცხოვრებაა!.. მასზე კი უფრო ვრცლად ის ინტერვიუ იტყვის, რომელსაც ახლა გთავაზობთ.



ნინო მჭედლიშვილი

— იმდენად გულახდილი ვარ, რომ ზოგი ჩემთან საუბრისას იძაბება, იბნევა; ვერ ხვდება, რატომ შემიძლია, რომ ადამიანს ყველაფერს მოვუყვე. კომპლექსი არ მაქვს და ვინ რას იფიქრებს და იტყვის, არც ეს მაწუხებს. შეიძლება, ამის გამო ბევრ რამეს ვკარგავ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. მართალია, მსახიობი ვარ, მაგრამ ცხოვრებაში თამაში არ გამომდის (*იღიმის*).

— მოდი, თქვენს პროფესიაზე ვისაუბროთ...

— თავიდანვე მიიჩნევდნენ, რომ კომიკური მსახიობი ვერ ვიქნებოდი. არადა, მგონია, რომ კომიკურ როლებს კარგად ვითამაშებდი... თუმცა, ცოტა ხნის წინ, მქონდა მცდელობა, მეთამაშა რუსულ კომედიურ ფილმში — „ბაბლო“, რომლის პრემიერა სოჭის კინოფესტივალზე შედგება. მასში მე, მიშა მესხი და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი — გია-ლია ვმონაწილეობთ. რუსებს ჩვენი ნამუშევარი მოეწონათ. ასე რომ, კომედიაშიც ვივარგე...

— რუსულ ფილმში რომ ითამაშეთ, ამის გამო არავინ გაგკიცხათ?

— პოლიტიკა და ხელოვნება ცასა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რეჟისორი რუსი იქნება, სომეხი, ფრანგი თუ ამერიკელი. თუ როლს შემომთავაზებენ, ყველგან ვითამაშებ. ეს ჩემი პირველი კომედიური როლი იყო და მასზე უარს როგორ ვიტყოდი? საერთოდ არ მიყვარს ურთიერთობებში ჩანგრეული, დამწვარი „ხიდები“. თუ გვინდა, რომ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა გვქონდეს, ხელოვანებმა მაინც უნდა შევინარჩუნოთ „ხიდები“.

— ქართულ ფილმებში კრიმინალური ბიოგრაფიის მქონე ადამიანებს ასახიერებთ — ძველ ბიჭებს. ცხოვრებაშიც ასეთი იმიჯი გაქვთ?

— მოსწავლეობისას 10 სკოლა გამოვიცვალე. ვჩხუბობდი ხოლმე და ამის გამო სკოლებიდან მრიცხავდნენ. თბილისის ყველა ცენტრალური უბნის სკოლა მოვლილი მაქვს — 400 თანაკლასელი მაინც მეყოლება. მთელი თბილისი გავიცანი... მაშინ გოგოებს რატომღაც მოჩხუბარი ბიჭები მოსწონდათ და მათთან მეც თავს ვიწონებდი. მერე ეს იმიჯი დავანგრიე. საერთოდ საკუთარ იმიჯს ხშირად ვანგრევ. პირველად ეს მაშინ გავაკეთე, როდესაც პროფესია ავირჩიე. ვხატავდი და ვაპირებდი კინოს მხატვრობა დამემთავრებინა და მერე — სარეჟისორო. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ჯერ სამსახიობო ფაკულტეტი დავამთავრე და მერე — სარეჟისორო. ასე რომ, მსახიობი შემთხვევით გავხდი.

— გული ხომ არ დაგწყდათ ამაზე?

— გული არაფერზე მწყდება... არ მიყვარს საკუთარი თავის ჩარჩოებში მოქცევა. თუ პიროვნება ხარ, უნდა შეძლო საზღვრების გარღვევა და აკეთო ის, რაც გინდა...

— ბოლოს რომელი იმიჯი დაამსხვრიეთ?

— პოლიტიკოსის (*იცინის*).

— ჰო, მართლა პოლიტიკაში რატომ წახვედით?

— ამერიკიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და რუპორი მინდოდა... მინდოდა, მეთქვა, რომ პატარა ერი ვართ და თუ არ გავერთიანდით საერთო მიზნისთვის, სხვანაირად გაგვიჭირდება-მეთქი.

— აღნიშნეთ, არ მიყვარს საზღვრებში მოქცევაო. ეს ხომ არ იყო იმის მიზეზი, რომ რამდენჯერმე დაანგრიეთ ოჯახი?

— სიყვარული შენთან ან არის, ან — არა. გრძნობა როცა მთავრდება, ტყუილში ცხოვრება არ შეიძლია... ჯობია, ადამიანს პირდაპირ ვუთხრა, რომ ყველაფერი დამთავრდა, ვიდრე მოვატყუო და თვალებში ნაცარი შევაყარო. ამ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია, მათ შორის, არც — სიყვარული... ყოველდღიური ყოფა, პრობლემები ანგრევს სიყვარულს და იწყება უხე-

შობა, ჩხუბი, სკანდალი.

— ქალთან უხეში ყოფილხართ?

— დიახ, ვყოფილვარ... ხელიც გამირტყამს, რასაც ძალიან ვნანობ... ამას ჰქვია ურთიერთობის დანგრევა... როცა ჩხუბი ცოლ-ქმარს შორის ხელის გარტყმამდე მიდის, ერთ-ერთმა უნდა დათმოს...

— მომთმენი ხართ?

— კი, მაგრამ საკმაოდ მძიმე ხასიათი მაქვს. ემოციური ვარ და რთულია ჩემთან ცხოვრება. შეიძლება, 2 დღე და ღამე არ დავიძინო, სახლში არ მივიდე და მეგობრებთან ერთად ბოჰემურ ცხოვრებას მივყო ხელი; ან საერთოდ ჩავიკეტო, განვმარტოვდე და წერა დავიწყო. ორივე მდგომარეობა ჩემი ცხოვრების ნაწილია — ჩაკეტილობაც და მეგობრებთან ერთად რია-რიაც. ამის გაგება ოჯახისთვის რთულია.

— განმარტოება რისთვის გჭირდებათ ხოლმე?

— სიმშვიდისთვის. მქონდა სახლი-სახელოსნო, სადაც 1-2 მეგობარი მოდიოდა. ვთამაშობდით ჭადრაკს, ვსაუბრობდით. ეს იყო ჩემთვის ადგილი, სადაც შემეძლო ფიქრი, მუშაობა... იქ შაბათ-კვირას ჩემი მეუღლე მოდიოდა და რჩებოდა. რეჟიმში ცხოვრება არ შემიძლია; თეატრში იმიტომ არ დავიწყე მუშაობა, რომ დილით რეპეტიციებსა და საღამოს სპექტაკლებზე სიარულს ვერ შევძლებდი. არ მინდა, მყავდეს უფროსი.

— რამდენი წელი გრძელდებოდა თქვენი ქორწინებები?

— 10 წელი პირველ მეუღლესთან ვიყავი, 10 — მეორესთან და 7 — ხათუნასთან, რომელთანაც ჯვარი ისევ დაწერილი მაქვს, მაგრამ ურთიერთობა გამიფუჭდა. აი, ცოტა ხნის წინ, ნახეთ კიდეც, ის ჩემთან მოვიდა, ბავშვს მოაკითხა და წაიყვანა. მასთან ურთიერთობა ჩემმა ამერიკაში წასვლამ გააფუჭა... ხათუნა კი ის ადამიანია, რომელსაც სულ ჩემ გვერდით უნდოდა ყოფნა. სადაც კი მივდიოდი, თან მიმყავდა. ასე რომ, ამერიკაში ჩემმა წასვლამ დაანგრია ჩვენი ურთიერთობა.

— პირველ ორ ცოლს არ უნდოდა თქვენთან ერთად ყოფნა?

— პირველად რომ დავქორწინდი, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. 20 წლის გახლდით, შვილი რომ გამიჩნდა. პატარის გამო უმეტესად სახლში მიწევდა ყოფნა. ჩემი მეორე მეუღლე, მორის ფოცხიშვილის ქალიშვილი — მხატვარი თამარ ფოცხიშვილი ძალიან მშრომელი ადამიანია; უნიჭიერესი, უკეთილშობილესი, არაჩვეულებრივი ქალი და დედაა. ერთმანეთი საქმეში გავიცანით და მერეც სულ ერთად ვშრომობდით. გაცნობის დღიდან მითხრა, — მთავარია, ჩემი საქმე მქონდეს, ვიყო რეალიზებული ქალიო! მერე ისე მოხდა, რომ საქმე გაგვეყო — კლუბებში საღამოების კეთება დავიწყე, რუსეთში მორიგ ფილმში სათამაშოდ მომიწია წასვლამ და ჩვენი ურთიერთობაც იმ პერიოდში გაფუჭდა.

— ერთი სიტყვით, რამდენჯერაც საქართველოდან წახვედით, იმდენჯერ ოჯახი დაგენგრათ...

— ჰო, ან აღარ უნდა წავიდე, ან მეუღლესთან ერთად უნდა ვიარო. ამაზე თამრიკოსთანაც მქონდა საუბარი. მაშინ არ იყო ასეთი დაძაბული რუსულ-ქართული ურთიერთობა. კარგი შემოთავაზება მქონდა იქაური რეჟისორისგან, ოღონდ, დიდი ხნით მომიწევდა რუსეთში ცხოვრება. თამრიკო უაღრესად პატრიოტი ადამიანია და არ მოინდომა ჩემთან ერთად საქართველოს დატოვება.

— თქვენ შეძლებდით სხვა ქვეყანაში დიდი ხნით ცხოვრებას?

— ჩემთვის დედამიწა პატარა სივრცეა... ძალიან ბევრს ვმოგზაურობ, არაერთი ქვეყანა მაქვს მოვლილი და დავრწმუნდი, რომ პლანეტა მართლა პატარაა. მიმაჩნია, რომ მას საზღვრები არა აქვს... თუ ფრინველს აქვს უფლება იფრინოს, სადაც უნდა, ადამიანს რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება?!

— მერე სამშობლო?

— სამშობლო ჩიტებსაც აქვთ... თბილ ქვეყნებში მიფრინავენ, მაგრამ ისევ უკან ბრუნდებიან. აქედან ცოტა ხნით წასვლა იმას კი არ ნიშნავს, რომ სამშობლოს ღალატობ. იქ სამუშაოდ მიდიხარ... ისე, ჩემი არეული ოჯახური ცხოვრების გამო მივატოვე სწავლა ნიუ-იორკის კინოაკადემიაშიც. ერთ თვეზე მეტხანს მიჭირს სხვა ქვეყანაში ცხოვრება.

— როგორი მამა ხართ?

— როცა შესაძლებლობა მაქვს, შვილებს ყურადღებას სათანადოდ ვაქცევ. ახლა ცოტა ფინანსური პრობლემები მაქვს და მათთან ვერ მივდივარ, ვერ ვნახულობ. ისე, ვურეკავ და ვკითხულობ. მთავარი ის არის, რომ მათთან ადრეული ასაკიდან ვმეგობრობ, ბავშვებთან მამაშვილური კი არა, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. პატარაობაში უფროსებთან მეც ვმეგობრობდი. ყველაზე კარგად თავს ბავშვებთან ვგრძნობ.

— ერთგული ხართ?

— ძალიან. ამას პირველ ქორწინებაზე ვერ ვიტყვი. ოჯახი რომ შევქმენი, ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი... ჩემს ერთგულებაზე მიუთითებს ისიც, რომ როცა აღარ მიყვარს, ამას ვამბობ და მივდივარ... თუ გრძნობა არ მაქვს, ქალთან დაწოლას საპირფარეშოში შესვლას ვამსგავსებ. რისთვის უნდა დაწვე ქალთან, ვიღაცას რაღაც რომ დაუმტკიცო?! ვის? საკუთარი თავისთვის დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. სიმახინჯეა, როცა საწოლი მხოლოდ სექსია და მას ლამაზი გრძნობა არ ახლავს. უსიყვარულოდ ურთიერთობა რთულია!

— როგორ გგონიათ, შეძლებთ ხათუნასთან ურთიერთობის აღდგენას?

— გამიჭირდება... ისეთი რაღაცები „დავანგრიე", რომლის აშენებაც უკვე რთულია. ერთმანეთს ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ. როცა ამერიკიდან დავბრუნდი, მომეჩვენა, რომ ხათუნას ისე აღარ ვუყვარდი, როგორც ადრე. ადამიანი ამას ყოველთვის გრძნობს. მასაც ჩემში ეჭვი შეეპარა...

— ძალიან რომანტიკული ხართ...

— ძალიან.

— სხვისი სიყვარული თუ მოგიპარავთ?

— არასოდეს. ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა: ჩემი ახლობლის მეუღლე 1 წლის განმავლობაში მოდიოდა ჩემთან, ისე აქტიურობდა, ვერ ვიშორებდი. მერე უხეშად მოვექეცი — დავამცირე. არაფერი გამოვიდა და რომ მომეცილებინა, ერთხელ მასთან ვიწექი კიდეც. შემდეგ ეს საქციელი ვინანე და მონასტერში წავედი... საერთოდ, ჩემი პრინციპები მაქვს — ძმაკაცის შეყვარებულისკენ თვალი არასდროს გამქცევია. იმიტომაც მწყდება გული, რომ იმ შემთხვევაში ჩემს პრინციპებს ვუღალატე...

— ინტერვიუს დასაწყისში



როცა ამერიკიდან დავბრუნდი, მომეჩვენა, რომ ხათუნას ისე აღარ ვუყვარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სენტიმენტალური გავხდი, ეტყობა, ასაკის ბრალია

მითხარით, — არაფერს ვნანობო; გაირკვა, რომ რაღაცებს მაინც ნანობთ...

— თუ საერთოდ არაფერს ნანობ, უღმერთო ადამიანი ხარ... საერთოდ, ძალიან ფიცხი ვარ და ამით ვარ სახიფათო, თორემ ბოღმა გულში არასდროს ჩამიდვია. ამასთან, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, საქმეს ზერელედ არასდროს ვაკეთებ.

— ახლა რას აკეთებთ?

— ვწერ. ლირიკის წერა დავიწყე. ისე, ლექსებს ბავშვობიდან ვწერ. ადრე უფრო ფილოსოფიური ჩანაწერები მქონდა, ახლა სენტიმენტალური გავხდი, ეტყობა, ასაკის ბრალია.

— წაგვიკითხეთ ერთი ლექსი, რომელიც ჩვენს ინტერვიუს მოუხდება.

— „თოვლიანი, ნისლიანი თბილისი,/ ცივა, მაგრამ გულში სითბო მეღვრება./ მე დავკარგე ერთი გოგო ივლისში,/ ალბათ ცივა, მაგრამ არ მელოდება./ როგორ მინდა, გულში მაგრად ჩავიკრა,/ რომ ზამთარში გახდეს თანაზიარი./ რომ გავუთბო ნაზი გული პატარა,/ თვალში სითბო ჩავუყენო მზიანი.../ როგორ მიყვარს, რომ მიღიმის თვალებით,/ როცა რაღაც გულით გაუხარდება,/ როგორ მიყვარს, ბედნიერი რომ არის,/ ვეღარ ვიგებ, ხშირად სად მეკარგება./ ერთი გოგო დამეკარგა პატარა,/ სასაცილო, საყვარელი, თავნება./ მან არ იცის, სიცოცხლეს მირჩევნია,/ დავინახო მისი ერთი ღიმილი,/ მირჩევნია, ყველა ბედნიერებას/ წამით ვნახო, ბედნიერი სიცილი./ თოვლიანი, ნისლიანი თბილისი,/ ცივა, მაგრამ გულში სითბო მეღვრება./ გული მტკივა, როგორ მიყვარს, არ იცის,/ თუმცა ამას უკვე რა ეშველება?“

— ვის მიუძღვენით ეს ლექსი?

— ხათუნას... ■

საქართველოში იშვიათად თუ შეხვდებით ოჯახს, რომლის წინაპარსაც მეორე მსოფლიო ომში არ უბრძოლია. ბევრი ახლაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. ბევრისთვის სათანადო პატივი ჯერ კიდევ არ მიუგიათ. ჩემი რესპონდენტი — მეცნიერებათა დოქტორი, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **დავით გვენცაძე** წლების მანძილზე იკვლევდა ომში დალუპული ბიძის — ალექსანდრე (ალიოშა) ხუჭუას ამბავს; საამისოდ არც დრო დაუშურებია და არც ენერგია. მასთან ინტერვიუზე მისულს, უამრავი ფოტო და წერილობითი დოკუმენტი დამახვედრა. გმირებს ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ, მათი სახელები დავიწყებას არ უნდა მიეცესო, — მითხრა და თხრობა დაიწყო:

„ჩვენი სანათესავო ამაყობს, რომ ჰყავს გმირი წინაპარი“

თამუნა ქვინიკაძე

— დედაჩემი — ქსენია ხუჭუა ხონის რაიონში დაიბადა და გაიზარდა. მისი მშობლები გარდაცვალებამდე იქ ცხოვრობდნენ. ბავშვობაში მე და ჩემი ძმა ყოველ ზაფხულს ჩავდიოდით სალომე ბებიასთან. იმ პერიოდის მოგონებებიდან ჩემს მეხსიერებას განსაკუთრებით ერთი ეპიზოდი შემორჩა: ბებიას შვილიშვილები ვენახში გავყავდით ხოლმე; საქმეს რომ მოათავებდა, ჩამოჯდებოდა და დაკარგულ შვილზე ტიროდა, — სადა ხარ, ჩემო ალიოშაო?!. ვხვდებოდი, ბებია რაღაცას ძალიან განიცდიდა. როცა წამოვიზარდე, გავაცნობიერე, რომ ომში დაკარგულ შვილს გლოვობდა. ალექსანდრე ხუჭუა 1941 წლის 28 დეკემბერს, 21 წლის ასაკში ფრონტზე მოხალისედ წასულა. მას ჰყოლია შეყვარებული, რომელიც თურმე მედდად მუშაობდა. სამხედრო კომისარიატში მისვლისას, სამედიცინო შემოწმების დროს, ბიძაჩემი ფრონტზე წასვლისგან რომ დაეხსნა, ამ გოგონას მისთვის მაღალ ტემპერატურაზე აწეული თერმომეტრი მიუწოდებია, მაგრამ ალექსანდრე მოხალისეთა ნაკადს მაინც გაჰყოლია. ბიძაჩემს დარჩენა ისედაც შეეძლო, რადგან მოხუცი მშობლების მარჩენალ უმცროს შვილს ფრონტზე არავინ გაიწვევდა, მაგრამ თავისი დაუოკებელი სურვილით, სამხედრო კომისარიატს სამჯერ მიმართა თურმე და ბოლოს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. 1941 წლის 28 დეკემბერს ფოთიდან გემით წაიყვანეს. მისი ბოლო წერილი ყირიმიდანაა მოწერილი და 1942 წლის 19 მარტითაა დათარიღებული.

— ოჯახმა მის შესახებ რა იცოდა?

— დიდი ხნის მანძილზე მასზე არაფერი იყო ცნობილი. ომის დასრულების შემდეგ ხონში დაბრუნდნენ სხვა მეომრები, რომლებმაც შესაძლოა, იცოდნენ ბიძაჩემის ამბავი, მაგრამ მისი ოჯახისთვის არაფერი უამბნიათ. პირველი მნიშვნელოვანი ინფორმაცია 1960 წელს მივიღეთ, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი ემზადებოდა საფრანგეთში სავიზიტოდ. გაზეთ „კომუნისტის“ 28 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა მირონ ქოჩიაშვილის სტატია, საიდანაც შევიტყვეთ, რომ ომის დროს საფრანგეთის ქალაქ კარმოსთან ახლოს, სოფელ ჟუკვილში დალუპულან ქართველი მეტყვეამფრქვევები: ი. დინგაშვილი, ა. ხუჭუა, ა. ტაბაღუა და ს. ხატიაშვილი. ისინი ინიციალებით იყვნენ მოხსენიებული, მაგრამ დედა მიხვდა, რომ სტატიაში მის ძმაზე იყო ლაპარაკი. ამის შემდეგ მივმართეთ ისტორიკოს მირონ ქოჩიაშვილს. ბიძაჩემის სახელზე გაცემული ეს ფრანგული სიგელი სწორედ მისგან გვაქვს მიღებული. დედას ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ სიგელში მისი ძმის სახელი შეცვლილი იყო — „ალექსანდრეს“ ნაცვლად, „ვახტანგი“ ეწერა. ამ დღიდან ჩვენმა ოჯახმა, ბიძაჩემთან ერთად დაღუპული მეომრების ოჯახების ძიება და სიმართლის დადგენა დაიწყო. პირველად ივანე დინგაშვილის მემკვიდრეებს მივაკვლიეთ სოფელ შილდაში, შემდეგ — ტაბაღუების ოჯახს თბილისში; გავიცანით მისი ქალიშვილი ნანა; ბოლოს ჩვენთან წნორიდან ჩამოვიდა სტეფანე ხატიაშვილის სიძე — ბორის სომხიშვილი.

ალიოშა ხუჭუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მათგან რაიმე მნიშვნელოვანი შეიტყვეთ?

— დინგაშვილების ოჯახმა იცოდა, რომ ვანოს ყირიმში პატარა გოგო ჰყავდა. ომის დამთავრების შემდეგ ბავშვის დედას მოუწერია წერილი და გამოუგზავნია გოგონას სურათი. შემდეგ ისე მომხდარა, რომ სახლი დასწვიათ და ის მისამართიც დაკარგულა, საიდანაც წერილი იყო მოსული. ხატიაშვილების ოჯახში სტუმრობის დროს ქალბატონ მზიასგან შევიტყვეთ, რომ ისინი ისეთ პიროვნებას იცნობდნენ, რომელსაც მის მამასთან, სტეფანესთან ერთად უომია. ეს კაცი წნორთან ახლოს ცხოვრობდა და მასთან წამიყვანეს, — იქნებ შენ მაინც გიამბოს რამეო?! მასთან რომ მივედი, ვუთხარი, — მე და ჩემი მეუღლე ყირიმში ვაპირებთ გამგზავრებას-მეთქი; ვთხოვე, იმ სოფლის სახელი ეთქვა, სადაც ივანე დინგაშვილის ქალიშვილი გვეგულებოდა. მითხრა, რომ იმ სოფელს სარაბუსი ერქვა.

— სხვა რატომ არაფერი ჰკითხეთ?

— მან იცოდა, ვინც ვიყავი და რაიმეს თქმის სურვილი რომ ჰქონოდა, ისედაც მეტყოდა. ახლა ვხვდები, რომ რაღაცის შიშით, საფრანგეთიდან დაბრუნებული ქართველები ბევრ რამეს არ ჰყვებოდნენ...

— მერე სარაბუსში არ ჩახვედით?

— როგორ არა?! მე და ჩემი მეუღლე ყირიმში 1978 წლის ზაფხულში ჩავედით. ევპატორიაში დავბინავდით და მალევე დავიწყეთ ამ სოფლის ძებნა. ქუჩაში მოხუც ქალბატონებს ვკითხეთ და აღმოჩნდა, რომ ყირიმში ამ დასახელების 3 სოფელი ყოფილა; ერთ-ერთი — სიმფეროპოლის მახლობლად მდებარეობდა, სახელწოდებით — გვარდეისკოე („სარაბუსი" კი თათრული სახელი ყოფილა). ამ სოფელში ჩავედით, დავიწყეთ ძებნა და მივაგენით ერთ ოჯახს, საიდანაც შევიტყვეთ, რომ იქ მართლაც იყვნენ ადრე ქართველები. ივანე დინგაშვილის და ყირიმელი მეუღლის მიერ გამოგზავნილი გოგონას სურათები გვქონდა თან წაღებული. ბოლოს ერთი დასახლება მიგვასწავლეს, იქ მოხუცი კაცი, ყოფილი პარტიზანი ცხოვრობდა, რომელსაც ამ ქართველებთან კავშირი ჰქონია. იმ ადგილს ვეძებდი, სადაც ქართული ლეგიონი იდგა. იმ დასახლებაშიც მივედი, უცნობ ქალბატონს გამოველაპარაკე; ვუთხარი, — ისეთ ქართველ კაცს ვეძებ, რომელმაც ომის დროს ყირიმელ ქალზე იქორწინა და გოგონაც გაუჩნდა-მეთქი. ვერაფერი მიპასუხა, ასეთი არავინ სცნობია. მალე გზაზე ერთი ქალი გამოჩნდა. ჩვენი მასპინძელი შეეკითხა, ხომ არ იცნობდა ქალს, რომელსაც ომის დროს ქართველი ქმარი ჰყავდა? — როგორ არა, ეს ჩვენს ტატიანა ეფრემოვაზეა ლაპარაკიო, — მიუგო. გავიხარე, ფოტო გავუწოდე. ეს ლუდმილაა — მისი ქალიშვილი! — ამოიცნო გოგონა. ჩვენი მასპინძელი მაშინვე წამოგვყვა ქალბატონ ტატიანასთან.

— ანუ ვანო დინგაშვილის ყოფილ მეუღლესთან?

— დიახ.

— ლუდმილაც ნახეთ?

— არა. როგორც გვითხრეს, ის ქართულ გვარს არ ატარებდა და სევასტოპოლში პედაგოგად მუშაობდა.

— ტატიანამ რა გიამბოთ?

— მე და ვანო სამოქალაქო წესით შევუღლდით; როცა საბჭოთა არმია ყირიმს ათავისუფლებდა, გერმანელებმა ვანო სხვა ქართველებთან ერთად წაიყვანეს; ფეხმძიმედ ვიყავი, ვანომ მისამართი მომცა და მითხრა, 5 წელი მელოდე, ამ ხნის მანძილზე თუ არ დავბრუნდები, მერე საქართველოში წადით და ჩემი მშობლები მიგიღებენო... ასე აღმოჩნდა ლუდმილას სურათი დინგაშვილებთან შილდაში. თურმე ტატიანა საქართველოში ჩამოსვლასაც აპირებდა, მაგრამ ავადმყოფ დედას უთხოვია, ნუ წახვალო და აღარ ჩამოსულა. ტატიანა მერე კვლავ დაქორწინებულა. მართალია, ყირიმში ყოფნის დროს ლუდმილა ვერ ვნახეთ, მაგრამ მან ჩვენი იქ ჩასვლის შესახებ შეიტყო და მეორე ზაფხულს თავად ჩამოვიდა სამშობლოში. დინგაშვილების ოჯახმა ის დიდი სიყვარულით მიიღო.

დედაჩემის თხოვნით, რეზო თაბუკაშვილი ჟუკევილში ჩავიდა და იქ აღმართული ობელისკის და ბლაის საძმო სასაფლაოს კადრები პირადად გადაიღო

— ტატიანამ ქართველებზე სხვა არაფერი გიამბოთ?

— გერმანელებს 15 ქართველი ლეგიონერი გაჰქცევიათ, საბჭოთა არმიასთან შეერთების მიზნით. გერმანელები ქართველებს საომარ მოქმედებებში თურმე არ იყენებდნენ, რადგან არ ენდობოდნენ; ძირითადად, საწყობების დარაჯებად ამუშავებდნენ. გაქცეული 15 ქართველი დაუჭერიათ, მერე სხვა ქართველებისთვის მიუციათ იარაღი და მათი დახვრეტა უბრძანებიათ. ქართველებს იარაღი დაუყრიათ და ბრძანება არ შეუსრულებიათ. შემდეგ 15-ვე გერმანელებს დაუხვრეტიათ. ეს ქალბატონმა ტატიანამ მიამბო. დღემდე უცნობია ამ 15 ქართველის ვინაობაც. ისინი სამხედრო აეროდრომის მახლობლად განისვენებენ. მანვე დამისახელა ერთ-ერთი მათგანის გვარი — ხუციშვილი; მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ძალიან უყვარდა ტექნიკა და ამ მიმართულებით ამუშავებდნენ. საქართველოში ძებნის დროს მოვინახულე საფრანგეთში ნამყოფი ვახტანგ სეხნიაშვილიც. ეს ადამიანი ახლაც ცოცხალია და დაფასებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ. ადრე, როცა მე და დედაჩემი თელავში მის სანახავად ჩავედით, მან ვინმე ელოშვილის ოჯახში მიგვიყვანა. როცა ოჯახის უფროსმა გაიგო, ვინ ვიყავით, ქალიშვილს ოქროს საათი გამოატანინა და დედაჩემს გადასცა: თურმე ჩვენი მასპინძელი და ბიძაჩემი საფრანგეთში ყოფნისას მეგობრობდნენ, ერთმანეთისთვის ოქროს საათები გაუცვლიათ და მოულაპარაკებიათ — მათ შორის რომელიც ცოცხალი გადარჩებოდა და სამშობლოში დაბრუნდებოდა, საათები მეორის ოჯახში უნდა მიეტანა; ეს საათი ჩემს დას მიეცია, — დაუბარებია ალიოშას. წარმოიდგინეთ, ეს ჩვენთვის რამდენად სასიხარულო და მნიშვნელოვანი ფაქტი იქნებოდა.

— მათ ბიძათქვენის შესახებ სხვა არაფერი უთქვამთ?

— არა. რა როგორ მოხდა, ამაზე არ გვილაპარაკია. მე და დედა მაშინ ხატიაშვილების ოჯახს ვეძებდით და სეხნიაშვილთან თელავის ცნობილმა პედაგოგმა, ალექსანდრე გვენცაძემ მიგვიყვანა. როგორც მოგვიანებით დავადგინეთ, ქართველთა ლეგიონში მყოფნი გერმანელებს ასჯანყებიან. მათ ივანე დინგაშვილი მეთაურობდა. ის ფარულად მოლაპარაკებია საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის პოლონელ პარტიზანებს და გაქცევის ორგანიზებაზე შეთანხმებულან (როგორც შემდეგ გავიგე, პოლონელები XIX საუკუნის დასაწყისში დიდი შიმშილობის დროს მოხვედრილან საფრანგეთში და ქალაქ კარმოსთან ქვანახშირის შახტებში მუშაობა დაუწყიათ). დინგაშვილმა 100-ზე მეტი ქართველი გაიყვანა. 2 გერმანელი ოფიცერი მოუკლავთ, დანარჩენი 7 ტყვედ აუყვანიათ და ტყეში გახიზნულ პარტიზანებს სოფელ ჟუკევილთან შეერთებიან. 1944 წლის 6 აგვისტოს (ისინი 4 აგვისტოს გაქცეულან) 2 პოლონელი დაზვერვაზე გაუგზავნიათ. გერმანელებს 1 დაუჭერიათ და დამუ-

ქრებიან, თუ გაქცეულების ადგილსამყოფელს არ გვეტყვი, ცოლ-შვილს დაგიხვრეტთო. პოლონელი იძულებული გამხდარა, გზა ესწავლებინა. აჯანყებულებისთვის გერმანელების გამოჩენა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ. მათ პოლონელი კაპიტანი, პეტროვსკი თავისი ხალხით და ივანე დინგაშვილი ქართველი მეტყვიამფრქვეველებით შესჭიდებიან. ბრძოლა 3 საათი გაგრძელებულა. აჯანყებული მეომრების ნაწილს თავი ტყისთვის შეუფარებია. ბრძოლის დროს 22 კაცი დაღუპულა, მათ შორის — 4 ქართველი, რომლებიც განრისხებულ გერმანელებს ცოცხლად დაუწვავთ (ივანე დინგაშვილი, ალექსანდრე ხუჭუა, სტეფანე ხატიაშვილი და დიანოზ ტაბაღუა). შემდეგში ყველანი — პოლონელებიც და ქართველებიც ამავე სოფელში დაუსაფლავებიათ, ივანე დინგაშვილის გარდა. მისი საფლავის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. ისინი 3 თვის შემდეგ ქალაქ ბლაიში გადმოუსვენებიათ და ახლაც იქ განისვენებენ — ძმათა სასაფლაოზე. მათ გარდა, იქ დასაფლავებული არიან: გიორგი ობოლაძე, სერგო თორთლაძე, ასევე გ. ცეკვაშვილი და გ. სიჭინავა, რომელთა შესახებაც ქართველი საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ოჯახი ასევე დაუმეგობრდა გიორგი ობოლაძის ძმის — ალექსანდრე ობოლაძის ოჯახს სოფელ ხრესილში. ჟუკევილში დაღუპული ქართველები მოხსენიებული არიან რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტურ ფილმში — „ფურცლები საფრანგეთის დღიურიდან“ და ბევრი ქართველი ისტორიკოსის წიგნშიც. ერთხელ ბატონ რეზოს დედაჩემი დაუკავშირდა. მაშინ ის საფრანგეთში მოღვაწე ქართველებზე და ომის დროს იქ დაღუპულ გმირებზე ფილმს იღებდა. დედაჩემის თხოვნით, იგი ჟუკევილში ჩავიდა და იქ აღმართული ობელისკის და ბლაის საძმო სასაფლაოს კადრები პირადად გადაიღო. ფილმის მესამე ნაწილში — „შინმოუსვლელი მხედრები“ იგი ამბობს, რომ საფრანგეთის კეთილდღეობისათვის არა მხოლოდ ჟანა დ'არკი, არამედ ქართველებიც იბრძოდნენო და აჩვენებს ბიძაჩემის სურათს, თან მისი ფრანგული სიგელის ტექსტს კითხულობს: „შესანიშნავი მეომარი, თავდადების ამაღლებული გრძნობით შთაგონებული, სახელოვნად დაიღუპა კარმოს გათავისუფლებისათვის ბრძოლისას, საიდანაც ფეხი არ მოიცვალა, თავდაცვა გააძლიერა, დიდი ზარალი მიაყენა მტერს და უკან დახევის საშუალება მისცა ბევრ თავის ამხანაგს. იგი ტყვედ იგდეს გერმანელებმა და ცოცხლად დაწვეს. ეს თავგანწირვისა და საერთო საქმის ერთგულების მშვენიერი ნიმუშია. მიენიჭოს ჯილდო — ომის ჯვარი ვერცხლის ვარსკვლავით“. სიგელს ხელს აწერს არმიის კორპუსის გენერალი — კენიგი, პარიზის სამხედრო გუბერნატორი. ოთხივე გმირი საფრანგეთის მთავრობამ ამ ზემოხსენებული გმირობის ორდენით დააჯილდოვა. სხვა ქართველს, შემდგომ იქ ნაომარს, ეს ორდენი არ მიუღია. აქამდე რაც არ გაკეთდა, ის არის, რომ საფრანგეთის მთავრობას არ აღუდგენია ამ გმირებისთვის მათი ნამდვილი სახელები. ჩვენი სურვილი იყო, რომ გაცემულიყო მიღებული ჯილდოს (ომის ჯვარი ვერცხლის ვარსკვლავით) დუბლიკატები, რომლებსაც ოჯახის წევრები რელიკვიად შევინახავდით. თავის დროზე საფრანგეთის მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომა საჭიროა, გამოსწორდეს.

— როგორც ვიცი, ამ თხოვნით, საქართველოში მყოფ საფრანგეთის ელჩსაც მიმართეთ.

— დიახ, მივმართე საფრანგეთის საელჩოს საქართველოში. საელჩომ საფრანგეთიდან მიიღო პასუხი, რომ ისინი უფლებამოსილნი არ არიან, შეასწორონ სიგელში სახელი; მეორე წერილიდან შევიტყვე — დადასტურდა ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ხუჭუა სოფელ ჟუკევილთან გმირულად დაღუპულა, მაგრამ წინააღმდეგობის მოძრაობის დოკუმენტებში მისი სახელი ვერ აღმოუჩენიათ. ვერც იპოვიდნენ, რადგან — აჯანყდა, გაიქცა და 2 დღეში დაიღუპა კიდეც. მერე სიგელი გაიცა ვახტანგ (და არა ალექსანდრე) ხუჭუაზე. წერილში ისიც ეწერა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ოჯახს უნდა მიემართა საფრანგეთის მთავრობისთვის. ან ამას როგორ გააკეთებდნენ, როცა ეს ყველაფერი 16 წლის შემდეგ გავიგეთ?!. მისი მშობლები ისე დაიხოცნენ, შვილის შესახებ არაფერი იცოდნენ. იტალიამ დააფასა ფორე მოსულიშვილი — ეროვნულ გმირად აღიარა; ასევე დაფასებულნი არიან ტექსელის აჯანყების გმირებიც; საფრანგეთში გმირულად დაღუპულებს რატომ არ უნდა მიეგოთ სათანადო პატივი?! მე მხოლოდ ბიძაჩემზე არ მაქვს ლაპარაკი. სათანადოდ არ დაფასდა დათიკო ვერულაიშვილი, რომელიც მისმა ფრანგმა მეგობარმა — პოკარმა გამოაქანდაკა და მეომრის ძეგლი სოფელში დადგა. ის გერმანელებს თურმე ისეთ ზარალს აყენებდა, ტყვედ რომ ჩაიგდეს, ორთქლმავალს გამოაბეს და ისე აწამეს. ამას უჩვენებს ბატონი რეზო თავის ფილმში. ბოლოს მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო: მთელი ჩვენი სანათესავო ამაყობს, რომ ჰყავს ასეთი სახელოვანი, გმირი წინაპარი. არ მინდა, ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ ბიძაჩემსა და მის მეგობრებს მათი კუთვნილი, ღირსეული სახელი არ დავუბრუნო. გმირებს სათანადო პატივი უნდა მივაგოთ. ■

ნინო ჯავახიშვილი

მას „ლიტერატურის ფიროსმანი“ უწოდეს, თუმცა საკუთარ თავს ფიროსმანის ხვედრს არ უსურვებს: ფიროსმანმა სიცოცხლე სადღაც კიბის ქვეშ დაასრულა და სულაც არ მხიბლავს მასავით კიბის ან ხიდის ქვეშ სიკვდილის პერსპექტივაო, — სიცილით მითხრა ზურაბ ლეჟავამ. მწერალი, რომლის ნაწარმოებიც ევროპის საუკეთესო მოთხრობათა ანთოლოგიაში მოხვდა, მშრალ ხიდზე, საკუთარი ხელით გამოთლილ ხის ნაკეთობებს ყიდის და ოჯახს ამით არჩენს.

— ბატონო ზურაბ, მიამბეთ, როგორ მოხვდა თქვენი მოთხრობა ევროპის საუკეთესო მოთხრობებს შორის?

— მოთხრობებს და ლექსებს ბავშვობიდანვე ვწერდი. საერთოდ, კითხვა ძალიან მიყვარდა. ჩემი პირველი შემფასებელი იყო დედაჩემი, რომელიც ფილოლოგი და მთარგმნელი გახლდათ. პირველი მოთხრობები ჟურნალ „ნობათში“ დაიბეჭდა, შემდეგ — „ლიტერატურულ საქართველოში“, ჟურნალებში — „არილსა“ და „ქომაგში“. რამდენიმე კრებული თვითონ გამომცემლების ხარჯითაც გამოიცა. შარშან ლიტერატურულ კონკურსში „გალა“ ჩემი წიგნი — „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში“ წლის საუკეთესო წიგნად აღიარეს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან ვთანამშრომლობ და სწორედ მათ შეარჩიეს ჩემი მოთხრობა ამერიკაში გასაგზავნად. იქ ილინოისის ლიტერატურის ინსტიტუტი ყოველწლიურად არჩევს საუკეთესო ნაწარმოებებს გამოსაცემად. როგორც



ჩემი პირველი შემფასებელი იყო დედაჩემი, რომელიც ფილოლოგი და მთარგმნელი გახლდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლიტერატურის ფიროსმანის“ „ხადავოი ტავარი“ მშრალ ხიდზე



ყწერ იმაზეც, რაც მაწუხებს და იმაზეც, რაც მსიამოვნებს

ჩანს, ჩემი მოთხრობა — „მაცივარი სექსისა წილ“ მოეწონათ და ითხოვეს უფლება, ევროპის საუკეთესო მოთხრობათა ანთოლოგიაში შეეტანათ, რა თქმა უნდა — ინგლისურ ენაზე. ეს იყო შარშან. ამ წლის იანვარში კი წიგნი უკვე გამოიცა.

— ალბათ ძალიან გაგიხარდათ ასეთი მოულოდნელი წარმატება.

— რა თქმა უნდა, წარმატება ყოველთვის სასიამოვნოა, სტიმული და ხალისი მომცა, თუმცა რომ გითხრათ, ისეთი აღტაცებული ვარ, ციდან ვარსკვლავების მოწყვეტის სურვილი გამიჩნდა-მეთქი, მოგატყუებთ.

— მახსოვს, მაშინ პრეზიდენტმა დიდი სიამაყით განაცხადა, რომ თქვენ წარმატება მთელი საქართველოს გამარჯვებას ნიშნავდა. ამით დამთავრდა ყველაფერი?..

— რატომ დამთავრდა? ყველაფერი გრძელდება... არ მინდა, დავაკონკრეტო, მაგრამ ხელშეწყობას ვგრძნობ და იმედი მაქვს, ასეც გაგრძელდება. თუკი ეს წარმატებაა არა მარტო ავტორისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც, ალბათ ჩემნაირ ადამიანებს ყურადღებასაც მიაქცევენ.

— ოპტიმისტი ყოფილხართ...

— ზოგჯერ ოპტიმისტი ვარ, ზოგჯერ — პესიმისტი. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა მჩვევია, რაც კარგი არ არის. საერთოდ კი ვწერ იმაზეც, რაც მაწუხებს და იმაზეც, რაც მსიამოვნებს; ან იმაზე, რაც შემდგომ განსჯის საშუალებას იძლევა. არიან მწერლები, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი დარდი და წუხილი გამოაქვთ სააშკარაოზე. გამოდის, რომ მაშინ სულ „წუხილებზე“ უნდა წერო. მე ეს არ მჩვევია — რაც მამხიარულებს, იმაზე უფრო ხშირად მეწერება. არ მომწონს მწერლებთან დაკავშირებით სიტყვა „შემოქმედის“ გამოყენებაც. შემოქმედი — უფალი ღმერთია. რაც შეეხება პროფესიებს, — შესაძლებელია, ისინი შემოქმედებით და ყოფით პროფესიებად დავყოთ, თუმცა შემოქმედებითი მიდგომა ნებისმიერ საქმეში საჭიროა.

— მაშინ თქვენს ყოფით საქმიანობაზეც მოგვიყვეთ. ხეზე მუშაობა თავად შეისწავლეთ?

— ძერწვა და ხატვა ბავშვობიდანვე მეხერხებოდა, ხეც ნელ-ნელა „გავითავისე“ და ამ ფიგურების გამოთლა დავიწყე. ძალიან მსიამოვნებს მუშაობის პროცესი, ზოგისთვის კი ეს ძნელი და რთული საქმეა. ხშირად უთქვამთ: შენ ალბათ კარგი ნერვები გაქვს, ამას რომ აკეთებო. წარმოიდგინე, მათ ნერვები ეშლებათ, მე კი პირიქით — სიამოვნებასა და სიმშვიდეს მგვრის ხეზე მუშაობა. სხვათა შორის, არც ეს არის ყოფითი პროფესია. რატომ? — ესეც ხომ მხატვრობაა!

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ამით გიწევთ ოჯახის რჩენა — სწორედ ეს ვიგულისხმე...

— დიახ, ასეა. ცოლი და 2 შვილი მყავს, მაგრამ აქ დგომით დიდი არაფერი გამოდის: ძალიან ცუდად იყიდება. ზოგჯერ წვიმს, ზოგჯერ ქარია და ვინ მოვა რამის შესაძენად?! დღესაც არ ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ მაინც მოვედი — იქნებ ვინმეს რაიმე დასჭირდეს. ძირითადად, უცხოელები ყიდულობენ, ზოგჯერ ქართველებიც არჩევენ საჩუქრად.

— ცნობილი ადამიანებიდან აქ მხოლოდ ლენინსლა ვხედავ. დანარჩენები გაიყიდა?

— გაიყიდა. იყო სტალინი, ჰიტლერი, ობამა, პუტინი...

— თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსებს არ „აკეთებთ“?

— რა თქმა უნდა, ძალიან „ხადავოი ტავარია“ და რატომაც არ „გავაკეთებ“?! ახლა ყველა გაყიდულია და თუ შეკვეთა იქნება, კიდევ „გავაკეთებ“.

— მაინც ვისზეა ყველაზე დიდი მოთხოვნილება?

— მოდი, პოლიტიკოსებს თავი დავანებოთ, რა: მაგათი თავი არ მაქვს...

— კარგი. ისე, ეს პატარა კაცუნები გამოთლის პროცესში პრეტენზიულები ხომ არ არიან?

— (*იცინის*) მამილო კარლო რომ ვიყო და ბურატინოებს ვაკეთებდე, სხვა საქმე იქნებოდა: შეიძლება, მათ გამოთქვან რაიმე პრეტენზია — დიდი ან პატარა ცხვირი გვაქვსო, მაგრამ ჩემი ნამუშევრებისთვის ასეთი პრეტენზიულობა არასდროს შემიმჩნევია... ■



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშვილიანი ოჯახის ბედნიერი ცხოვრება და წლებით განმტკიცებული სიყვარული

„როცა ჩემს გადასაკოცნად რიგში ჩამდგარი შვილების ბედნიერ სახეებს ვხედავ, ყველაფერი მავიწყდება"

ბოხუების სახლში მისულს, მხიარული და ცქრიალა დიასახლისი შემომეგება, რომელსაც გარშემო სხვადასხვა ასაკის, მაგრამ ერთნაირად ლამაზი ბავშვები ეხვია... „დავითი 13 წლის არის, ანანო — 12-ის, გიორგი 5 წლისაა, მომდევნო — ილია 2-ის, ყველაზე პატარა — ნიკოლოზი ახლახან 3 თვის გახდა", — ასე გამაცნო მომხიბვლელმა დედამ თავისი დიდი ოჯახი და გაღიმებული პატარები დივანზე ჩამოამწკრივა... ბავშვები თავიდან უცხოობდნენ, მაგრამ მალევე გამიშინაურდნენ... ამ დიდი სახლის პატარა დიასახლისს მრავალშვილიანობა წარმატებულ კარიერაში ხელს სულაც არ უშლის. იგი ერთ-ერთ ორგანიზაციაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს და საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს.

ლალი პაპასკირი

— ია, ვიცი, რომ პროფესიით ჟურნალისტი ხართ, მაგრამ ამ სპეციალობით არასდროს გიმუშავიათ...

— დიახ, ჩემი პირველი პროფესია ჟურნალისტობაა. სტუდენტობის დროს რამდენიმე გამომცემლობასთან თანამშრომლობა ვცადე, მაგრამ ვინაიდან ეს პროფესია შრომატევადი და მცირედანაზღაურებადია, თავი დავანებე. თან ამ დროს უკვე დაოჯახებული ვიყავი... მართალია, ჟურნალისტად დიდხანს არ მიმუშავია, მაგრამ ამ სფერომ კომუნიკაბელური გამხადა. მოგვიანებით, მეუღლის რჩევით, სხვა ფაკულტეტზე ჩავაბარე და ახლა იმ სპეციალობით ვმუშაობ — ერთ-ერთ კომპანიაში ცხელი ხაზის სამსახურს ვხელმძღვანელობ, სადაც ჩემს მდგომარეობას ითვალისწინებენ და ცდილობენ, მხარში ამომიდგნენ.

— თქვენს ოჯახზეც მიამბეთ, დღესდღეობით 5 შვილის გაზრდა ალბათ გმირობის ტოლფასია, არა?

— დიახ, მართლაც ასეა, მაგრამ რაც უნდა გასაკვირი იყოს, 1 შვილი რომ გვყავდა, მაშინ უფრო გვიჭირდა... არც სტაბილური სამსახური გვქონდა და 1 ბინიდან მეორეში გადასვლა გვიწევდა. შემდეგ, უფლის წყალობით, ყველაფერი დალაგდა... ქონება თავზე არ გადაგვდის, მაგრამ არ ვწუწუნებთ, მე და ჩემს მეუღლეს სამსახურიც გვაქვს და რაც შეგვიძლია, შვილებს არაფერს ვაკლებთ.

— ია, 5 შვილის აღზრდაში ვინ გეხმარებათ?

— მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი სტუდენტობისას შევქმენით. პირველი მუცელი მომეშალა და 4 წელი შვილი არ გვყავდა, რასაც ძალიან განვიცდიდით... 4 წლის შემდეგ, ღმერთის წყალობით, პირველი ვაჟი — დავითი გაგვიჩნდა, მას კი წელიწად-ნახევარში ანაც მოჰყვა. შემდეგ კი, ერთიმეორის მიყოლებით 3 ვაჟი — გიორგი, ილია და ნიკოლოზი შეგვეძინა... ამდენი ბავშვის გაზრდა ადვილი არ არის, მაგრამ პატარების მოვლაში უფროსები გვეხმარებიან. სანამ ჩვენ სამსახურში ვართ, ბავშვებთან ჩემი დედამთილია. შუადღისთვის სკოლიდან დავითი და ანანოც ბრუნდებიან და ბებიას ისინიც ეხმარებიან.

— როგორც მითხარით, მეუღლე მუშაობს, ხომ?

— დიახ, ჩემი მეუღლე — ვაჟა თავდაუზოგავად შრომობს და ცდილობს, ოჯახს არაფერი მოაკლოს... გამიმართლა და მისი სახით, ღირსეული ადამიანი შემხვდა. მეც ვცდილობ, როგორც შემიძლია, ხელი მოვუმართო.

— ვიცი, რომ დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, თქვენს მეუღლეს განსაკუთრებული დღეების აღნიშვნა არასდროს ავიწყდება...

— დიახ, დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ, ცოტაოდენი განტვირთვა, აუცილებელია... შეიძლება, ცოლის პოზიციიდან ცოტა უხერხულიც იყოს, მეუღლის ამდენი ქება, მაგრამ ვაჟა ის ადამიანია, რომელიც თავისი ოჯახის ბედნიერებისთვის ყველაფერს აკეთებს... რაც უნდა დაკავებული ან დაღლილი იყოს, ყოველთვის პოულობს დროს, რომ ორ-სამ თვეში ერთხელ, კინოში ან კონცერტზე წავიდეთ. წინადღეს გამაფრთხილებს, რომ ხვალ საღამოს არაფერი დავგეგმო, — კინოში გეპატიჟებიო. მისი ინიციატივით, ყოველ წელს აღვნიშნავთ ჩემი დაბადების დღეს... ყოველ 3 და 8 მარტს ყვავილების თაიგულს მიძღვნის... მეუღლის ასეთი დამოკიდებულება კი, სტიმულს მაძლევს და ყოველი დღის გათენება მიხარია... როცა შეყვარებულები ვიყავით, მაშინაც ასეთი ყურადღებიანი იყო. ხელფასი 30 მანეთი ჰქონდა, მთელი თვის განმავლობაში ფეხით დავდიოდით, მაგრამ თვის ბოლოს, ხელფასს რომ აიღებდა, „ლაღიძის წყლებში" დამპატიჟებდა; მომდევნო თვე ისევ ფეხით დავდიოდით, მაგრამ ძალიან ბედნიერები ვიყავით და ეს სიყვარული აქამდე მოგვყვება...

— არადა, ამბობენ, ოჯახი გრძნობას ანელებსო...

— არ დაიჯეროთ... მართლაც ბევრს უკვირს, როგორ ვახერხებთ ასეთი ურთიერთობის შენარჩუნებას, მაგრამ მთავარია, ადამიანები ოჯახის პასუხისმგებლობას არ გაექცნენ და ერთმანეთის პატივისცემა შეინარჩუნონ. თუ ეს „ბარიერი" გადალახეს, სიყვარული მეტად მტკიცდება... დილას რომ ავდგები, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა მივხედო, სულ რაღაც 20 წუთი მყოფნის თავის მოსაწეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანანო და ილია

რიგებლად. მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებ დანარჩენი საქმის გაკეთებას: ბავშვებს უნდა ჩავაცვა, ვაჭამო, ნაწილი სკოლაში გავუშვა... სამსახურიდან დაბრუნების შემდეგაც ასე ვიქცევი, 20-25 წუთი დავისვენებ და შემდეგ ბავშვებს მოვესიყვარულები. სანამ ჩემი მეუღლე სამსახურიდან მოვა, ვცდილობ, ყველაფრის გაკეთება მოვასწრო, რომ მასთან ურთიერთობის დრო მქონდეს. ამიტომაც, რაც უნდა დაღლილი ვიყო, ვცდილობ, სახლი მოწესრიგებული დავახვედრო, ბავშვებმა არ შეაწუხონ. არ მინდა, რომ მას სახლში გაღიზიანებული და მოუწესრიგებელი ცოლი დახვდეს; შინ დაბრუნება უნდა უხაროდეს... როცა კარს გავაღებ და ჩემს გადასაკოცნად რიგში ჩამდგარი შვილების ბედნიერ სახეებს დავინახავ, ამქვეყნად ყველაფერი ცუდი მავიწყდება... სამსახურის შემდეგ, განტვირთვისთვის, აუზზე და ფიტნესკლუბში წასვლა არ მჭირდება, ოჯახური ბედნიერება ჩემთვის ყველაფერია და იმაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე რომელიმე გასართობი ცენტრი. ასეთივე განწყობილება მინდა, ჩემს მეუღლესაც რომ ჰქონდეს... იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი გრძნობა ყოველდღიური, ოჯახური პრობლემების გამო არ გახუნებულა, ამდენი წელია ერთად ვცხოვრობთ, ერთმანეთზე ვზრუნავთ და პასუხისმგებლობასთან ერთად, ერთმანეთის მიმართ მეტი ნდობა გაგვიჩნდა... მაშინ ვარ ბედნიერი, როცა იმას ვაკეთებ, რაც ჩემს მეუღლეს სიამოვნებს.

— საოცარია, რომ დღემდე ასეთი შეყვარებული ხართ...

— დიახ, ყველა ასე გვეუბნება, მაგრამ მართლა ასეა. ამ გრძნობის გამო ბევრი რამე გადავიტანე... როცა სტუმრად მივდივართ, უცხო ადამიანებს საყვარლები ვგონივართ, — დაუჯერებელია, ამდენი ხნის ცოლქმარს ასეთი თბილი ურთიერთობა ჰქონდეთო...

— ალბათ ნათესავებიც გეხმარებიან, არა?

— რა თქმა უნდა, ჩემი და მეუღლის ოჯახის წევრები გვეხმარებიან. ჯერ ჩემი პატარა ბიჭი — ნიკოლოზი, ჯერ მხოლოდ 3 თვის არის და მას შემდეგ, რაც სამსახურში გავედი, ბავშვთან ჩემი დედამთილი რჩება.

ქალბატონი მადონა, *იას დედამთილი:*

— მე და ჩემი მეუღლე ნებაყოფლობით „განვქორწინდით“, რომ ჩემს რძალს შვილების აღზრდაში მივეხმარო (*იღიმება*). შვილების გაზრდა ქალისთვის ყველაზე დიდი და ღირსეული საქმეა. შეიძლება, ყველას უმაღლესი განათლება ვერ მივცეთ, მაგრამ მთავარია, პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ და ქვეყანას გამოადგნენ... ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამდენი შვილიშვილი მყავს... 60 წელს კარგა ხანია, გადავაბიჯე, მაგრამ როცა ჩემს შვილიშვილებთან ვარ, მათი ტოლი ვხდები, ერთად ვთამაშობთ, ერთი ჭკუისანი ვართ... პრობლემებიც გვქონდა, მაგრამ მეტი სიკეთე მარგუნა განგებამ და უფლის მადლიერი ვარ.

უფროსების საუბარს პატარა ანაც ისმენდა და ცდილობდა, თამაშის ხასიათზე მყოფი პატარა ძმები იქაურობისთვის გაერიდებინა. გოგონას საოცრად ჭკვიანი თვალები აქვს და თავისი ასაკისთვის ზედმეტად სერიოზულიც კი არის.

— ანა, დედას ეხმარები?

— კი, ვცდილობ, მას შრომა შევუმსუბუქო... დედიკო სამსახურიდან ხშირად დაღლილი ბრუნდება და არ მინდა, ჩემმა ძმებმა შეაწუხონ. ცოტას რომ ამოისუნთქავს, მერე თვითონ რჩება ბავშვებთან, მე კი ამ დროს გაკვეთილებს ვამზადებ...

— ყველაზე მეტად რომელი გაბრაზებს?

— დავითი... უნდა, ყველაფერი მისი სურვილის მიხედვით გავაკეთო და თუ რამე არ მოეწონა, მეჩხუბება...

ამასობაში ბოხუების უფროსი შვილი, 13 წლის დავითი სკოლიდან დაბრუნდა. მოზარდს აღნაგობაზე ადვილად შეამჩნევდით, რომ სპორტს მისდევს. დიდი კაცივით მოგვესალმა, მერე კი უმცროს ძმებს მოეფერა.

— დავით, რატომ აბრაზებ ანანოს? ამდენ კაცს ერთი გოგო გყავთ, — *გავუშინაურდი ბუთხუზა ბავშვს. პასუხად თბილად გამიღიმა და დაიმორცხვა. ანანომ კი გული გადამიშალა,* — ძალიან მინდოდა, ერთ-ერთი მაინც გოგო ყოფილიყო, მაგრამ ყველა ბიჭი დაიბადაო.

ნიკოლოზი ახლახან 3 თვის გახდა

დავითი:

— ანას კი არ ვეჩხუბები, რჩევას ვაძლევ ხოლმე... ყველაზე დიდი ჩხუბი კომპიუტერის გამო გვქონდა, მაგრამ ახლა დრო ისე გადავანაწილეთ, რომ საბოლოო შეთანხმებას მივაღწიეთ... სკოლიდან რომ მოვდივართ, მე და ჩემი ძმები სახლში ვჭიდაობთ. ისე, სპორტულ დარბაზში დავდივარ საჭიდაოდ. ამას წინათ ზვიად ზვიადაურმა მნახა და მითხრა, — კარგი მონაცემები გაქვსო. 2015 წელს, საქართველოში ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ტარდება, მე მაშინ 17 წლის ვიქნები და მონაწილეობას ვაპირებ. მწვრთნელები მეუბნებიან, კარგად უნდა მოემზადოო... მანამდე ჯერ საკმაო დროა და ვნახოთ, რა გამომივა.

ია:

— როგორც ყველა ბავშვს, ამათაც სჭირდებათ ყურადღება გაკვეთილების მომზადების დროს. ხშირად ღამის 1-ელის ნახევრამდე ვსხედვართ და ვმეცადინეობთ... შაბათ-კვირას ვისვენებთ და ვცდილობთ, ყველა ერთად თუ არა, სათითაოდ მაინც გავიყვანოთ გარეთ. ზოგჯერ ჩემს ძმასაც მიჰყავს თავის შვილებთან ერთად სასეირნოდ... ახლახან გავიგე, რომ მრავალშვილიანი ოჯახების შვილები უმაღლეს სასწავლებელში გადასახადისგან გათავისუფლდებიან, რასაც ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მარტო ბავშვის გაჩენა არ არის მთავარი, განათლებაც სჭირდებათ და თუ სახელმწიფო ამ შეღავათს დააწესებს, მართლაც რომ ბედნიერი ვიქნები. ■

40 წლის შემდეგ
ნაპოვნი დედის აღსარება

2007 წლის თებერვალში საბერძნეთიდან მესიჯი მივიღე — 42 წლის ქალბატონი დახმარებას გვთხოვდა, ბიოლოგიური დედა მაპოვნინეთო. „მობილი-ზაციაში“ შესაბამისი განცხადება განვათავსე, მაგრამ კარგა ხანს არავინ შემხმიანებია. 1 თვის შემდეგ მამაკაცმა დამირეკა და ნატოს ტელეფონის ნომერი მთხოვა — მისი დეიდაშვილი ვარ, დედამისიც აქვეა, გულწასულს ასულიერებენო. ნატოსა და დედამისის ურთიერთობა ტელეფონით დაიწყო (ნატო მხოლოდ 3 წლის შემდეგ ჩამოვიდა საბერძნეთიდან). ბუნებრივია, დედასთან უამრავი კითხვა ჰქონდა. უპირველესი კი — რატომ გააშვილა წლინახევრის ასაკში. ქალბატონი თინა სამაჩაბლოში ცხოვრობს. მან შვილს ვრცელი წერილი გაუგზავნა, სადაც დაწვრილებით ჰყვებოდა თავის ტკივილიან თავგადასავალს. ახლა ამ წერილს გთავაზობთ, შემდეგ ნომერში კი ნატო თავისი განცდების შესახებ თავად მოგიყვებათ (წერილი შემოკლებულია, სტილი — დაცული).

მარი ჯაფარიძე

„ჩემო საყვარელო, ყველაფერს ჩავწერ ახლა სიმართლეს და დაე, ჩემმა შვილმა განაჩენი თვითონ გამომიტანოს უბედურ დედას....

1964 წლის დეკემბერი... რუსთავში ვიზრდებოდი, ძმასთან — იქ ვსწავლობდი. სოფელში, მშობლებთან ჩამოვედი და მეორე დღეს ერგნეთში, დასთან წასვლა გადავწყვიტე. ზნაურის ავტოსადგურზე ვიყავი. მაღალმა, შავგვრემანმა ბიჭმა ამიარ-ჩამიარა და გამიკვირდა, ეს სოფლელი ტეტია რას ჩამაცივდა-მეთქი?! მოვიდა ჩემთან და მკითხა, — ცხინვალში მიდიხარო? დიახ-მეთქი. გამეცნო, ბალთელი ვარ, ცხინვალში „შოფრად“ ვმუშაობო. სანამ ცხინვალში მივიდოდით, ავტობუსი გაფუჭდა და ამასობაში დაღამდა კიდეც. ნოდარმა მითხრა, შენს დასთან ტაქსით მიგიყვანო. არ შემშინებია, ერთი რაიონიდან ვართ-მეთქი. სახლის ნაცვლად მამიდაშვილებთან მიმიყვანა. მანქანიდან არ გადმოვდიოდი, მაგრამ მტაცა ხელი და ციმციმ შემიყვანა გოგონებთან — 2 დანი იყვნენ. შემშინებული მივეკარი გოგონებს — ნუ დამლუპავთ, შეყვარებული მყავს-მეთქი. გოგონებმა გამიგეს და ნოდარს ჩხუბი დაუწყეს, — თუ არ უნდიხარ, ძალით ხომ არ შეირთავო?! არა, ჩემი ცოლი უნდა გახდესო!

3 დღე მათთან ვიყავი, ვერ დამიმორჩილა. მერე მითხრა, მანქანას მოვიყვან და თუ არ გინდივარ, ისევ შენს დასთან მიგიყვანო. გამიხარდა და გავყევი, მაგრამ ამჯამად მარტოხელა მამიდასთან ამომაყოფინა თავი. აქაც ერთი ამბავი ავტეხე, მაგრამ სახლში მაინც შემიყვანა. მის მამიდას „უპოლო“ სახლი ჰქონდა. მეორე ოთახში შევვარდი და კარი ჩავკეტე. 5 დღე მშიერ-მწყურვალი ვიყავი. მეექვსე დღეს ფანჯრის მინა ამოიღო და ისე შემოვიდა. სადისტურად დამიმორჩილა. მთელი სახე და ტანი დაკაწრულ-დალილავებული მქონდა. თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ შევეგუე ყველაფერს. მეზობლის გოგოს ჩემი დედამამისა და სოფლის მისამართი მივეცი. დაურეკეს მამაჩემს და ის და ჩემი სიძე მოვიდნენ. სიძემ ასე დალურჯებული რომ დამინახა, გაგიუდა. — თინა, ძალითო?! — კი-მეთქი, — მივუგე. მამას ჩემი წამოყვანა უნდოდა, მაგრამ სიძემ უთხრა, — სად წავიყვანოთ, გაბახებულია და სადღა გამოვყოთ თავიო. ასე შემოვრჩი ნოდარს. რუსთავში, თავის მამინაცვალის ძმასთან წამიყვანა და იქ დავბინავდით. ჩემს ძმასთან ხშირად მივდიოდით. ძმას ცოლი ჰყავდა, აბისისთავიდან. თავიდანვე ამომიჩემა რძალმა და სკოლაშიც რომ დავდიოდი, მაშინაც არ მახარებდა. მე და ნოდარს რომ გვხედავდა, ინფარქტი ემართებოდა.

ფეხმძიმედ ვიყავი. ჩემი ძმა გადაეკიდა, — რას მიზიხართ აქ, ხალხი რუსეთში დადის, ფული და მანქანები ჩამოჰყავთ, როდემდე უნდა გარჩინოთო? — შეწუხდა ნოდარი, საყვედურების ატანა აღარ შეეძლო.

ერთ დღეს გამომიცხადა, — თინა, შენს ძმას უნდა, რომ რუსეთში წავიდე და მივდივარ; ბინას, სამუშაოს ვიშოვი, ჩამოვალ და წაგიყვანო. ელდა მეცა.

წავიდა ნოდარი. უკანასკნელად მომეხვია, ჩამკოცნა და ტირილით გაიხურა კარი. ძმასთან ვიყავი ხოლმე, მაგრამ ვაი იმ ყოფნას. სულ მეჩხუბებოდნენ, — შენ უნდა გარჩინოთ თუ შენი შვილიო?! ყველაფერს ვიტანდი, მაგრამ ერთ დღესაც, ველარ მოვითმინე და შევკადრე რაღაცები. ძმამ არ დამინდო, ფეხმძიმე ქალი მცემა. მშობლებს გავაგებინე, ჩამოვიდნენ და წამომიყვანეს. დავრჩი სოფელში.

ნოდარისგან არაფერი ისმოდა. როგორც იქნა, წერილი მივიღე, ტაშკენტში ვარ და ჩამოდიო. დედა ლამის გაგიჟდა, რუსული არ იცი, სად უნდა წახვიდე, დღე-დღეზე ხარ მოსალოგინებელიო.

1966 წლის 31 დეკემბერს, დილის 3 საათზე, ხუთდღიანი ტკივილების შემდეგ მუცლიდან ბავშვი ამომიყვანეს.

ნარკოზიდან რომ გამოვედი, პატარა მომიყვანეს და მითხრეს, — თინიკო, ნახე, რა კარგი გოგო გყავს, 5 კილო და 500 გრამიაო. მე ვუპასუხე, — მომაშორეთ თავიდან, ნახვაც არ მინდა, ეგეც ჩემნაირი უბედური იქნება-მეთქი. ახლოს არ მიგიკარე. დედა მეჩხუბებოდა, ძუძუ მოაწოვე, მოკვდებაო. მოკვდეს-მეთქი. დამიყვავეს, ბავშვი მომიგდეს და სუყველამ დამტოვა. ატირდი... რაღა უნდა მექნა? მოგაწოვე ძუძუ და მერე ჩემში დედობრივმა გრძნობამაც გაიღვიძა...

იზრდებოდი ჩემი პატარა, შავტუხა გოგო... ჩემი საბრალო დედა ავად იყო... ცალკე დედას ვუვლიდი, ცალკე — ჩემს მამით ობოლ ბავშვს, ცალკე — პატარა ძმას. 2 თვის იყავი, როცა ძმამ რაღაცაზე გამაბრაზა და ჩექმა ვესროლე. ბიჭი წაიქცა და მამამ საყვედური მითხრა, — რა იყო, შვილო, რამ გაგაბოროტა, შენც გინახავ, შენს შვილსაც და გაზრდილ ბიჭს მიკლავო? მეწყინა. თურმე, სამადლო პურს ვჭამდი. გაგახვიე და ერგნეთში წავედი. ჩემს დას ფული ვთხოვე. 300 მანეთი მომცა. ნოდარს დეპეშა გავუგზავნე, მოვდივარ-მეთქი. გადავფრინდი ტაშკენტში. არავინ დამხვდა. ბინაზე მივედი ტაქსით. იქ მითხრეს, აქ იყო და დეპეშა მიიღო თუ არა, გადავიდაო.

სამხედრო კომისარიატში მივედი და იქ მომცეს მისამართი, — ჩიმკენტში არისო. იქაც ჩავედი. ვეძებე და ვიპოვე, მაგრამ ნოდარი დაიმალა. სხვა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ჰყავდა. ფეხმძიმედ იყო ისიც.

იქიდან რომ დავბრუნდით, შენ უკვე 6 თვის იყავი. დედა ცოცხალი აღარ დამხვდა, ჩემი და ინგას დარდმა იმსხვერპლა. დედამთილს შევეხვეწე, შემინახე ცოტა ხნით ბავშვი, წავალ რუსთავში, ვიმუშავებ, ბინას ვიშოვი და წავიყვან-მეთქი. უარი არ უთქვამს. დაგიტოვა და მე რუსთავში, ქარხანაში ამიყვანეს პრაქტიკანტად. 60 მანეთი მქონდა ხელფასი, ისევ ძმასთან ვცხოვრობდი. თებერვლის ცივი საღამო იყო, თოვდა, ჩემმა მულმა ბავშვი ჩამომიყვანა. ჩემი ძმა ღამის 1-ელ საათზე მოვიდა. რძალმა მაშინვე მიახარა, — შენი და არ მყოფნიდა, ახლა ამისი ნაბუშარიც ვზარდოო? ძმამ უთხრა, — ნაბუშარი არ არის, მაგას ქმარი ჰყავდაო. ატეხეს ჩხუბი და ძმამ მომახალა, — თქვენი გულისთვის ოჯახი მენგრევა, წადი და მოშორდი აქაურობასო. ღამის 1-ელ საათზე სად უნდა წავსულიყავით? აგიყვანე. ჩემს მულსაც ვუთხარი, წამოდი-მეთქი. ის ჩემს მეგობარ გოგონებს ჩავაბარე, ხვალ წავა-მეთქი. მე კი შენიანად უკან გამოვბრუნდი. პარკს გავცდი და დაბლა, მტკვრისკენ დავეშვი. დავიღალე. მძიმე იყო ჩემი უიღბლო გოგონა. მტკვართან ჩამოვჯექი. გეძინა, მე ჩაგჩურჩულებდი — შვილო, კარგია, რომ გძინავს, ვერ გაიგებ, დედა როგორ გადაგაგდებს წყალში-მეთქი. თან, ვტიროდი და გკოცნიდი. ვილაცების ხმა გავიგონე. გოგო და ბიჭი იყვნენ. ნეტავ, ადამიანია თუ ქაჯი? ვუპასუხე, — ქაჯი რადა ვარ, ადამიანი ვარ-მეთქი. — ბავშვიანად ამ შუაღამისას აქ რას აკეთებო? — ძმამ გამომაგდო და სად წავიდე? ჯერ ბავშვს გადავაგდებ წყალში და მერე თან მე გადავყვები-მეთქი. ქალმა ბავშვი გამომართვა, წავედითო. სახლში მიმიყვანეს. იმათთან 2 კვირა ვიყავი — ახალბედა ცოლქმარი იყო. მერე „პადვალში“ ბინა ვიქირავე და „სმენებში“ სამუშაოდ გადავედი. მარტო ჩაგკეტავდი ხოლმე ოთახში, ხან ხმელა პურს დაგიდებდი ლოგინზე, ხანაც უპუროდ გტოვებდი და მივდიოდი „სმენაში“. შენ ხან ჩამოცოცდებოდი დაბლა, ხან კი ცემენტზე დაეცემოდი, იტირებდი და ჩაგეძინებოდა. ღამის ცვლაში ვიყავი, როცა ძლიერი ტკივილებით საავადმყოფოში მიმიყვანეს. ტუბდისპანსერში გადამიყვანეს. დილით შენც იქ მოგიყვანეს, მაგრამ კარიდან მაჩვენებდნენ ხოლმე შენს თავს. ხან ექთანი გივლიდა ცალკე პალატაში, ხან — დამლაგებელი. ჩემი მეზობელი ქალი იყო, მარო. ხშირად მოდიოდა ჩემთან, ერთ ქალთან ერთად. ერთ დღეს მარო შემოვიდა და მითხრა, — ექიმთან ვიყავი და მითხრა, შენი მორჩენა არ შეიძლება, ბავშვი მაინც მოგიკვდება და გააშვილეო. არა-მეთქი. რა ქრთამი გაიღო, დღესაც არ ვიცი. ერთ დღეს ექიმმა მითხრა, — რას გაჯიქდი, ხომ იცი, მძიმე ავადმყოფი ხარ, მიეცი ბავშვი, ის მაინც გადარჩესო. დავფიქრდი, — მე სიკვდილი მიწერია და დაე, ინგამ იცოცხლოს, დაე, ჩემს უბედურებაზე ვიღაცამ იბედნიეროს-მეთქი. გავიმეტე ჩემი ობოლი გოგო და გაშვილებას დავთანხმდი. უკანასკნელად მოგიყვანეს... ხელიდან წავგლიჯე ბავშვი და გულში ჩავიკარი. ბავშვმა ყელზე ხელები შემომაჭდო და — და-და-და, იძახდა. ძლივს მომაშორეს გულიდან ბავშვი. თითქოს გრძნობდა, რომ დედას სამუდამოდ ემშვიდობებოდა. არ ვყოფილვარ განწირული — სველი პლევრიტი მქონდა. 4 წლის განმავლობაში ბორჯომში, აბასთუმანში, ყირიმში მატარეს და განვიკურნე. მაროსთან მივედი რამდენჯერმე და ვკითხე შენი ასავალ-დასავალი. არ მითხრა, — არ ვიცი. შემძულდა რუსთავი. რუბეროიდის ქარხანაში მოვეწყე ბრიგადირად. იქ დანადგარის მოტორმა ჩემი ქურთუკის ცალი გვერდი ჩაიხვია... სანამ შემეძლო, ვყვიროდი, მერე აღარაფერი მახსოვს... ხელი მქონდა მოწყვეტილი, ფეხი — მოტეხილი, ნეკნები — ჩამტვრეული. 1 წელი და 9 თვე ვიწექი. შემდეგ სოფელში დავბრუნდი, გაუმართავ სახლში. 2 ოთახი როგორღაც შევაკოწიწე და ვარ ახლა აქ, სოფელში. ზოგმა სიმინდი და ლობიო მომცა, ზოგმა მწვანილის თესლი. შევეჭიდე 30 წლის დაუმუშავებელ მიწას.

ჩემო ინგა... შენ ახლა ნატო გქვია, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის ინგა იყავი, წლების განმავლობაში. ნატოს კი არა, ინგას ვეძებდი, ინგას ვჩურჩულებოდი — სად ხარ, შე დედამკვდარო? ვინ ხარობს, დედიკო, შენით ან როგორ ხარ, დედი? აი, ასე გეჩურჩულებოდი, ჩემო შვილო. მეზობლები მეტყოდნენ ხოლმე, ნუ დარდობ, თუ ის ცოცხალია და შეგნებული, აუცილებლად მოგძებნისო. ვეტყოდი ხოლმე, რად მინდა მისი მოძებნა, რა ვუთხრა? რითი ვიმართლო თავი ჩემს თაფლისფერთვალება გოგოსთან? მე რა დედა ვარ-მეთქი, მაგრამ ახლა ნიშნს მიგებენ, — ხომ ნახე, მოგძებნა შვილმაო.

შენი განცხადება ვნახეთ ჟურნალში 17 მარტს, 18-ში კი ჩემი და და დისშვილი მოვიდნენ, გიჟივით ვიყავი. ანზორი (*დისშვილი — რედ.*) თბილისში იყო და იქიდან დაგვირეკა, რაშია საქმე, მართლა ინგა გამოჩნდაო?! მე ტირილით ვპასუხობდი, ახლა უნდა მიშველოთ-მეთქი. დეიდა, დაწყნარდი, საბერძნეთში კი არა, ცასა და დედამიწას შევძრავ და ვიპოვითო. მთელი ღამე ფეთრად გავატარეთ. პირველად ვერ შევძელი ლაპარაკი. დას მივეცი ტელეფონი და იმ დღის მერე ჩემი ტანჯვა დაიწყო.

აი, ასე იყო, ჩემი გოგო, ყველაფერი. მე თუ ცოცხალს ვერ მნახავ, ყველაფერი გეცოდინება.

ვიცი, რომ ბევრი ცრემლიც წამოგცვივა მაგ თაფლისფერი თვალებიდან. მარტო რომ იქნები, შენთვის ჩაიკვნესებ, — დედი, რად მიმატოვე? დედი, სხვისი გასაზრდელი რად გამხადე? სხვას რატომ ვეძახდი დედას? მამას? გულს ლახვარი მეცემა ხოლმე...

თავს გაუფრთხილდი, დედიკო. ამ ბოლო ფურცლებს ცრემლით ვწერ. დაე, დედის ცრემლებმა შენც აგატიროს, მაგრამ ამ ცრემლებმა შენი და შენი ქმარ-შვილისთვის განკუთვნილი დარდი და ვარამი თან წაიყოლოს, ჩემო დედითაც და მამითაც ობოლო შვილო. მითხარი, — ბალახს მოვძოვდი და ისე გავზრდიდი შვილსო... მეც ასე ვიზამდი, დედიკო, საავადმყოფოს 4 კედელშუა რომ არ ვყოფილიყავი, მაგრამ ზეციერმა ყველანაირად გამწირა. ტანჯვად მექცა წუთისოფელი. ღმერთს სიკვდილს ვეხვეწებოდი. ახლა აღარ მინდა სიკვდილი, სანამ არ გნახავ. მე ხომ გულისტკივილი 22 წლის შემდეგ მაქვს... პენსია სულ წამლებში მიმდის... ახლა ჩემთვის წამალს ფასი აღარ აქვს... ახლა მხოლოდ მონობარათები მინდა, რომ დაგირეკო და ჩემი ტანჯული გოგოს ხმა გავიგონო. დედის ალალი გული დაგყოლია, შვილო... გინდა, დედა დაარწმუნო, რომ ყველაფერი გადახარშე. არა, დედი, არა, დედას ვერ მოატყუებ, ასეთ რამეს არ ივიწყებს არავინ. შენს გულსაც შეჰპარვია დედიკო, ტკივილი... გულს გაუფრთხილდი, დედი, გულს! ასე მგონია, ისევ გარიყული ხარ, ჩემო გოგოვ. დედას რომ დაიძახებენ, მივიხედავ ხოლმე. მე ხომ მოკლებული ვარ ამ ბედნიერებას, მაგრამ არ გამტყუნებ, დედი, ღმერთმა დასასჯელი დასაჯა, არც მე დამტოვა დაუსჯელი. ასე მგონია, ჩემთან ხარ და გეფერები... დედა მოგიკვდეს, ჩემო გოგოვ... გკოცნი მრავალს, დედისგან და მამისგან გარიყულო შვილო. გემშვიდობები. 30 აპრილს გერის წმინდა გიორგის სანთლებით შევავედრე წლობით დაკარგული შვილი. წინ გიძღოდეს დედის ლოცვა და წინ გევლოს ყოველთვის ბედნიერად და ჯანმრთელად. შენ მითხარი, მე 40 წელი სხვას ვეძახდი დედასო... მეც 40 წელი ნატოს არ ვიძახდი, ინგას ვუხმობდი და მეც მიჭირს, შენ შემოგევლოს დედის სიცოცხლე. შენ არაფერი გეტკინოს, ისევ შენმა დედამ ატაროს შენი ტკივილები... რა ვქნა? როგორ მოვიქცე? სულ მინდა, გელაპარაკო, მინდა, შენი ხმა მესმოდეს. ამის შემდეგ დედა მხოლოდ კაი წერილებს მოგწერს. ეს ყველაფერი კი უნდა გცოდნოდა შენ. მე დასამალი არაფერი მაქვს. მიჯავრდები, ნუ იმუშავებო. მე რომ არ ვიმუშაო, ხომ ინფარქტიც დამარტყამს. არ ვარ ჩვეული „კრაოტზე“ კოტრიალს. თანაც, მუშაობაში დრო მალე გადის. ჩემო ნატო, რაღა დავწერო? რითი გაგიხარო დაჩაგრული გული? კარგად მეყოლე, ჩემო ლამაზო გოგონავ... რამდენი წლისაც უნდა იყო, მაინც პატარა ხარ ჩემთვის. გკოცნი მრავალს. დედა“. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა



საგარეო

ავადმყოფობა და ძალაუფლება:

ჰიტლერი, სტალინი, კენედი, ელცინი და სხვები...

„ავადმყოფობის ისტორია. ბოლო ასწლეულის მსოფლიო ლიდერების სნეულებანი“ — ასე ჰქვია წიგნს, რომლის ავტორიც — ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსი დევიდ ოუენი გახლავთ. ამ საკმაოდ სქელტანიანი წიგნის თითო თავი თითო პოლიტიკოსზე (თეოდორ რუზველტით დაწყებული, ჯორჯ ბუშითა და ტონი ბლერით დამთავრებული) მოგვითხრობს. მრავალთა აზრით, ესოდენ შთამბეჭდავი გამოკვლევისთვის უფრო შესაფერისი ავტორის მოძებნა ძნელი იქნებოდა, რადგან ოუენი პროფესიონალია როგორც პოლიტიკაში, ისე მედიცინაში და ამ ნაშრომში სწორედ თავისი ორი „გატაცება“ გააერთიანა.



დევიდ ოუენს ლორდის ტიტული მიენიჭა

პოლიტიკაში წასვლამდე დევიდ ოუენი 7 წელი ლონდონის წმ. თომას სახელობის საავადმყოფოს ექიმი იყო და, როგორც წიგნის შესავალში თავადვე იხსენებს, ერთხანს პარლამენტიდან საავადმყოფოში და — პირიქით განუწყვეტლივ დარბოდა. 1977-79 წლებში, ჯეიმს კალაგენის ლეიბორისტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. შემდეგ ლეიბორისტები დატოვა და საკუთარი, სოციალ-დემოკრატიული პარტია დააფუძნა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ოუენი ყოფილ იუგოსლავიასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციას თანათავმჯდომარეობდა. 1992 წელს, აქტიური პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, დევიდ ოუენს ლორდის ტიტული მიენიჭა და ახლა, როგორც ეს დიდ ბრიტანეთშია მიღებული, მას ყველა ლორდ ოუენად მოიხსენიებს. ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდებს ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელშიც დევიდ ოუენი თავისი წიგნის დაწერის მიზეზებსა და მიზნებზე საუბრობს.

ძალაუფლებით თრობა ისტორიული პერსონაჟებისთვის

„ექიმი პოლიტიკოსის“ კომპეტენტური დაკვირვებები

სამედიცინო ვერდიქტის გამოტანა ძალზე ძნელია, რადგან ისინი ჩემთან მიღებაზე არასდროს ყოფილან და შესაბამისად, არც მათი საფუძვლიანი გასინჯვის საშუალება მქონია. ამიტომ ყველა ჩემი მოსაზრება თუ მსჯელობა იმაზეა აგებული, თუ რა დაწერილა ამ ადამიანებზე და რისი მიგნება მოხერხდა. საბედნიეროდ, ამ თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფიული ლიტერატურა, პოლიტიკოსების არაერთი სიტყვა და გამოსვლა არსებობს.

რაღა თქმა უნდა, პოლიტიკოსები, ისევე, როგორც ნებისმიერი მოკვდავი, ავადმყოფობენ. და ეს მით უფრო ყურადსაღებია, რომ პოლიტიკაში უფრო ხშირად, ასაკოვანი — ანუ სხვადასხვა დაავადებისადმი ახალგაზრდებზე მეტად მიდრეკილი ადამიანები ხვდებიან. ავადმყოფობა მრავალი და მრავალგვარია, მაგალითად: პოლიომიელიტი, რომელიც ფრანკლინ რუზველტს სჭირდა და რის გამოც თითქმის მთელი თავისი საპრეზიდენტო ვადა ინვალიდის ეტლში გაატარა. თუმცა ამ ავადმყოფობას მის გონებრივ შესაძლებლობებსა და ქვეყნის მართვის უნარზე პრაქტიკულად, არ უმოქმედია. აი, გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველი ნახევრის საბჭოთა ხელმძღვანელების გართულებულმა ჯანმრთელობამ კი ამ ქვეყნის მდგომარეობაზე საკმაოდ სერიოზული გავლენა იქონია.

ბევრს ალბათ ვერც კი წარმოუდგენია, რომ პოლიტიკოსების პროფესიული დაავადება ანუ ე.წ. ჰიბრის-სინდრომიც არსებობს. ტერმინი ძველბერძნული „ჰიბრისისგან“ მომდინარეობს და გადაჭარბებულ თავდაჯერებულობას, კატეგორიულობას, კრიტიკის შეუწყნარებლობას, საკუთარი უცოდველობისა და ლამის ღვთიური დანიშნულების რწმენას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ეს თვისებები ნაკლებად სიმპათიურია, მაგრამ შეიძლება თუ არა მათი დაავადებად კვალიფიცირება და თუ შეიძლება, როდის და რა შემთხვევაში?

ჰიბრის-სინდრომი მეცნიერებაში შედარებით ახალი ცნებაა და როგორც დაავადება, ჯერ ბოლომდე არ უღიარებიათ. იმედი მაქვს, ეს მალე მოხდება... აგერ უკვე 5 წელია, რაც ამაზე სპეციალურ სამედიცინო ჟურნალებსა და წიგნებში ვწერ და მოხსენებებით გამოვდივარ. ამ თემისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები სულ უფრო ხშირად და სულ უფრო მაღალი დონის სამედიცინო წრეების დისკუსიის საგანიც ხდება. მიუხედავად ამისა, კითხვას — არის თუ არა ეს ავადმყოფობა? — ჯერჯერობით მაინც ღიად ვტოვებ. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას კი ახლავე ვიტყვი, რომ ეს ძალაუფლების სინდრომია — ის, რასაც ფილოსოფოსი ბერტრან რასელი „ძალაუფლებით თრობას“ უწოდებდა და ზოგიერთი ადამიანისთვის, ძალაუფლების გარდაუვალი თანამდევიც ხდება. ამდენად, ამ ყველაფრის გათვალისწინება და მაქსიმალური სიფხიზლე აუცილებელია, რადგან ამ სინდრომისადმი პოლიტიკოსები, ისევე, როგორც ძალაუფლებით აღჭურვილი სხვა ადამიანები — მაღალჩინოსანი სამხედროები, მსხვილი მრეწველები თუ ფინანსისტები — განსაკუთრებულად ხშირად არიან მიდრეკილნი.

ჰიბრის-სინდრომის უკიდურესი ფორმა მას ჯერ კიდევ 30-იან წლებში განუვითარდა

ადოლფ ჰიტლერი

„ჰიბრისი“ და „ნემეზისი“ — „ამპარტავნება“ და „შურისგება“ — ასე უწოდა ჰიტლერზე დაწერილ თავის ორ წიგნს ბრიტანელმა ისტორიკოსმა იენ კერშოუმ. თუმცა, ჰიბრისის გარდა, ჰიტლერმა ექიმებს მის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ჯანმრთელობაში დაეჭვების არაერთი სხვა საბაბიც მისცა. სიცოცხლის ბოლოს, თვითმკვლელობამდე მცირე ხნით ადრე, ჰიტლერი არნახული რაოდენობის სხვადასხვა, თან უკიდურესად ექსტრავაგანტურ პრეპარატს იღებდა. მათ შორის იყო: დარიშხანი, ამფეტამინები, კოკაინი და ე.წ. აირსაწინააღმდეგო აბები, რომლებიც მცირე დოზებით სტრიქნინსა და ატროპინს შეიცავს. ბუნებრივია, შეუძლებელი იყო, ამ ყველაფერს მის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად არ ემოქმედა. თან, ამას პარკინსონის დაავადებაც (ფიურერს მარცხენა ხელი უკანკალებდა) ემატებოდა.

მაგრამ უფრო საინტერესო მაინც ის არის, რაც ჰიტლერის თავს ათწლეულებით ადრე ხდებოდა, რადგან აშკარაა, რომ ჰიბრის-სინდრომის უკიდურესი ფორმა მას ჯერ კიდევ 30-იან წლებში განუვითარდა. სწორედ ამ სინდრომით დაავადებულისთვის დამახასიათებელმა გადაჭარბებულმა თავდაჯერებულობამ და საკუთარი, ღვთიური დანიშნულების უდრეკმა რწმენამ შეაძლებინა ამ ტირანს მთელი გერმანელი ხალხის აყოლიება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰიტლერი ხელისუფლებაში დემოკრატიული არჩევნების გზით მოვიდა და მხოლოდ ამის შემდეგ განუვითარდა ის პარანოია, სისასტიკე და სხვა მრავალი ბოროტება, რომლის მესამე რაიხთან გაიგივებასაც ასე მივეჩვიეთ.

იოსებ სტალინი

ტერმინი „პარანოია“ სულ უფრო ხშირად გამოიყენება ჰიტლერის თანამედროვის, თავიდან მისი მოკავშირისა და შემდეგ — მოსისხლე მტრის, იოსებ სტალინის მიმართაც. დიახ, მას ნამდვილად ჰქონდა გულთან დაკავშირებული პრობლემებიცა და ათეროსკლეროზიც, მაგრამ მთავარი მაინც პარანოია იყო. ამა თუ იმ დოზით პარანოია ყველას გვახასიათებს, მაგრამ სტალინის შემთხვევაში, უდავოა, პათოლოგიურ დონეს მიაღწია. ამის გამო მასთან ურთიერთობა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, რადგან ყველას, მათ შორის ექიმებსაც უკიდურესი ეჭვით უყურებდა. ექიმთა ცნობილი საქმის შემდეგ კი სტალინი მხოლოდ საკუთარ თანაშემწეს, წარსულში ფერშალ პოსკრებიშევს ენდობოდა, რომელიც ბელადს ყველანაირ აბსა და მიქსტურას უნიშნავდა. როგორც ჩანს, სტალინს პარანოია მანამდეც სჭირდა, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევი

სტალინს პარანოია მანამდეც სჭირდა

1934 წელს, კიროვის მკვლელობის შემდეგ გახდა.

დუაიტ ეიზენჰაუერი

პოლიტიკოსის ავადმყოფობა, განსაკუთრებით კი ისეთი, რომელიც საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებაზე ახდენს გავლენას, არ შეიძლება, კერძო საქმე იყოს. მიუხედავად ამისა, შორეული საუკუნეებიდან მოყოლებული

ეიზენჰაუერი კოლორადოში მკურნალობდა და თეთრ სახლში დაბრუნებას არ ჩქარობდა

დღევანდლამდე, ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანებიცა და მათი გარემოცვაც არცთუ იშვიათად, ამის დამალვას ცდილობდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, საჯაროობის ერთგვარი ტენდენცია მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა და დღემდე ყველაზე დემოკრატიულ საზოგადოებაშიც კი სერიოზული გარჯის გარეშე ვერაფრით ინერგება.

პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი ალბათ, პირველი დიდი პოლიტიკური ლიდერი იყო, რომელიც გულახდილად ლაპარაკობდა საკუთარ სნეულებებზე. პირველი ვადის დამლევისთვის მან ინფარქტი გადაიტანა, რის თაობაზეც საჯაროდ გამოცხადდა. ეიზენჰაუერი კოლორადოში მკურნალობდა და თეთრ სახლში დაბრუნებას არ ჩქარობდა. ერთხელ კი ისიც შენიშნა, — ამერიკელებს თეთრ სახლში ხეიბარი არ სჭირდებათო. პრეზიდენტის მოვალეობები კაბინეტის წევრებს შორის იყო განაწილებული და ის არ ცდილობდა ვინმეს დარწმუნებას იმაში, რომ ამ დროს სახელმწიფოს თავად მართავდა.

ჯონ კენედი

აი, ეიზენჰაუერის მემკვიდრე, პრეზიდენტი ჯონ კენედი კი სულ სხვაგვარად იქცეოდა. მან საზოგადოებას დაუმალა, რომ თირკმლებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემა — ადისონის დაავადება ჰქონდა, რომელიც სასტიკად ტანჯავდა და ნარკოტიკული ნივთიერებებით ცდილობდა ტკივილის დაამებას. თუმცა საჭიროების შემთხვევაში მაინც ახერხებდა, ახალგაზრდული და ჯანმრთელი იერი შეენარჩუნებინა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივი — 1960 წლის საპრეზიდენტო წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კამპანიის დროს რიჩარდ ნიქსონთან გამართული ტელედებატები იყო. ნიქსონს ოფლი ასხამდა, გაფითრებულ-გატანჯული ჩანდა და ამიტომაც, მას ბრინჯაოსფრად გარუჯული და ლაღი კენედი აშკარად სჯობნიდა; იმას კი ვერავინ ხვდებოდა, რომ კანის ეს ბრინჯაოსფერი პიგმენტაცია ადისონის დაავადების სიმპტომი იყო...

კენედიმ ნიქსონს — მართალია, სულ მცირე უპირატესობით, — მაგრამ მაინც აჯობა. მრავალთა აზრით კი, მაშინ გულახდილად და ღირსეულად რომ მოქცეულიყო და საკუთარი ავადმყოფობის შესახებ საზოგადოებისთვის ეცნობებინა, საეჭვოა, არჩევნების მოგება მოეხერხებინა.

ბორის ელცინი

რუსეთის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი საკუთარ ავადმყოფობას არ მალავდა. მის მიერ გადატანილი ინფარქტისა და გულის შუნტირების ურთულესი ოპერაციის შესახებ ბევრჯერ დაიწერა. მაგრამ ამაზე უფრო შემაშფოთებელი მაინც ალკოჰოლისადმი მისი მიდრეკილება იყო. ელცინი ნამდვილად სვამდა, თუმცა ალკოჰოლიზმი ძირითადად, ნიტროგლიცერინის უმოქმედობის ფონზე უმწვავდებოდა და ქვეყნის მართვაში ხელს არცთუ სერიოზულად უშლიდა. კარგად მახსოვს ის პერიოდიც, როცა რუსეთის პრეზიდენტი მართლაც მაგრად სვამდა. მაშინ მასთან კონტაქტმა და ბრიტანეთის პრემიერის რეზიდენციაში გამართული, პრესისთვის დახურული შეხვედრისას მისი გამოსვლის მოსმენამაც მომიწია. ეს იყო რუსეთისა და მსოფლიოს წინაშე იმ პერიოდში წამოჭრილი პრობლემების ძალზე ნათელი, ზუსტი და ლაკონიური ანალიზი. მახსოვს, მაშინ საკუთარ თავს როგორ ვუთხარი, — ამ ადამიანს თავში ყველაფერი წესრიგში ჰქონია-მეთქი.

რა თქმა უნდა, ელცინმა საკმაოდ ავნო საკუთარ იმიჯს, როცა ბერლინში ყოფნისას, მთვრალმა სცენაზე ორკესტრის დირიჟორობა დაიწყო. ცხადია, ამან რუსეთის მოქალაქეთა ეროვნული

უფრო შემაშფოთებელი მაინც ალკოჰოლისადმი მისი მიდრეკილება იყო

ღირსების გრძნობაც შელახა. უმეტესწილად სწორედ ამ კონტრასტს ემყარება პუტინის პოპულარობაც, რომელმაც მასობრივ შეგნებაში რუსეთის ეროვნული სიამაყისა და სიდიადის აღმდგენი ლიდერის სახის ოსტატურად დამკვიდრება მოახერხა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბორის ელცინი ისტორიაში მაინც იმ გაბედულ ადამიანად დარჩება, რომელმაც რუსეთის ისტორიის რადიკალურად შემობრუნება და მისი სავაჭრო ეკონომიკისა და დემოკრატიზაციის გზაზე დააყენება შეძლო.

ვის უნდა ემსახურებოდეს ექიმი?

თუ პოლიტიკოსის ან ქვეყნის ლიდერის ავადმყოფობას საზოგადოებას უმალავენ ანდა, როგორც ეს ავტორიტარული თუ ტოტალიტარული რეჟიმების შემთხვევაში ხდება, ლიდერის შეცვლის მექანიზმები საზოგადოებას არ გააჩნია, ეს შეიძლება, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უსერიოზულეს პრობლემად იქცეს. თავის მხრივ, პოლიტიკური ლიდერის ნამდვილ ან მოჩვენებით ავადმყოფობას პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გადაქცევაც შეუძლია. საკმარისია გავიხსენოთ 1964 წელს, „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენება ანდა 1991 წელს პუტჩისტების მიერ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მიხაილ გორბაჩოვის დარჩენის „უუნარობის“ შესახებ გაკეთებული განცხადება.

ასეთ სიტუაციაში ექიმებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, თუმცა ისინი ყოველთვის როდი არიან თავიანთი პაციენტებისა თუ მათი გარემოცვისგან დამოუკიდებელნი. არცთუ იშვიათად, პოლიტიკური ლიდერები საკუთარ ჯანმრთელობაზე აშკარა ტყუილს ავრცელებენ და იმის დიდი იმედიც აქვთ, რომ მათი ექიმებიც ზუსტად ასევე მოიქცევიან. ამდენად, ეს ძალზე რთული პროფესიულ-ეთიკური საკითხია.

ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს დროიდან მოყოლებული, ექიმს, პირველ რიგში, ავადმყოფის ინტერესების გათვალისწინება ევალებოდა და ამიტომაც, მისი ავადმყოფობის გარემოებების გახმაურების უფლება არა აქვს. აქედან გამომდინარე, ჩვენც უნდა გვესმოდეს — როცა ცნობილი და ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ექიმის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენი ქვეყნდება, ის ყოველთვის სიმართლეს როდი შეიცავს. თუმცა ალბათ, ისიც ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ როცა ესა თუ ის პიროვნება საკუთარ თავზე სახელმწიფოს მართვის ვალდებულებას იღებს, ის თავისი ამომრჩევლის წინაშე ბოლომდე მართალი და გულახდილი უნდა იყოს.

ჩემი ღრმა რწმენით, პოლიტიკოსისა და მისი ექიმის ურთიერთობის დღევანდელი პრაქტიკა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. პირადმა ექიმმა არ უნდა მოანეროს ხელი საკუთარი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ ბიულეტენს, დასკვნა დამოუკიდებელმა ექიმმა ანდა სამედიცინო კომისიამ უნდა გამოიტანოს. თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებლად გაჩნდება კითხვა, — აქვს თუ არა პოლიტიკოსს ანდა სახელმწიფო მოღვაწეს პირად ცხოვრებაზე ისეთივე უფლება, როგორიც ყველა დანარჩენს? პასუხი მარტივია, — არა აქვს: თუ სახელმწიფოს ან მთავრობის მართვას კისრულობ, მაშინ ვალდებული ხარ, ბოლომდე გულახდილი იყო შენს ამომრჩევლებთან და მათ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიაწოდო. ამის შემდეგ კი ისინი თვითონ გადაწყვეტენ — მოგცემს თუ არა ჯანმრთელობის მდგომარეობა სახელმწიფოს სათავეში დარჩენისა და მისი ნორმალურად მართვის შესაძლებლობას. საპასუხისმგებლო პოსტის დაკავების შემდეგ აღარა ხარ კერძო პირი და კარგავ პირად ცხოვრებაზე უფლებას. და ეს ყველაფერს — შენს ჯანმრთელობას, შემოსავლებს, საკუთრებას და ა.შ. ეხება.

უნდა ითქვას, რომ ახლა ამ თვალსაზრისით, აშკარა პროგრესი შეინიშნება. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის გავრცელების გარეშე უკვე პრაქტიკულად, შეუძლებელია. სწორედ ასე მოიქცა ამერიკის პრეზიდენტობისთვის მებრძოლი სენატორი მაქკეინი, რომელმაც საკუთარი ჯანმრთელობის იმუამინდელი მდგომარეობის (თავის დროზე მას მელანომა — კანის კიბოც კი სჭირდა) შესახებ საზოგადოებას არაერთი და ძირითადად, ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ მართალია, მაქკეინი პრეზიდენტი ვერ გახდა, მაგრამ მას შემდეგ უკვე 2 წელზე მეტი გავიდა და ის უწინდებურად ჩინებულად გრძნობს თავს... ■

მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**

წარმოსახვების „უსიერ ტყეში“

თამთა დოლიძე

თებერვლის დამლევს, გამომცემლობამ — „პალიტრა L“, ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად, სერიით — „მსოფლიოს რჩეული მოთხრობები რჩეული მთხრობელებისგან“ — გამოჩენილი იაპონელი მწერლის, რიუნოსკე აკუტაგავას კრებული შესთავაზა მკითხველს. იმ დღიდან ორი კვირაც არ იყო გასული, როცა ამ თავისებური, ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე შემოქმედის სამშობლოს უდიდესი კატასტროფა დაატყდა თავს. ეს გარემოება თითქოს ახალ ქვეტექსტს სძენს ამ ქვეყნიდან 41 წლის ასაკში თვითმკვლელობით წასული აკუტაგავას თითოეულ სტრიქონს...

„ნუ დაგავიწყდებათ, რომ ცხოვრება ბრძოლაა, რომელიც სიკვდილამდე გრძელდება“, — წერდა შვილებისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში რიუნოსკე აკუტაგავა, მაგრამ ჰალუცინაციებთან ბრძოლამ ბოლოს ისე გადაღალა, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი მოთხრობები და ნოველები დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო იაპონიაში, არამედ მთელ მსოფლიოში.



რიუნოსკე ტოსიძე-აკუტაგავა

როცა ამ მწერლის ხანმოკლე ცხოვრების გზას გადავხედე, ჩემი საყვარელი მწერალი — გოდერძი ჩოხელი გამახსენდა თავისი ადამიანი-მოთხრობებით. აკუტაგავა ჩემთვის სწორედ ასეთი ადამიანი-მოთხრობაა, რომელიც ტოკიოში, რძის გამყიდველის, ნიიხარა ტოსიძეს ღარიბ ქოხში იწყება და ცნობილი მწერლის — რიუნოსკე აკუტაგავას ბიბლიოთეკაში, საწერ მაგიდასთან მთავრდება. მისი დაბადება დრაკონის თვეს, დრაკონის დღეს და დრაკონის საათს დაემთხვა, ამიტომ დაარქვეს რიუნოსკე („რიუ“ იაპონურად „დრაკონს“ ნიშნავს). ბავშვს დაბადებისთანავე უწინასწარმეტყველეს ტრაგიკული ბედი და აღსაზრდელად უშვილო ბიძას — აკუტაგავა მიტიას მიაბარეს. მან რიუნოსკეს, გვარის გარდა, შესანიშნავი განათლებაც მისცა.

2011 №3 მარტის ნომერი

ლიტერატურის განყმეტრილების ხიბლი

მნიშვნელოვანი პროზა.

ნამდვილი პოეზია

ცნობილი ფრანგი კლასიკოსის

ანრი ტრუაიას რომანი „ეგლეტიერების ოჯახი“

რამონ დელ ვალიე-ინკლანის

„კაპიტანის ქალიშვილი“ - ციკლიდან

„ბარბაროსული პიესები“



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალი დინების“ ჯვალდაჯვალ

სწავლის დამთავრების შემდეგ, აკუტაგავას ძირითად საქმიანობას ჟურნალ „სინსიტეს“ („ახალი დინება“) გამოცემა წარმოადგენდა. მან მეგობრებთან, ახალგაზრდა ლიტერატორებთან ერთად ჩამოაყალიბა „სინგიკოხი“ (ახალი ხელოვნების სკოლა) და თავი „ანტინატურალისტად“ გამოაცხადა. ჟურნალ „სინსიტეს“ მკითხველს რიუნოსკე აკუტაგავა ჯერ მთარგმნელად მოევლინა, მოგვიანებით კი ამავე ჟურნალში დაიბეჭდა მისი პირველი ნოველა „მოხუცი“. ახალბედა მწერალმა ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო თავისი ცხოვრებით და მიიჩნევდა, რომ მისი არსებობა ჯოჯოხეთია.

მწერალი და სუიციდი

რიუნოსკეს, დედის სულიერი აშლილობის გამო, მთელი ცხოვრება ეშინოდა სიგიჟის. ბოლო წლებში ეს შიში თვითმკვლელობაზე ფიქრში გადაეზარდა, ჰალუცინაციები და უძილობა მისი ცხოვრების თანამდევი მოვლენა გახდა. ერთხელ, თურმე საკუთარ თავზე ექსპერიმენტი ჩაიტარა, თოკი კისერზე მოიჭირა და წამმზომით აკვირდებოდა, როგორ ახლოვდებოდა სიკვდილი, მაგრამ თავის მოკვლის ეს ხერხი არ მოეწონა და ექსპერიმენტი შეწყვიტა. მწერალი იმდენად გადაღალა საკუთარ ფსიქიკასთან ბრძოლამ, სიკვდილს მხსნელივით ელოდებოდა: „წერის ძალა აღარ მაქვს. ასეთ სულიერ ყოფაში ცხოვრება აუწერელი ტანჯვაა! ნუთუ ვერ მოიძებნება ვინმე, ვინც წყნარად მიმახრჩობდა მძინარეს?“

„მხნელი“ იგვიანებდა. ერთ დღესაც, 35 წლის მწერალს მოთმინებამ უღალატა და ვერონალის სასიკვდილო დოზა მიიღო. სიკვდილის წინ დაწერა ერთგვარი ავტობიოგრაფია — „ცხოვრება იდიოტისა“, რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალად იქცა. რიუნოსკემ მოთხრობა თავის მეგობარს უსახსოვრა და თან, გამოსათხოვარი სიტყვები წააწერა: „ალბათ, არც ერთი თვითმკვლელი ბოლომდე დარწმუნებული არ არის იმ მოტივში, რომლის გამოც თავს იკლავს“.

მკითხველები მოგვითხრობენ

ჩემს ბიბლიოთეკაში რიუნოსკე აკუტაგავა, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოხვდა. ქუჩაში გასაყიდად გამოტანილ ძველ წიგნებს შორის, თვალი მოვკარი თეთრყდიან, თითქოს არაფრით გამორჩეულ წიგნს და „ხელს გავაყოლე“. ასე შეუერთდა ჩემს საყვარელ მწერალთა რიგს ეს იაპონელი მწერალი. მას შემდეგ მაინტერესებს, როგორ მიდის მკითხველი ამა თუ იმ წიგნამდე, ამიტომ ჩემს სტუმრებთან საუბარი ამ კითხვით დავიწყე.

კატო ჯავახიშვილი, *პოეტი:*

— ჩემს შემთხვევაში ასე ხდება ხოლმე: არიან მწერლები, რომლებსაც ვეძებ, გაუთავებლად ვიჩიჩქნები ბიბლიოთეკებსა თუ ინტერნეტსივრცეში, და ასევე არიან მწერლები, რომლებიც თავისით მოდიან, ყოველგვარი შემზადებისა თუ მინიშნების გარეშე. ჩემი და აკუტაგავას „შეხვედრა“ ქალაქის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში შედგა, ნაწარმოებით — „წყლის კაცების ქვეყანაში“. ვერ გეტყვი, მაშინ შევძელი თუ არა, გამეაზრებინა ამ ტექსტის კონცეპტი, თუმცა ახლაც მახსოვს: „გაერთიანდით სულელური მემკვიდრეობის წინააღმდეგ მებრძოლ მოხალისეთა რიგებში!!! ჯანმრთელო ხვადებო და ძუებო! ცუდი მემკვიდრეობის მოსასპობად, შეუღლდით ავადმყოფ ხვადებთან და ძუებთან!!!“ აი, ეს არის ჩემთვის აკუტაგავა.

დიანა ანფიმიადი, *პოეტი:*

— ბავშვობაში — მგონი, მეხუთე კლასში ვიყავი — მოსწავლეთა სასახლის შემოქმედ ბავშვთა წრეზე დავდიოდი, შესანიშნავი ადამიანი და პოეტი — მიხეილ გოგუაძე მასწავლიდა. ჰოდა, იაპონელებს რომ ტანკებისა და ჰაიკუების გარდა პროზის წერაც შეეძლოთ, ზუსტად მაშინ გავიგე. მისი წიგნი გადასასვლელ ხიდთან, ბუკინისტების მაღაზიაში ვიყიდე. უცნაური ნახატი ჰქონდა ყდაზე და წარწერა, ვიღაც გურამი ძია სახსოვრად უძღვნიდა პატარა ნოდარიკოს (მაშინ ტოტალურად ყიდდა ხალხი ოჯახიდან გამოტანილ წიგნებს). ასე მოხვდა აკუტაგავა ჩემს სახლში. ყველაზე მეტად 3 მოთხრობა მიყვარს: „ნანკინელი ქრისტე“, „მანდარინები“ და „ბატატის ფაფა“. სულ გახსოვს და ვერ დაივიწყებ, როგორი რადიკალური ამბებია — ან უსაზღვრო სიკეთეზე, ან — პირიქით. მოგვიანებით, კუროსავას ფილმებმა განმიმტკიცა ამ დიდი იაპონელის სიყვარული, ორივემ ერთად კი — დიდი იაპონიის.

— ამბობენ, აკუტაგავა ევროპელი მწერლების გავლენას განიცდიდაო (თეოდორ დოსტოევსკის, ანატოლი ფრანსის)... თქვენი აზრით, ჰგავს თუ არა იგი თუნდაც ჩვენთვის კარგად ნაცნობ რუს მწერალს?

კატო ჯავახიშვილი, *პოეტი:*

— მე არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ აკუტაგავა დოსტოევსკის გავლენას განიცდიდა. და საერთოდ, რა არის გავლენა? მარადიულ თემებზე იწერება და იწერება უსასრულოდ. ეს უფრო თანამოაზრეობაა, ვიდრე გავლენა. დოსტოევსკის ნაწერებს მკაცრი, პირდაპირი გულახდილობა ახასიათებს, თვალის დაუხამხამებლად შეგაგდებს გილიოტინაზე და ბოლო სიტყვასაც არ გათქმევინებს, ისე მოგკვეთს თავს. აკუტაგავა კი არჩევნის უფლებას ყოველთვის უტოვებს მკითხველს.

დიანა ანფიმიადი, *პოეტი:*

— იცი, კითხვისას იმდენად ვარ იმ მწერალთან, რომელსაც ვკითხულობ, რომ არასდროს ვფიქრობ პარალელებზე. ეს უფრო კირკიტა კრიტიკოსების საქმეა და არა გურმანი მკითხველის. ისე კი, მწერალი იმდენი თანამოკალმის გავლენას განიცდის, ყველაფერში რომ ჩავეძიოთ, უჰ... მგონი, ბორხესი წერდა, რომ ყველანი ერთი ნაწარმოების ავტორები ვართ, შესაბამისად, ყველა მწერალი რაღაცით ჰგავს მეორე მწერალს.

— რითი გამოარჩევდით აკუტაგავას დანარჩენი „მთხრობელებისგან“? ანუ — ორიოდე სიტყვა მისი განსხვავებული წერის მანერის შესახებ ვთქვათ.

კატო ჯავახიშვილი, *პოეტი:*

— რაფინირებული წერის სტილი აქვს. „თანამედროვე და წარსულის ადამიანებს შორის ძალიან დიდი მსგავსებაა“ — ამ სიტყვებით თითქოს ხსნის გამიჯვნას საკუთარ დროსთან, აქცენტი აბსტრაქციაზე გადააქვს და შენც, მკითხველს, გაიძულებს ნაბიჯნაბიჯ დაედევნო თავისი წარმოსახვების „უსიერ ტყეში“.

დიანა ანფიმიადი, *პოეტი:*

— მოდი, წერის მანერაზე ლიტერატურათმცოდნეებმა, კრიტიკოსებმა ილაპარაკონ. მე კი, როგორც მკითხველს, მახსოვს ზამთრის ცივ ამინდში აელვარებული მანდარინები, ჩინელი მეძავი ძინხუა (ყველაზე მორწმუნე და გულუბრყვილო მეძავთა შორის), უსიერი ტყის გამოცანა, პირქუში რასიომონი, საბრალო სამურაი, რომელსაც ყველაზე საყვარელი საჭმელი, მეტიც, ცხოვრების მიზანი მოაყირჭეს, წყლის კაცების ქვეყანა და მისი ბინადარი კაპები, შეშლილობა, ზოგჯერ გაუკვალავი ბინდი, ზოგჯერ — პირიქით, მეტისმეტი სინათლე... ეს არის ის, რაც ამ იაპონელმა მწერალმა მაჩუქა, ხოლო წერის მანერა — ეს სანელებლებივითაა, რომლებზეც არასდროს ფიქრობ გემრიელი კერძის მირთმევისას. ■

დედამიწა განადგურების პირასაა

მიწისძვრა

2011 წლის 11 მარტს იაპონიის ნაპირებთან (ეპიცენტრი მიიაგის პრეფექტურიდან 130 კმ-ში იყო) მომხდარი 8,9 მაგნიტუდის მიწისძვრამ 10-მეტრიანი ცუნამი გამოიწვია. ზარალი და მსხვერპლი ჯერჯერობით უცნობია. „დედამიწის დასასრული იაპონიიდან იწყება", — ასე მოიხსენიებენ იაპონიის კატასტროფას, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია, საბოლოოდ რა ზიანს მოუტანს დედამიწას.

2010 წლის 20 დეკემბერს სამხრეთ ირანში 5,1 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. 17 სოფელში საცხოვრებელი სახლები და შენობები დაინგრა. ირანი სეისმურად საშიშ ზონას წარმოადგენს. გასულ საუკუნეში 20 უძლიერეს მიწისძვრას 170 ათასი ადამიანი ემსხვერპლა. 2003 წელს 6,6 მაგნიტუდის ბიძგებმა უძველესი ქალაქი — ბამი და მიმდებარე ტერიტორია დაანგრია. 30 ათასი ადამიანი დაიღუპა.

2010 წლის 27 თებერვალს ძლიერმა მიწისძვრამ (8 მაგნიტუდა) ჩილეს მახლობლად, ნგრევა, ცუნამი და დიდძალი მსხვერპლი გამოიწვია. 7,2 მაგნიტუდის ძალის ბიძგები 28 თებერვალს, 1-ელ და 11 მარტსაც გამეორდა.

2010 წლის 27 თებერვალს ჩილეში, ქალაქ კონსეპსიონში სეისმოლოგებმა 8,8 მაგნიტუდის ბიძგები დააფიქსირეს. რყევა 30 წამს გრძელდებოდა. მიწისქვეშა ბიძგებმა ცუნამი გამოიწვია, რომელსაც 3-მეტრიანი ტალღები მოჰყვა. 800 კაცი დაიღუპა, 1200 დაიკარგა, 1,5 მლნ სახლი დაინგრა.

2010 წლის 12 იანვარს ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსიდან 22 კმ-ის მოშორებით 7 მაგნიტუდის უამრავი ბიძგი დაფიქსირდა, აქედან 15 — 5 მაგნიტუდის სიძლიერის იყო. 2010 წლის 18 მარტს გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციით, მიწისძვრამ 222570 ადამიანი შეიწირა, 311 ათასმა ტრავმა მიიღო, 869 უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მატერიალურმა ზარალმა 5,6 მლრდ ევროს გადააჭარბა. ჰაიტიზე ასეთი სიძლიერის მიწისძვრა 1751 წელსაც მოხდა.

2009 წლის 6 აპრილს 6,7 მაგნიტუდის სიძლიერის მიწისძვრა იტალიაში, რომიდან 85 კმ-ში, ქალაქ აკვილში აღინიშნა. ბიძგები 18 დღე გაგრძელდა. 297 ადამიანი დაიღუპა, 1500-მა სხვადასხვაგვარი დაზიანება მიიღო, 50 ათასი უსახლკაროდ დარჩა.

2009 წლის 30 სექტემბერს სუმატრაზე, ქალაქ პარიამანში 7,6 მაგნიტუდის ბიძგები დაფიქსირდა. განმეორებითი მიწისძვრა 6,2 მაგნიტუდის ძალის იყო. 1,1 ათასი ადამიანი დაიღუპა, შენობების 75% დაინგრა.

2008 წლის 29 ოქტომბერს ჩინეთის სამხრეთით, სიჩუანის პროვინციაში 7,9 მაგნიტუდის ბიძგები დაფიქსირდა. მას 87 ათასი ადამიანი ემსხვერპლა, 370 ათასმა სხეულის დაზიანება მიიღო, 5 მლნ უსახლკაროდ დარჩა, მიწისქვეშა ბიძგები 10 ათასჯერ განმეორდა. ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით, ნანგრევებიდან ამოყვანილ მიცვალებულებს, ლოცვების წაკითხვის შემდეგ, კრემაცია ჩაუტარდა.

1988 წლის 7 დეკემბერს სპიტაკში (სომხეთი) 7,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. 25 ათასი ადამიანი დაიღუპა. მთლიანად დაინგრა ქალაქი სპიტაკი და მის გარშემო მდებარე 58 სოფელი. ნაწილობრივ დაზიანდა ქალაქები: ლენინაკანი, სტეპანავანი, კიროვაკანი და დაახლოებით 400 დასახლებული პუნქტი. ■

ცუნამი

ცუნამის იაპონურ ენაზე ჰქვია: „დიდი ტალღა, რომელმაც ზღვის უბე დაფარა". იგი ოკეანის ზედაპირზე წყალქვეშა ვულკანის ან მიწისძვრის შედეგად წარმოიქმნება.

2004 წლის 26 დეკემბერს ძლიერმა მიწისძვრამ (9,3 მაგნიტუდა) ცუნამი გამოიწვია, რის შედეგადაც დაზარალდა: შრი-ლანკა, ტაილანდი, ინდოეთი, ინდონეზია და მალაიზია. ტრაგედიას 283 ათას ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. დაიღუპა ბევრი ტურისტი, რომლებიც შობის შესახვედრად თბილ ქვეყანაში (ზამთარშიც კი ტემპერატურა პლუს 30 გრადუსია) გაემგზავრნენ.

2007 წლის 2 აპრილს სოლომონის კუნძულების მახლობლად, წყნარ ოკეანეში მომხდარმა 8 მაგნიტუდის სიძლიერის მიწისძვრამ 10-მეტრიანი ტალღები განაპირობა. განადგურდა ქალაქი გიზო. კუნძულ ბუგენვილზე წყალმა 2 სოფელი წალეკა. რანონგაზე 13 სოფელი დაზარალდა. მიწისძვრის შედეგად, კუნძულზე 1 მეტრამდე სიღრმის ნაპრალები გაჩნდა. ზიანი მიადგა კუნძულებს — მუნდასა და ტაროს. სოლომონის კუნძულებთან მდებარე უნიკალური მარჯნის რიფებს, რომლებსაც სისტემატურად სტუმრობდნენ დაივინგის მოყვარული ტურისტები, მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად განადგურდა.

1958 წლის 9 ივლისს ცუნამი ლიტუიასაც (სამხრეთ-დასავლეთ ალასკა, აშშ) დაატყდა თავს. მიწისძვრამ მეწყერი გამოიწვია. ცუნამიმ კი ახლომდებარე ტერიტორია მთლიანად დატბორა.

ყველაზე დამანგრეველი ცუნამი იაპონიაში 1896 წელს მოხდა, როცა 30-35-მეტრიანმა ტალღებმა პატარა ქალაქები და სოფლები მთლიანად გაანადგურა. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

1919 წლის „სერვერ-ბეგის ავანტიურა“ მესხეთ-ჯავახეთში

შორენა მერკვილაძე

1918 წლის 30 ოქტომბერს, ბერძნულ კუნძულ ლემნოსზე, მუდროსის ყურეში მდგარ ბრიტანულ ხომალდ „აგამემნონზე“ ანტანტის ქვეყნებსა და ოსმალეთს შორის ხელი მოეწერა საზავო შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ოფიციალურმა სტამბოლმა I მსოფლიო ომში დამარცხება აღიარა და საკუთარი სამფლობელოების დიდი ნაწილი ანტანტის ბლოკის უძლიერეს ქვეყანას — დიდ ბრიტანეთს გადასცა. იმავე წლის ბოლოს, ბრიტანეთის კოლონიური არმიის ნაწილებმა ბაქო და ბათუმი დაიკავეს; ბრიტანული სარდლობის მთავარი შტაბი, გენერალ უილიამ თომსონის მეთაურობით, აზერბაიჯანის დედაქალაქში განთავსდა, ხოლო ბათუმის მართვა-გამგეობა კაპიტან ჰენრი უებსტერს დაეკალა. ამით მსოფლიოში ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ლონდონი ამიერიდან მთელ ამიერკავკასიას საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილავდა.

იმხანად, რეგიონში ბრიტანეთის მთავარ მოკავშირედ სომხეთი მიიჩნეოდა და, მისმა მმართველმა „დაშნაკცუთიუნის“ პარტიამაც შექმნილი ვითარებით ისარგებლა — 1918 წლის 8 დეკემბერს, როცა ბათუმში ბრიტანული არმია სულ ორი დღის შესული იყო, სომხური არმიის ნაწილებმა საქართველოს საზღვარი გადალახეს და ქართულ ჯავშნოსან მატარებელს ცეცხლი გაუხსნეს. ამგვარად დაიწყო საქართველო-სომხეთის ომი, რომელიც სწორედ ახალი წლის ღამეს, გენერალ თომსონის დაჟინებული თხოვნით შეწყდა. ქართველები, რომლებიც უპირატესობას ფლობდნენ, იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ბრიტანული სარდლობის მონდომების წყალობით, სომხეთი სრულ განადგურებას გადაურჩა, ხოლო საქართველომ კი მასთან საზავო ბორჩალოს მაზრაზე კონტროლი ვერ დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ახალ რეალობას ალღო მალევე აუღეს და, ამიერკავკასიაში შემოსულ ბრიტანელებს არ დაჰპირისპირებიან. ჩვენი ხელისუფლება ბათუმის ოლქის მშვიდობიანი გზით დაბრუნებას ცდილობდა და ბრიტანულ სარდლობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის მესვეურები საქართველოს დამოუკიდებლობასაც კი არ ცნობდნენ. დიდი ბრიტანეთი, ანტანტის ბლოკის სხვა ქვეყნების მსგავსად, რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენას უჭერდა მხარს და, შესაბამისად, ამიერკავკასიაშიც ფსონს პრორუსულ ძალებზე დებდა; ამავდროულად კი, ბათუმსა და ბაქოში მოკალათებულ ბრიტანელებს არც ის სურდათ, რომ რეგიონში ანტანტის სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალები შემოსულიყვნენ და ამიტომაც, ქართულ მხარესთან აშკარად დაპირისპირებას თავადაც ერიდებოდნენ. კაპიტანმა უებსტერმა 1918 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელ დიომიდე თოფურიძეს პირდაპირ განუცხადა: „ბრიტანეთს სამხრეთ აზიაში მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს და ვერ დაუშვებს, რომ კავკასიაში სხვა რომელიმე სახელმწიფოსაც ჰქონდეს გავლენა“. ეს განცხადება იმას ნიშნავდა, რომ ლონდონი ტფილისისგანაც, ფაქტობრივად, უპირობო მორჩილებას მოითხოვდა.

აშშ და საფრანგეთი ბრიტანელთა ამგვარი თვითნებობის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ — ბაქოს ნავთობის (რომელიც ევროპაში ბათუმიდან გაჰქონდათ) დიდი ბრიტანეთის ხელში ჩავარდნას ვერ ეგუებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირენი იყვნენ. ამიტომაც, ბრიტანელთა კვალდაკვალ, ბათუმში 1918 წლის დეკემბერში ასევე, ამერიკული და ფრანგული მისიებიც ჩავიდნენ, რომელთაც შესაბამისად, ჩიკაგოელი პროფესორი ჯედსონი და პოლკოვნიკი შარდინი ხელმძღვანელობდნენ. ამერიკელები იძულებულნი გახდნენ, რომ ბათუმზე დიდი ბრიტანეთის პრეტენზიები ეღიარებინათ და ამიერკავკასიაც დაეტოვებინათ; ფრანგები კი, პოლკოვნიკ შარდინის მეთაურობით, ტფილისში დამკვიდრდნენ.



ჯაყელების საგვარეულოს გამუსლიმანებული შთამომავალი სერვერ-ბეგ ათაბაგი

მათ ქართველ მენშევიკთა ნდობა მალევე მოიპოვეს, რადგან ბათუმის ოლქის დაბრუნებაში დახმარება აღუთქვეს. სწორედ მაშინ, პოლკოვნიკმა შარდინმ ქართულ გაზეთ „ერთობას“ სიტყვასიტყვით განუცხადა: „ინგლისი გეგმავს, თავისთვის შექმნას ახალი კოლონია, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამიტომაც, ურთიერთკონტროლისა და მშვიდობის დაცვის მიზნით, მთელი ამიერკავკასია უნდა დაიკავოს საერთაშორისო არმიამ“. ბუნებრივია, ფრანგული მისიის გააქტიურება დიდი ბრიტანეთის ამიერკავკასიურმა სარდლობამ მწვავედ აღიქვა და, საპასუხოდ, სამხრეთ საქართველოში მოქმედ ანტიქართულ ძალებს დაუჭირა მხარი.

1918 წლის დასაწყისში, როდესაც ოსმალეთის იმპერიასა და ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა და საქმე ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც მივიდა, ბათუმის ოლქისა და მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა პროოსმალურად განწყობილი ნაწილი, სტამბოლისა და ბაქოელ მუსავატისტთა ფარული მხარდაჭერით აჯანყდა, რის გამოც ოსმალეთის არმიას წინსვლა გაუადვილდა და, ამიერკავკასიის (ფაქტობრივად — საქართველოს) არმიასთან ბრძოლაშიც წარმატების მიღწევა არ გასჭირვებია. ამ აჯანყებას ჯაყელთა გვარის გამუსლიმანებული შთამომავალი — ოსმან სერვერ-ბეგი (იგივე სერვერ-ბეგ ათაბაგი ან სერვერ ათაბეკოვ-ქვაბლიანსკი) და ყარსის მკვიდრი, ქურთი წარჩინებული იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლი ედგნენ სათავეში. აქვე დავძენთ იმასაც, რომ მუდროსის ზავის დადე-

სერვერ-ბეგის „ჩეთნიკები“ ყარსის ქუჩებში. 1919 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ, როდესაც ოსმალები იძულებული გახდნენ, ამიერკავკასია დაეტოვებინათ, მეამბოხეებმა მათი მთელი არსენალი ხელთ იგდეს და შეეცადნენ, რომ მთელი სამხრეთი საქართველო თავად გაეკონტროლებინათ.

ამავდროულად, საქართველო და ოსმალეთი უკვე შეთანხმებული იყვნენ იმაზე, რომ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიდან (სადაც აჯანყებულთა ერთი ნაწილი იმყოფებოდა) ოსმალური არმია 1918 წლის 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე მთლიანად გავიდოდა და იქ ჩვენი იურისდიქცია აღდგებოდა. როცა აჯანყებულებმა ამის შესახებ შეიტყვეს, მაშინვე ე.წ. „ახალციხის დროებითი მთავრობა“ ჩამოყალიბეს. მისი თავმჯდომარე გახდა ომერ ფაიქ-ბეგი (ყიფიანი), ხოლო სამხედრო მინისტრი — ოსმან სერვერ-ბეგი. ამ უკანასკნელმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მკვიდრ მუსლიმანთა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა, თუმცა საკმაო ძალას თავი ვერ მოუყარა — ადგილობრივი მუსლიმანები (ქართველებიც და არაქართველებიც) „ჯიჰადის ისლამური დროშის ქვეშ“ დადგომის სურვილს არ ამჟღავნებდნენ, რადგან ჯერ ერთი, ქართული არმია უკვე ახალციხისკენ მიემართებოდა და მეორეც — ოსმალეთის დახმარების იმედი აღარავის ჰქონდა. საბოლოოდ, სერვერ-ბეგის მიერ გამოცხადებული „ჯიჰადი“ 1918 წლის 4 დეკემბერს შეწყდა — ქართულმა არმიამ ახალციხეცა და ახალქალაქიც პრაქტიკულად, უბრძოლველად დაიკავა, ხოლო „ახალციხის დროებითი მთავრობის“ წევრები (მათ შორის — ოსმან სერვერ-ბეგიც) ბათუმში გაიქცნენ, სადაც ბრიტანული შეიარაღებული ძალები შემოდიოდნენ.

1919 წლის დასაწყისში, ბრიტანელებმა სწორედ სერვერ-ბეგსა და მის მომხრეებს მიაპყრეს ყურადღება. ამ უკანასკნელთ იმხანად ბათუმში უკვე თავიანთი ორგანიზაცია ჰქონდათ, რომელსაც „სედაი მილლეთ“ ანუ „ხალხის ხმა“ ეწოდებოდა. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ამჟამად თურქულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, თითქოს სერვერ-ბეგი და მისი მომხრეები სამხრეთ საქართველოს ოსმალეთთან შესაერთებლად იბრძოდნენ; არადა, სინამდვილეში „სედაი მილლეთს“ დამოუკიდებელი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნა სურდა, რომლის სახელმწიფო ენაც, მართალია, ოსმალური უნდა ყოფილიყო, მაგრამ მსოფლიო ომში დამარცხებულ ოსმალეთთან დაკავშირებას სერვერ-ბეგი არ გეგმავდა — მისი უმთავრესი მიზანი სწორედ ანტანტის ქვეყნების კეთილგანწყობილების მოპოვება იყო. სხვათა შორის, ასეთივე მიზანი ჰქონდათ ბაქოელ მუსავატისტებსაც, რომლებიც სერვერ-ბეგის მსგავსად, ოსმალეთის ყოფილი კავკასიური სამფლობელოების ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. ერთი სიტყვით, იმჟამად ამიერკავკასიაში მთავარი მოთამაშე დიდი ბრიტანეთი იყო და ყველა ადგილობრივი ძალა ცდილობდა, როგორმე მას დაჰკავშირებოდა, ან — თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, აშკარად არ დაჰპირისპირებოდა. ქართველ მენშევიკთა და ბაქოელ მუსავატისტთაგან განსხვავებით, ამ მხრივ სერვერ-ბეგს ნამდვილად გაუმართლა.

ბრიტანელთაგან ოკუპირებულ ბათუმის ოლქში, ქართველ მუსლიმანთა მეორე — მამულიშვილურ პოზიციაზე მდგომი — დაჯგუფებაც არსებობდა. მას „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ ეწოდებოდა და ოლქის საქართველოსთან შეერთებისთვის იბრძოდა. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „განთავისუფლების კომიტეტს“ უფრო მეტი მომხრე ჰყავდა, ვიდრე „სედაი მილლეთს“, მაგრამ ბათუმის მთელ ოლქში მაინც ეს უკანასკნელი ფლობდა სიტუაციას, რადგან ადგილობრივი მუსლიმანი სასულიერო პირები ძირითადად, სერვერ-ბეგს უჭერდნენ მხარს. გარდა ამისა, „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ხელმძღვანელებს (ჰაიდარ, ზია და მემედ აბაშიძეებს, ხასან თხილაიშვილს, სულეიმან ბეუანიძესა და სხვებს) ბრიტანელები სდევნიდნენ კიდეც.

1919 წლის 17-18 იანვარს, ოსმან სერვერ-ბეგმა და იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლიმ ბრიტანელთა მხარდაჭერით, ქალაქ ყარსში (რომელსაც მაშინ ადგილობრივ ქურთთა ტომები აკონტროლებდნენ) „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკა“ გამოაცხადეს, რომელსაც მათი შეხედულებით, ბათუმისა და ყარსის ოლქები, საქართველოს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ასევე — სომხეთის ერევნის, სურმალის, ალექსანდროპოლის და ეჩმიაძინის მაზრებიც უნდა დაეკავებინა; გამოცხადების მომენტში, მისი იურისდიქცია მხოლოდ ყარსის ოლქსა და ბათუმის ოლქის ნაწილზე ვრცელდებოდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სერვერ-ბეგი ცდილობდა, ბათუმის სამხრეთით მდებარე გონიოს საბოქაულოც აეღო, რათა „რესპუბლიკას“ ზღვაზე გასასვლელი ჰქონოდა. ამ მიზნით, „სედაი მილლეთის“ გასამხედროებული რაზმის (ე.წ. „ჩეთეს“) წევრებმა 1919 წლის 19 იანვარს მდინარე ჭოროხი გადალახეს და კირნათ-მახოსა და ჯეფუკა-მაკრიალის გზებით გონიოსკენ დაეშვნენ.

გონიოს საბოქაულოს ერობის თავმჯდომარემ, ცნობილმა სარფელმა საქმოსანმა იბრაჰიმ-ეფენდი თანთოღლიმ (თანდილავამ), რომელიც „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ერთ-ერთი აქტივისტი იყო, სერვერ-ბეგის გეგმების თაობაზე ადრევე ყველაფერი იცოდა და სასწრაფოდ შემოიკრიბა ლაზი ფირალები — „საქართველოს განთავისუფლების ლაზეთის კომიტეტის“ ყოფილი წევრები. ლაზთა რაზმებმა — მაკრიალელი მუსტავა პაპოღლის (პაპასკირის) და, იმხანად სოფ. მახოში მოსახლე ვიწელი ბესიმ გენჯალოღლის (ჭანიძის) მეთაურობით, „სედაი მილლეთელები“ სასტიკად დაამარცხეს, რის შემდეგაც კონფლიქტში ბათუმის ოლქის ბრიტანული ადმინისტრაცია ჩაერია — მათ დააპატიმრეს მუსტავა პაპოღლი, ბესიმ გენჯალოღლი და სხვა ლაზები, თუმცაღა სერვერ-ბეგის „ჩეთნიკებიც“ შეაჩერეს. ინციდენტის მეორე დღეს — 1919 წლის 20 იანვარს, ბათუმში „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკის“ (იგივე „ყარსის რესპუბლიკის“) მესვეურები ბრიტანელ გუბერნატორ კუკ კოლისს შეხვდნენ. ამ შეხვედრაზე ოსმან სერვერ-ბეგმა გონიოს საბოქაულოზე პრეტენზიები უკან წაიღო; სამაგიეროდ — ახალციხის და ახალქალაქის მაზრები ბრიტანელებმა „ყარსის რესპუბლიკის“ განუყოფელ ნაწილად ცნეს.

„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი“, ქურთი წარჩინებული იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლი

1919 წლის იანვრის დამლევს, ოსმან სერვერ-ბეგმა, იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლიმ და ომერ ფაიქმა მესხეთ-ჯავახეთში — ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში „ყარსის რესპუბლიკის“ დროშით ისევ აჯანყება წამოიწყეს. მათ ლაშქარში იყვნენ ოსმალური არმიის ყოფილი ჯარისკაცები და ოფიცრები, რუსი თეთრგვარდი-

გენერალი გიორგი კვინიტაძე

ელები, ბრიტანული კოლონიური არმიის მუსლიმანი რიგითები და ორი ოფიცერი, აგრეთვე — სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები; სულ — 12 ათასამდე კაცი. ამ ძალებით 11 თებერვალს სერვერ-ბეგმა ახალციხეცა და ახალქალაქიც დაიკავა და იქ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების აღდგენა“ გამოაცხადა. მისმა „ჩეთნიკებმა“ მესხეთ-ჯავახეთში განუსჯელად იწყეს პარპაში; მათ აჭყვა ადგილობრივ მუსლიმანთა ერთი ნაწილიც და გაჩაღდა ქრისტიანული მოსახლეობის რბევა-აწიოკება. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ათასობით ქრისტიანი მოსახლე ლტოლვილად იქცა. სერვერ-ბეგის მომხრეთა წრეგადასული სისასტიკე მესხეთ-ჯავახეთში ამჟამადაც კარგად ახსოვთ — ისევე, როგორც ადგილობრივ უბრალო მუსლიმან ქართველთა საარაკო ვაჟკაცობის და თავგანწირვის ამბები: მაგალითად, სოფ. ჭვინთის მცხოვრები, ვინმე შავქათ შაქრიძე „ჩეთნიკებმა“ ენით აღუწერელი ხერხით — ძელზე გასმით იმის გამო აწამეს, რომ იგი საკუთარ ოჯახში ქრისტიან მეზობლებს იფარებდა.

სერვერ-ბეგის შეიარაღებული ავანტიურის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ კავკასიაში ბრიტანეთის საოკუპაციო ადმინისტრაციას პროტესტით მიმართა. სხვათა შორის, ამ პროტესტს შეუერთდა სომხეთიც, რადგანაც ჯერ ერთი, ერევანში ყარსის ოლქს თავიანთ ტერიტორიად მიიჩნევდნენ და, მეორეც — ახალციხე-ახალქალაქში ადგილობრივ სომხებსაც დიდი ზარალი მიადგათ. 1919 წლის 15 თებერვალს, ნოე ჟორდანიამ ბრიტანეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს — გენერალ უოკერს პირდაპირ განუცხადა, რომ „სედაი მილლეთის“ და ბრიტანელების არცთუ ისე ფარული ურთიერთობების შესახებ საქართველოში ყველაფერი იცოდნენ: „სერვერ-ბეგის ავანტიურა მოფიქრებული იყო ბათუმში და იქიდან გაიცემოდა ყველა განკარგულება“, — ასეა ჩაწერილი ნოე ჟორდანიას სიტყვა უოკერთან შეხვედრის ოქმში.

ამავდროულად, გამოირკვა ისიც, რომ სერვერ-ბეგის ავანტიურასთან უშუალო კავშირი ჰქონდა ბათუმში აზერბაიჯანის საკონსულოს და კერძოდ — მის ხელმძღვანელ მაჰმუდ-ბეი ეფენდიევს. ამის თაობაზე 1919 წლის 25 მარტს ბათუმში გამომავალ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნდა ფრიად საგულისხმო მასალა — სერვერ-ბეგის საიდუმლო ბარათი „სედაი მილლეთის“ ბათუმელ ემისართა მიმართ, რომელშიც პირდაპირ ეწერა: „ამოირჩიეთ დელეგატები, რომლებიც უნდა გავგზავნოთ სტამბოლში. დელეგატებმა აუცილებლად ბათუმში უნდა ინახულონ მახმუდ-ბეგ ეფენდიევი. თითო დელეგატისთვის აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გადადებულია სამასი ათასი რუბლი“.

სანამ საქართველოს ხელისუფლება და მისი ბათუმელი მოკავშირეები ამგვარ დიპლომატიურ ომს აწარმოებდნენ, მესხეთ-ჯავახეთისკენ გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით, ქართული არმიის 20-ათასიანი ქვედანაყოფი გაემართა. კვინიტაძემ 1919 წლის 7 მარტს ახალციხე შტურმით აიღო და შემდგომ კი შეტევა ფოცხოვ-არტაანის მიმართულებით განაგრძო. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკის“ ჯარი დაიქსაქსა. მისი პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი — ახალციხელი მუსლიმანები — ქართულ არმიას ტყვედ ჩაჰბარდა და განაცხადა, რომ სერვერ-ბეგის მთავრობამ ისინი ჯარში ძალით გაიწვია.

სერვერ-ბეგის წინააღმდეგ მებრძოლი ლაზი ფირალები. ცენტრში მის მუსტავა პაპოლლი (პაპასკირი)

ახალციხის აღებიდან ორიოდე დღის შემდეგ კი, გენერალ კვინიტაძის შტაბში სერვერ-ბეგის მთავრობის წარმომადგენლები და ინგლისელი ოფიცრები გამოცხადდნენ და ზავი მოითხოვეს. გენერალმა კვინიტაძემ დაუპატიჟებელ სტუმრებს განუცხადა, რომ მოლაპარაკებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუკი სერვერ-ბეგი არტაანს დაცლიდა და 48 საათის განმავლობაში, ავანტიურის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, ქართულ ჯარს ჩაჰბარდებოდა. ამით გაღიზიანებულმა ინგლისელმა ოფიცერმა კვინიტაძეს პირდაპირ უთხრა: „იცით თუ არა, გენერალო, რომ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკაზე ხელის აღმართვა იმას ნიშნავს, რომ ხელი თავად ინგლისზე აღმართოთ!“ გიორგი კვინიტაძემ ამ სიტყვებს ყური არ ათხოვა, მეორე დღეს შეტევა განაახლა და აპრილის დასაწყისში სერვერ-ბეგის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი — დაბა ფოცხოვი (ამჟამინდელი ქ. ფოსოფი თურქეთში) აიღო. მანვე ართვინიც დაიკავა და ჭოროხის შუაწელში საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია აღადგინა. ოსმან სერვერ-ბეგი დედასთან და დებთან ერთად, ოსმალეთში გაიქცა: გადამწყვეტ მომენტში, მან თანამოაზრეებსაც უღალატა და ქართული არმიის პირისპირ ისინი მარტოდმარტო დატოვა. საბოლოოდ, „ყარსის მთავრობის“ წევრებმა თავი ბათუმს შეაფარეს, მაგრამ ინგლისელებს ისინი აღარაფერში სჭირდებოდათ — 1919 წლის შემოდგომაზე იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლი („რესპუბლიკის“ პრეზიდენტი), ესადბეი ოქთაი (პარლამენტის ანუ „მეჯლისის“ თავმჯდომარე) და სხვები ბათუმის ინგლისელი გუბერნატორის ბრძანებით დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.

ოსმალეთში გადახვწილი ოსმან სერვერ-ბეგი ერთხანს პოლიტიკურ მოღვაწეობას განაგრძობდა: 1923 წელს, ის თურქეთის პარლამენტის წევრად აირჩიეს. მონაწილეობდა ე.წ. „გვარების კანონის“ მიღებაშიც, რომლის თანახმადაც, თავად „ათაბექის“ გვარი მიიღო. შემდგომში, პოლიტიკას ჩამოშორდა და ინჟინრად მუშაობდა. დაიღუპა 1962 წელს, 73 წლის ასაკში — ქ. იზმირში, ქუჩაში მიმავალს, მანქანა დაეჯახა, რომელსაც სხვათა შორის, ქართული წარმოშობის მძღოლი მართავდა. მაშინ გავრცელდა ხმები, თითქოს ოსმან სერვერ ათაბექი (სერვერ ბეგი ამ სახელით იყო ცნობილი თურქეთში 1934 წლიდან) საფრანგეთის ქართული სათვისტომოს დავალებით მოკლეს, თუმცაღა გამოძიებამ ამ მხრივ ბევრი ვერაფერი გაარკვია. ■

Revstone Industries ტიუნინგ-მანქანების წარმოებას წყვეტს

ამერიკულმა კომპანიამ — Revstone Industries — რომელიც ტიუნინგ-ატელიე Saleen Performance Vehicles-ს ფლობს, განახლებული მანქანების გამოშვების შეჩერება გადაწყვიტა. ამასთანავე, იგი Saleen Speedlab-ის ბრენდით სათადარიგო ნაწილების გამოშვებას, აგრეთვე უკვე გაყიდული ავტომობილებისთვის სერვის და საგარანტიო მომსახურებას გააგრძელებს. ტიუნინგირებული „ფორდების" წარმოების შეწყვეტის ძირითად მიზეზად ატელიე ფირმასთან — „ეს-ემ-ეს სუპერკარ" უთანხმოებას ასახელებს, რომელიც Saleen-ის დამაარსებლისა და ყოფილი მფლობელის, სტივ სალინის მიერაა შექმნილი. სალინმა თავისი ტიუნინგფირმა 3 წლის წინ იმ მიზნით გაყიდა, რომ ახალი ბრენდი დაეარსებინა. ეს უკანასკნელიც განახლებული ავტოების გამოშვებას ითვალისწინებს. ატელიეს ახალ მფლობელებს სალინმა ფირმის სახელწოდებაში თავისი სახელის გამოყენება აუკრძალა, მაგრამ მათ ამ დათმობაზე წასვლა არ ისურვეს და სასამართლოს მიმართეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტიუნინგკომპანიამ სახელწოდებაში სიტყვა Saleen შეინარჩუნა. „რამდენიმე წლის განმავლობაში ბრენდის სახელწოდებასთან დაკავშირებით არაერთ გაუგებრობას წავაწყდით, მისი მფლობელების ცვალებადობისა და არასტაბილური ფინანსური შედეგების გამო. ეს მარკა თავისთავად, განუწყვეტელი დებატებისა და საუბრის ცენტრში მოექცა, რაც ავტომობილების წარმოების პროცესს გვწყვეტდა", — ნათქვამია ფირმის ოფიციალურ განცხადებაში. კომპანიაში არც ის გამორიცხეს, რომ მომავალში ტიუნინგ-„მუსტანგების" გამოშვება გაგრძელდება, თუმცა — რომელი ბრენდით, ჯერჯერობით უცნობია. ■

სედანი Thema

კომპანიამ Lancia სედანის — Thema ინტერიერის ფოტოები გაავრცელა. ეს ავტომობილი Chrysler 300c-ს სახეცვლილი ვერსიაა და მხოლოდ ევროპული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ცოტა ხნის წინ ამ მოდელის ექსტერიერის მხოლოდ ერთი ოფიციალური ფოტო იყო ხელმისაწვდომი. ისევე, როგორც მანქანის გარეგნობა, სალონის დიზაინმაც წვრილმანი ცვლილებები განიცადა — მისი დამზადებისას გამოყენებულია უფრო ღია ფერის ტყავი და ხის დეტალები. გარდა ამისა, ორივე მანქანამ კონსოლის ზედა ნაწილში ანალოგიური საათები და ლურჯფერიანი ხელსაწყოთა პანელი შეინარჩუნა. ევროპაში სედანი Lancia Thema ორ კომპლექტაციად იქნება ხელმისაწვდომი: Gold და Platinum. მაქსიმალურად აღჭურვილ ვერსიაში შევა 22-დუიმიანი საბორბლე დისკები, Garmin-ის ნავიგაციური სისტემა 8,4-დუიმიანი დისპლეითი, პანორამული სახურავი, უკანა ხედვის კამერა, ადაპტური კრუიზ-კონტროლი და 9-დინამიკიანი, 506-ვატიანი აუდიოსისტემა. სიახლის შეკვეთა შესაძლებელი იქნება სამიდან ერთ-ერთი ძრავათი. ესენია: 292 ცხძ სიმძლავრის 6-ცილინდრიანი, 3,6-ლიტრიანი ბენზინის აგრეგატი, რომელიც სიჩქარის გადაცემათა ავტომატური 8-საფეხურიანი კოლოფით მუშაობს; VM Motori-ს მიერ დამზადებული V6 ტიპის 3-ლიტრიანი — 190 და 224 ცხძ-იანი მოტორებით. „მძიმე საწვავზე" მომუშავე აგრეგატები 5-დიაპაზონიანი „ავტომატით" იმუშავებს. ■

ბე-ემ-ვეს ახალი კუპე

კომპანიამ BMW გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია ახალი კუპეს — 6-Series შესახებ. ამ ავტომობილის პრეზენტაცია შანხაის ავტოსალონზე წლეულს

აპრილში შედგება, ხოლო ევროპაში მისი გაყიდვა სავარაუდოდ, შემოდგომაზე დაიწყება. ახალ კუპეს წინამორბედთან შედარებით, 75 მმ-ით დაგრძელებული საბორბლე ბაზა აქვს (2855 მმ-მდე), მისი გაბარიტული სიგრძეც ასევე 75 მმ-ით გაიზარდა; სიგანე 39 კი — მმ-ით, ხოლო სიმაღლე 5 მმ-ით შემცირდა. მისი საბარგულის მოცულობა 460 მმ-ს შეადგენს. ისევე, როგორც ადრე წარმოდგენილი კაბრიოლეტი, თავდაპირველად, მე-6 სერიის კუპე 2 ბენზინის ძრავათი იქნება ხელმისაწვდომი. 320 ცხძ სიმძლავრის 3-ლიტრიანი „ექვსიანი" 100 კმ/სთ სიჩქარის 5,4 წამში განვითარებას უზრუნველყოფს. ასეთ მანქანას ინდექსად, BMW 640i ექნება. კუპეს ტოპმოდიფიკაციას 4,4-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 407 ცხძ-იანი ტურბოძრავა დაუმონტაჟდება. ეს ვერსია 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,9 წამში განავითარებს, ხოლო მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთია. ყველა მანქანას სტანდარტული აღჭურვილობის შემთხვევაშიც კი სათანამგზავრო სისტემა ახლავს, რომელიც შეუძლებელს ხდის მის გატაცებას. ის დაკომპლექტებულია აგრეთვე: კლიმატ-კონტროლით, წინა სავარძლებისთვის მეხსიერების მქონე ელექტრორეგულირების სისტემით, 7-დუიმიანი დისპლეის მქონე აუდიოსისტემით, წვიმისა და განათების მრიცხველებით. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახის კანის ტიპები და მათი მოვლა

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, სახის კანს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ. საოჯახო პირობებშიც შესაძლებელია დაადგინოთ, თუ როგორი ტიპის სახის კანის გაქვთ: ცხიმიანი, მშრალი, ნორმალური და შერეული.

ამისათვის გაისუფთავეთ სახე ოთახის ტემპერატურის წყლითა და საპნით. მოგშორდებათ მტვერი, ოფლი და კანის ცხიმი. დაბანიდან 1-2 საათის შემდეგ სახეზე კვლავ წარმოიქმენება ცხიმის ფენა. აიღეთ თხელი ქაღალდი (ხელსაწმენდი გამოდგება) და დაიფინეთ სახეზე ისე, რომ იგი სახის ყველა უბანს ეხებოდეს. თუ ქაღალდზე გაჩნდება ცხიმის ლაქები, ე.ი. სახე ცხიმიანია, თუ ოდნავ, თანაბრად შეიმჩნევა ცხიმის კვალი, სახე ნორმალურად მიიჩნევა. მშრალი ტიპის კანი ქაღალდზე არავითარ ლაქას არ ტოვებს. თუ ცხიმის ლაქა მხოლოდ ზოგიერთ ადგილზე გაჩნდა, კანი შერეული ტიპისაა.

ამჯერად ცხიმიანი კანის მოსავლელ საშუალებებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

გამწმენდი საშუალებები

ლიმონი

ცხიმიან სახის კანს დღეში რამდენჯერმე იწმენდენ ლიმონის წვენში დასველებული ბამბის ტამპონით ან ლიმონის ნაჭრით.

სახეს იწმენდენ ლიმონის წვენისა და წყლის ნარევით (1 ჩ/კ ლიმონის წვენი 1/4 ჭიქა წყალზე).

გვირილა

1 სუფრის კოვზ გვირილას ასხამენ 10 ს/კ არაყს, აჩერებენ 7 დღე მუქ მინის ჭურჭელში, წურავენ და იწმენდენ სახეს კვირაში 2-ჯერ.

მარილიანი პროცედურები

თუ ცხიმიან სახეზე კომედონები (შავი წერტილები) და ფერიმჭამელებია, რეკომენდებულია მარილიანი პროცედურები. ბამბის ტამპონს ასველებენ საპნის ქაფში, მოაფრქვევენ გაცრილ მარილს და წრიული მოძრაობით იწმენდენ სახეს 1-2 წუთის განმავლობაში. მარილის კრისტალები შლის ცხიმის ჯირკვლის საცობს. ამ პროცედურის შემდეგ სახეს იწმენდენ ლოსიონით და იბანენ წყლით. პროცედურა დასაშვებია კვირაში 2-3-ჯერ.

ალოე

ცხიმიან, ფორებიან, ფერიმჭამელებიან კანს იწმენდენ ალოეს კონსერვირებული წვენით. კონსერვაციისთვის 4 წილ ალოეს წვენს უმატებენ 1 წილ სპირტს და ინახავენ გრილ, ბნელ ადგილას.

ფორთოხალი

ერთ ცალ ფორთოხალს ხეხავენ, უმატებენ 1/2 ჩაის ჭიქა არაყს, აჩერებენ 5-7 დღით ბნელ ადგილას, შემდეგ წურავენ და უმატებენ 1 ჩ/კ გლიცერინს.

ამ ლოსიონით ცხიმიან კანს ყოველ საღამოს იწმენდენ. ავიწროებს ფორებსაც.

მინერალურ წყალს (1 ჩ/ჭ) უმატებენ 1 ს/კ გრეიპფრუტის წვენს და იწმენდენ ცხიმიან, ფორებიან კანს.

ნიღბები

სტაფილო

1 ცალ მოზრდილ, წვნიან სტაფილოს ხეხავენ. უმატებენ ცოტა ბავშვის პუდრას და მიღებულ მასას იდებენ სახეზე. უხდება ცხიმიან, ფერიმჭამელებიან, მოდუნებულ, ფერმკრთალ კანს.



პომიდორი

პამიდორს ჭრიან სიბრტყეზე და იდებენ სახეზე. რეკომენდებულია ცხიმიანი, დიდფორებიანი კანისათვის.

კომბოსტო

კომბოსტოს ფოთლებს ატარებენ ხორცსაკეპ მანქანაში, ამ ფაფას ურევენ ათქვეფილ კვერცხის ცილას და იდებენ სახეზე 25-30 წუთით.

თიხა და პუდრა

იღებენ თანაბარი რაოდენობით (5-10 გ) თეთრ თიხას და პუდრას, უმატებენ 1-2 ს/კ ახალ რძეს. მიღებულ ნიღაბს უჩერებენ სახეზე 20 წუთით. ნიღაბი უკეთესად მოაშორებს სახეს ცხიმს, თუ რძის მაგივრად შემდეგ ხსნარს გამოვიყენებთ: 5 გ გლიცერინი, 15 მლ სპირტი და 4 მლ წყალი. ეს ნიღაბი უხდება დიდფორებიან, ცხიმიან კანს.

ქატო

ცხიმიანი კანისთვის ეფექტიანია ქატოს (ხორბლის ფქვილის ანაცერი) ნიღაბი. ამისათვის ქატოს ურევენ რძეში და იდებენ სახეზე. ნიღაბი რომ გახმება, სახეს იბანენ თბილი წყლით.

საფენები

გვირილა

კარგ ეფექტს აძლევს გვირილის ნაყენის საფენები ცხიმიან, ფერიმჭამელებიან კანს. იღებენ 1 ს/კ გვირილის ყვავილებს, ასხამენ 2 ჩაის ჭიქა მდუღარეს, აჩერებენ 10-15 წთ. წურავენ, ასველებენ რამდენიმე ფენა მარლას და იდებენ სახეზე ზომიერად თბილ საფენს (10-15 წთ). უკეთესი იქნება, თუ საფენი ხელახლა დასველდება თბილ ნაყ-

ენში ყოველ 5 წუთში ერთხელ, ზედიზედ 6-ჯერ. 2 კვირის განმავლობაში პროცედურები ტარდება ყოველდღე, შემდეგ კი დღეგამოშვებით. საჭიროა სულ 25 პროცედურა.

მარილი

1 ლ წყალში ხსნიან 1 ჩ/კ მარილს, ასველებენ საფენს და იდებენ სახეზე 10-15 წუთით.

კიტრი

2 კიტრს ხეხავენ, უმატებენ 100 მლ არაყს. ურევენ და აჩერებენ მინის ჭურჭელში 7 დღის განმავლობაში. წურავენ. ასველებენ მარლას და იფენენ სახეზე 15 წუთით. ეს ნარევი ავიწროებს ფორებს და აშორებს სახეს ცხიმს.



ორი წვეთი ფლირტი...

თუ გგონია, რომ ეს არაფერში გჭირდება, სასტიკად ცდები: შენი რჩეული თუ შენზე დაქორწინებას გადაწყვეტს, ამის შესახებ მეგობრებს უფრო ადრე აცნობებს, ვიდრე შენ. მათ კი თუ არ მოეწონე, ყველანაირად ეცდებიან, მეგობარს გადაწყვეტილება შეაცვლევინონ.

მაგრამ შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად მოხდეს, ეს კი შენზეა დამოკიდებული:

პანიკაში არ ჩავარდე

აუცილებელი არ არის, ყველა მათგანი უცებ მიიღო და შეიყვარო. პირველ ხანებში შესაძლოა გაგიჭირდეს ურთიერთობის აწყობა, მაგრამ ხომ გსურს, რაც შეიძლება მეტი გაიგო მამაკაცზე, რომელიც გიყვარს?! გახსოვდეს: მის მეგობრებთან ურთიერთობით გაცილებით მეტს შეიტყობ მასზე.

დაინტერესე

შეიძლება თავიდან, მათ ყურადღება არც მოგაქციონ, გამოგცადონ. მხოლოდ მოთმინებისა და დიდი ძალისხმევის შედეგად მოიპოვებ მათ ნდობას. დაინტერესე იმით, რაც არ იციან: შენი თვალსაწიერით, ჰობით... ერთი ცდით არ დაკმაყოფილდე — იბრძოლე მათი ყურადღების მოსაპოვებლად.

შენს რჩეულს მისი მეგობრების შესახებ პირველი შთაბეჭდილებები გაასანი

ისეთი რამ უთხარი, რაზეც იფიქრებს, დაიმახსოვრებს და ამის შესახებ, დაინტერესებულ პირებსაც აცნობებს. შენი შეფასება უნდა შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ არც ძალიან რთულს. მეგობრები უნდა შეუქო, ოღონდ ზომიერების ფარგლებში, რათა მასში ეჭვიანობის გრძნობა არ აღძრა.

შენს რჩეულს შესთავაზე, მეგობრები შეაქრიბოს

მოძველებული, მაგრამ უტყუარი მეთოდია: ამით ერთბაშად რამდენიმე კურდღელს დაიჭერ: 1. ყველას ისეთი შეგრძნება ექნება, რომ შენი შეყვარებული ძველებურად „ხელმისაწვდომია"; 2. მეგობრები შეიტყობენ, რომ მის მიმართ წრფელი და ნაზი გრძნობა გაქვს; 3. შენი რჩეული დიდად გაიხარებს; 4. შეგეძლება უკეთ გააკონტროლო სიტუაცია; 5. რომელ მამაკაცს არ მოსწონს, როცა ქალი გემრიელად ამზადებს?

უკიდურეს შემთხვევაში მოთმინებით აღიჭურვე

თუ მისმა მეგობარმა აგითვალწუნა, არ დაღონდე, მიზეზი შენში კი არა, მასშია. ამას მსუბუქად მიუდექი. მოიქეცი ისე, როგორც კარგად აღზრდილ ადამიანს შეეფერება და „ზავიც დაიდება".

დაუმატე „ორი წვეთი" ფლირტი

თუ, რა თქმა უნდა, სწორად გესმის სიტყვა — „ფლირტი". საუბარი წარმართე და კითხვები დასვი. ფლირტის დროს მთავარი იარაღი ადამიანისადმი ინტერესის დემონსტრირებაა. უნდა აგრძნობინო, რომ ის პიროვნულად გაინტერესებს. ამისთვის გამოიყენე მხოლოდ „ორი წვეთი" ფლირტი, მაგრამ — ისე, რომ გაუგებრობა არ მოხდეს.

მათ დახმარება სთხოვე

მისი მეგობრები რომ შეიჩვიო, ამისათვის გამოიყენე უკვე ბევრჯერ ნაცადი ქალური რეცეპტი: თავი სუსტ და უმწეო ქალად მოაჩვენე. დაურეკე მის საუკეთესო მეგობარს და უთხარი: „შენი დახმარება მჭირდება: როგორ ფიქრობ, მოეწონება თუ არა მას..." ეს ნიშნავს, რომ შენი შეყვარებულის მეგობრებს აფასებ და მათ აზრს პატივს სცემ.

ზოგჯერ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინე

მისი მეგობრები მოსვენებას არ გაძლევენ? სავარაუდოა, რომ ისინი, უბრალოდ, ვერ შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მეგობარი პრაქტიკულად „დაკარგეს": რომ ის მარტო აღარ ცხოვრობს; გამოსასვლელ დღეებში მობილური გამორთული აქვს და ნებისმიერ დროს, როცა მოეპრიანებათ, მასთან სტუმრად მისვლას ვეღარ მოახერხებენ. თუ გრძნობ, რომ ისინი ზურგს უკან შენი რჩეულის დაგესვლას ცდილობენ, მათთან მტკიცედ დალაპარაკება მოგიწევს, მაგრამ არ გადაამლაშო — გაიხსენე, რომ მეგობრები შენც გყავს.

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგული ცხვარი და ზეციურ სამყაროში მოვლენილი სიხარული

შორენა მერკვილაძე

უფლის იგავი დაკარგულ ცხვარზე მოთხრობილია ლუკას სახარების მე-15 თავში: იყო მწყემსი კეთილი, რომელსაც 100 ცხვარი ჰყავდა. გზად ერთი ცხვარი დაეკარგა. მაცხოვარი კითხულობს: განა არ დატოვებს მწყემსი 99 ცხვარს უდაბნოში და არ წავა იმ ერთის საძებნელად, ვიდრე არ იპოვის? როდესაც იპოვის, სიხარულით მხრებზე შეისვამს. შინ რომ დაბრუნდება, დაუძახებს მეზობლებს, მეგობრებს და ეტყვის: თქვენც იხარეთ ჩემთან ერთად — დაკარგული ცხვარი ვიპოვეო.

ასევე უფრო მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტი მართლის გამო, რომელსაც მონანიება არ სჭირდება.

იგავის შესახებ გვესაუბრება მამა ბესარიონი (მშვილდაძე):

— „მწყემსში“ — მაცხოვარი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც კეთილი მწყემსის მსგავსად ზრუნავს თავის სამწყსოზე; „ცხვრებში“, ერთი მხრივ, შეიძლება ვიგულისხმოთ ღვთის წინაშე მართალი ცხოვრებით მცხოვრები, ეკლესიის წიაღში მყოფ და ღვთის გზას აცდენილი ადამიანები, მეორე მხრივ — „99 ცხვარში“ იგულისხმება ანგელოზთა დასი, „ერთ დაკარგულ ცხვარში“ — მთელი კაცობრიობა, თითოეული ადამიანი.

კეთილი მწყემსი 99 ცხვარს უდაბნოში მიატოვებს და ერთი დაკარგული ცხვრის მოსაძებნად მიდის, რათა იპოვოს და იხსნას. ასევე მოვიდა განკაცებული უფალი დედამიწაზე — სასუფევლისთვის დაკარგული, ბოროტისგან გზააბნეული კაცობრიობის გამოსახსნელად. დაკარგული ცხვრის პოვნის შემდეგ მწყემსი უდიდეს სიხარულს განიცდის, რაც იგავურში, ცხვრის მხრებზე შესმით და მეზობლებისა და ახლობლების მოხმობით გამოიხატება, ეს კი ნიშნავს, რომ განკაცებულმა უფალმა საკუთარ მხრებზე იტვირთა კაცობრიობის ცოდვები, თავისი ჯვარცმით, ჯვარზე დაღვრილი სისხლით, თითოეული ადამიანი გამოიხსნა — ადამიდან დაწყებული, სამყაროს აღსრულების ჟამს მცხოვრებთა ჩათვლით. ყველა ადამიანს მიეცა შესაძლებლობა სულის ხსნის მოპოვებისა, სასუფეველში დამკვიდრებისა, მაგრამ ხსნას მიიღებენ ის ადამიანები, რომლებიც თავისუფალი ნებით ისურვებენ ამას — ვინც საკუთარი ნებით შეუერთდება ეკლესიის წიაღს და ივლის უფლის მიერ გაჭრილ გზაზე. დაკარგულის მოძებნა — უკვე შედეგია. უფალიც ამ შედეგით ხარობს — კაცთმოყვარე და სამართლიან უფალს ის უხარია, თუკი ადამიანი თავისუფალი ნებით, მივა ეკლესიაში და შეუდგება ღვთისკენ სავალ გზას. მაცხოვნებელი თავად უფალია, მაგრამ უფალი სწორედ იმით გვაცხოვნებს, რომ თავისი მოძღვრება მოგვცა — გვასწავლა, რა უნდა მოვიმოქმედოთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ვცხონდეთ. უფალი ყველა ადამიანს ცხონებისთვის ქმნის, თითოეული ადამიანის ცხონება სურს და ძალუძს; ასე რომ არ იყოს, ღვთის სამართლიანობა დაირღვეოდა. მაგრამ თუ ცხონების სურვილი ადამიანის ნებაც არ არის, ის ვერ ცხონდება.

დაკარგული ცხვრის იგავი იმასაც მიგვანიშნებს, რომ ღვთისთვის თითოეული ადამიანის სულია ღირებული. დავითის ერთ-ერთ „ფსალმუნის“ განმარტებისას წმინდა მამები ბრძანებენ: უფალს ერთი ადამიანის სული გაცილებით მეტად უღირს, ვიდრე მთელი სამყარო: „მართალია ადამიანი ასეთი მცირეა, ისეთი პატარა, სამყარო კი ასეთი უზარმაზარი, რომ თითქოს არარაა კაცი მასთან შედარებით, მაგრამ უფლის წინაშე სწორედ ეს „არარა“ არის ყველაზე მნიშვნელოვანი“. უფალმა ხომ ადამიანთა გამოსახსნელად დაიმდაბლა უკიდურესად თავი, „მონის ხატება მიიღო“, კაცობრივი სხეულით შეიმოსა, მოვიდა დედამიწაზე და გვიხსნა სწორედ ადამიანის უსაზღვრო სიყვარულის გამო. ამასთანავე, უფალი განსაკუთრებით ზრუნავს იმ ადამიანებზე, რომლებიც ჭეშმარიტ, ღვთისკენ სავალ გზას ასცდებიან, ეძიებს — სინდისის ხმისგან მხილებითა თუ სხვადასხვა განსაცდელის მოვლინებით, რათა გამოაფხიზლოს, ეკლესიაში მიიყვანოს და გადაარჩინოს. ღვთის განსაკუთრებული მზრუნველობა გაცილებით მეტად სჭირდება „დაკარგულ ცხვარს“ — ცოდვებით გზააბნეულ ადამიანს, ვიდრე უფლის ანგელოზებს თუ მართალ ადამიანებს, რომლებიც სინანულითა და აღსარებით არიან განწმენდილნი, მუდამ ღვთის გვერდით იმყოფებიან და განუწყვეტლივ ისწრაფვიან ღვთის ნების აღსრულებისკენ.

იგავის თანახმად, უფალი თავის სამწყსოს უდაბნოში აძოვებს და თუნდაც რჩეულნი იქ დატოვოს, ამით მათ საფრთხეში არ ჩააგდებს: ეკლესიის წიაღში მყოფ ადამიანებს ღვთის ჭეშმარიტ შვილებს, რომლებიც მოძღვრის მორჩილებაში იმყოფებიან და ჭეშმარიტად აღასრულებენ საეკლესიო წესებს, საფრთხე არ ემუქრებათ. ამ იგავური თქმით, უფალი უდაბნოს განწმედ ფუნქციაზეც მიგვანიშნებს. უდაბნო, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, საკუთარ თავში ჩაღრმავების ადგილია. ადამიანი სულიერად რომ განიწმინდოს, საკუთარ თავსა და სულში ღრმად უნდა ჩაიხედოს. უკაცრიელ ადგილას — უდაბნოში განწმენდისთვის მეტი პირობაა, ამიტომაც მიმართავდნენ მამები ხშირად უდაბნოში მოღვაწეობას. მაგრამ ცხადია, ასეთ ღვაწლს ყველა ვერ იტვირთავს. ერთში მცხოვრებმა ადამიანმა თვითჩაღრმავებით, საკუთარი თავის განკითხვით, ღვთის წინაშე განუწყვეტელი ლოცვით, მარხვით უნდა მიაღწიოს სულის განწმენდას, ღვთის წინაშე მართალ მდგომარეობას.

„დაკარგული ცხვრის“ იგავით უფალი გვაუწყებს, თუ რა გააკეთა ჩვენთვის — ადამის ცოდვის შედეგად ცოდვით დაცემული, უფლისგან დაშორებული და სასუფევლისთვის დაკარგული კაცობრიობისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის და როგორ ზრუნავს თითოეული ადამიანის სულის გადასარჩენად. იგავში ჩანს, რომ მწყემსს მხრებით მოჰყავს ნაპოვნი ცხვარი, რაც მონანიე ცოდვილს განასახიერებს და მოუხმობს მეზობლებსა და ახლობლებს, რათა დაკარგულის პოვნის ამბავი ახაროს. იგავში უფლის ერთ-ერთი მთავარი სათქმელი სწორედ დაკარგულის პოვნა — ცოდვით გზააბნეული ადამიანის ეკლესიის წიაღში დაბრუნება და მისი სულის გადარჩენაა. მეზობლები და მეგობრები ჭეშმარიტი ქრისტიანები, ღვთის ჭეშმარიტი შვილები არიან, რომელთაც მოყვასის ცოდვილი მდგომარეობიდან გამოსვლა და სულის გადარჩენის გზაზე დადგომა ახარებთ.

„ასევე, უფრო მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტი მართლის გამო, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ“, — ეს არის უფლისმიერი შეგონება, რომელიც თან ერთვის იგავს. ამ სიტყვებით მაცხოვარი შეგვაგონებს, რომ ერთი ცოდვილის მობრუნების, სინანულად მოქცევის გამოც კი უდიდეს სიხარულს მოავლენს ზეციურ სამყაროში — ანგელოზნი ერთი ცოდვილის მობრუნების გამოც კი ხარობენ. ამასთან, უფალი მიგვანიშნებს, რომ გულწრფელი სინანულით ადამიანს საშუალება ეძლევა, ეზიაროს უდიდეს სულიერ სიხარულს რაც უფალთან მყოფობის, ღვთის მადლის მიღების სანაცვლოდ გვენიჭება. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

წვენებით მკურნალობა

ალბათ ბავშვობაში ახალი ხილიდან თუ ბოსტნეულიდან გამოწურულ წვენებს ბევრი მიირთმევდა. ნატურალური წვენები ხომ ყველა ასაკში სასარგებლო და, ბევრი მკვლევრის აზრით, აუცილებელიც კია. უმი ბოსტნეულისა და ხილის წვენი მდიდარია ვიტამინებითა და ენზიმებით, აქვს ორგანიზმიდან წიდების და ტოქსინების გამოდევნის უნარი, ამიტომ გამოიყენება პროფილაქტიკის ანუ ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ასევე, უამრავი დაავადების მკურნალობის მიზნით.



ენზიმები — რთული ნივთიერებებია, რომლებიც აადვილებს საჭმლის გადამუშავებას და ორგანიზმის მიერ მის ათვისებას; ძირითადად, უმ მცენარეულ პროდუქტებში მოიპოვება. ისინი 47^0-ზე მაღალი ტემპერატურის მიმართ მგრძნობიარეა. 49^0-ზე უკვე ინერტული ხდება, ხოლო 54^0-ზე მათი უმრავლესობა იღუპება.

თუ ადამიანი ენზიმებით ღარიბი პროდუქტებით სისტემატურად იკვებება, ეს იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე და დროთა განმავლობაში, დააავადებს.

ხილი და ბოსტნეული შედგება დიდი რაოდენობით უჯრედებისგან, რომელთა შორისაც ორგანიზმის ცხოველმყოფლობისთვის აუცილებელი საკვები ელემენტებია. სწორედ ახალგამოწურულ წვენში არსებული ეს ელემენტები ასაზრდოებს ორგანიზმს.

მიუხედავად იმისა, რომ წვენებს უამრავი სარგებლობა მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ბევრს ეზარება მათი გაწურვა, ამიტომ უმი ხილისა და ბოსტნეულის მირთმევას ამჯობინებს და თავს იმით იმშვიდებს, რომ წვენის შემადგენლობაში შემავალი სასარგებლო ნივთიერებები კიდევ უფრო დიდი რაოდენობით იქნება იმ პროდუქტებში, რომლებიდანაც ეს წვენი გამოწურეს. რასაკვირველია, ბოსტნეულისა და ხილის უმი სახით მიღება სასარგებლოა, მაგრამ წვენები სხვა თვისებებითაც გამოირჩევა. ჯერ ერთი, ორგანიზმი უმი ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავებაზე გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე მათი წვენის გადამუშავებაზე დახარჯავდა. გარდა ამისა:

* წვენში არ გადადის უმი ხილისა და ბოსტნეულის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზმისთვის უსარგებლო და მავნე ნივთიერებები (ნიტრატები, პესტიციდები და სხვა), რადგან ისინი გამონაწურში რჩება;
* წვენები ორგანიზმის მიერ უფრო სწრაფად და ადვილად აითვისება, ვიდრე უმი ხილი და ბოსტნეული;
* ხილის წვენი წარმოადგენს ორგანიზმის გამწმენდ საშუალებას. მათ ათასგვარი წიდისა და მავნე ნივთიერებების დაშლისა და გარეთ გამოტანის უნარი აქვს;
* ბოსტნეულის წვენი უჯრედების მშენებარე და აღმდგენი თვისებებით გამოირჩევა. მათში შემავალი ორგანული ელემენტები დაავადებული ქსოვილების სწრაფი და ხარისხიანი აღდგენის უნარს იძლევა;
* ხილისა და ბოსტნეულის წვენი ორგანიზმში მჟავა-ტუტოვან წონასწორობას არეგულირებს, რომელიც, როგორც წესი, ნებისმიერი დაავადების დროს ირღვევა.

გარდა ამისა, წვენები შეიცავს ყველა იმ ამინომჟავას, მინერალურ მარილსა და ვიტამინს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებლობას წარმოადგენს.

ყველაზე იაფფასიანი და ადვილად საშოვნი ბოსტნეულია: კომბოსტო, სტაფილო და ჭარხალი. თურმე სწორედ მათი წვენი არის განსაკუთრებულად სასარგებლო ჯანმრთელობისთვის.

წვენები უნდა დამზადდეს მხოლოდ ახალი, საღი ხილისა და ბოსტნეულისაგან და მაშინვე დაილიოს. მცირე ხნით შენახვა ან მაცივარში გაჩერება, გარდა იმისა, რომ მის შემადგენელ სასარგებლო ნივთიერებებს შლის, ასევე აჩქარებს პროდუქტის დუღილსა და გაფუჭებას, თუმცა ამ დროს გემო შეიძლება არც კი შეიცვალოს.

წვენები უნდა დალიოთ იმდენი, რამდენიც გესიამოვნებათ. სამკურნალო თვალსაზრისით, დღეში მინიმუმ 600 გ-ის მიღებაა საჭირო.

ახლა ზოგიერთი ბოსტნეულისა და ხილის მოკლე დახასიათებას შემოგთავაზებთ.

კომბოსტოს წვენი

* კომბოსტოს წვენი ორგანიზმის გამწმენდ იდეალურ საშუალებას წარმოადგენს და განსაკუთრებით სასარგებლოა სიმსუქნის დროს, ამიტომ წონაში დაკლების მსურველებმა არ უნდა დაივიწყონ კომბოსტოს წვენი და სისტემატურად უნდა მიიღონ ის.
* კომბოსტოს წვენი გამოირჩევა წყლულის საწინააღმდეგო მოქმედებით და ძალზე ეფექტიანად გამოიყენება თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების სამკურნალოდ.
* დადასტურებულია კომბოსტოს წვენის დადებითი მოქმედება სიმსივნური დაავადებების მკურნალობისას.

გარდა ამისა, კომბოსტოს წვენს გამოიყენებენ:

* ყაბზობის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

* ბუასილის;
* უძილობის;
* კანზე გამონაყარის (კერძოდ — ეგზემისა და დიათეზის) სამკურნალოდ.
* ღრძილების ინფიცირებით გამოწვეული პიორეის (ჩირქდენა) მავნე გავლენისაგან ორგანიზმის დაცვის არაჩვეულებრივ საშუალებად, კომბოსტოსა და სტაფილოს წვენების ნარევია მიჩნეული.

თუ კომბოსტოს წვენის მიღების შემდეგ ნაწლავებში დიდი რაოდენობით აირები გროვდება (გახსოვდეთ, რომ ამ შემთხვევაში აირების დაგროვება მხოლოდ ნაწლავთა არანორმალური ფუნქციონირების შედეგია), რეკომენდებულია წინასწარ ნაწლავების გაწმენდა. ამისათვის 2 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად უნდა მიიღოთ სტაფილოს წვენი და ასევე ყოველდღიურად გაიწმინდოთ ნაწლავები ოყნით.

კომბოსტოს წვენი მდიდარია ვიტამინებით, ენზიმებითა და მარილებით. როცა კომბოსტოს ხარშავენ, ამ ნივთიერებების მოქმედების ეფექტი ქვეითდება. მარტო ის ფაქტი, რომ 500 გ მოხარშულ ან კონსერვირებულ კომბოსტოს არ შეუძლია იმ რაოდენობით ცოცხალი ორგანული ნივთიერებების მიცემა ორგანიზმისთვის, რამდენიც 300 გ ახალგამოწურულ წვენს, ყველაფერს ნათელს ჰფენს.

უნდა აღინიშნოს, რომ კომბოსტოს ან მისი წვენისთვის მარილის დამატება არა მარტო აქვეითებს მის სამკურნალო თვისებებს, არამედ უარყოფითადაც მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

მიიღება: 1 ჩ/ჭ წვენი 1 ს/კ თაფლთან ერთად, დღეში 2-ჯერ, დილით — უზმოდ და საღამოს.

სტაფილოს წვენი

სტაფილოს წვენი წარმოადგენს A ვიტამინის წყაროს, ის შეიცავს B, C, D ვიტამინებსაც. ააქტიურებს უჯრედშიდა ჟანგვა-აღდგენით პროცესებს. ძალზე მრავალმხრივი მოქმედება აქვს და გამოიყენება ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა:

* ვიტამინის დეფიციტი;
* დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტები;
* მეძუძურ ქალებში ლაქტაციის მოსამატებლად და რძის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
* ზემო სასუნთქი გზებისა და ყელის ინფექციების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის ასამაღლებლად;
* წყლულოვანი დაავადებები;
* სიმსივნური წარმონაქმნები;
* ღვიძლის დაავადებები;
* აუმჯობესებს მადას, საჭმლის მონელებას და კბილების მდგომარეობას;
* აუმჯობესებს მხედველობას;
* ეხმარება მამაკაცებს იმპოტენციის, ქალებს კი — ჰორმონული დარღვევების დროს;
* ეფექტიანია კანის ანთებით დაავადებათა სამკურნალოდ.

მიიღება: 0,5-1 ჩ/ჭ, 1 ს/კ თაფლთან ერთად, 2-3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

ჭარხლის წვენი

ჭარხლის წვენის უმთავრესი თვისება ის არის, რომ ხელს უწყობს ორგანიზმში სისხლის წითელი ბურთულების წარმოქმნასა და სისხლის საერთო მდგომარეობას აუმჯობესებს.

ჭარხლის წვენი გამოიყენება სხვა დაავადების სამკურნალოდაც, მათ შორისაა:

* ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლების დაავადება;
* სიმსუქნე;
* არტერიული ჰიპერტენზია (აფართოებს სისხლძარღვებს და ხელს უშლის ღამით ჰიპერტენზიული კრიზის განვითარებას);
* გულის იშემიური დაავადება;
* მენსტრუაციის დარღვევები და კლიმაქსი;
* უძილობა.

ჭარხლის წვენს აქვს მცირედ გამოხატული შარდმდენი და საფაღარათო მოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭარხლის წვენის დიდი რაოდენობით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა და გულისრევა, ამიტომ იგი დღეში 100 გ-ზე მეტი არ უნდა დალიოთ და თანაც, უნდა დაიწყოთ მხოლოდ 1-2 ს/კ-ით.

მიიღება: 0,5-1 ჩ/ჭ. 1 ს/კ თაფლთან ერთად, 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

კიტრის წვენი

ძალზე ეფექტური შარდმდენი საშუალებაა. ამაგრებს ფრჩხილებსა და თმას; აუმჯობესებს დაავადებული ღრძილებისა და კბილების მდგომარეობას; ხელს უწყობს კანის ტონუსის ამაღლებას. აძლიერებს ნაწლავთა პერისტალტიკას, ხელს უწყობს ქოლესტერინის გამოყოფას ორგანიზმიდან. გამოიყენებენ აგრეთვე მეხსიერების გასაუმჯობესებლად.

ფართოდ გამოიყენება სტაფილოს, კიტრისა და ჭარხლის წვენების ნარევი თირკმელკენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

მიიღება: 1 ჩ/ჭ კიტრის წვენი 1 ს/კ თაფლთან ერთად, 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

კარტოფილის წვენი

დიდ როლს თამაშობს წყლის ცვლის რეგულირებაში და ხელს უწყობს გულის ნორმალურ მუშაობას. გამოიყენებენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების სამკურნალოდაც. წვენის სისტემატური მიღების შემთხვევაში, კუჭის მჟავიანობა ქვეითდება და გულძმარვა, ბოყინი იხსნება. კარტოფილის წვენი ძალზე სასარგებლოა კოსმეტიკური მიზნით გამოყენების დროსაც. წვენი უნდა გამოიწუროს სექტემბერ-ოქტომბერში აღებული კარტოფილიდან.

მიიღება: 1 ჩ/ჭ 1 ს/კ თაფლთან ერთად, დილით — უზმოზე და საღამოს — ვახშმობიდან 2-3 საათის შემდეგ.

ნივრის წვენი

რეკომენდებულია საერთო სისუსტის, მოთენთილობის, მაღალი წნევის, ათეროსკლეროზის, უძილობის, ანგინის, ენტერიტის, კოლიტის, ნაწლავთა ატონიის დროს. აუმჯობესებს მადას, ხელს უწყობს ნაღვლის წვენის გამომუშავებას, შარდის გამოყოფას; ასუფთავებს ბრონქებს ლორწოსაგან.

უკუჩვენებაა: ეპილეფსია და თირკმლების დაავადება. წვენს გამოწურავენ სექტემბერში.

მიიღება: 1 ს/კ, ამავე რაოდენობის თაფლთან ერთად.



ისპანახის წვენი

სასარგებლოა სისხლნაკლულობის და ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერსეკრეციის დროს. ასტიმულირებს საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების მუშაობას, აძლიერებს ნაწლავთა პერისტალტიკას, ამაგრებს ნერვულ სისტემას.

ისპანახი, მასში დიდი რაოდენობით მჟაუნას მჟავას არსებობის გამო, უკუნაჩვენებია წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევების, პოდაგრის, თირკმლებისა და ღვიძლის დაავადებების დროს. წვენი უნდა გამოიწუროს აგვისტო-სექტემბერში.

მიიღება: 1 ჩ/ჭ წვენი 1 ს/კ თაფლზე 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

ხახვის წვენი

გამოიყენება, როგორც ჭრილობის შემახორცებელი, გრიპის საწინააღმდეგო, ამოსახველებელი, შარდმდენი, ბუასილის საწინააღმდეგო საშუალება. აგრეთვე — ხელს უწყობს კბილების სიჯანსაღეს, ამაგრებს თმას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებასა და მხედველობას, ასტიმულირებს სპერმის გამოყოფას, ხელს უწყობს თირკმელკენჭოვანი დაავადების დროს ქვიშების გამოდევნას, მადის აღმძვრელია, რეკომენდებულია სურდოს, თავის ტკივილის, ფურუნკულოზის დროს. ხახვის წვენს წურავენ ივლის-აგვისტოში.

მიიღება: 1 ს/კ, ამავე რაოდენობის თაფლთან ერთად.

ოხრახუშის წვენი

ეფექტიანია შარდკენჭოვანი და თირკმლების დაავადებათა სამკურნალოდ, აუმჯობესებს ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლების მუშაობას; გამოიყენება მენსტრუალური დარღვევების დროს; აგრეთვე, თვალის დაავადებათა სამკურნალოდაც.

მიიღება: დღეში 1 ს/კ.

ნიახურის წვენი

ხელს უწყობს ორგანიზმიდან კალციუმის მარილების გამოდევნას, ამარაგებს ორგანიზმს ნატრიუმით; სასარგებლოა ასთმის, რევმატიზმისა და ბუასილის სამკურნალოდ.

მიიღება: 1-2 ჩ/კ დღეში 3-ჯერ; დოზა შეიძლება გაიზარდოს 100 გრამამდეც.

სხვა ბოსტნეულისა და ხილის წვენების სამკურნალო და პროფილაქტიკურ თვისებებზე „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თემატური წიგნები

ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად

24 მარტიდან



სერიის მომდევნო თემები:

№3 ყველაფერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ

№4 ყველაფერი ალერგიის შესახებ

№5 ყველაფერი სტენოკარდიისა და ინფარქტის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი

მძღოლობის 50-წლიანი გამოცდილება

და ქალბატონი, რომელმაც საყვარელ საქმეს პირადი ცხოვრება მიუძღვნა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემს რესპონდენტ ქალბატონს ცხოვრების ნახევარზე მეტი გზაში აქვს გატარებული. ქალბატონი მარგო მაისურაძე 68 წლის გახლავთ. მანქანის საჭეს მაშინ მიუჯდა, როცა ქალ მძღოლს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვერ შეხვდებოდით. ფაქტობრივად, მან დაანგრია სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ქალებს ცუდ მძღოლებად მიიჩნევენ. 50 წლის განმავლობაში ის ხან სატვირთო, ხანაც სამხედრო მანქანას მართავდა, ახლა კი მიკროავტობუსის მძღოლია და მგზავრები ახალციხიდან ახალქალაქის მიმართულებით გადაჰყავს. მის მგზავრებს შორის ერთხელ მეც მოვხვდი და როცა საჭეს მამაკაცის მაგივრად ქალბატონი მიუჯდა და „მარშრუტკა" დაიძრა, ლამის მგზავრობა გადავიფიქრე, თუმცა მგზავრებმა მალევე დამამშვიდეს და საინტერესო ქალბატონთან ინტერვიუს ჩაწერაც გადავწყვიტე.

მარიამ ზედგინიძე

— ქალბატონო მარგო, ავტომანქანები ბავშვობიდან გიზიდავთ?

— კი, მახსოვს, ჩემს ერთ-ერთ უფროს ძმას, რომელსაც მანქანა ჰყავდა, მეც სულ თან დავყვებოდი და მართვის პროცესს დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი. გარდა ამისა, ძალიან მაინტერესებდა მანქანის აგებულება. ჩემი ძმაც დაუზარებლად მიხსნიდა ყველაფერს. ჩემს პროფესიონალ მძღოლად ჩამოყალიბებაში სწორედ მან შეიტანა დიდი წვლილი. სამწუხაროდ, ის ადრეულ ასაკში დაიღუპა. გარდაცვალების წინ კი მშობლებს, რომლებიც ჩემს ავტომანქანებით დაინტერესებას არასერიოზულად უყურებდნენ, სთხოვა, რომ არ შემწინააღმდეგებოდნენ და მანქანის ტარება არ დაეშალათ. დაკრძალვის წინაღამეს ჩემი ძმა დამესიზმრა და შეიძლება ითქვას, რომ მიწინასწარმეტყველა: საჭე შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდებაო. მაშინ ცამეტი წლის ვიყავი. ვიდრე დაკრძალავდნენ, ტუში ავიღე და მისი სასახლის კუთხეში ფიცი დავწერე. ძმას ვპირდებოდი, რომ არ შევარცხვენდი მის სახელს; რაც მთვარია, საჭეს არ ვუღალატებდი. ბედნიერი ვარ, რომ მაშინდელი ბავშვური ფიცი პირნათლად შევასრულე.

— ძმის გარდაცვალების შემდეგ მანქანის მართვას როგორ ახერხებდით?

— როგორც გითხარით, ჩემს მშობლებს, განსაკუთრებით კი მამაჩემს არ მოსწონდა, როცა ხედავდა, თუ როგორ მიტაცებდა ავტომანქანები. იცოდა, ნება რომ მოეცა, მანქანაში დავიძინებდი კიდეც. ამიტომ იძულებული ვიყავი, მისგან ფარულად დამეკმაყოფილებინა მანქანის ტარების ჟინი. ჩემს ნათესავს, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა, „მოსკვიჩი" ჰყავდა. მუდამ საბაბს ვეძებდი, მასთან წავსულიყავი, რადგან მანქანის თხოვებაზე უარს არასოდეს მეუბნებოდა. მეც მოვისვამდი თანატოლებს და გახარებული, სოფლის გზებზე დავქროდი.

— მისი მანქანა დაუკითხავად არასოდეს „მოგიპარავთ"?

— მისი — არა. მე-8 კლასში ვიქნებოდი, თანაკლასელებთან ერთად სკოლიდან მოვდიოდი, შევნიშნე, მეზობელმა კაცმა სატვირთო მანქანა გააჩერა, თვითონ კი მაღაზიაში შევიდა. ეშმაკურმა აზრმა გამირბინა თავში, ბავშვებს ვუთხარი, სწრაფად, საბარგულზე შემოსხედით-მეთქი! მე კაბინაში ჩავჯექი. ბედად, გასაღები სალონშივე იდო, ხელი დავტაცე და მანქანა დავძარი. ნელა მივდიოდი, მაგრამ უეცრად, საჭე ვერ დავიმორჩილე და გაჩერებულ ავტომობილს დავეჯახე. საბედნიეროდ მისმა პატრონმა, რომელიც იქვე იდგა, გვერდზე გადახტომა მოასწრო და ტრამვაის გადაურჩა, მანქანა კი უმნიშვნელოდ დაზიანდა. მეც და ჩემს კლასელებსაც ძალიან შეგვეშინდა. იქაურობა მივატოვეთ. გავრბოდით და თან ჩვენზე მეტად შეშინებულ, გაფითრებულ მძღოლს ქვებს ვუშენდით. საწყალმა, მაშინვე დაქოქა მანქანა და გაგვეცალა. ამის გამო მკაცრად დამსაჯეს ოჯახში, თუმცა მანქანის სიყვარული მაინც არ გამნელებია.

— ალბათ მართვის მოწმობა იოლად აიღეთ...

— მართალი ხართ, მართვის მოწმობა პირველივე მცდელობაზე ავიღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხანში, ჩემს მშობლიურ სოფელ ოკამში გაიხსნა პემზის კარიერი, სადაც სატვირთო მანქანაზე მუშაობის სურვილი გამოვთქვი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩემი მოთხოვნა რატომღაც არ დააკმაყოფილა, თუმცა რეგიონში ჩამოსული ცეკას მდივნის, მჟვანაძის მოთხოვნით მომცეს მძღოლის ლიმიტი. ამის შემდეგ, ათი წლის განმავლობაში ვეზიდებოდი პემზას ჯერ ახალქალაქის, შემდეგ კი ახალციხის მიმართულებით. მერე ახალციხის საჯარისო ნაწილში გავაგრძელე მუშაობა, სადაც სამხედრო მანქანას ვმართავდი და ჯარისკაცების ტრანსპორტირება, ასევე იარაღის გადატანა მევალებოდა.

— როგორც ვიცი, სწორედ ამ მისიით იყავით დაძაბული ვითარების დროს ჯერ სოხუმში, შემდეგ კი ცხინვალში, არა?

— აფხაზეთში საომარი სიტუაცია რომ შეიქმნა, გვარდიის გენერალმა ბრძანება გასცა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ნაწილიდან სოხუმში იარაღი უნდა გადაგვეტანა. ამ დავალების შესრულებისას, ჩვენს უსაფრთხოებაზე პასუხს ვერავინ აგებდა და გენერალმა მითხრა, ჩემი მანქანა მამაკაცისთვის დამეთმო. არც დავფიქრებულვარ, ისე ვუთხარი: — სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ჩემს სამშობლოს მაინც გამოვადგები-მეთქი! ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ავტომატის მჭიდებით დატვირთული მანქანით სოხუმში მაინც წავედი. დანიშნულების ადგილზე მშვიდობით ჩავაღწიე, უკან დაბრუნებისას, როცა სენაკს ვუახლოვდებოდი, ოთხმა შეიარაღებულმა, ნიღბიანმა სამხედრომ გამაჩერა და მანქანიდან ჩამოსვლა მიბრძანა. აქცენტით მკითხეს, საიდან მოვდიოდი. მაშინ სიკვდილს პირველად ჩავხედე თვალებში და პირველად ვთქვი დიდი ტყუილი, რომ სოხუმში მეზობელს ტვირთი გადავუტანე, მან კი დაპირებული თანხაც კი არ ამინაზღაურა და ახლა ხუთ ობოლ შვილთან მივდიოდი, რომლებიც მშივრები მელოდებოდნენ. ჩემი სიკვდილით მაინც ვერაფერს მოიგებთ-მეთქი, ესეც დავამატე. ითათბირეს, მერე რაც ფული მქონდა წამართვეს და გამომიშვეს.

— ალბათ, თქვენმა ტყუილმა გაჭრა...

— კი, ამაზეც დავფიქრებულვარ. ტყუილი, რომელიც ვუთხარი, საკმაოდ არადამაჯერებელი იყო, მაგრამ მაინც დამინდვეს. ამას გარდა, გამსახურდიას დროს, როცა ცხინვალში ვითარება დაიძაბა და შეიარაღებული ძალების ჩარევა გახდა საჭირო, ჯარისკაცები მანქანით ცხინვალისკენ მიმყავდა. როცა ცხინვალის შესასვლელს მივუახლოვდით, ხიდთან სვლა შევანელე, თითქოს ვიღაცამ გამაფრთხილა... ამ დროს მსუბუქმა მანქანამ გადამასწრო და დანაღმულ ხიდზე აფეთქდა. თურმე ძველი შენობიდან გვითვალთვალებდნენ და ცეცხლი გაგვიხსნეს. მოვატრიალე მანქანა და შედარებით უსაფრთხო ადგილზე ჩამოვსვი ბიჭები. მე კი ახალციხეში დავბრუნდი.



როცა მარტო ვარ, საჭესთან უფრო თავისუფალი ვხდები

— შემდეგ თქვენი, როგორც მძღოლის ცხოვრება როგორ წარმართა?

— მერე ახალციხეში ტაქსის მძღოლად ვმუშაობდი რამდენიმე წელი. დროთა განმავლობაში ქალაქის გამგეობამ შიდა საქალაქო ტრანსპორტის მძღოლად დამნიშნა და „პაზიკს“ ვმართავდი. ერთ დღეს მომინდა, ჩემი „მარშრუტკა“ მყოლოდა და როგორც ხედავთ, დღეს უკვე ყოველდღიურად ვასრულებ რეისს ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით.

მანქანის სიყვარულს მთელი ცხოვრება შევალიე, ოჯახიც კი არ შემიქმნია

— თქვენს დანახვაზე უცხო მგზავრებს რა რეაქცია აქვთ?

— მათი უმეტესობა გაოცებული მიყურებს. ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად ახალქალაქიდან მოემგზავრებოდა, გაოცება ძალიან ემოციურად გამოხატა. ბავშვებს ხელი მოჰკიდა და ჩასვლა დააპირა, თუმცა სხვა მგზავრებმა აუხსნეს, რომ გამოცდილი მძღოლი ვიყავი და საშიში არაფერი იყო. ჩასვლა კი გადაიფიქრა, მაგრამ მთელი გზა მთხოვდა, შენი ჭირიმე, ნელა იარეო. სხვათა შორის, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გააკვირვა ჩემმა საქმიანობამ, როცა მას ახალქალაქის განახლებული ავტოსადგურის გახსნაზე შევხვდი.

— სისწრაფე თუ გიყვართ? რამდენად კანონმორჩილი მძღოლი ხართ?

— სისწრაფე მიყვარს, მაგრამ როცა მგზავრის სიცოცხლე მაბარია, თავს სიჩქარის გადაჭარბების უფლებას არ ვაძლევ. როცა მარტო ვარ, საჭესთან უფრო თავისუფალი ვხდები. რაც შეეხება კანონმორჩილებასა და პატრულთან ურთიერთობას, წესებს ძალიან იშვიათად ვარღვევ, შესაბამისად, პატრულთან კარგი ურთიერთობა მაქვს. თუმცა, ამას წინათ, თბილისიდან რომ მოვდიოდი, გორში პატრულმა გამაჩერა. უსაფრთხოების ღვედი არ მეკეთა, მაგრამ დამინდვეს და მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მომცეს.

— მწყობრიდან გამოსული ტრანსპორტის დამოუკიდებლად შეკეთება თუ შეგიძლიათ?

— კი, თუ საქმე ძალიან რთულად არაა, მარტოც ვუმკლავდები. მყავს ხელოსანი ვანიკა, რომლის პროფესიონალიზმსაც ვენდობი და დახმარებისთვის მუდამ მას მივმართავ.

— მამაკაცების უმრავლესობა ქალ მძღოლებს ეჭვის თვალით უყურებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ქალები მართლა სუსტი მძღოლები არიან?

— თავიდან მეც ასე მიყურებდნენ, მაგრამ თანდათან დარწმუნდნენ, რომ ავტომანქანის მართვა კარგად შემიძლია და ახლა რჩევებსაც კი მეკითხ-

ებიან. გაფუჭებულ მანქანას სწორ „დიაგნოზს“ ვუსვამ. პროფესიით აგრონომი ვარ, მაგრამ მეხუმრებიან, „მანქანის აგებულება“ ისე კარგად იცი, შენ აგრონომი კი არა, ავტოინჟინერი ხარო.

— **პრეტენზიულ მგზავრებს როგორ უმკლავდებით?**

— თავის შეკავებას განრისხებულიც კი ვახერხებ. გინება არ მიყვარს და როცა სხვები იგინებიან, ძალიან ვღიზიანდები. უკიდურესად გაბრაზებულს, მაქსიმუმ — „შეშლილი“ ან „დებილი“ წამომცდეს. 68 წლის ვარ და უკვე ვაცნობიერებ, რომ მალე მძღოლობისთვის თავის დანებება მომიწევს. სიმართლე გითხრათ, ამას ძალიან განვიცდი, მანქანის სიყვარულს მთელი ცხოვრება შევალიე, ოჯახიც კი არ შემიქმნია, ისე ვიყავი ჩემი პროფესიით გატაცებული. არასოდეს მითქვამს, ამ საქმიანობამ დამღალა-მეთქი.

— **დაბოლოს, რას ურჩევდით მძღოლებს?**

— უპირველესად, როცა საჭეს მიუჯდებიან, მისი დამორჩილების შიში არ უნდა ჰქონდეთ. ეს განსაკუთრებით ქალებს ეხება. რაც უფრო თავდაჯერებული მართავ მანქანას, მით უფრო მარტივია ყველაფერი. მახსოვს, პირველად რომ დავჯექი საჭესთან, ისეთი დაძაბული ვიყავი, ვერ აღგიწერთ, მაგრამ წლებთან ერთად გამოცდილებაც მოვიდა და ახლა ღიმილით მახსენდება ის დრო.

— **წარმატებებს გისურვებთ.**

— დიდი მადლობა, ღმერთმა მშვიდობიანად გამგზავროთ. ■

წლებთან ერთად გამოცდილებაც მოვიდა

„ქალბატონო, პრობლემა გაქვს!“

ანუ როგორ დამაჯარიმა მარკოზაშვილმა და მისმა „რაზმმა“

მარი ჯაფარიძე

ის, რაც ახლა უნდა მოგიყვეთ, შარშან ნოემბერში დაიწყო... 2010 წლის 1-ელი დეკემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც ავტომობილებზე დამუქებული მინების აკრძალვას ითვალისწინებს. ტელევიზიებმა კანონის ამოქმედებამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიწყეს მძღოლების „დაშინება“: ყველა საპატრულო ბრიგადას აქვს შესაბამისი აღჭურვილობა და პირველ დეკემბრამდე მინების დაბურვის პროცენტულობა შეამოწმებინეთ, თორემ, მერე გვიან იქნება, 50-ლარიან ჯარიმას „აიკიდებთო“. შეშინებულმა გადავწყვიტე, ყურად მეღო რჩევა და საპატრულო პოლიციის ბრიგადაზე „ნადირობა“ დავიწყე. თბილისსა თუ რუსთავში, სადაც მათი მანქანა გაჩერებული დავინახე, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და თხოვნით მივმართე, მინები შემიმოწმეთ-მეთქი. ყველასგან ერთი და იგივე პასუხი მივიღე — აპარატი არ გვაქვსო. რუსთავის საპატრულო პოლიციაში 4-ჯერ მივედი, მაგრამ — ამაოდ, არა და არ შემოიტანეს ეს აპარატები. დარეკვაზე აღარაფერს ვამბობ, ყოველდღე ვაწუხებდი 022-ის ოპერატორებს, — შემთხვევით, მინების შესამოწმებელი აპარატი ხომ არ მიგიღიათ-მეთქი?.. მათ ტონს დღითი დღე ემატებოდა გაღიზიანება. ისე მიეჩვივნენ ჩემს ზარს, უკვე შინაურად მიმიჩნევდნენ... ამასობაში ხეებს გაყვითლებული ფოთლები დასცვივდა (სამწუხაროდ, ეს ერთადერთ „რომანტიკულ“ წინადადებად დარჩება ამ „სიტუაციაში“) და 30 ნოემბერიც დადგა. ჰოდა, გადამწყვეტი ზომების მიღება განვიზრახე. სამსახურიდან შინ მიმავალმა, მანქანა გორგასლის ქუჩაზე გავაჩერე, 022-ზე დავრეკე და ოპერატორ ქალბატონს ჩემი გასაჭირი შევჩივლე. პირველ რიგში, ჩემი ადგილსამყოფლით დაინტერესდა.

— მანდ იყავით, ქალბატონო, და ახლავე გამოგიგზავნით ბრიგადას, ოღონდ ყურმილი არ დაკიდოთ, ჩვენთან მობილურით დარეკვა უფასოა, არ ინერვიულოთ, — მითითებებიც მომცა და დამამშვიდა კიდეც.

გარკვევით გავიგონე, — მთაწმინდა-კრწანისის რაიონში რომელ ბრიგადას გაქვთ მინების შესამოწმებელი აპარატიო? — რაციაში რომ ჩასძახა. რაშია საქმეო? — დაინტერესდნენ იქიდან. — ქალბატონი გორგასლის ქუჩაზე გელოდებათ, მინების შემოწმება სჭირდება და უნდა მიხვიდეთო. — ჩვენ რა, გამოძახებით ვართო?! — დიახ, ეს პატრულის თანამშრომელმა იკითხა. — არა, როგორ გეკადრებათო?! — მოუბოდიშა ოპერატორმა. მერე ვიღაცამ თქვა, — ჩვენ გვაქვს აპარატი, სადაა ის ქალბატონი, გვითხარით და მივალთო.

ცოტა ხანში მოვიდნენ. მომესალმნენ.

— ქალბატონო, ჩვენ კი შეგიმოწმებთ მინებს, მაგრამ იცოდეთ, რომ თან გაფრთხილებასაც დაგიწერთ, კანონით ასეა გათვალისწინებულიო, — მითხრა დ. მურღულიამ (ასეა ჩაწერილი გაფრთხილების ფურცელში).

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, გამაფრთხილეთ, ბატონო, თუ მინები დადგენილ ნორმას არ შეესაბამება, მაინც უნდა მოვხსნა, აბა, კანონს ხომ არ დავარღვევ, 50-ლარიანი ჯარიმის გადახდა ნამდვილად არ მსურს.

შეამოწმეს. 80% აღმოჩნდა (ნორმა — 40%-ია).

— ახლა ამიხსენით, რომელ მინებზე უნდა მოვხსნა დაბურვა? — ვისარგებლე შემთხვევით და კომპეტენტური რჩევის მიღება გადავწყვიტე.

— რადგან თქვენი მანქანა ორკარიანია, „პარპრიზზე“ (წინა მინა) და კარებზე მოხსენით, დანარჩენი იყოს. მეც ორკარიანი მანქანა მყავს და ჩემსასაც მხოლოდ ორივე კარზე მოვხსენი.

— კარგია, ცოტა იაფად გამოვალ, თორემ ისე, ექვსივე მინაზე მოხსნა 60 ლარი დამიფასეს.

— რად უნდა ამას ხელოსანი?! აი, უყურეთ, — კარის მინაზე, ერთ კუთხეში ფრჩხილით ააძრო დასაბური მასალის აპკი, — ასე, ნელ-ნელა მიჰყვებით და ააცლით. მინაზე დარჩენილ წებოს კი „რასტვარიტელით“ გაწმენდთ, რომელსაც იმ სითხეში აურევთ, დიასახლისები ფანჯრის მინების გასაწმენდად რომ იყენებთ, ხომ იცით?..

— დიახ, ვიცი.

— ჰოდა, გამხსნელს პირდაპირ იმ პულვერიზატორში ჩაასხამთ, მინაზე შეასხურებთ და ჩვრით გაწმენდთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულის გადახდა კი აღარ დაგჭირდებათ.

— დიდი მადლობა, მართლა დამეხმარეთ, — მთელი გულით გამოვხატე მადლიერება.

— არაფრის, ქალბატონო. კარგია, რომ გამოგვიძახეთ და შეგვამოწმებინეთ. ასე შეგნებული ადამიანები იქცევიან. სხვები კი ყურადღებასაც არ აქცევენ ახალ კანონს და კი „ვასაჩუქრებთ“ 50-ლარიანი ჯარიმით.

— კი, მაგრამ კანონი ძალაში ხომ ხვალიდან შედის?

— ხვალიდან კი არა, უკვე შესულია.

— ჰოდა, დილითვე ვიზრუნებ, რომ მინები დაბურული აღარ მქონდეს. არც კანონის დარღვევა მინდა და არც 50-ლარიანი ჯარიმის გადახდა.

მკითხველს ვთხოვ, ჩემს ბოლო ფრაზას ყურადღება მიაქციოს (ცოტა ქვემოთ ისევ დამჭირდება მისი გამეორება).

ახლა 50-ლარიან ჯარიმას დაგიწერთ

გზაში ვფიქრობდი, ეს პატრული მართლა კარგი „გამოგონებაა“ — მოვიდნენ, კომპეტენტური კონსულტაციაც გამიწიეს და რჩევებიც მომცეს-მეთქი. მეორე დღეს ხელოსანს მივაკითხე, 40 ლარი პატიოსნად გადავიხადე, 3 მინაზე (წინა პარპრიზისა და კარების მინებზე) დაბურვა მოვახსნევინე და კანონის, ქვეყნისა და საპატრულო პოლიციის წინაშე ვალმოხდილმა, არხეინად განვაგრძე ცხოვრება.

პატრულის არსებობის აუცილებლობაში ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე საბურავი დამეშვა. ვინაიდან მარტო ვიყავი, საბურავის გამოცვლას თვითონვე მივყავი ხელი. წვიმდა, მანქანაც საკმაოდ დიდ გუბეში იყო გაჩერებული, მაგრამ ამას აღარ ვჩიოდი, იქ ხომ არ დავრჩებოდი?! საბარგულიდან საჭირო „კლუჩები“ და დომკრატი ამოვიღე და „ბოლტების“ მოშვებას შევუდექი. ის იყო, 2 ამოვხრახნე და პატრულის მანქანაც მომადგა.

— რა გაგიჭირდათ? — გაღიმებული წამოვიდნენ ჩემკენ ბიჭები. როგორც ჩანს, საბურავთან „მოჭიდავე“ ქალი რომ დაინახეს, ამის გამო გახალისდნენ.

— საბურავი დამეშვა, — ამოვიოხრე.

მიუხედავად იმისა, რომ მათ მოვალეობაში სულაც არ შედის საბურავის გამოცვლა, ორივემ ჩაიმუხლა და საქმეს შეუდგა. შუა გუბეში იდგნენ და დიდი მონდომებით ცდილობდნენ დახმარებას. მეც მათ გვერდით დავრჩი. მაწვიმდა, მაგრამ მანქანაში არ ჩავჯექი — მომერიდა. ერთს ჭანჭიკი გუბეში ჩაუვარდა და კარგა ხანს აფათურა ხელი წყალში, რომ ეპოვა.

— თქვენ საზღვაო პატრული ხართ თუ სახმელეთო?.. — გახუმრება ვცადე.

— სახმელეთო, — ხუმრობას მიმიხვდნენ და გაეცინათ.

— საზღვაო საქმეებში კი კარგად ერკვევით...

როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა. სათადარიგო საბურავი დააყენეს, გახეთქილი საბარგულში მოათავსეს და მშვიდობიანი მგზავრობაც მისურვეს.

მადლიერი დავრჩი და გავიფიქრე, ერთ „სიტუაციას“ დავწერ, ამათაც მადლობას ვეტყვი და იმათაც (წინა შემთხვევა მქონდა მხედველობაში), — აბა, სულ ამათი ლანძღვა ხომ არ შეიძლება, აგერ, უკვე მეორედ დამეხმარნენ-მეთქი...

მაგრამ ახლა ამ „სიტუაციას“ სულ სხვა მიზეზით ვწერ (არ დაგაწერინებენ კარგს, მოკლედ...): 18 მარტს, საღამოს 8 საათზე რუსთავში საპატრულო მანქანა ამედევნა. „ბეემვე“, გააჩერე, „ბეემვე“, გადააყენე მანქანა, „ბეემვე“, გააჩერე“, — ჩასძახოდა მიკროფონში. გზაზე ჩემ გარდა მანქანა არ მოძრაობდა. ეჭვი შემეპარა, — ნეტავ, მე ხომ არ მომმართავს-მეთქი? — მაგრამ „ბეემვეში“ არ ვიჯექი, თან დარწმუნებული ვიყავი, პატრულის თანამშრომელს „ბეემვე“ და „ოპელი“ ერთმანეთში არ აერეოდა... ამასობაში, საპატრულოს მანქანა წამომეწია და, — 668, გააჩერეო! — ბოლოს დაიძახა. რა თქმა უნდა, დავემორჩილე.

მაღალ-მაღალი კაცი მომიახლოვდა და მომესალმა (უფრო სწორად, მე მივესალმე და მიპასუხა), მაგრამ არც სახელი და გვარი უთქვამს, (არადა, ვალდებულია) და არც ქუდი ხურებია თავზე (არადა, ვალდებულია). არა, ისეთი მეწვრილმანე არ ვარ, რომ ქუდისთვის ყურადღება მიმექცია, მაგრამ მისივე მანქანის ჩართული, ლურჯ-წითელი შუქურა ირეკლებოდა მის თავზე და ყურადღება ამით მიიქცია (ისე, სულ მეღიმებოდა ამის გამო და ალბათ ფიქრობდა, ნეტავ, რა აცინებსო?).

ვინმე მარკოზაშვილმა (გვარი შემდეგ, საკუთარი წყაროებით დავადგინე, თორემ პატრულის ყველა თანამშრომელმა მისი ვინაობა ისე დამიმალა, თითქოს მარკოზაშვილი რუსთავის საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი კი არა, კრიმინალი იყო, მე — პოლიციელი, თვითონ — „ძველი“ ბიჭები და „არ ჩაუშვეს“; მხოლოდ ის მითხრეს, ჩვენი უფროსიაო. ისე, გვარი რომ გავიგე, ჯერ ვიფიქრე, — რა ნაცნობი გვარია, ნეტავ, ვინმე ახლობელი ხომ არ არის და ერთმანეთი ვერ ვიცანით-მეთქი? — მაგრამ მერე გამახსენდა, საიდან მეცნო: 2010 წლის 15 ოქტომბერს, თელავში გამართულ კონცერტზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის გამოსვლაში ერეკლე II-ის მეფობის პერიოდი, ამასთან, გლეხი მარკოზაშვილი და მისი რაზმი გაიხსენა, რომელსაც სულ „მოღალატე“ და „ნაძირალა“ ეძახა, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ჯერ ღვედზე დამხედა (ალბათ ამის გამო გამაჩერა), მაგრამ „პატიოსნად“ ვიყავი „მიკრული“ სავარძლის საზურგეს და მერე მანქანა შეათვალიერა. უკანა, დაბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული მინები რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა.

— ეს რაა, დაბურული მინებით რომ დადიხარ, არავის შეუმოწმებია?

— კი, როგორ არა?! თბილისში მე თვითონ შევამოწმებინე საპატრულო ბრიგადას, — მხნედ ვუთხარი. დარწმუნებული ვიყავი, რომ დ. მურღულიამ (ნეტავ, რა ჰქვია?) კომპეტენტური რჩევები მომცა და ახლა „შარში“ სულაც არ ვიყავი.

— ახლა შევამოწმებთ და თუ დადგენილ ნორმას არ შეესაბამება, ჯარიმას დაგიწერთ.

აქ ზემოთ მოთხრობილი ამბავი (სადაც მთავარ როლში დ. მურღულია გახლდათ) რამდენჯერმე მოვუყევი (კარგად რომ გაეგო). მანქანაში დაბრუნდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გადმოვიდა და „მახარა“, — მინების დაბურვასთან დაკავშირებით გაფრთხილებაც კი გქონიათო...

გადავირიე: ამდენი ხნის განმავლობაში სწორედ მაგას ვუყვებოდი, — პატრული გამოვიძახე, მინები შემიმოწმეს, გაფრთხილებაც დამიწერეს-მეთქი, — და ეს კიდევ, თითქოს ახალი ამბავი გაიგოო, ისე იყო გახარებული (დედას გეფიცებით, ხუთჯერ მაინც მოვუყევი, რა მოხდა 30 ნოემბერს). რადგან ზეპირად ვერაფერი შევასმინე, შესაბამისი დოკუმენტი წარვუდგინე, სადაც შავით თეთრზე (უკაცრავად, ლურჯით — ყვითელზე) დ. მურღულიას მიერ დაწერილი ტექსტი იუწყება, რომ „30 ნოემბერს, 20:00 საათზე მოქალაქემ მოგვმართა თხოვნით, რათა შეგვემოწმებინა მისი ა/მანქანის მინების დაბურვის პროცენტულობა. ხელსაწყოთი შემოწმებისას ა/მანქანის ორივე კარის (დიახ, დიახ, „ორივე კარის მინები“ შეამოწმეს მხოლოდ, რადგან სხვა მინების მოხსნა საჭიროდ არ მიიჩნიეს) მინების დაბურვამ შეადგინა 80%, რაც კანონით დადგენილ ნორმას არ შეესაბამება. რის შესახებაც მოქალაქე გაფრთხილებულ იქნა“.

— ჰოდა, თქვენმა კოლეგებმა სწორედ 2 კარის მინა შეამოწმეს და მათ მითხრეს, რომ უკანა მინებისთვის შემეძლო, ხელი არ მეხლო...

— ჰოდა, წადი და იმ მურღულიას მოჰკითხე; ახლა ბიჭები მოვლენ და ჯარიმას დაგიწერენ.

ამასობაში მეორე საპატრულო მანქანა მოგვადგა. ისე შესიციინებდნენ თვალებში მარკოზაშვილს (მაშინ არც გვარი ვიცოდი მისი და არც თანამდებობა), მაშინვე მივხვდი, მთლად უფროსს გავუჩერებივარ-მეთქი.

— მინები შეუმოწმეთ და ჯარიმა დაუწერეთ, — გასცა ბრძანება.

— თქვენი მინების დაბურვა 91%-ია, — მითხრა პატრულის ერთ-ერთმა თანამშრომელმა (აბა, მურღულიამ — 80%-ო?!) და ახლა 50-ლარიან ჯარიმას დაგიწერთ.

— რა ვქნა, დაწერეთ, მაგ 50 ლარს ხომ ვერ გადავყვები?! — ბედს შევეგუე და „ნებართვა“ მივეცი.

„მარკოზაშვილის რაზმელები“ (პრეზიდენტის სიტყვებს ვიშველიებ) ჩასხდნენ მანქანაში და კარგა ხანს არ გამოჩენილან. ორივე საპატრულო მანქანა იქ იდგა. თავად მარკოზაშვილი პირადად ადევნებდა თვალს ჩემი დაჯარიმების „სახიფათო“, „სიცოცხლისთვის საშიშ“ ოპერაციას (არადა, ამ დროში კიდევ რამდენ მძღოლს დააჯარიმებდა და რამდენი ლარით შეავსებდა ბიუჯეტს?! — ამას მისი უფროსების გასაგონად ვამბობ — იცოდნენ, როგორ ფლანგავენ დროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მაშინ, როცა ნებისმიერი ხერხით ბიუჯეტის შევსებაზე უნდა ზრუნავდნენ). ის იყო, მოთმინების ფიალა ამევსო და მანქანიდან გადასვლას ვაპირებდი, რომ ერთ-ერთი თვითონ მოვიდა.

— ქალბატონო, პრობლემა გაქვს („ძმაო“ არ დაუყოლებია, თორემ იგულისხმებოდა).

— აუჰ, ახალი ამბავი! ნახევარი საათია, ვიცი, რომ პრობლემა მაქვს, — გამეცინა.

— კომპიუტერი მაჩვენებს, რომ თქვენი მანქანა ძებნაშია. გადაუხდელი ჯარიმა ხომ არ გაქვს?

— არა.

— ნომერი ხომ არ გქონდათ დაკარგული?

— კი, მქონდა: წყალდიდობაში რომ მოვყევი, მაშინ დავკარგე და საპატრულოში განვაცხადე.

— შესაძლოა, სწორედ მაგიტომაა ძებნაში, მაგრამ ეს უნდა დავადგინოთ ჯერ.

— როდის დაადგენთ?

— „რიონს“ ვერ ვუკავშირდებით, ინტერნეტი ჰქონიათ გათიშული და მოგიწევთ ლოდინი, სანამ ინტერნეტი არ ჩაირთვება, — ისეთი თანაგრძნობით მიყურებდა პატრულის თანამშრომელი, აშკარად ვებრალებოდი, ჯარიმისა და ლოდინისთვისაც, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა?!

— აუჰ... და მტკვარს რომ დაგაკავშიროთ, არ გინდათ?.. აქვეა, ახლოს!.. კარგი, სახლში დავრეკავ, ბალიშს მაინც მოვატანინებ, შეიძლება? — ნებართვა მაინც ვითხოვე, რა ვიცი, იქნებ ახალი კანონით ბალიშიც აიკრძალა მანქანაში...

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ დაადგინეს, რომ ჩემი მანქანა ძებნაში არ ყოფილა და პატრულინსპექტორმა, გიორგი სომხიშვილმა ჯარიმა ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიით გამომიწერა — ელექტრონული წესით. ახლა ფურცლების ფრიალით კი აღარ დადიან, პატარა, ლეპტოპის მაგვარი მოწყობილობა აქვთ და ეკრანზე, ელექტრონული კალმით გაწერინებენ ხელს...

ერთი კი ვიკითხე, — ხელს რაზე მაწერინებთ, ის მაინც მითხარითმეთქი, — და რომ მიპასუხეს, 50-ლარიან ჯარიმაზეო, ელექტრონული კალმით სამახსოვრო „ავტოგრაფი“ დავუტოვე.

მოკლედ, ახლა მკითხველმა (ან კომპეტენტურმა პირმა) განსაჯოს, ვარ თუ არა დამნაშავე და უნდა დავჯარიმებულიყავი თუ — არა... 1-2 კარგი (თუნდაც პატრულზე განაწყენებული) იურისტის კონსულტაცია არ მაწყენს. უკვე მითხრეს, რომ თურმე ჩემი მანქანის უკანა მინები საქარე მინებად ითვლება და კანონში პირდაპირ წერია: უკანა საქარე მინების დაბურვა არ ისჯებაო. თუ ეს ზუსტად დავადგინე, აუცილებლად გავასაჩივრებ, სადაც ჯერ არს (ტელევიზიით წარამარა გვახსენებენ, სახელმწიფოს წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს „უბრალო“ ადამიანები უფრო ხშირად იგებენო და ვნახავ).

ვიცი, ამ კვირაში „გზის“ ფრიალი იქნება რუსთავის საპატრულოში და განაწყენებულმა მარკოზაშვილმა იქნებ რაიმე შარიც მომიგონოს, დამაკავოს და დამაპატიმროს „ლიჩნი ნიპრიაზნის“ გამო, მაგრამ მე ის მოვყევი, რაც რეალურად მოხდა. თანაც, სწორედ მისი (ან დ. მურღულიას) წყალობით გადაინაცვლებს ჩემი „პატარა“ ჯიბიდან სახელმწიფოს „დიდ“ ჯიბეში 50 ლარი... მარკოზაშვილი კი არ უნდა გამიბრაზდეს, ჩემი მადლიერიც კი უნდა დარჩეს: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მის ხელმძღვანელობას გავაგებინე, როგორი შეუვალი, პრინციპული და მცოდნე თანამშრომელი ჰყავთ და იქნებ დააწინაურონ კიდეც (მერე რა, რომ „ბეემვე“ და „ოპელი“ ერთმანეთში აერია? ბნელოდა და!..) და მეორეც — ამ სტატიის შემდეგ ცნობილი ადამიანი გახდება, ნაცნობები და უცნობები მასზე ილაპარაკებენ და იქნებ ავტოგრაფებიც კი ჩამოარიგოს (თუნდაც — ელექტრონული).

რამდენი ვიწვალე, რომ არ დავჯარიმებულიყავი, რა არ ვიღონე (კანონის დარღვევა რომ მნდომოდა, ასე ხომ არ მოვიქცეოდი?!) და მაინც „დამასაჩუქრეს“. არადა, მართლა მაინტერესებს, ვინ არის მართალი და ვინ — მტყუანი ამ სიტუაციაში... ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახური კონფლიქტი და დაკომპლექსებული შვილები

„ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ცხოვრება ჯოჯოხეთს ჰგავს...“

ოჯახში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის გამო, ყველაზე მეტად სწორედ ბავშვები იჩაგრებიან, რომლებიც უყურებენ იმას, თუ როგორ ჩაგრავს დედა მამას ან პირიქით და ამ უმსგავსობის აღსაკვეთად ვერაფერს აკეთებენ. ალბათ დამეთანხმებით, რომ დედ-მამის ჩხუბს ყველა ბავშვი განიცდის და ხშირად, ამის გამო ისინი იმდენად კომპლექსდებიან, რომ მომავალში საკუთარი ოჯახის შექმნაზეც კი უარს ამბობენ, ამის ეშინიათ. ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც მართალია, თინეიჯერი აღარ გახლავთ, სწორედ ამ ასაკში იყო, როცა სახლიდან წამოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ დედ-მამის ჩხუბს ვეღარ გაუძლო და გოგონა ფაქტობრივად, ქუჩაში აღიზარდა.

ლიკა ქაჯაია



მლეთელი, *38 წლის:*

— 14 წლის ისე გავხდი, ჩემს ოჯახში ხმამაღალი ლაპარაკი არ გამიგონია, მაგრამ მერე დაიწყო ის ჯოჯოხეთური ყოფა, რომელსაც ვერ გავუძელი და სახლიდან გავიქეცი. მოკლედ, დღე არ გავიდოდა ისე, რომ ჩემს მშობლებს ჩხუბი არ მოსვლოდათ. მართალია, ხშირად ამის მიზეზიც არ ჰქონდათ, მაგრამ შეეძლოთ, უმიზეზოდაც გაუთავებლად ეკინკლავათ, ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. ვერ გეტყვით, რომ ერთურთი არ უყვარდათ, მაგრამ მაინც, ასე იქცეოდნენ, ეს კი ჩემზე ძალიან მოქმედებდა; როცა ისინი ჩხუბს იწყებდნენ, ოთახში ვიკეტებოდი და იმის შიშით, რომ შეიძლება, ერთმანეთისთვის რაიმე დაეშავებინათ, ციებიანივით ვკანკალებდი, მინდოდა მეყვირა: შეწყვიტეთ-მეთქი, მაგრამ ხმას ვერ ვიმორჩილებდი. მოკლედ, ეს ყველაფერი კოშმარი იყო. მართალია, ჩხუბით რომ დაიღლებოდნენ და გულს იჯერებდნენ, მერე ერთმანეთს ისე ესიყვარულებოდნენ, ვითომც არაფერი მომხდარა, მაგრამ მე არც მათი ეს საქციელი მომწონდა, არ მესმოდა, თუ ერთმანეთი უყვარდათ, მაშინ რატომღა ჩხუბობდნენ ხოლმე? ჩემ გარდა იმ სახლში კიდევ ორი ბავშვი — ჩემი და-ძმა იზრდებოდა. სიმართლე გითხრათ, მათ ეს ამბავი დიდად არ აწუხებდათ, მეტიც — ამ ყველაფერზე იცინოდნენ და მეუბნებოდნენ: სულელი ხარ, ყველაფერს ასე რომ განიცდი. ხომ იცი, ერთმანეთს მალევე შეურიგდებიან, ამით ნერვებს იწყნარებენო. მე არც მათი მესმოდა: აბა, როგორ შეიძლება, მშობლების ჩხუბს გულგრილად უყურო, ეს არ გაწუხებდეს? მოკლედ, ამ ჯოჯოხეთს ზუსტად 2 წელი გავუძელი, მერე კი სახლიდან წამოვედი და ნახევრად ქუჩაში გავიზარდე.

— როგორც ვიცი, საცხოვრებლად ბიძასთან გადახვედით...

— დიახ, დედაჩემის ძმასთან გადავბარგდი. მას ცოლ-შვილი არ ჰყავდა, სახლიდან დილით რომ გავიდოდა, ღამე ბრუნდებოდა და არც მეკითხებოდა, მთელ დღეს სად, ვისთან ერთად ან როგორ ვატარებდი. მისთვის მთავარი ის იყო, რომ ჩემთვის საჭმელი ეჭმია, სხვაზე არაფერზე ზრუნავდა. თუმცა, მისი მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ შემიფარა. მოკლედ, თავისუფლებით ვისარგებლე და მთელ დღეს ქუჩაში ვატარებდი, უბნელ ბიჭებთან ერთად „ვბირჟაობდი“ და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ისინიც, როგორც მეგობარს, ისე მიყურებდნენ, ჩემთან ყველა თავიანთ საიდუმლოს ჰყვებოდნენ და სულაც არ გრძნობდნენ დისკომფორტს იმის გამო, რომ გოგოს ეძმაკაცებოდნენ. მგონი, ქალად ვერც აღმიქვამდნენ მანამ, ვიდრე 19 წლის არ გავხდი და კაბა არ ჩავიცი.

— 19 წლის ასაკამდე კაბა მართლა არ ჩაგიცვამთ?

— მას შემდეგ, რაც შინიდან წამოვედი, მხოლოდ შარვალს ვიცვამდი და იცით, ამას რატომ ვაკეთებდი? — ამით გამოვხატავდი პროტესტს საკუთარი ოჯახის მიმართ. თავიდან, ასე ჩაცმულს სკოლაში არ მიშვებდნენ, მასწავლებლები გამუდმებით მსაყვედურობდნენ, მაგრამ ვინაიდან ფრიადოსანი ვიყავი, ბოლოს ჩემთვის გამონაკლისი დაუშვეს და უფლებას მაძლევდნენ, რაც მინდოდა, ის ჩამეცვა; თანაც, მათ ვუთხარი, ამას რატომაც ვაკეთებდი და გამიგეს...

დედ-მამის უსაქციელობის გამო იმდენად ვიყავი დაკომპლექსებული, რომ საკუთარი ოჯახის შექმნაზე არასდროს მიფიქრია. ჰოდა, დღემდე, გასათხოვარს მეძახიან, მაშვალს მაშვალზე მიგზავნიან, მე კი მათ უკან ვაბრუნებ — მისამართი შეგეშალათ-მეთქი.

— მშობლებს როდის შეურიგდით?

— დედ-მამასთან სტუმრად ბავშვობაშიც მივდიოდი ხოლმე, მაგრამ მათთან ერთად ცხოვრებაზე კატეგორიული უარი მაშინ განვაცხადე, როგორც კი შინიდან წამოვედი.

— თუ იცით, ისინი დღემდე ცდილობენ, ერთფეროვანი ცხოვრება ჩხუბით „გაილამაზონ“?

— როგორც უნდა გაგიკვირდეთ, იმ უცნაურ ჩვევას (თუ რა ვიცი, ამას რა უნდა დავარქვა) სიბერეშიც ვერ შეელივნენ და დღესაც ხშირად ჩხუბობენ, შვილიშვილები კი მათ საქციელზე კარგად ხალისობენ, ერთობიან... ასეთი მშობლები რომ არ მყოლოდა, ვინ იცის, დღეს როგორი ოჯახი მექნებოდა, მეც მეყოლებოდა შვილები, მაგრამ... შიში ოხერი ყოფილა.

— დავიჯერო, ცხოვრებაში არასდროს გყვარებიათ?

— ერთადერთხელ შემიყვარდა, მაგრამ თავს ვერ მივეცი უფლება, მას ცოლად გავყოლოდი.

— ეს ცალმხრივი სიყვარული იყო?

— არა, მასაც ძალიან ვუყვარდი, დიდ პატივს მცემდა და იმასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მპირდებოდა, — ცხოვრებაში ხმამაღალ სიტყვასაც კი არასდროს გეტყვიო, მაგრამ არ დავუჯერე.

— რატომ? იქნებ პირობა შეესრულებინა...

— იმიტომ, რომ თავიდან არც ჩემი მშობლები ჩხუბობდნენ, წლების შემდეგ კი „გაუბერეს"...

— გარდა იმისა, რომ გათხოვებაზე უარს ამბობთ, თქვენი მშობლების საქციელმა კიდევ, რა დაღი დაასვა თქვენს ცხოვრებას?

— მთელი სოფელი ხომ ჩემს ოჯახზე ლაპარაკობდა, მერე კი ჩემს შიზოფრენიაზეც ალაპარაკდნენ; ეგონათ, რომ ამ ყველაფერმა ჭკუიდან შემშალა და სახლიდან ამიტომაც წავედი. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ გიუ მლეთელს მეძახდნენ და ბევრს დღემდე სულელი ვგონივარ. თუმცა, ეგ დიდად არ მადარდებს. ცუდი ისაა, რომ მთელი ბავშვობა ჩამიმწარდა და სხვებს შევნატროდი ხოლმე ანუ — შურიანი გავხდი. არ ვმეგობრობდი ისეთ ბავშვებთან, რომლის მშობლებსაც იდეალური ურთიერთობა ჰქონდათ, რადგან მეშინოდა, ეგოიზმი არ გამომეჩინა და მათი ოჯახის ცხოვრებაში ცუდად არ ჩავრეულიყავი.

— ასეთი სურვილი ოდესმე გაგჩენიათ?

— კი, მსგავსი სურვილი ბევრჯერ გამჩენია, მაგრამ მერწმუნეთ, მადლობა ღმერთს, რომ ჩემი იდეების განხორციელებაზე არასდროს მიზრუნია, თორემ ბევრ ოჯახს დავანგრევდი... მინდა, ყველა მშობელს ვურჩიო: თუ ცოლს ქმართან ან პირიქით, ქმარს ცოლთან საქმის გარჩევა მოუნდება, ეს ისე უნდა გააკეთონ, რომ ბავშვებმა ვერაფერი გაიგონ. ნუ ამყოფებენ მათ მუდმივ სტრესში, თორემ შეიძლება, ისინიც ჩემსავით დააკომპლექსონ და მთელი ცხოვრება თუ არა, ბავშვობა მაინც დაუმახინჯონ.

ნია, *16 წლის:*

— ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ცხოვრება ჯოჯოხეთს ჰგავს. ჩემი მშობლები ხშირად ჩხუბობენ, ამის მიზეზი კი ხან დედის ეჭვიანობა, ხანაც მამის ლოთობა და ა.შ. იყო. გარდა იმისა, რომ მშობლები ჩხუბობენ ხოლმე, ლანძღვა-გინებას არც ბებია და ბაბუა აკლებენ ერთმანეთს. მოკლედ, ჩვენს სახლში შემოსულ სტუმარს მთელი სიამოვნება ელის წინ: დედა და ბებია ქმრების წყევლა-კრულვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, მამა და ბაბუ კი ცოლების გინებაში. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ისინი სტუმრებსაც არ ერიდებიან. ერთხელ ჩვენს კლასში ახალი მოსწავლე გადმოვიდა. ის ბიჭი ყველას ძალიან მოგვეწონა, მაგრამ გოგონებს დავასწარი და ვთქვი: ეს ბიჭი ჩემთვის მინდა, სხვანაირად არავინ შეხედოს-მეთქი. კლასში ყველას ვუყვარვარ და „დამითმეს". რამდენიმე ხნის შემდეგ გადავწყვიტე, წვეულება მომეწყო. მინდოდა, იმ დღეს ის ბიჭი ჩემი სიმღერით, ცეკვით მომეხიბლა და მშობლებს ვთხოვე, — დღეს ჩემი კლასელები მოვლენ, მათ უნდა გავუმასპინძლდე და იქნებ სტუმრების თანდასწრებით მაინც არ აგინოთ ერთმანეთს-მეთქი. პირობა კი მომცეს, მაგრამ... მოკლედ, ბავშვების მოსვლიდან ერთი საათიც არ იყო გასული, როცა ერთი ამბავი ატეხეს და სირცხვილი მაჭამეს, თავი მომჭრეს. მას შემდეგ ის ბიჭი გამუდმებით დამცინის. ეგ არაფერი, ამას ავიტან, მაგრამ ცუდი ისაა, რომ სახლში სტუმრის მიყვანის მეშინია, შინ ვერავის ვეპატიჟები და ვინც არ იცის, ჩემს ოჯახში რა ამბავი ტრიალებს, მას „ჟმოტი" ვგონივარ. აი, ასეთი მშობლები მყავს და ეს ამბავი ძალიან მაწუხებს.

— დავიჯერო, ერთმანეთს უმიზეზოდაც ლანძღავენ?

— კი, ნამდვილად ასეა! მგონი, ერთმანეთის გინება ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. ზოგჯერ დედაჩემს ვეუბნები, — მიზეზს ეძებ საიმისოდ, რომ გაგინოს-მეთქი.

— ამას რატომ ეუბნები?

— იმიტომ, რომ კაცი სამსახურიდან ბრუნდება თუ არა, ეუბნება: ჭირი დალიე, დღესაც ნასვამი მოეთრიე, არაო? ან რას ჩახეთქავ, რა გამოგიტანოო? მის ამ სიტყვებს გინების კორიანტელი მოსდევს ხოლმე.

— ბებია-ბაბუას რაღა აჩხუბებს?

— ეტყობა, ჩემს ოჯახს ჯადო აქვს გაკეთებული. კაცმა არ იცის, ისინი რის გამო ხოცავენ ერთმანეთს. ფეხზე ძლივს დგანან, ორივეს წნევა აწუხებს, მაგრამ იმის თავი ყოველთვის აქვთ, რომ ერთმანეთზე აუგი თქვან. ერთი ძმა მყავს და ვფიქრობ, როცა ცოლს მოიყვანს, მასთან სწორედ ისეთი ურთიერთობა .ექნება, როგორიც ჩემს მშობლებს ან ბებია-ბაბუას აქვთ... ალბათ, როცა გავთხოვდები, ქმარი თუ არ შემაგინებს, ისე ვერც მე მოვისვენებ, რადგან მგონია, რომ ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ეს აუცილებელია.

HEPPI GIRL:

— ამ კვირის თემამ ახლობელი გოგონა გამახსენა. ის დედ-მამის ურთიერთობამ დააკომპლექსა. მის მშობლებს ხშირად აქვთ კონფლიქტი და ამის გამო გოგონა ფიქრობს, რომ ჯოჯოხეთში უწევს ცხოვრება; ხშირად ამბობს, — ძალიან უბედური ვარო.

— ამ ოჯახზე კიდევ, რისი თქმა შეგიძლია?

— როგორც ვიცი, ნინიკოს დედას საქმრო არ უყვარდა, მაგრამ მშობლებმა ძალით გაათხოვეს. თავიდან ცოლ-ქმარს ნორმალური ურთიერთობა ჰქონია, მაგრამ მერე, როგორც ყველა ოჯახში ხდება ხოლმე, ტრადიციების მიმდევარმა ქართველმა დედამთილმა რძალს რაღაც-რაღაცები აუკრძალა; მიუხედავად იმისა, რომ რძალი მისივე შერჩეული იყო, მასთან კონფლიქტი ხშირად მოსდიოდა და სწორედ ამის შემდეგ წარმოიშვა უთანხმოება ცოლ-ქმარს შორისაც. დღესდღეობით ისინი ხშირად კამათობენ, რასაც ნინიკო ძალიან განიცდის.

— შენ მითხარი, რომ ის დაკომპლექსებულია. ეს რაში გამოიხატება?

— დაკომპლექსებულია იმის გამო, რომ გარშემო მყოფებმა — მეზობლებმა, ნათესავებმა, თანაკლასელებმა მისი ოჯახის შესახებ ყველაფერი იციან და ამის რცხვენია. ყოველთვის ვეუბნები, რომ ცოლ-ქმარს შორის უთანხმოება ყველა ოჯახში ხდება და ამას ასე არ უნდა განიცდიდეს, რომ ხალხის ჭორაობას ყურადღება არ უნდა მიაქციოს, უარესებიც ხდება-მეთქი, მაგრამ ის ძალიან მგრძნობიარეა და ცხადია, ჩემი სიტყვები ვერ ამშვიდებს.

ქართველი მეგ რაიანი:

— მსგავსი რამ მეც გამომიცდია ანუ ვიცი, რას ნიშნავს ისეთ ოჯახში ცხოვრება, სადაც გამუდებით ისმის წივილ-კივილი. მამაჩემს ალკოჰოლური სასმელი ძალიან უყვარდა და თითქმის ყოველდღე, შინ მთვრალი ბრუნდებოდა, რასაც ცხადია, დედა აპროტესტებდა. ჰოდა, სწორედ ამის გამო ჩხუბობდნენ. აბა, მითხარით, რომელ ცოლს გაუხარდება ყოველდღე მთვრალი ქმრის ყურება? ვის არ ამოუვა ყელში ღვინის ან არყის სუნით აქოთებული კაცის გვერდით წოლა? ჰოდა, რაღაც პერიოდის განმავლობაში, ერთმანეთს გაეყარნენ კიდეც, მაგრამ მერე ისევ შერიგდნენ და დღეს ერთად ვცხოვრობთ.

— მამაშენი სმას შეეშვა?

— კი და ეს რაღაც ამპულების დამსახურებაა. როცა ერთმანეთს გაეყარნენ, მამა დეპრესიაში ჩავარდა; არც დედა იყო უკეთეს მდგომარეობაში, მაგრამ უნდოდა, ქმრისთვის ჭკუა ესწავლებინა და სახლიდან ამიტომაც წავიდა, მე და ჩემი ძმაც თან წაგვიყვანა. მამაჩემს მოჰბეზრდა მარტოობა, მიხვდა, რომ საყვარელი ქალისა და შვილების გარეშე სიცოცხლეს ვერ შეძლებდა და გადაწყვიტა, იმ რაღაც ამპულების ჩასადგმელად ექიმთან მისულიყო. ჰოდა, გადაეჩვია ლოთობას და დედას გულიც მოიგო. ახლა ძალიან კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან. მე და ჩემი ძმა დღემდე ვლოცავთ იმ ექიმის ხელებს, რომელმაც მამა დაგვიბრუნა.

— მაშინ, როცა თქვენს ოჯახში ხშირად ისმოდა ჩხუბის ხმა, ალბათ, შენ და შენი ძმა ამას ძალიან განიცდიდით...

— ძნელია, როცა უყურებ, თუ როგორ ჩხუბობენ შენი მშობლები და მათ დასაშოშმინებლად ვერაფერს აკეთებ. ვიცოდით, რომ დედა მართალი იყო, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ვამბობდით, რადგან არ გვინდოდა, ცეცხლზე ნავთი დაგვესხა, მამას გული სტკენოდა; არ გვინდოდა მას ეფიქრა, რომ დედას ვიცავდით და მას, როგორც ლოთს, ისე ვუყურებდით. თუმცა, ისიც რთულია, როცა იცი, რომ მამაშენი ლოთია და ამის გამო შენ, მის შვილსაც სხვანაირად გიყურებენ, ზურგს უკან დაგცინიან. მერწმუნეთ, ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ, რომ ლოთის შვილი ვიყავი და ამის გამო სკოლაში წასვლაც „მიტყდებოდა“, მაგრამ მადლობა ღმერთს, ისეთი მეგობრები მყავს, რომლებიც ჭორიკანებისგან გამუდმებით მიცავდნენ, ცდილობდნენ, ჩემთვის ტკივილი შეემსუბუქებინათ და ისე იქცეოდნენ, ვითომც ჩემს პრობლემას ვერც ამჩნევდნენ, მხარში მედგნენ, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. ახლა, როცა გავიგებ, რომ მსგავსი პრობლემა ვინმეს აწუხებს, ვცდილობ, მას დავუმეგობრდე, მერე ჩემი ოჯახის ამბავს ვუყვები და იმის იმედს ვუნერგავ, რომ ოდესმე, მისთვისაც მოვა გაზაფხული.

■

„შეყვარებული ვარ გათხოვილ ქალზე“

მუწუკა ლევანი:

„მინდა, მგზავნელებისგან რჩევა მივიღო. შეყვარებული ვარ გათხოვილ ქალზე. ცნობისათვის, ისიც მგზავნელია და ვიცი, ამ მესიჯს წაიკითხავს. ჩვენ ურთიერთობა ჩხუბით დავიწყეთ (დამნაშავე მე ვიყავი), მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენი საერთო მეგობრის ოჯახში ვნახე და გავიცანი, მასზე ფიქრი ამეკვიატა. ერთი რამ მიკვირს: ასეთი ლამაზი ქალი როგორ გაჰყვა ისეთ შეუხედავ კაცს ცოლად, როგორიც მისი ქმარია? მხოლოდ მე ვარ მისი შესაფერისი, მაგრამ ის თავიდან მიშორებს (არადა, მერწმუნეთ, ჩვენ ძალიან ლამაზი შვილები გვეყოლებოდა)... რატომ იქცევიან ხოლმე ქალები ასე სულელურად? თამ, მიყვარხარ!“

■

„სწავლის ქირას ვერ მიხდიდნენ და გავთხოვდი...“

ნათია:

„გამარჯობა. ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ. მე ქუთაისიდან გახლავართ. ძალიან მჭირდება ფსიქოლოგისა და თქვენი მკითხველების დახმარება. პირად ცხოვრებაში პრობლემები მაქვს და იქნებ მირჩიოთ რამე. მაინტერესებს, ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? გთხოვთ, არ დამციონოთ. საქმე ის არის, რომ ოჯახი უსიყვარულოდ, მაშვლობით შევქმენი. იმის გამო, რომ ჩემს მშობლებს მატერიალურად უჭირდათ და იმიტომაც, რომ კარგად ვსწავლობდი, მაგრამ სწავლის ქირას ვერ მიხდიდნენ, გადავწყვიტე, გავთხოვილიყავი. აქვე გეტყვით, რომ სახლიც არ მქონდა ნორმალური და მამის სახელითაც ვერ ვამაყობდი. ერთხელ, როცა დეიდას ვესტუმრე, მითხრა: კარგი ბიჭი მყავს შენთვის შერჩეული და უნდა გაგაცნოო. მისით მეც დავინტერესდი და ვითომ, რაღაც წიგნი გვინდოდა, მის ოჯახში მივედით. მასთან მისულს, თვალიერება დამიწყეს, ანკეტა შემავსებინეს და მეც, ყველა დასმულ კითხვას ალალ-მართალ პასუხს ვცემდი. ისიც ვთქვი, — სწავლა აუცილებლად უნდა გავაგრძელო-მეთქი. ცნობისათვის, ფარმაცევტულზე ვსწავლობდი და უკვე მესამე კურსზე ვიყავი; ისიც ვაღიარე, რომ ღარიბი ოჯახის შვილი გახლდით, რომ ჩემს მშობლებს მატერიალურად უჭირდათ. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა ვიყავი და დედაჩემი წელზე ფეხს იდგამდა, რათა ჩემთვის არაფერი მოეკლო, მაინც ბევრი რამ მაკლდა... კარგი გარეგნობა მქონდა და ძალიან ბევრს მოვწონდი, ვუყვარდი, მაგრამ ყოველთვის მქონდა იმის კომპლექსი, რომ შეძლებული ოჯახის შვილი არ ვიყავი, ვერც ვერაფრით დავიკვეხნიდი და ვამბობდი, — მომავალი ქმრის ოჯახის წევრებს ჩემ შესახებ ყველაფერს წინასწარ ვეტყვი, რათა მერე სათქმელი არაფერი ჰქონდეთ-მეთქი... ჩემი მეუღლე ჩემზე 11 წლით უფროსია. გარეგნულად და გონებრივადაც მასზე უკეთესი კაცი მეკუთვნოდა, მაგრამ... მას რომ გავყევი, ეს ამბავი ბევრს გაუკვირდა და დღემდე მეკითხებიან, — ასე რატომ მოიქეცი?.. ჰოდა, იმ დღეს მომავალი მეუღლის ოჯახის წევრები — ჩემი მული (რომელიც ვითომ გათხოვილია, სინამდვილეში კი სულ ჩვენთანაა), დედამთილი და მამამთილი შემპირდნენ, — სწავლის ქირას ჩვენ გადაგიხდით, ქორწილი კი ერთ კვირაში უნდა გავმართოთ. რად გვინდა შენი რამე, მეორე სახლი გაქირავებული გვაქვს, აქეთ შენი სამამამთილო დღეში 50 ლარს მაინც შოულობს და ყველაფერში ხელს შეგიწყობთო. მერე ჩემმა სადედამთილომ ხატის წინ დაიჩოქა, ცრემლები გადმოსცვივდა და თქვა: ამ გოგოს თან გადავყვები, სხვის შვილს როგორ დავჩაგრავო?! დაახლოებით, ერთი თვე „გაქაჩეს“, მერე კი პირობა დაარღვიეს... ახლა მყავს 3 წლის გოგონა და 35 წლის უმუშევარი მეუღლე, რომელიც არანაირად არ მიზიდავს. მირჩევნია, კაცის სახელი საერთოდ არ ვახსენო და მარტოხელა დედა მერქვას, ვიდრე მის გვერდით ვიცხოვრო, მაგრამ ზუსტად აქ „ვიჭედები“ — ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე. გთხოვთ, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარეთ. წინასწარ გიხდით მადლობას, სულ სიყვარულით გეცხოვროთ. უფალი გფარავდეთ *(ნათიას მესიჯის წაკითხვის შემდეგ მასთან ბევრი კითხვა გამიჩნდა და დავუკავშირდი. მართალია, შემპირდა, — ყველაფერს მოგიყვებიო, მაგრამ დამატებითი „ესემესებიც“ ბუნდოვანი გახლდათ, მერე კი ჩემი მცდელობა, მასთან ისევ მესაუბრა, უშედეგო აღმოჩნდა — მას ტელეფონი გათიშული აქვს. იმედია, ამ წერილში ამოიკითხავთ იმას, რისი თქმაც ნათიამ ვერ შეძლო. ჩემი აზრით, მას არც ერთი დაპირება არ შეუსრულეს. როგორც ჩანს, ის ახლა არც მეუღლის მატერიალური მდგომარეობითაა კმაყოფილი და არც საკუთარი არჩევანით. სურს, ქმარს გაეყაროს, მაგრამ როგორც ბევრ ქალს, მასაც ეშინია მარტოხელა დედის ტვირთის აკიდების. მომავალ ნომერში ნათიას ფსიქოლოგი აუცილებლად მისცემს რჩევას, მაგრამ მას არა მარტო პროფესიონალის, არამედ თქვენი დახმარების იმედიც აქვს და ვგონებ, ამ წერილის მიმართ არც თქვენ დარჩებით გულგრილი. — ავტ.“.*

■

P.S. მაშ ასე, თუ ლევანისა და ნათიას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

■

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

პატარა ლექსები

* * *

ეულის ადგილზე ამოსვლა
ეულისა არის წესია,
მოხუცი მომჯის იმასვე,
რაც სიყრმით დაუთესია.

* * *

ათასად ჯაცი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა.
თუ ჯაცი თვითონ არ არის,
რას არგებს გვარიშვილობა.

* * *

არ გათეთრდების ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა.
მტერნი არ შეგვიბრალებენ
ტირილითა და ვიშითა.

* * *

ჯარგი ვარ, იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა,
ჯარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი, არც თავის დედასა.

* * *

წუთისოფელი ასეა, –
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია –
სიყვარულს უშენებია.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

მემდგენელი თემურ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-11, 2011

კორკიმელი — იგივეა, რაც დამასხი (ქლიავის ჯიში).

კორკოტი — ნაყვით კანგაცლილი ხორბალი, რძეში ან წყალში მოხარშული და ერბოთი შეზავებული.

კორომი — ჯგუფად მდგარი ხეები; ნარგავი ტყე.

კორტოხი — გორაკი, ბექი, მაღლობი.

კორჩიოტა (კუთხ.) — იგივეა, რაც ყოჩივარდა.

კორჩხი — კავიანი ხე, ხორცის საკიდარი.

კოსალა — იგივეა, რაც მელეღვია (კვირიონი) (პატარა ჩიტი).

კოსრო — 1. საქოჩრე, კინკრიხო; 2. მოგრძო, წოწოლა თავი.

კოტა — 1. ხის რიკი კედელზე ან სვეტზე რისამე ჩამოსაკიდებლად; 2. ურმის უღლის რიკი. ურმის ღერძის წინ და უკან ჩაყრილი ორი ჭინჭილაქი ღერძი, რომ არ წაგორდეს; 3. ხე-ტარი ხმლისა.

კოტა — იგივეა, რაც ტახტა (ტახტა — უნაგირის კეხის წინ და უკან ამოშვერილი ნაწილები).

კოტეჯი ინგლ. — ერთბინიანი სახლი, მეტწილად ქალაქგარეთ.

კოტიზი (ძვ.) — იგივეა, რაც ბუზანკალი.

კოტიზობა — კოტიზისაგან შეწუხებული საქონლის შფოთვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლაუ ნადირაძე

ქართველი პოეტი — კოლაუ ნადირაძე დაიბადა 1895 წლის 9 მარტს, ქუთაისში. მამა — გალაქტიონ ნადირაძე ცნობილი თვალის ექიმი გახლდათ, რომელიც აკაკი წერეთელსაც მკურნალობდა... 9 წლის კოლაუ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს, სადაც ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს დაუმეგობრდა.

ბავშვობიდანვე უშიშარი იყო. 10 წლისა რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობდა. კლასიკური გიმნაზიიდან „მგლის ბილეთით" გარიცხეს, მაგრამ „სიმწიფის ატესტატის" აღება მაინც მოახერხა და 1912 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

პირველი ლექსი — „ავზნიანი ქალაქი" 1916 წელს ჟურნალ — „ცისფერ ყანწებში" დაბეჭდა. იყო ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფის აქტიური წევრი. პირველი წიგნი — „ბალდახინი" 1920 წელს გამოსცა. იგი სერიოზულად იყო „მოწამლული" სიმბოლიზმის სენით; მის ადრინდელ ნამუშევრებში იგრძნობა — გაღიზიანება, მარტოობა, შიში... მაგრამ პოეტმა მალე მიაგნო თავის „ხმას", რომელიც სინატიფით, სინაზით, სითბოთი, სინათლითა და ამაღლებით გამოირჩევა. ეს არის ტკივილის, ფიქრისა და ოცნების ხმა, საგნებისა და ფერების მუსიკა, რომელიც საუკეთესოდ ჟღერს ლექსებში — „ადაჟიო", „ზღვასთან", „ჩემს ბავშვებს", „თამარის ხიდი", „შემოდგომა იმერეთის სოფელში", „ოცნება საქართველოზე", „მთვარის წყალობა" და სხვა. პოეტისთვის გადამწყვეტია ეროვნული სულისკვეთება, მისი შთაგონების

წყაროა ქართველ წინაპართა დიდებული სახეები და მისი ღვაწლმოსილი თანამედროვენი. ერთ-ერთ საუკეთესო ლექსადაა აღიარებული — „წიწამურიდან საგურამომდე", რომელიც პოეტს 1939 წლის შემოდგომაზე საგურამოში, ილიასეულ სახლში დაუწერია. უშიშარი რომ იყო, ეს ღრმად მოხუცებულობაშიც დაამტკიცა; 1985 წელს გამოაქვეყნა ანტიბოლშევიკური ლექსი — „25 თებერვალი, 1921 წელი", რომელიც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა იმდროინდელ კომუნისტურ საზოგადოებაში:

„თოვდა და თბილისს
ეხურა თალხი,
დუმდა სიონი და
დუმდა ხალხი —
თეთრ ცხენზე მჯდომი
ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი
ცელით!"

კოლაუს კალამს ეკუთვნის უამრავი მოთხრობა, პოემა, ნარკვევი, წერილი, ქართველ, რუს, სომეხ მწერლებზე, მხატვრებზე, თეატრალურ მოღვაწეებზე; ნათარგმნი აქვს პუშკინის, ბუნინის, ბალმონტის, ბლოკის, ბოდლერის, ვერლენის ნაწარმოებები. გარდაიცვალა 1990 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ■

ხეედან მარცხნიდან: კოლაუ ნადირაძე, ანდრეი ბელის მეუღლე, თამარ იაშვილი, ნინო გაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი;
დგანან: ტიციან გაბიძე, ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მორიგანი

აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 – № 1-11, 2011

მარი ჯაფარიძე

ამ დღის შემდეგ ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა. ლევანმა შინაგან საქმეთა სამინისტროში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დამნიშნა. ახალ სამსახურში ჩემმა გამოჩენამ თანამშრომელთა ირონიული ღიმილი გამოიწვია, მაგრამ ყურადღება არაფრისთვის მიმიქცევია. მათი სახეების დანახვისას ნერვიც არ შემტოკებია. ის კი არა, წინასწარ შეგუებული ვიყავი, რომ ასე შემხვდებოდნენ. ჩემი ასაკის ქალებს ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უმიზეზოდ არ ნიშნავდნენ. ამიტომ, ყველასთვის გასაგები იყო, რომ გავლენიანი მფარველი მყავდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ ეცოდინებოდათ, ვინ იყო ის და ალბათ ინტერესით კვდებოდნენ.

რაც შეეხება სანდროს, ვერა და ვერ შეეგუა ჩემს გადაწყვეტილებას. ცოლი, სიმამრის შიშითა და ხათრით მოიყვანა; იმედი ჰქონდა, რომ მისი სახით „კრიშა" და მფარველი ეყოლებოდა, კარიერის მოწყობას გეგმავდა, ახლა კი მე „გამოვხტი" და მის სიმამრს ლოგინში ჩავუწექი. ისევ მისი რიდით, შიშითა და ხათრით ვერ მცემდა ხმას. ლალისთან სიარულს მოუხშირა — მარტო მოდიოდა და ჩემთან საქმის გარჩევას იწყებდა. თუ ლალი გამოჩნდებოდა, ჩუმდებოდა. ერთ საღამოს შინ მარტო ვიყავი, როცა სანდრო მოვიდა. ჩვეულებრივად შევხვდი, როგორც მასპინძელს შეეფერება.

— მარგო, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ლევანს აღარ შეხვდე?

— ცოლად უნდა მომიყვანო, — პირდაპირ ვაჯახე, თუმცა პასუხი წინასწარ ვიცოდი.

— ეს შეუძლებელია!

— რატომ? წავიდეთ აქედან, მოსკოვში გადავიდეთ, იქ გავლენიანი ნაცნობები მყავს, ლევანი ვერ მოგვწვდება.

— სისულელეს ნუ ამბობ! სიმამრის საყვარელთან ერთად გავიპარო?!

— კარგი, მაშინ ლევანს ცოლად გავყვები და შენი სიდედრი რომ გავხდები, მერე გავიპაროთ.

— მარგო, ჩემს მოთმინებას ცდი?.. არ გირჩევ, იცოდე!..

— შენ რამდენი წლის განმავლობაში ცდიდი ჩემს მოთმინებას? რამდენი წელი მეთამაშებოდი?!

— თვითონ მკრავდი ხელს, ხან ვის გამოძებნიდი და გამაცნობდი, ჩემი შეყვარებულიაო, ხან — ვის. მშვენივრად ხვდებოდი, რომ შენი დაკარგვა არ მინდოდა და ისიც იცი, რომ ყველასთან მე ჩაგიშალე „სიყვარულობანა". სხვასთან რომ არ დაწოლილიყავი, იმაზეც კი წავედი, რომ კაცი გვერდიდან მოგტაცე და, ჩემს ქორწილში „უმწეო" მდგომარეობაში დამიჭირე თუ არა, მაშინვე სისულელე გააკეთე.

— ვის სჭირდებოდა შენი დევნა და ზრუნვა?! მე შენს ცოლობაზე ვოცნებობდი, — ასე პირდაპირ სანდროსთან არასდროს მილაპარაკია, — თვალებს დავხუჭავდი და წარმოვიდგენდი, როგორ ვცხოვრობდით ერთად, როგორ ვზრუნავდი შენსა და ჩვენს შვილებზე, როგორი შეხმატკბილებული ცოლ-ქმარი ვიქნებოდით და იდეალური ოჯახი გვექნებოდა. აი, ამაზე ვოცნებობდი, მაგრამ შენგან არასოდეს მიგრძნია იგივე სურვილი. მზად იყავი, ლოგინში ჩაგეწვინე და გეჟიმავა ჩემთან — ერთ რუსის გოგოსთან, რომელსაც არც თვითონ ჰყავს პატრონი და ვერც შენ გიპატრონებდა; შენს მზერაში მუდმივად ვხედავდი სურვილს, ვნებას, მზად იყავი, ნადირივით დამტაკებოდი და შუაზე „გაგეფატრე", პირი ჩაგეტკბარუნებინა, ტუჩენი ენით მოგელოკა და წასულიყავი... და როცა ისევ „მოგშივდებოდა", ხელახლა მომადგებოდი... მე კი ეს არ მინდოდა და შენთან ურთიერთობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოვიდოდი, თუ ცოლად მომიყვანდი. იმიტომაც გაცნობდი ჩემს კავალრებს, იქნებ გეეჭვიანა, იქნებ გადაგედგა ის ნაბიჯი, რომელსაც ასე ძალიან ველოდი, მაგრამ — არა! შენ მაინც შენსას აწვებოდი. ანგარებით მოიყვანე ცოლი, ნამუსი გეყო და ქორწილშიც კი დამპატიჟე.

— გეთქვა, თუ ასე იყო საქმე, მე ეს პირველად მესმის...

— კარგი, რა, სანდრო!.. პირველად გეუბნები პირდაპირ, თორემ ყველა ჩემი ნაბიჯი, მზერა და ქმედება ამას გამოხატავდა. როცა მივხვდი, რომ საბოლოოდ დაგკარგე და ჩემს ოცნებას ახდენა არ ეწერა, ის ნაბიჯი გადავდგი, რომელიც საჭიროდ მივიჩნიე... კაცი, რომლის გამო ქორწინებასაც კი დათანხმდი, მართლაც გავლენიანი ადამიანია და რატომ არ უნდა ვისაგებლო ამით?! თუკი შენ — მამაკაცს, შეგიძლია, ანგარების გამო ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, მეც ხომ შემიძლია ამის გაკეთება?! ეს საუკეთესო ნაბიჯი იყო შენზე შურისძიებისთვისაც და საკუთარი მომავლის ასაწყობადაც. თანაც, მე მსხვერპლი ფაქტობრივად, არ გამიღია და თვალებიც არაფერზე დამიხუჭავს. დასაკარგავი უკვე აღარაფერი მქონდა. რაც ყველაზე ძვირფასი იყო ანუ — შენ, უკვე დაგკარგე და სხვა არაფერი მაინტერესებდა. ეჭვი არ შეგეპაროს; ლევანი გარეგნულად შეუხედავი, ძუნძგლიანი კაცი რომ ყოფილიყო, მასთან ურთიერთობაზე არ წავიდოდი. ის მშვენიერი მამაკაცია და 47 წლის ასაკშიც კი 30 წლის ბიჭივით გამოიყურება, ფულიც აქვს, გავლენაც, ქვრივიცაა, რაც მეტ პერსპექტივას მისახავს და რატომ უნდა მეთქვა უარი?! მიმაჩნია, რომ ჩემი გადაწყვეტილება — უმანკოება მისთვის ჩამებარებინა, სწორი იყო; ის ამას შესაფერისად დააფასებს ყოველთვის და დარწმუნებული იყავი იმაშიც, რომ შენი ბედიც ჩემს ხელთაა: მე როგორც მოვინდომებ, შენი ცხოვრება ისე წავა. ლევანის საყვარლობით, 2 კი არა, რამდენიმე კურდღელი დავიჭირე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დაფიქრდები, მიხვდები — რასაც ვამბობ, სრული სიმართლეა, — მონოლოგი დავასრულე და სანდროს შევხედე.

უეცრად ტაშის ხმა მომესმა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ შემოჰკრა ვიღაცამ ხელისგულები ერთმანეთს, ნელ ტემპში, რამდენიმე წამის დაყოვნებით... ტანში გამცრა: ვიფიქრე, სანდრომ ოინი მომიწყო და ალბათ ლევანს მოასმენინა, მასზე რასაც ვამბობდი-მეთქი. სანდროსგან გამორიცხული არაფერი იყო, მისგან ასეთი რამ სულაც არ გამიკვირდებოდა. ვერც კი შევბრუნდი, რომ დამენახა, ჩემი გულახდილი გამოსვლა ასეთი აპლოდისმენტებით ვინ შეაფასა. მეგონა, სადაცაა, ტყვიას დამაჭედებდა ზურგში...

— გადასარევი გამოსვლა იყო, ბრავო! დიდი ხანია, ასეთი რამ არ მომისმენია. — ლალის ხმა რომ გავიგონე, შვებით ამოვისუნთქე, — მარგო, ყოჩაღ! ამას მეც კი ვერ მოვიფიქრებდი. გისმენდი და რაც მეტს ლაპარაკობდი, უფრო თანაგიგრძნობდი და თანაც — გეთანხმებოდი. ჩემი „შკოლა“ იგრძნობა, მაგრამ გაცილებით მაგარი აღმოჩნდი, ვიდრე წამოვიდგენდი...

— დიდი ხანია, აქ ხარ?

— კი, „მონოლოგის“ პირველივე ნაწილს მოვუსწარი... მართალია, ჩუმად ყურის გდება კარგი საქციელი არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი გამოჩენა მაინც არაფერს შეცვლიდა. შენ ხომ გულახდილი ხარ ჩემთან და ისედაც ყველაფერს მიყვები?! ხომ ასეა? — ჩამეკითხა. როგორც ჩანს, ნაწყენი იყო, რადგან ლევანთან ურთიერთობის შესახებ არაფერი მქონდა ნათქვამი და ახლა, სრულიად შემთხვევით გაიგო.

— მე წავალ, — როგორც ჩანს, სანდრო ჯერ კიდევ ჩემი ნათქვამისგან მიღებული შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა.

ლალის ლოყაზე აკოცა და გავიდა. თვალი გავაყოლე და რაღაცნაირად, გული ჩამწყდა. ჯერ კიდევ მქონდა იმის სურვილი, რომ ეს კაცი ჩემი ყოფილიყო. „ჯერ კიდევ“ კი არა, ძველებურად, ძლიერ მსურდა...

— მარგო, მართლა გაოცებული ვარ შენი საქციელით, — მითხრა ლალიმ, როდესაც სამზარეულოში გასულს თან შევყევი.

— რატომ?

— ამას ხომ ჯერ მოფიქრება უნდა, მერე — ნაბიჯის გადადგმა და ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა. ამ ყველაფერს კი — გამბედაობა!

— ფიქრობ, რომ გამბედაობა მაკლია?

— არა, მაგრამ... მოკლედ, არ ღირს ამაზე ლაპარაკი.

— ნაწყენი ხარ ჩემზე?

— არა, საიდან მოიტანე?

— ლევანზე რომ არაფერი მითქვამს, ამის გამო არა ხარ ნაწყენი?

— მარგო, შენი პირადი ცხოვრება შენ გეკუთვნის და როგორც გინდა, ისე მოიქცევი. ნაწყენი რატომ უნდა ვიყო?! მაგრამ გაოცებული კი ვარ...

— არ მოგვეცა შესაძლებლობა, დავმსხდარიყავით და ნორმალურად გველაპარაკა.

— თავის მართლება არ არის საჭირო, შენი ნებაა, როგორ მოიქცევი.

— მაპატიე. მართალი ხარ, შენთვის თავიდანვე ყველაფერი უნდა მეთქვა, — დანაშაულის შეგრძნება მქონდა და არ მინდოდა, ლალი ნაწყენი დარჩენილიყო. ჩემგან უნდობლობას არ იმსახურებდა, მაგრამ მართლა არ ჩამივარდა ხელში ისეთი მომენტი, რომ გული გადამეშალა.

— ჯიუტი ხარ, — გაეცინა ლალის.

იმ საღამოს ყველაფერს დაწვრილებით მოვუყევი. რეაქცია არ ჰქონია — თითქოს ჩვეულებრივ ამბავს ისმენდა.

ჩემი და ლევანის ურთიერთობა თანდათან ღრმავდებოდა — უჩემოდ ფაქტობრივად, ვეღარ ძლებდა. ნებისმიერ მამაკაცზე ეჭვიანობდა, ვისაც ჩემ გვერდით დაინახავდა. გაფრთხილებული ვყავდი, თუ კაბინეტში მარტო ვიყავი და ერთი მამაკაცი შემოვიდოდა, კარი აუცილებლად ღია უნდა დამეტოვებინა.

— იცოდე — რომ შემოგისწრო, დახურული კარის მიღმა ერთი მამაკაცის გვერდით იმყოფებოდე, მაგრად განანებ, — გამაფრთხილა თავიდანვე.

— მგონი, ზედმეტი მოგდის, ეს რა უნდობლობაა?! რას ჰქვია, კაბინეტში ერთ მამაკაცთან ერთად თუ ვიქნები, კარი ღია დავტოვო?! რომელ საუკუნეში ცხოვრობ?!

— მარგო, მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს და არც ის, როცა ვისმეს ჩემი ნათქვამი არ ესმის ან სიტყვას მიბრუნებს. ვთქვი და მორჩა!

— ჩემთან ასეთები არ გაგივა, ვერ მომათვინიერებ! რაც ვიყავი, ის დავრჩები და წვრთნას არ დავექვემდებარები! — შეუვალი ვიყავი და პოზიციის დათმობას არ ვაპირებდი.

— ეს ბოლო გაფრთხილებაა, თუ არ დაიჯერებ, ინანებ!.. მე მითქვამს და აწი შენ იცოდე და შენმა გონიერებამ. სიტყვებს ჰაერში არასოდეს ვისვრი!

ლევანი ოთახიდან გავიდა და ტელევიზორს მიუჯდა. ცოტა ხანს დავფიქრდი. სულ 2-3 კვირის დაწყებული იყო ჩვენი ურთიერთობა და უკვე ამდენის უფლებას აძლევდა თავს! ახლა რომ დავემორჩილო, მერე უარესს მიზამს-მეთქი, გავიფიქრე და გადავწყვიტე, იმ ღამით მასთან არ დავრჩენილიყავი. ფეხსაცმელი ჩავიცვი, ჩანთა ავიღე, კარი ისე გამოვიხურე, არც დავმშვიდობებივარ. ტაქსი გავაჩერე და ლალისთან წავედი.

— ლევანმა ხომ არ გამოგაგდო? — ლალიმ კარი მთქნარებით გამიღო და ჩემი დანახვა გაუკვირდა, რადგან წინასწარ გავაფრთხილე, ამაღამ არ მოვალ-მეთქი.

— არა, მე თვითონ წამოვედი.

— მოხდა რამე? — ოთახში შევიდა, ღამის პერანგზე ხალათი შემოიცვა და უკან დაბრუნდა. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ჯერჯერობით ძილი არ ეწერა.

— მოხდა, — დავიწყე და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— უყურე მაგ ბებერს! ახალგაზრდა გოგო ჩაიგდო ხელში და ახლა ეჭვიანობს?!.

— სულაც არაა ბებერი, — მეწყინა, ასე რომ მოიხსენია.

— აბა, ახალგაზრდაა? — ხმამაღლა გაეცინა.

— მშვენიერ ფორმაშია, ბევრ 25 წლის ბიჭს აჯობებს, რომ დაეჭიდოს.

— ოჰ, რა დამცველი უშოვია შენი სახით!

— არ ვიცავ, მით უმეტეს — ახლა, როცა ასე გამაბრაზა. როგორ ფიქრობ, სწორად მოვიქეცი?

— კი, კარგი გადაწყვეტილება მიგიღია. ჭკუა უნდა ისწავლოს! ხვალ რეკვას დაიწყებს, სამსახურში ან თავის კაბინეტში დაგიბარებს, ან თვითონ შემოვა შენთან და გისაყვედურებს, იქნებ გეჩხუბოს კიდეც, მაგრამ მაინც ეცდება, თავისი გაიტანოს. არაფრით არ უნდა დათმო. სანამ პირობას არ ჩამოართმევ, რომ თავის სიტყვებს უკან წაიღებს, მანამდე არ შეურიგდე. ეგ უშენოდ მაინც ვერ გაძლებს, ვერ დაგთმობს და იცოდე, თუ ერთხელ გაგტეხა, მერე ვერასოდეს აჯობებ.

— მართალს ამბობ. ასეც მოვ-

იქცევი. არ მივცემ იმის საშუალებას, რომ მაჯობოს.

— უთანასწორო ბრძოლაში კია ჩართული, ვინაიდან 2 ჭკვიანი ქალი მოქმედებს მის წინააღმდეგ, მაგრამ თუ ვაუკაცია, გაუძლოს!

ორივეს გაგვეცინა.

კარგა ხანს ვიჭორავეთ — ლალიმ თავისი წარსულიდან უამრავი ამბავი გაიხსენა.

საუბარში გართულები, მოგვიანებით ზარის ხმამ შეგვაკრთო.

— ვიღაც გვესტუმრა ამ შუაღამისას. ეს ალბათ შენი კავალერი იქნება, წადი და თავად გაუღე კარი.

— ის აქ ვერ მოვიდოდა, არ იცის მისამართი, ალბათ ვინმე სხვაა, — მერჩივნა, ლალის გაეღო.

— გეუბნები, ეგ იქნება-მეთქი. მისამართის დადგენა არ გაუჭირდებოდა, დარწმუნებული ვარ.

ვიდრე ჩვენ ვარკვევდით, კარი რომელს უნდა გაგვეღო, ამასობაში სტუმარს, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აევსო და ზარის ღილაკს თითი რომ მიაჭირა, კარგა ხანს აღარ აუშვია.

— ის რომ იყოს, რა ვუთხრა? — წამოდგა ლალი.

— შემოუშვი და ვნახოთ, რა წინადადებით იქნება მოსული. ახლა რომ მაგას კარი არ გავუღოთ ან უთხრა, რომ აქ არ ვარ, გაგიჟდება, არ დაიჯერებს, რომ ნამდვილად შინ ვიყავი და შესაძლოა, მართლა საშინელება მოახდინოს.

ცოტა ხანში ლალი სამზარეულოში დაბრუნდა. მას ლევანი მოჰყვებოდა და სახეზე მრისხანება აღბეჭდვოდა.

— რატომ გამოიპარე? — ყოველგვარი შესავლის გარეშე მკითხა.

— როგორ მომაგენი? — კითხვა შევუბრუნე.

— შენს მოგნებას რა უნდა?! ლალის მისამართი სანდროს მამისგან გავიგე და არ გამჭირვებია საჭირო ქუჩისა და სახლის პოვნა.

— და აქ რომ არ დაგხვედროდი?

— გაგებედა, არ დამხვედროდი და ვნახავდით, რა მოხდებოდა... ნუ მეთამაშები, გოგონი, არა ვარ პატარა ბიჭი, რომ გამოუცდელობის გამო რამე შემეშალოს. რომ გძინავს, ისიც კი ვიცი, რა სიზმარს ხედავ და როცა თვალებში მიყურებ, გგონია, შენს ფიქრებს დამიმალავ?

— ერთი შეხედვით, ასეთი „ტერორისტი“ არ ჩანდი. შენ ვინ ყოფილხარ! — აღშფოთება და გაოცება ვერ დავფარე.

რადგან ლევანმა ლალისთან მომაკითხა, მივიჩნიე, რომ ჩემს წასაყვანად იყო მოსული და წასასვლელად გავემზადე.

— სად მიდიხარ? — წინ გადამიდგა ლევანი.

შევცბი.

— შენს წასაყვანად არ მოვსულვარ, ისე შემოგიარე. აქ დარჩი, ხვალ სამსახურში შევხვდებით. დილით თათბირზე არ დააგვიანო.

სკამზე დავეშვი. ლევანი არ გამიცილებია. კარამდე ლალი გაჰყვა.

— უყვარხარ მაგ კაცს, — მითხრა ლალიმ და ჩემ წინ დაჯდა.

— ასე გგონია?

— კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ! აქ არ მოვიდოდა, ასე რომ არ იყოს. გასვლისას იცი, რა მითხრა?.. შენი იმედი მაქვს, ეგ ჯერ ბავშვია და ძალიან ჩურჩუტია, არაა გამორიცხული, რაიმე სისულელეც ჩაიდინოს და ამიტომ გთხოვ, ყურადღებით იყავიო.

— ჩურჩუტიაო?! კარგია, როცა მოწინააღმდეგე შენს რეალურ ძალას ვერ განსაზღვრავს...

— არ არის სწორი მიდგომა, საყვარელ მამაკაცს მოწინააღმდეგედ აღიქვამდე. თუ შენი ბედი მას დაუკავშირე, ასე არ უნდა ფიქრობდე. არა აქვს მნიშვნელობა, სამუდამოდ მასთან ყოფნა გაქვს გადაწყვეტილი თუ — არა. მამაკაცი ყოველთვის გრძნობს ქალის განწყობილებას და თუ მტრული დამოკიდებულება იყნოსა, მისგანაც იმავეს მიიღებ. არა მგონია, ეს გჭირდებოდეს.

მართალს ამბობდა ლალი. ამაზე არ დავფიქრებულვარ. კიდევ რამდენი რამ მქონდა სასწავლი — არადა, მეგონა, უკვე ყველაფერი ვიცოდი. ხანდახან ისეთ მარტივ საკითხზე ამეხილებოდა თვალი ლალის დახმარებით, თვითონვე მიკვირდა, ამას როგორ ვერ მივხვდი სხვის დაუხმარებლად-მეთქი?!

მეორე დღეს თათბირი გვქონდა. ლევანს თითქოს წყენა არ ეტყობოდა, მაგრამ ვგრძნობდი, გაბრაზება არ განელებოდა და თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მისგან რისხვა კვლავ დამატყდებოდა თავზე. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილი მქონდა, არაფერი დამეთმო. თვითონაც ხშირად მეუბნებოდა, ცეცხლს ეთამაშებიო და მეც ვგრძნობდი, რომ თუ მოინდომებდა, ჩემი დაღუპვა თავისუფლად შეეძლო. მაინც „ვა-ბანკზე“ მივდიოდი, იმ იმედით, რომ ჩემ მიმართ ძლიერი გრძნობა ჰქონდა და გვერდიდან მოცილებას არ მოისურვებდა. თუ მივხვდებოდი, რომ აღარ ვუყვარდი, მაშინ უნდა შემომეკრა განგაშის ზარი.

რაც ლევანის გვერდით ვიყავი, სულ იმაზე ვფიქრობდი — ვინ ჰყავდა ლევანს ჩემამდე, სად წავიდა, ისევ ჰქონდა მასთან ურთიერთობა თუ — არა, უყვარდა ლევანს თუ — არა?.. ამ საკითხზე რამდენჯერმე ჩამოვუგდე სიტყვა, მაგრამ ხან მოხერხებულად აარიდა თავი, ხან ვითომ ვერც კი გაიგო, რა მინდოდა. მაინც არ მოვეშვი და ბოლოს მითხრა: — რაც ნაკლებად გამოქექავ ჩემს წარსულს, მით უკეთესი იქნება შენთვის. დასჯერდი იმას, რომ ჩემ გვერდით ხარ, მიყვარხარ და ფაქტობრივად, აქ ცხოვრობ, დანარჩენი შენი საქმე არ არისო.

მისმა ნათქვამმა ეჭვი უფრო გამიღრმავა და გამუდმებით იმის გადამოწმებაში ვიყავი — სად მიდიოდა, ვისთან ერთად და გამუდმებით მის გვერდით ყოფნას ვცდილობდი, რომ სხვასთან ურთიერთობის საშუალება არ მიმეცა.

...თათბირის შემდეგ ჩემს კაბინეტში დავბრუნდი, მაგრამ ლევანთან ლაპარაკი და წინა დღის სიტუაციის გარჩევა მინდოდა. დილიდან საქმეს არ მოვწყვიტე, თან ველოდი, იქნებ თვითონ შემოსულიყო ჩემთან, მაგრამ საქმესაც ვერ დავუდე გული. არადა, უამრავი რამ მქონდა გასაკეთებელი. კაბინეტში წინ და უკან დავდიოდი, ადგილს ვერ ვპოულობდი. გამუდმებით საათს ვუყურებდი, ერთი სული მქონდა, 2 საათი როდის მოვიდოდა, რომ დალაპარაკების საშუალება მქონოდა. ვიცოდი, ამ დროს მდივანს მისთვის სადილი მოჰქონდა და სალაპარაკოდ ხელსაყრელი დრო იქნებოდა.

როგორც იქნა, 2 საათიც შესრულდა და მისი კაბინეტისკენ გავემართე.

— არ შეხვიდეთ: ბატონმა ლევანმა დაიბარა, არავინ შემაწუხოსო.

— მარტოა? — ყასიდად ვიკითხე, თორემ დარწმუნებული ვიყავი, მეტყოდა, რომ მარტო იყო და ისვენებდა.

— არა, სტუმარი ჰყავს — უცხო ქალბატონი, — ისე, ნიშნის მოგებით მითხრა, მივხვდი, ჩემი რეაქცია აინტერესებდა.

— არა უშავს, აუცილებელი საქმე მაქვს, ჩემთვის არაა პრობლემა, მასთან შესვლა ნებისმიერ დროს შემიძლია. თუ გისაყვედურებს, უთხარი, რომ არ დაგემორჩილე, — ნაჩქარევად მივაყარე მდივანს და კაბინეტის კარი შევაღე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები

ხმოვანი წიგნი

ჩემი პირველი დღიური

პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

ფასი: 14.99

მოეფერეთ პატარას

ამ ხმოვან წიგნს პატარები მაშინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

ფასი: 15.99

რად აქვს ჯურდღელს მოკლე კუდი?

თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ჯურდღელს ყოველთვის მოკლე კუდი ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მელას მსგავსად გრძელი და ფაფუკი კუდი ამშვენებდა? წაიკითხეთ ეს მშვენიერი ზღაპარი და შეიტყობთ, რატომ აქვს ჯურდღელს მოკლე კუდი!

ფასი: 7.99

თქვი სიმართლე

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ უნდა თქვან სიმართლე ყველგან და ყოველთვის.

ფასი: 8.99

გიო აფრიკაში

წაიკითხე ეს წიგნი და იმოგზაურე აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდები მარმელადის მოყვარულ მარტორქას; ველურ ჯუნგლებში აღმოაჩენ მაღაზია „ნილოსს", გაიცნობ ზანგების ბელადს... ასე რომ, წინ საინტერესო თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა გელით!

ფასი: 7.99

ჯომბლე

ეს შესანიშნავი ქართული ხალხური ზღაპარი მოგითხრობთ, როგორ ასწავლა ჯომბლემ გაუმაძღარ ბატონს ჭკუა და როგორ დაიბრუნა თავისი ჭრელა.

ფასი: 7.99

ხაჭაპური

წაიკითხე მხიარული ლექსი მარჯვე ბაჭიაზე და გაიგე, რა გადახდა მას თავისი დღეობის სამზადისში.

ფასი: 7.99

ცივილიზაციები

ბავშვებს ელით საოცრებებით აღსავსე მოგზაურობა უძველესი ცივილიზაციების ქვეყნებში – მათ შორის საქართველოშიც. წიგნში ნახავთ მრავალ მოძრავ გვერდს, შესანიშნავ ილუსტრაციებს, გაეცნობით ბევრ საოცარ და საინტერესო ფაქტებს.

ფასი: 19.99

ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ



ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, როგორ ხდება დანაშაულის გამოძიება. რა არის ბალისტიკა, კიბერდანაშაული, რით აიხსნება უჩვეულო და დაუჯერებელი მოვლენები! როგორ კვეთენ გვამს, რას იკვლევენ დნმ-ის ანალიზით...

ფასი: 16.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!



რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა" №51, 2010 – 1-11, 2011

— იქნებ როგორმე გაგესინჯა? — დაარღვია სიჩუმე მარიმ, რომელიც უკვე 10 წუთი იყო, რაც ორდენიძის პირდაპირ გაუნძრევლად იჯდა და გაკვირვებული ადევნებდა თვალს, კაცი სადილს კოვზით ანგარიშმიუცემლად როგორ ურევდა.

— მაპატიე, მარიკუნა, — დამნაშავესავით გაეღიმა ორდენიძეს, — ფიქრი გამექცა.

— ნეტავ, ყველა გამომძიებელი შენსავით გულჩათხრობილია თუ ერთადერთი იყო ასეთი და ისიც მე შემხვდა?

— მაპატიე, საყვარელო, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ბევრი საქმე დამიგროვდა და ვერაფრით ავუდივარ.

— სხვათა შორის, ლალიმ და ლევანმა დარეკეს და მოგიკითხეს.

— მეორედ რომ დარეკავენ, ჩემგანაც მოკითხვა გადაეცი. კარგი წყვილია.

— მიხარია, რომ ასე ფიქრობ. სხვათა შორის, მათაც მოეწონე და სტუმრადაც დაგპატიჟეს.

„ეტყობა, არ ამცდება ამ წყვილთან ურთიერთობა", — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ორდენიძემ, მაგრამ მარის დაძაბულ სახეს რომ შეხედა, სულ სხვა რამე თქვა:

— სიამოვნებით ვეწვევი.

— მართლა? — მაშინვე სახე გაუნათდა ქალს.

— რა თქმა უნდა. მართლა, დიდი ხანია, რაღაც მინდა გკითხო, — თემის შეცვლა სცადა ორდენიძემ.

— მერე რაღას უცდი, მკითხე.

— ეს შენს გარდაცვლილ მეუღლეს, უფრო სწორად კი — მის კავშირებს ეხება.

— ჩემი ქმრის კავშირები რაში გაინტერესებს? — გაუკვირდა მარის.

— ახლავე აგიხსნი, — გამომძიებელმა ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოიღო და ქალს გაუწოდა. — ეს თბილისში მცხოვრები მეტ-ნაკლებად ცნობილი კოლექციონერების სიაა. რა თქმა უნდა, სია სრული არ არის, მაგრამ იქნებ რომელიმე მათგანზე შენც გსმენია რამე. ანდა, შეიძლება, მათ შენი ქმარი იცნობდა და ემეგობრებოდა კიდეც?

მარიმ ფურცელი გამოართვა.

— მგონი, ერთი გვარი მეცნობა. მართალია, იშვიათად, მაგრამ ჩემი ქმარი ჩვენთან მოსულ ზოგიერთ სტუმარს მეც მაცნობდა.

— მაინც რომელი გვარი გეცნობა?

— აი, ეს: იორდანიშვილი იორამი. დანარჩენ გვარებზე ვერაფერს გეტყვი, თუმცა შესაძლოა, სახეზე სხვებიც ვიცნო.

— იორდანიშვილზე თუ შეგიძლია რამის მოყოლა?

— ძალიან სასიამოვნო და გულითადი ადამიანია. ჩემს ქმართან რამდენჯერმე იყო მოსული. ცოტა დალიეს და ნარდი ითამაშეს.

— რაზე საუბრობდნენ?

— ძირითადად, ხელოვნებაზე.

— კიდევ?

— რაშია საქმე? — მარი ორდენიძის დაინტერესების მიზეზს ვერაფრით მიხვდა. — თუ ფიქრობ, რომ ეს ადამიანი რაიმე ცუდ საქმეშია გარეული, ცდები. ბატონი იორამი პატიოსანი და წესიერი ადამიანია. ჩემი ქმარი მხოლოდ ასეთებთან თუ მეგობრობდა.

— დამშვიდდი, მარიკუნა, ამ კაცის წესიერებაში იოტისოდენა ეჭვიც არ შემაქვს. უბრალოდ...

— რა უბრალოდ?

ორდენიძე წამით ჩაფიქრდა: ღირდა კი მარისთვის საკუთარი ინიციატივით წამოწყებული გამოძიების დეტალების ახსნა?

— რაზე ფიქრობ? — არ მოეშვა მარი.

— კარგი, გეტყვი, — გადაწყვეტილება მიიღო გამომძიებელმა, — ბოლო ხანებში 2 მარტოხელა კოლექციონერი უკვალოდ გაქრა.

— რას ჰქვია, გაქრა? — თვალები გაუფართოვდა მარის. — მოკლეს?

— ჯერ არ ვიცი. უბრალოდ, გაუჩინარების დღიდან მათ შესახებ არავის არაფერი სმენია. ამიტომ...

— რა საშინელებაა! — სიტყვის დასრულება აღარ აცადა გამომძიებელს შეძრწუნებულმა მარიმ. — და ბატონი იორამიც მათ შორისაა?

— არა, იორდანიშვილი ჯერჯერობით უვნებელია, მაგრამ ვფიქრობ, საფრთხე მასაც ემუქრება, რადგან მარტოხელა და დიდი ქონების პატრონია.

— ამ პრინციპით ხომ მეც...

— შენ რა შუაში ხარ?

— მეც ხომ მარტოხელა ვარ. უფრო სწორად — ვიყავი, სანამ შენ შეგხვდებოდი. გამოდის, რომ ჩემი გაქრობაც თავისუფლად შეეძლოთ...

— არა მგონია, შენს შემთხვევაში საქმე ასე სერიოზულად ყოფილიყო, — ქალის დამშვიდება სცადა გამომძიებელმა, — ეს ალბათ, უფრო ბანალური ძარცვის მცდელობა გახლდათ და, მადლობა ღმერთს, რომ ისიც ჩაიშალა.

— ჰო, მადლობა ღმერთს... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მარიმ. — შემდეგ ორდენიძეს გვერდით მიუჯდა და თავი მხარზე დაადო. — რა ბედნიერებაა, რომ გვერდით მყავხარ...

— კიდევ რაღაცის თხოვნა მინდა.

— გისმენ.

— ძალიან დამავალებ, თუ ჯერ შენ დაურეკავ იორდანიშვილს და ეტყვი, რომ ფრთხილად იყოს. მერე კი თვითონაც შევუვლი და დაველაპარაკები...

სამუშაო დღის მიწურულს ორდენიძის კაბინეტში ანდრო ლეკიშვილმა შეიხედა.

— აბა, როგორ არის საქმე? — ჰკითხა მას გამომძიებელმა.

— ყველას დავურეკე და ვაცნობე, — საფრთხე გემუქრებათ-მეთქი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ყურსაც არავინ შეიბერტყავს.

— არ დაგიჯერეს?

— დაჯერება-არდაჯერებაში არ არის საქმე. უბრალოდ, ყველა კოლექციონერი, როგორც ერთი, გაიძახის, მთელი ცხოვრება კრიმინალების სამიზნე ვარ და, ამიტომაც, ეს ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენსო.

— გადამრევს ეს ხალხი! ეტყობა, უკვალოდ გამქრალი მათი კოლეგებიც ასე დაუდევრად იქცეოდნენ.

— აი, ამაზე კი ნამდვილად ვერაფერს გეტყვი.

— კარგი. წადი ახლა სახლში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ უკვე გვიანია. ჰო, მართლა, ერთი იმ უცნაურ წყვილსაც შეუარე და გაიგე, როგორ არიან?

— გოგლას და ლელას?

— ჰო.

— ტელეფონით რომ გავარკვიო ყველაფერი?

— არა. მინდა, საკუთარი თვალით ნახო, რომ ყველაფერი რიგზეა. თანაც მაინც იმ გზაზე არ უნდა გაიარო?

— კარგი, — ამოიოხრა ანდრომ, — შევივლი.

ლეკიშვილის წასვლის შემდეგ ორდენიძე ლელას უცნაური გატაცების მცდელობის ამბავს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა. „გატაცება გატაცებად და ისიც არანაკლებ უცნაურია, რომ ეს გოგო მოკლული ვაუა ხოტივარის და აღმოჩნდა, — ფიქრობდა იგი, — შეიძლება, ეს შემთხვევითობას მიაწერო, მაგრამ მგონია, რომ ამჯერად სწორედაც რომ კანონზომიერებასთან უნდა გვქონდეს საქმე. თანაც, ხოტივარის მკვლელობაცა და მისი დის გატაცების მცდელობაც ხომ ერთი და იმავე მხატვრის ნამუშევრებთანაა დაკავშირებული. და თუ გაირკვა, რომ ეს ტილოები მართლაც რაიმე ფასეულობას წარმოადგენს, მაშინ... მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ შეფი უკვე ტანზე იხევს, ხოტივარის საქმის დახურვა მაინც ნაადრევად მეჩვენება“. გამომძიებელს ფიქრი ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა.

— ალო, ოთარ, ლევანი ვარ.

— რომელი ლევანი?

— ასე მალე დაგავიწყდი? რომელი და ლალის ქმარი და შენი კოლეგა.

— აა, — როგორც იქნა, გამოერკვა ორდენიძე, — უცბად ვეღარ გიცანი. თან, სამსახურში შენს ზარს ნამდვილად არ ველოდი.

— ეს იმიტომ, რომ სამსახურის მეტი აღარაფერი გახსოვს.

— რას გულისხმობ?

— არაფერს. ეს მარის სიტყვებია. წეღან ელაპარაკა ლალის და შესჩივლა, რომ საქმე საყვარელ ქალსაც კი გირჩევნია.

— ჰო, რა ვიცი... — დაიბნა ორდენიძე. — ძალიან ბევრი თავსატეხი დამიგროვდა და...

— არც თავს არ იზოგავ და აღარც მარის ინდობ, ხომ? — ორდენიძის დამუნათებას განაგრძობდა ლევანი. — მაგრამ ქალს რომ დიდხანს ლოდინი არ უყვარს?

— ვიცი და სასწრაფოდ გამოვსწორდები, — ლევანის ხუმრობანარევ საყვედურებს თავადაც ხუმრობით პასუხობდა ორდენიძე.

— მაინც როდის?

— ახლავე. ყველაფერს თავს ვანებებ და მარისთან მივქრი.

— სწორადაც მოიქცევი. ჰო, მართლა, კინალამ მთავარი არ დამავიწყდა? ხვალინდელ დღეზე მინდოდა შენთან შეთანხმება.

— ხვალ რაღა ხდება?

— რა, ჯერ არ გაგიგია, რომ ხვალ დიდი დღეა?

— ანუ? — ორდენიძე გრძნობდა, რომ ცოტაც და მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა. — ხვალ შენ და მარის ჩვენთან გელოდებით.

— მაგრამ მე...

— არავითარი მაგრამ. ლალი თავისი საფირმო ხაჭაპურის გამოცხობას აპირებს. თითებს ჩაიკვნეტ, ისეთი გემრიელია.

— კარგი, — უხალისოდ დანებდა ორდენიძე, — ყველანაირად ვეცდები, მოვიდე.

— პირობას გაძლევ, არ ინანებ...

— როგორ მოგეწონა ჩემს მეგობრებთან სტუმრობა? — ჰკითხა ორდენიძეს მარიმ შინ დაბრუნების შემდეგ.

— ყველაფერი კარგი იყო.

— ლალის ხაჭაპურიც? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ქალმა.

— ხაჭაპურისა რა გითხრა, შენ ბევრად უკეთესს აცხობ, მაგრამ ატმოსფერო მართლაც სასიამოვნო იყო. საერთოდაც, ლალი და ლევანი კარგი წყვილია. ერთმანეთს ავსებენ. ორივე ხალისიანი და იუმორით სავსეა. განსაკუთრებით — ლევანი. მაინც როგორ იმახსოვრებს ამდენ ანეკდოტს?

— ჰო, ლევანს ეს მართლაც ეხერხება. სუფრის სული და გულია. მასთან ლალიც კარგად გრძნობს თავს. იცი, როგორ მინდა, რომ თქვენც იმეგობროთ?

— უკვე ისედაც მეგობრები არ ვართ?

— ნამდვილ მეგობრობას ვგულისხმობ. ქმარი რომ მომიკვდა, ამ ორ ადამიანზე უფრო მეტად გვერდში არავინ დამდგომია.

— ყველაფერს გავაკეთებ, რომ მეც თავისიანად მიგულონ...



მეორე დილით ორდენიძემ სამსახურში მისვლამდე იორამ იორდანიშვილის მონახულება გადაწყვიტა. მანამდე კი ლეკიშვილს დაურეკა და გააფრთხილა, რომ უფროსობისთვის არაფერი ეთქვა.

— გავიგე, შეფ. დიდი შეფი თუ გიკითხავს, ვეტყვი, რომ სულ სხვა საქმეზე ხარ გასული და მალე დაბრუნდები. მაგრამ ისე, საინტერესოა, ყველა კოლექციონერის პირადად ნახვას აპირებ თუ...

— თაფლის გემოს გასაგებად ერთი კოვზიც სრულიად საკმარისია.

— თაფლის — კი, მაგრამ ეს კოლექციონერები რომ ძალიან მწარე ხალხი ჩანს?

— ეს მათი პრობლემაა. მე კი, თუ ერთი მათგანის დარწმუნება მაინც შევძელი, თავი ქუდში გვექნება, რადგან დანარჩენებს თვითონვე გააფრთხილებს.

— გასაგებია. როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი ხარ, შეფ.

გამომძიებელმა სამსახურის მანქანა ძველებური სახლის სადარბაზოსთან გააჩერებინა.

— ნახევარ საათში გამოვალ, — მიუგდო შემდეგ მძღოლს და სადარბაზოში გაუჩინარდა.

კარი ზუსტად იმხელაზე გაიღო, რის საშუალებასაც მას ლითონის ჯაჭვი აძლევდა და ვიწრო ჭრილში ხანდაზმულმა მამაკაცმა გამოიხედა:

— რა გნებავთ?

ორდენიძემ მაშინვე საბუთი უჩვენა. მამაკაცმა ის პატრონზე ნაკლებ როდი შეათვალიერა და დასძინა:

— ეს საბუთი არაფერს მეუბნება.

— მაშინ მე გეტყვით ყველაფერს, ოღონდ ჯერ კარი უნდა გამიღოთ. დამიჯერეთ, მნიშვნელოვან საკითხზე სალაპარაკოდ ვარ მოსული.

— ერთ წამს დამელოდე...

მამაკაცი ბინის სიღრმეში გაუჩინარდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა და კარიც გააღო.

— მაშ ასე, რა გნებავთ ჩემგან? — სავარძელში ჩაჯდომაც კი არ აცადა მასპინძელმა ორდენიძეს.

— ახლახან პოლიციიდან ჩემი დავალებით დაგირეკეს და გაგაფრთხილეს, რომ...

— უთქვენოდაც კარგად ვიცი, რომ საფრთხე მემუქრება. კოლექციონერები მარტო ბანდიტების კი არა, პოლიციის მუდმივი სამიზნეებიც ვართ. ასეთია ჩვენი ხვედრი. ასე რომ, ზედმეტი გაფრთხილება ნამდვილად არ მჭირდება.

— მესმის, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ქალაქში მდიდარი კოლექციონერები გაუჩინარდნენ... მათი გვარები ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია.

— დიახ. ამ ადამიანებს კარგად ვიცნობ. რა დაადგინეთ? მკვდრები არიან?

— ჯერ ამის არც დადასტურება შემიძლია და არც — უარყოფა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ უკვალოდ გაქრნენ. არადა, დამეთანხმებით, რომ ისინიც თქვენსავით ფრთხილი ადამიანები იყვნენ, მაგრამ...

— კარგი, მითხართი, რა უნდა გავაკეთო? — მოიღუშა მასპინძელი.

— ფრთხილად უნდა იყოთ. განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა გარეთ საერთოდ ნუ გახვალთ, მით უმეტეს — კარი უცხო ადამიანებს არ გაუღოთ. როგორც კი რაიმე საეჭვოდ მოგეჩვენებათ, მაშინვე დამირეკეთ. უკიდურესი საფრთხის შემთხვევაში კი პატრული გამოიძახეთ.

— რა გაეწყობა... — ამოიოხრა მოხუცმა. — რადგან საქმე ასე სერიოზულადაა...

— ძალიან სერიოზულად. საქმე თქვენს სიცოცხლეს ეხება.

— კარგი, ყველაფერი გავიგე.

— და კიდევ...

— ბრძანეთ.

— იმედია, რომ თქვენს ნაცნობ კოლექციონერებსაც აუცილებლად გააფრთხილებთ...

— აი, ამის შეხსენება კი ნამდვილად არ იყო საჭირო...

ორდენიძის გასტუმრების შემდეგ იორამ იორდანიშვილი ოთახში შებრუნდა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. გამომძიებლის ვიზიტმა შეაშფოთა, რადგან ხვდებოდა, რომ ამჯერად მართლაც სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა. მოხუცს, გული აჩქარებით უცემდა, უფრო მეტიც — ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ნელ-ნელა ეწურებოდა. იორამმა დამამშვიდებელი აბები მოძებნა, ერთი მაშინვე გადაყლაპადა, თვალებდახუჭული, სავარძელში მიესვენა. ორიოდ წუთში თავი უკეთ იგრძნო და ისევ მთავარ სადარდებელს მიუბრუნდა. „რა გაეწყობა, — ფიქრობდა, — რაკი საფრთხე ასეთი სერიოზულია, გამომძიებელს დავუჯერებ და შინიდან საერთოდ არ გავალ. საჭმელ-სასმელი 2 კვირაც კი სულ თავისუფლად მეყოფა. მერე კი იქნებ ყველაფერი ჩაწყნარდეს. თუ არა და ავთო თვალჭრელიძეს დავურეკავ და, ყველაფერს ის მომიტანს. თუმცა მოიცა, მოიცა, — ჩაფიქრდა უეცრად მოხუცი და მაშინვე ციცმა ოფლმაც დაასხა, — იქნებ სწორედ ავთოსგან მოდის ეს საფრთხე? განა ამ ცოტა ხნის წინ თვითონვე არ მიმანიშნა, კარგი იქნებოდა, შენი კოლექცია ცოტა უფრო საიმედო ადგილზე გადაგემალაო? ვერ მივართვი! ეს ცხვრის ტყავში გახვეული მგელი მაინც ვერაფერს დამაკლებს. კოლეგებიც სასწრაფოდ უნდა გავაფრთხილო“. — მოხუცი ყურმილს აკანკალებული ხელით დასწვდა და მაშინვე კარზე ზარის ხმაც გაისმა. დამფრთხალ იორამს ყურმილი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— ვინ არის? — ხმადაბლა იკითხა კართან მისულმა.

— ორდენიძე ვარ.

— ვინ?

— გამომძიებელი. წეღან რომ ვიყავი თქვენთან.

— აა, — შვებით ამოისუნთქა მოხუცმა.

— მაპატიეთ, მაგრამ მგონი, პირადობის მოწმობა დამრჩა თქვენთან.

— ასეთი დაბნეული როგორ უნდა იყო ამხელა კაცი?! — ჩაიბურტყუნა იორდანიშვილმა და კარი ნელ-ნელა გააღო.

ორდენიძე შინ უუმურ ხასიათზე დაბრუნდა. მიზეზი კი შეფი იყო, რომელსაც მისი შეჯორვა ლამის ჩვევად ექცა. გამომძიებელი ხვდებოდა, რომ ეს უკვე ჩვეულებრივი პრესინგი აღარ იყო, რადგან საქმეს სხვებზე უკეთესად თუ არა, უარესად ნამდვილად არ უძღვებოდა. მაგრამ სხვა გზა არ იყო, როგორმე უნდა გაეძლო და, ძირითადად, უძლებდა კიდეც. თუმცა ზოგჯერ ნებისყოფა მაინც ღალატობდა და შეფს თავადაც უხეშად ეპასუხებოდა, რაც მისი გაცოფებით სრულდებოდა. ამჯერადაც სწორედ ასე მოხდა და კაბინეტში შემთხვევით (თუ შეგნებულად) ანდრ[illegible] ლეკიშვილს რომ არ შემოეხედა, საქმ[illegible] ალბათ, სკანდალითაც კი დამთავრდ[illegible] ბოდა.

ორდენიძის დანახვისთანავე მარ[illegible] ყველაფერს მიხვდა და სიტყვაც კ[illegible] არ უთქვამს, სამზარეულოში, ვახშმის თადარიგის დასაჭერად ისე გავიდ[illegible] თუმცა ბოლომდე მაინც ვერ მოითმ[illegible] ნა და როგორც კი ნოყიერი ვახშმის მირთმევის შემდეგ გამომძიებელი სკ[illegible] მის საზურგეზე კმაყოფილი გადაწვ[illegible] მაშინვე ჰკითხა:

— ამჯერად რაღა მოხდა?

— მეც აღარ ვიცი, რა ხდება, — ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია ორდენიძემ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შეფს ჩემი ლანძღვის გარდა, სხვა საქმე საერთოდ აღარ დარჩ[illegible] დღეს კი იმასაც ჯიუტად მიჭედავდ[illegible] თავში, — ჭკვიანი ვარ და, ამიტომაც დანარჩენები უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოთო.

— რას იზამ, — გაეღიმა მარის, — ხომ გაგიგონია, შეფი ყოველთვის მართალიაო?

— ჰო, მაგრამ ყველაფერს აქვ[illegible] საზღვარი და ბოლოს მეც ვიფეთქე.

— მაინც რა უთხარი?

— მის სიჭკვიანეში საფუძვლიანი ეჭვი შევიტანე.

— სწორადაც მოქცეულხარ. ოღონდ ეს გულთან ახლოს აღარ მიიტანო. მაინც ყველაფერი კარგად იქნება.

— შენს პირს შაქარი, — ქალს წელზე ნაზად მოხვია ხელი და თავისკენ მიიზიდა ორდენიძემ.

— ჰო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა? — მამაკაცს მოხერხებულად დაუსხლტა ხელიდან მარი. — დღეს ლალიმ დარეკა.

— რაო, მშვენიერმა ქალბატონმა, რომელი უფრო მომენატრეთო? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ორდენიძემ.

— ორივეო.

— კარგი, ერთი! და რას ვაპირებ?

— ცოტა ხნით შემოგირბენთ მ[illegible] და ლევანიო.

— როდისო?

— ალბათ, წუთი-წუთზე გამოჩნ[illegible] დებიან.

— გამოგიტყდები და, ახლა არავის ნახვის ხასიათზე არა ვარ.

— ვიცი, საყვარელო, მაგრამ უარს ხომ ვერ ვეტყოდი?

ამ დროს ეზოში ძაღლი აყეფდა.

— აი, მოვიდნენ კიდეც, — სტუმრებისთვის კარის გასაღებად გაემართა მარი.

ლევანს, როგორც გალანტურ კავალერს შეეფერებოდა, ცალ ხელში ვარდების თაიგული ეჭირა, მეორეში კი —

ტორტი. მარიმ მას ჯერ საჩუქრები ჩამოართვა, შემდეგ ლოყაზე აკოცა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ამ სურათის შემხედვარე ორდენიძეს გულში რაღაცამ უსიამოდ გაჰკრა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და სტუმრები თავადაც ღიმილით გადაკოცნა.

— ჰა, როგორ არის საქმე? — სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე სავარძელში მოკალათდა ლევანი. — კვდებით, ხომ, მოწყენილობით?

— ისე, არც უმაგისობაა, — უპასუხა მარიმ და ახლა გვერდით მდგომ ლალის უჩურჩულა რაღაც.

— ჰოდა, მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ, ცოტა მაინც გაგამხიარულოთ.

— სწორადაც მოიქეცით, — ორდენიძეს პასუხი ისევ დაასწრო მარიმ. შემდეგ სწრაფად წამოდგა და სამზარეულოსკენ გასწია. ლალიც მაშინვე მას მიჰყვა.

— აბა, მომიყევი, რა არის შენკენ ახალი? — ჟურნალების მაგიდიდან პულტი აიღო ლევანმა და ტელევიზორი ჩართო.

— ყველაფერი ძველებურადაა, — უხალისოდ უპასუხა ორდენიძემ.

— ყველგან? შინაც და გარეთაც?

— შენ წარმოიდგინე, კი. ან კი, რა უნდა იყოს ახალი? სახლი-სამსახური, სამსახური-სახლი.

— ვითომ? — ეშმაკურად გაეღიმა ლევანს. — აბა, მარიმ რატომ მითხრა, უფროსობას კიდევ ერთხელ შეებაო?

— აჰ, ამას გულისხმობდი?..

— ეს რა, პატარა ამბავია?

— არ არის პატარა ამბავი, მაგრამ არც პირველია და არც უკანასკნელი.

— არ მესმის, მაინც რას ვერ იყოფთ შენ და შენი შეფი, ბანდიტებს ხომ არა?

— ყველა ბანდიტი მშვიდობაში მოიხმაროს, მაგრამ მართლა ვერ გამიგია, ასე მაინც ვის გადავურბინე გზაზე.

— არა მგონია, შენი გამოცდილების კაცს ამის გაგება გაუჭირდეს.

— შენ წარმოიდგინე, გამიჭირდა. არა, ის როგორ არ ვიცი, რისთვის მეჩხუბებიან, მაგრამ ვერაფრით მივმხვდარვარ, მუშაობას რატომ არ მანებებენ?

— ანუ გამოძიების ჩატარებაში გიშლიან ხელს?

— ჰო, მგონი, რაღაც ამის მსგავსი ხდება.

— მომიყევი, რა, ძალიან მაინტერესებს. თუ, რაღა თქმა უნდა, სამსახურებრივი საიდუმლო არაა.

— რა საიდუმლო, რის საიდუმლო? ხანდახან მეჩვენება, რომ ისედაც ყველამ ყველაფერი იცის და რაღა შენ დაგიმალო? ბოლოს და ბოლოს, კოლეგები ვართ.

— მაშინ ყურადღებით გისმენ.

— ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშზე მოთხოვნა როგორ იზრდება, ალბათ ჩემზე უკეთ იცი.

— ვიცი რომელია?! დღე ისე არ გავა, რომელიმე მუზეუმიდან ან ეკლესიიდან რამე არ გაიტანონ.

— მარტო ეგ? ანტიკვარიატზე მონადირეები უკვე ადამიანებსაც აღარ ინდობენ და თუ ვიღაცას სახლში თუნდაც ერთი ღირებული ნივთი აღმოაჩნდა, შეიძლება, ეს სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდეს.

— ამჯერად მაინც ვინ მოკლეს?

— ვერ დავიჩემებ, რომ მაინცდამაინც მოკლეს, — მაგრამ ის კი ფაქტია, რომ შეძლებული კოლექციონერები უკვე ლამის ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან.

— კარგი, ერთი!

— პირადად მე, უკვე 2 ასეთი შემთხვევა ვიცი.

— კონკრეტულად ვინმეზე თუ გაქვს ეჭვი?

— ჯერ არავისზე. უბრალოდ ამ საქმეში ცოტა უფრო ღრმად ჩახედვა მინდოდა, მაგრამ ვინ დაგანება?!

— უფროსობას გულისხმობ?

— ჰო. თითქოს ყველა ხვდება, რომ ეს სერიოზული საქმეა, მაგრამ რატომღაც, ასევე ყველა მაინც მის ჩაფარცხვას ცდილობს. მესმის, რომ ასეთი საქმის გახსნა გაჭირდება, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ადამიანები უკვალოდ ქრებოდნენ, ჩვენ კი ასე გულხელდაკრეფილები ვისხდეთ?!

— აბა, როგორ გინდა? შენმა უფროსებმა გაუხსნელობისთვის წინასწარ განწირული საქმე აიკიდონ და პრემიას დაემშვიდობონ? თანაც, შენს უფროსებსაც ხომ ჰყავთ უფროსები და აბა, ამას ვინ მოუწონებს?

— არც არავინ, მაგრამ...

— თავად რას აპირებ?

— ჯერ არ ვიცი. რას გააკეთებდი ჩემს ადგილზე?

— აბა, როგორ გითხრა? — მხრები აიჩჩა ლევანმა. — თავის გამოდება არ მიყვარს და თუ უფროსობას ზედმეტი პრობლემის ზურგზე მოკიდების სურვილი არა აქვს, არც მე ვეძალები ჩემი ინიციატივებით.

— ჰო, ქვემოდან წამოსული ინიციატივები არავის უყვარს.

— მაშინ მეგობრულად გირჩევ, დანის პირზე სიარულს შეეშვი. ამით მხოლოდ მტრებს თუ მოიმრავლებ.

— მესმის, მაგრამ პატარა ბიჭიც აღარ ვარ, რომ მხოლოდ ვიღაცის დაღეჭილი ვყლაპო.

— რას გეტყვი, იცი? — უცბად შუბლი საქმიანად მოისრისა ლევანმა. — ერთი იდეა მომივიდა თავში.

— რა იდეა?

— „ზემოთ“ რაღაც კავშირები ნამდვილად მაქვს და შემიძლია, უფრო მშვიდი სამუშაო გამოგიძებნო. ანდა, თუ გინდა, სულაც ჩვენთან გადმოდი, განყოფილებაში. ხელფასი ახლანდელზე მეტი გექნება, მორალური და ფსიქოლოგიური წნეხი კი — ბევრად ნაკლები. იჯდები შენთვის მშვიდად და პენსიას ისე დაელოდები. ჰა, რას იტყვი?

— არ ვიცი, არ ვიცი... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ორდენიძემ. — მოულოდნელი წინადადებაა. თანაც, ამ სიტუაციაში სამსახურიდან ჩემი წამოსვლა გამოქცევას უფრო დაემსგავსება.

— ნეტავ, ერთი შენ, რომ ასეთ რამეებს ყურადღებას აქცევ. და კიდევ...

ლევანმა აზრის დასრულება ვეღარ მოასწრო, რადგან ოთახში ქალები შემოვიდნენ და მსუბუქი ვახშამი და ტკბილეული შემოიტანეს.

— ერთი სიტყვით, იფიქრე... — შეთქმულივით თვალი ჩაუკრა ორდენიძეს ლევანმა და მაშინვე ქალებს მიუბრუნდა: — მადლობა ღმერთს, ვახშამიც გვეღირსა. სად ხართ ამდენ ხანს? შემთხვევით ტორტი ხომ არ შემოგეჭამათ?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისი იხ „გზა“ №2-11

ნაადრევი ენძელები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ალბათ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება არ სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო. ზურა მოუსვენრად იყო, შფოთავდა, ბორგავდა. ნუკი მშვენივრად ხვდებოდა ამას. იმ დილას, კარამდე რომ მიაცილა და შემობრუნდა, უმალ შეიგრძნო მამაკაცის სურნელი, ხელოვნური და ბუნებრივი არომატით ერთდროულად (თავბრუდამხვევად) გაჯერებული... მორჩა, დღეს ბოლო დღეა (მესამე), ამ საღამოს თუ არ გაირკვა მისი სამსახურის ამბავი, ხვალ თვითონ გავა მის საშოვნელად. ზურამ 3 დღე ითხოვა. დღეს ინურება ვადა. დროა, ბინის საკითხიც მოაგვაროს. მასთან შეუძლებელია დარჩენა. ნუკი მას დისკომფორტს უქმნის. პირდაპირ ხომ არ ეტყვის, შენი აქ ყოფნით ნერვებს მიშლიო? თვითონ ხომ არ გააგდებს სახლიდან? კაცი მარტო ცხოვრებასაა მიჩვეული და რა ქნას? უნდა წავიდეს (თუ გაიქცეს) აქედან, სანამ გვიან არ არის. თვითონაც არ იცოდა, რას ნიშნავდა — „სანამ გვიან არ არის“, რას გულისხმობდა ამ წინადადებაში, მაგრამ გრძნობდა, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

რა უიღბლოა... არ უმართლებს... არასდროს... არაფერში... მთელი ცხოვრება სხვაზე იყო დამოკიდებული. მას კი მუდამ დამოუკიდებლობა სურდა. ახლა თითქოს გზა გამოჩნდა, მაგრამ... არც ახლაა დამოუკიდებელი. ამჯერად ზურაზეა დამოკიდებული. ეს კი თრგუნავს (თან სიამოვნებს), ძაბავს... რადგან დარწმუნებულია, რომ ტვირთად (იქნებ სასიამოვნო ტვირთად?) აწევს მამაკაცს.

ამ ფიქრებით კომპიუტერს მიუჯდა. ჩართო... შევიდა... გია უკვე ელოდა მის გამოჩენას და მისმა შეტყობინებამაც არ დააყოვნა.

„როგორ ხარ, სიხარულო? როგორ მიდის შენი საქმეები?“ — ამჯერად „სიხ-მა“ ფრთები გაშალა.

„მიდის ნელ-ნელა. შენი?“ — გაუღიმა ნუკიმ.

„რა ვიცი, ნუუკ, ვწვალობ, რა... მენატრები“, — „ტანჯულ“ ყოფას ნატვრა მოაყოლა მამაკაცმა.

„რომ წვალობ, ვხვდები, მაგრამ გამოგდის რამე?“

„გამოვა, სად წავა. ღამეები არ მძინავს“, — უფრო მოისაწყლა თავი გიამ.

„რატომ? რამე ცუდი მოხდა?“ — ნუკიც შეშფოთდა.

„მეტი რაღა უნდა მოხდეს, სულ შენზე ვფიქრობ, სულ თვალწინ მიდგახარ, ღამეებს მათენებინებ“.

ამას კი აღარ მოელოდა გოგონა. ეგონა, მამაკაცი თავის ბიზნესს გულისხმობდა „წვალებაში“, ის კი თურმე მასზე ლაპარაკობს. გადაწყვიტა, მისი ნათქვამი ხუმრობაში გაეტარებინა.

„ღამე იმისთვისაა, რომ უნდა დაიძინო, გია. ფიქრის დროა ახლა, როცა ბიზნესი გიხმობს?“

„მოგხვდება ერთ ადგილას!“ — დაბოღმილი კაცუნა გამოუგზავნა მამაკაცმა.

ნუკიმ სიცილები დაურთო გზავნილს.

„მომწონხარ ასეთი, ამწუთას ძალიან საყვარელი ხარ, ლამაზად იბღვირები“.

„დაცინვას კაცი არ მოუკლავს, ავიტანთ როგორმე“.

„არა, გია, არ დაგცინი. მართლა სიმპათიური ხარ... უუუუსიმპათიურესი.... უფრო მეტიც, ზესიმპათიური“, — არ დაიშურა კომპლიმენტები, არადა, ამას მართლა გულწრფელად ამბობდა.

„კარგი, რა, ნუ მაწითლებ“.

„რატომ გაწითლებ? თავადაც კარგად იცი, რომ ასეთი ხარ. სიმართლე აწითლებს ადამიანს? პირველად გავიგე“.

„კარგი რა, რისი სიმართლე“, — უფრო და უფრო თავმდაბალი ხდებოდა გია და კოცნას კოცნაზე უგზავნიდა გოგონას.

„ასეა, ასე და არ გინდა ახლა ეგეთები“.

„რაც დრო გადის, უფრო და უფრო მაგიჟებ, სიხ“, — მაინც ვერ აუარა გვერდი სიხარულის შემოკლებულ ვარიანტს.

„ასე უცებ ეგეთები არ ხდება, ნუ მატყუებ!“

„გატყუებ? დედას გეფიცები, თუ სიმართლეს არ ვამბობდე. იცი, როგორი გიჟური სურვილი გამიჩნდა, რომ ერთხელ მაინც გნახო? დაუოკებელი“.

„გნახავ, ოდესმე“.

„ოდესმე არა, მალე მინდა“.

„კარგი, მალე იყოს“, — კვლავ გაუცინა ნუკიმ.

„და როდის დადგება ეგ მალე?“

„მალე, მალე“, — ნუკი უფრო და უფრო ხალისიანად ეფლირტავებოდა მამაკაცს და თავადაც სიამოვნებდა ეს ფლირტი.

„ახლა უფრო გამიმძაფრე ყველაფერი. შენ ვინ მყოლიხარ და არ ვიცოდი. ამას მიმალავდი?“ — გია თანდათან „ეშხში“ შედიოდა.

„არ გიმალავდი, უბრალოდ, შენ არ დაინტერესებულხარ“.

„არა, არ არის ეგრე. უბრალოდ, შენნაირი გოგოს სულს რომ ჩასწვდე, არცთუ ცოტა დრო უნდა და არც ისე იოლია. შენ კი ისეთი ხალასი ხარ, ისეთი სუფთა... ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ გაწყენინებს ადამიანი“.

„კი მაგრამ, ჯერ საერთოდ არ მიცნობ და საიდან დაასკვენი?“ — გაოცებული კაცუნა მიაყოლა ნუკიმ წერილს.

„მაგას რა მიხვედრა უნდა? საკმარისია, ერთხელ დაგელაპარაკოს ადამიანი და მიხვდება, რომ არ ხარ პრიმიტიული და ყველა ქალს არ ჰგავხარ. შენგან მხოლოდ სითბო მოდის და არავითარი აგრესია“.

„დიდი მადლობა, გია. ცოტა ზედმეტი შეფასება გამოგივიდა“.

„მე ეგეთ რამეებში არ ვცდები და ვიცი, რომ მართალი ვარ. ყველა-ყველა და, ქალებს 5 თითივით ვიცნობ... მაგათ მაინც“.

ნუკიმ ამჯერად არ უპასუხა.

„რატომ არ მპასუხობ?“ — მოუვიდა გიას შეტყობინება.

„არ ვიცი, ამაზე რა უნდა გიპასუხო“.

„ამაზე კი არა, მობილურზე გირეკავ, სიხარულო. მიპასუხე, დროზე, გამაგონე შენი ხმა“.

ნუკი გაწითლდა, სახეზე ალმურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჰკრა. მობილური საძინებელში ჰქონდა, არც გამოუტანია იქიდან. მსწრაფლ წამოხტა და გავარდა.

— ალო!

— გენაცვალე მაგ ლამაზ ხმაში, — გააბრუა გიას სასიამოვნო ბარიტონმა და თვალები უნებურად დახუჭა, — ჩემი სიცოცხლე ხარ შენ!

პასუხი ვერ გასცა.

— შენი თვალები მინდა, ვნახო, ნუუკ, ძალიან მინდა.

— ახლა? — ძლივს უპასუხა, თვითონვე შერცხვა თავისი კნავილივით ხმის, ისე იყო დამდნარი.

— ახლა, ჰო, რატომ გიკვირს? შენ არ გინდა?

— არ ვიცი.

— ეგ პასუხი არ არის, ნუუკ. მართალი მითხარი.

ცოტაოდენი პაუზის შემდეგ ამოიოხრა და ოდნავ გასაგონად წარმოთქვა.

— მეც მინდა.

— მე უფრო მინდა, — მომთხოვნი გაუხდა ტონი გიას.

ნუკიმ გაიცინა.

— ვივაჭროთ?

— მიდი, დაიწყე!

— არა, არ მინდა. შორს წაგვიყვანს ვაჭრობა, თანაც არ მეხერხება.

— როდის გნახო, სიხ?

— არ ვიცი.

— მითხარი, ასე არ შემიძლია. დღეს არ გადიხარ სახლიდან?

— კი, საღამოს ნელისთან უნდა გავიარო.

— ჰოდა, მეც მოვალ.

— არა! — შეყვირა უცებ თავზარდაცემულმა, — ძალიან გთხოვ, იქ არ მოხვიდე!

— რატომ? — გაიკვირვა გიამ.

— არ მინდა, ნელიმ რამე გაიგოს...

— რა-მე? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა მამაკაცმა. — რამეში რას გულისხმობ? კარგ რამეს?

— გთხოვ... — მუდარა დააყოლა ნუკიმ.

— კარგი, სიცოცხლე, როგორც მეტყვი. მაშინ ის მითხარი, როდის გამოხვალ იქიდან და გარეთ დაგხვდები. კარგი?

— კარგი, ეგ შეიძლება.

— დაახლოებით როდის გამოხვალ?

— ალბათ 7-ისთვის.

— ჰოდა, იმ დროს დაგიმესიჯებ. შევთანხმდით?

— ჰო.

— მაშინ წავედი ახლა. გაკოცე ბევრი.

ნუკიმ ტელეფონი გათიშა და მხოლოდ ახლა იგრძნო, როგორი დაძაბული ყოფილა, რადგან ყველა კიდური ერთბაშად მოეშვა და მოუდუნდა.

ერთხანს არეულივით (არადა, არეული) დაბორიალებდა ოთახიდან ოთახში, გული ვერაფერს დაუდო, ჭურჭელიც კი ვერ დარეცხა. მოულოდნელად ისევ აწკრიალდა მობილური. მოულოდნელობისგან შეხტა, კვლავ გია ეგონა. ეკრანს დახედა. არა, ამჯერად ზურა იყო. შვება იგრძნო (იქნებ არც), ხმა ჩახველებით „გაისწორა“ და მწვანე ღილაკს ცერა თითი დააჭირა.

— გისმენ!

— ნუკი, ჩაიცვი და ათ წუთში დაბლა ჩამოდი! — მამაკაცის ხმას მანქანის გუგუნიც ერთვოდა თან.

— ხომ მშვიდობაა?

— კი, მშვიდობაა. ერთ ადგილას უნდა წაგიყვანო. ჩამოდი! — უთხრა და გაუთიშა.

ნუკიმ სწრაფად მოიწესრიგა თავი, ჯინსის შარვალი ამოიცვა, ზემოდან ლურჯი მაისური გადაიცვა და თმა ჩქარ-ჩქარა ჩამოივარცხნა.

ათ წუთში უკვე ეზოში იყო და ზურას ელოდებოდა, რომელიც მალევე გამოჩნდა.

— სად მივდივართ?

— შენი ოფისი უნდა განახვო! — ირიბად გამოხედა მამაკაცმა და გაუღიმა.

ნუკი შეკრთა. ახლა არ ელოდა ამას. ეგონა, საღამოს მოხდებოდა მოსახდენი. ზურა შესავალს გაუკეთებდა თავის სიტყვას, წინასწარ შეამზადებდა გოგონას და, თუ რამე, ხვალ წაიყვანდა ოფისის სანახავად.

პასუხი არ გაუცია. თითებით სავარძელს ჩაეჭიდა (უფრო ჩააფრინდა) იქიდან-აქედან და თვალები უაზროდ ააფახულა.



— რა იყო, ხომ არ შეგეშინდა?

— ცოტა.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. თვითონ ნახავ და დარწმუნდები. პირველი რამდენიმე დღე და მერე წავა და წავა, ნერვიულობა თავისთავად მოგეხსნება. თათულიც მაგარი ქალია, გვერდით დაგიდგება.

— თათული ვინღაა?

— მკერავი. მოდაშიც კარგად ერკვევა, ისეთი მამალი ქალია, რომ... უუუჰ! — მარჯვენა ხელი საჭეს მოაცილა ზურამ და ჰაერში მომუშტა.

ორივეს გაეცინა. პეკინზე გავიდნენ. ზურამ საჩუქრების მაღაზიის გვერდზე შეაყენა მანქანა და გააჩერა.

გადავიდნენ. კორპუსს უკანა მხრიდან მოუარეს და პირველსავე სართულზე, ახალმიშენებულ ერთსართულიან აგურის შენობაში შევიდნენ, რომლის ერთ კედელს უზარმაზარი შუშის ვიტრინა წარმოადგენდა.

— აი, ჩვენც აქა ვაართ! — მხიარულად შესძახა ზურამ წითლად თმაშეღებილ ორმოცდახუთიოდე წლის ლამაზსახიან ქალს, იქაურობის დალაგებით რომ იყო გართული.

— მობრძანდით, მობრძანდით! — თათულიმ გაიღიმა და სავსე მკერდის რხევა-რხევით გამოემართა მათთან შესახვედრად.

„აუჰ! რა გემრიელი ქალია?! ზურას „სიყვარულობა“ ხომ არ არის შემთხვევით?“ — გაუელვა გონებაში.

— გაიცანით ერთმანეთი. თათული... ნუკი, — ზურამ წარდგენის არაოფიციალური ცერემონია მოაწყო.

— სასიამოვნოა, — გაუღიმა ნუკიმ და ხელი ჩამოართვა.

— ჩემთვისაც, გენაცვალე, — თათულიმაც გაუღიმა გოგონას.

„რა რბილი თითები ჰქონია“, — ეხამუშა ნუკის.

— აბა, დაათვალიერე აქაურობა, როგორ მოგეწონება, — ზურა წინ გაუძღვა ნუკის.

ერთი დიდი ოთახი (სამკერვალო), მეორე — პატარა (სავარაუდოდ, საძინებელი), მესამე — სამზარეულო (პირსაბანით), მეოთხე, ყველაზე ციცქნა — გასახდელ-მოსაზომი (ესეც სავარაუდოდ) და იქვე — აბაზანა-ტუალეტი.

— მოგწონს? — გვერდულად გამოხედა მამაკაცმა.

— არაჩვეულებრივია, — აღტაცება ვერ დამალა ნუკიმ, — და რა ღირს ამის ქირაობა? — შეშფოთებულმა დაამატა მაშინვე.

— შენთვის არაფერი.

— არა, რას ამბობ! ასე არ მინდა! — შორს დაიჭირა გოგონამ.

— პირველი ერთი თვე უფასოა, დამშვიდდი. თუ საქმე კარგად წავა,

შემდეგი თვიდან გადაგვახდევინებს პატრონი.

— ვინ არის პატრონი? — არ მოეშვა ნუკი.

— ვაი, ვაი, როგორი ნერვიული



გოგო ყოფილა, კაცოოო! — მათ საუბარში თათული ჩაერია და ატკარცალდა. — ნუ გეშინია, ეს ჩემი ფართობია, ამიტომ პრობლემა არ არის. თუ გამოგვივიდა, არ მოგიწევს ქირის გადახდა, მხოლოდ მოგებას გავიყოფთ. თუ არ გამოგვივიდა, მით უმეტეს, არ მოგიწევს. ხომ ყველაფერი გასაგებია? — ლამაზი თავი დახარა „გემრიელმა“ ქალმა და ქვემოდან ახედა მასზე ბევრად მაღალ (და ბევრად ლამაზ) გოგონას.

ისევ გაწითლდა (თუ გაწბილდა). თითქოს შეთქმულება მოუწყვეს (თუ გააცურეს). რაღაცით (თავადაც არ იცოდა, რით) უკმაყოფილო დარჩა.

— ხვალიდან შევუდგეთ მუშაობას. აი, ნაჭრებიც შევიძინეთ მე და ზურამ, თარგებიც მომზადებული მაქვს, ჟურნალებიც აგერ არის, კომპიუტერიც. ინტერნეტშიც მოვიძიოთ მოდელები და დავიწყოთ. თუ გინდა, შენ დახატე, გამოჭერი და მე შევკერავ, ოღონდ ერთმანეთთან შევათანხმოთ, რომ ორივეს მოგვეწონოს. მთავარი ეს არის.

ნუკიმ ცალი წარბი მრავლისმთქმელად აზიდა. აჰა, ესე იგი, თათულის სახით დირექტორი ეყოლება? ვითომ ერკვევა რამეში? ვნახოთ, ვნახოთ... თან ეს „მე და ზურა“ ძალიან „მაცდურად“ ჟღერს...

ხმა არ გაუღია, გაურკვევლად გაიღიმა მხოლოდ და ქსოვილებისკენ დაიხარა. ვერაფერს იტყოდა, ყველა მშვენიერი იყო. როგორც კი შეხედა რამდენიმეს, მაშინვე ამოუტივტივდა გონებაში, რომლისგან როგორი კაბა, სარაფანი თუ კოფთა გამოვიდოდა...

— ცოტა ხანში აბრასაც დავკიდებთ, „სამკერვალოს“ დავაწერთ და კლიენტებიც მოგვაწყდებიან, აგერ ნახავ! რამდენიმე უკვე მყავს და მოგვაკითხავენ ამ დღეებში, — აგრძელებდა თათული.

— ძალიან კარგი, — თქვა ბოლოს, როცა დაინახა, რომ ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, — ხვალ რომელ საათზე მოვიდე?

— შენი ნებაა, როცა გინდა. მე ცხრიდან აქ ვიქნები, მაინც ტყუილად ვარ სახლში, არ ვმუშაობ. ეს კი შენ, მეორე გასაღები.

— თქვენ... თქვენ აქ არ ცხოვრობთ? — თვალები გაუბრწყინდა მოულოდნელად.

— არა, აქ არა. ეს ჩემი ძმის ბინის მიშენებაა. თვითონ საბერძნეთშია ცოლშვილიანად, იქ ცხოვრობენ და მუშაობენ, ხუთი წელია. მე ხანდახან მოვდივარ და ვალაგებ მხოლოდ. ბინა კი გაქირავებულია. მდგმურებს ჩვენთან შეხება არ ექნებათ. ისინი სადარბაზოდან შედიან სახლში. ასე რომ, სრულიად დამოუკიდებლად ვიქნებით.

ნუკიმ კინაღამ შეყვირა სიხარულისგან. ესე იგი, შეუძლია ღამით აქ დარჩენა. იმედია, ამაზე უარს არ ეტყვიან.

— ასე რომ, თუ ძალიან შეგაგვიანდება, ღამით დარჩენასაც კი შეძლებ, — დააყოლა თათულიმ და ზურას გადახედა.

— დიდი მადლობა, მაგრამ... უხერხული არ იქნება?

— უხერხული? ვისთან, გენაცვალე? ჩემთან და ზურასთან? რა სისულელეა, ისე მოიქეცი, როგორც საკუთარ სახლში. ახლა მე და შენ ვართ ამ ბინის ბატონ-პატრონები და ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც ჩვენ გაგვიხარდება! — ზურა ისე გარია „მარაქაში“ თათულიმ, წარბიც არ შეიხარა.

„არა, ამათ შორის აშკარად რაღაც ხდება“, — დაასკვნა ნუკიმ და უცნაური გრძნობა დაეუფლა. ვერ მიხვდა, ეწყინა ეს „აღმოჩენა“ თუ გაუხარდა.

— დიდი მადლობა, ქალბატონ...

— აჰ, აჰ, აჰ! არავითარი ქალბატონო! თათული დამიძახე, თორემ მეწყინება! პატარა ბავშვი ხომ არ ხარ! რომელი უფროსი მნახე? — შეიცხადა „გემრიელმა“ ქალმა.

ნუკიმ ღიმილი ვერ შეიკავა და მადლიერების ნიშნად ჯერ ზურას გაუღიმა, მერე — თათულის...

ნელის პატარა ბავშვივით აღფრთოვანებული უყვებოდა თავისი ახალი „ოფისის“ შესახებ, ზურაზე, თათულიზე... ნელი უსიტყვოდ შესცქეროდა და კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე.

— ხედავ, როგორ ჰყვარებიხარ? — თქვა ბოლოს, ნუკიმ თხრობა რომ დაამთავრა.

— ვის? — ღაწვები შეეფაკლა გოგონას და დამფრთხალმა დააფახულა წამწამები, როგორც სჩვეოდა, ისე.

— ზურას, სხვას ვის? აბა, სხვა შემთხვევაში რატომ გააკეთებდა ამას? გგონია, მართლა თათულისაა ის ბინა? შენ რომ არ ინერვიულო ამაზე, იმიტომაც გითხრეს ასე, — ბრძენი ქალივით გაფშიკა საჩვენებელი თითი ნელიმ.

— რას ამბობ!

— რასაც ვამბობ! აგერ ნახავ, სულ მალე თუ არ გაირკვევა ეგ!

— ნელი... — გაფითრდა ნუკი.

— შენ დამიწყნარდი! — მხარზე მოუთათუნა წითელლაქიანი თითები დაქალმა, — არც შეიმჩნიო. ასე გეუბნებიან? ასე დაიჯერე. არც კი აგრძნობინო, რომ რამეს მიხვდი. რა განაღვლებს? გავა დრო, თვითონაც იფიქრებს ცოტას, გადახარშავს ყველაფერს და ერთ მშვენიერ დღეს ქორწილსაც ვჭაააამთ, თანაც ძალიან მაგარს.

ამ დროს ნუკის მობილურზე მესიჯის ზარი გაისმა. გოგონა ისე შეხტა, თითქოს შოლტი გადაჰკრესო, ფერფური წაუვიდა სახეზე.

— შენი კაცი იქნება, — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა ნელიმ.

ნუკის შეაკანკალა. იცოდა, ვინც იქნებოდა. მობილური ამოიღო ჩანთიდან და შეტყობინებებში შევიდა.

„სად ვართ და როგორ ვართოოო!“ — წერდა გია.

„ხუთ წუთში გამოვალ და მარკეტთან შეგხვდები“, — აცახცახებული თითებით სწრაფად აკრიბა ტექსტი და ტელეფონი კვლავ ჩანთაში ჩააგდო.

ნელიმ არ ჰკითხა, ვინ იყო. არც ნუკის აუხსნია არაფერი. წამით მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა... წამით. ორივეს იდუმალება (ცოტა გაურკვევლობაც) გამოეხატა მზერაში... და მორჩა, მეტი არაფერი.

— წავედი, სანამ დაღამებულა, მივალ შინ, — შეცვლილი ხმით წარმოთქვა ნუკიმ და წამოდგა.

— წადი, სანამ დაღამებულა, მიდი შინ, — გაიმეორა ნელიმ და უცნაურად (იქნებ ირონიულადაც) გაუღიმა.

ერთმანეთი გადაკოცნეს და ნუკი კიბეზე სირბილით დაეშვა. შეუცნობელი (სასიამოვნოც და უსიამოვნოც) განცდა დაუფლებოდა, ცოტა შიშიც ერია ამ განცდაში. როგორ მოიქცეს, რომ ნახავს?

ამ დროს კვლავ მოუვიდა მესიჯი.

„რომ შეგხვდები, შეიძლება, გაკოცო? მარტო იქნები?“

ღიმილი ვერ შეიკავა.

„მარტო ვარ. შეიძლება“, — გაუგზავნა პასუხი და ამასობაში ეზოშიც ჩავიდა.

ბალერინის ნაბიჯებით გაიარა გზა კორპუსიდან მარკეტამდე. უნდოდა, თავისი სიარულის მანერით ეფექტი მოეხდინა ჯერ უნახავ მამაკაცზე, თან, თვალებით მას დაეძებდა. უეცრად მოშორებით მდგარი ლურჯი ჯიპის კარი გაიღო და... გადმოვიდა...

ნუკი მოულოდნელად შედგა... იცოდა, რომ ძალიან სიმპათიურ მამაკაცს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მთლად ასეთს? არა, ამას კი ვერ წარმოიდგენდა. „ღმერთო, რა იშვიათობაა. წითელ წიგნშია შესაყვანი“, — გაიფიქრა გონებაარეულმა (ნაბიჯარეულმაც) და შეეცადა, ზედმეტად არ გაჰპრანჭოდა გიას.

ნელა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. გიას კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე, ნუკის — დაბნეული. მიუხედავად იმისა, რომ თავის სიმაღლეს არ „უჩიოდა“, ამ გოლიათთან შედარებით ნამდვილი „ქონდრისქალი“ ჩანდა.

როგორც კი ერთმანეთს გაუსწორდნენ, გია დაიხარა, ნუკი კი თითის წვერებზე აიწია, რომ ერთმანეთი გადაეკოცნათ. მამაკაცის ტუჩები საჭიროზე მეტხანს შეჩერდა მის ლოყაზე, თითქოს ნაკოცნი „ტერიტორიის“ სიტკბოს ამოწმებსო.

— როგორ ხარ? — ჰკითხა მამაკაცმა და ხარბად შეათვალიერა თავისი „სიცოცხლე“.

— არა მიშავს. შენ? — თვალები მორცხვად დახარა ნუკიმ.

— არა მიშავს... მეც. წავედით?

— წავედით.

იარეს... საუბარი გიამ „ითავა“. გაუჩერებლად ჰყვებოდა თავის ბიზნესზე, უცხოელებთან კონტაქტზე, საქმიანობის წარმატება-წარუმატებლობაზე. ნუკის ნახევარი არ ესმოდა, ისე იყო გაბრუებული (და მოხიბლული) ახალი თაყვანისმცემლით. ასეთი კაცის გამო კი ღირდა ნერვიულობა!

— ხომ არ გეჩქარება? — გიამ სვლა შეანელა.

— ძალიან არა, — კეკლუცად გააქნია თავი.

— ჰოდა, ყავა დავლიოთ... აქ ერთი კაფე მეგულება, სადღაც...

შევიდნენ... დასხდნენ... მიმტანი ქალების ცნობისმოყვარე მზერა ერთნაირი სიხარბით (მამაკაცის მისამართით) და შურით (ნუკის მისამართით) მიაწყდა ორივეს. მერე კი მხოლოდ გიას.

— რას ინებებთ? — გაიპრანჭა ახალგაზრდა, უშნოდ დამაკიაჟებული მოკლეკაბიანი მიმტანი.

— ყავა თუ გაქვთ? — ახედა გიამ.

— მხოლოდ ნალექიანი.

— 2 მოგვიტანე, გენაცვალე... ნამცხვარი?

— არა, ნამცხვარი აღარ დარჩა.

— მაშინ შოკოლადი ან რამე, რა ვიცი... — გაასავსავა ვეებერთელა ხელები მამაკაცმა.

— „ბარამბო“ და მოხალული თხილი შემიძლია.

— კარგი ხარ, გამოუშვი, — დაიბუბუნა მამაკაცმა და ისე ლამაზად გაიცინა, ნუკის სიამოვნებისაგან გააჟრჟოლა.

გია კვლავ ალაპარაკდა... ახლა იმაზე, რამდენ ხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ, როგორ მუშაობდა, რამდენ ფულს აკეთებდა. გოგონა უსმენდა და უსმენდა, თან, თვალს არ აშორებდა და ტკბებოდა (ამაყად ყელმოღერებული) მისი ცქერით, უხაროდა, ასეთი კაცი მისი კავალერი რომ იყო.

მერე გიამ სახლამდე მიიყვანა. მთლად სახლამდე არა, ნუკიმ მოსახვევში გააჩერებინა მანქანა. მამაკაცი საკოცნელად გადმოიხარა. ნუკიმ ის იყო, კოცნა დააპირა, რომ გიამ თავისი ტუჩები თავხედურად დაუხვედრა მის ტუჩებს... ამას ვერც დაარქმევდით კოცნას, ოდნავი შეხება იყო მხოლოდ, მაგრამ თავისი ეფექტით ერთობ დასამახსოვრებელი (უფრო თავბრუდამხვევი).

როცა ნუკი კორპუსში შეიმალა, გიამ მხოლოდ მაშინ დაქოქა მანქანა... გოგონა ისეთი აგზნებული იყო, თავს ვერ თოკავდა. მაღალი მკერდი მღელვარედ აუდ-ჩაუდიოდა. ის იყო, ბინის კარს მიუახლოვდა, რომ გიას მესიჯი მიიღო: „გამაგიჟა შენმა ტუჩებმა. ასეთი ცხელი ყავაც კი არ ყოფილა“. ნუკიმ მესიჯი სასწრაფოდ წაშალა და აკანკალებული ხელით ძლივს მოარგო გასაღები საკეტს. ერთხანს ეწვალა. ამ დროს კარი შიგნიდან გაიღო და ზღურბლზე მოღუშული ზურა აისვეტა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზავნილები

სიყვარულმა ასაკი არ იცის

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა! ჩვენი დღევანდელი „გზავნილების“ თემა მკითხველთა უმეტესობამ რატომღაც ისე გაიგო, რომ ძირითადად, შეყვარებულებს ან მეუღლეებს შორის დიდ ასაკობრივ სხვაობაზე უნდა ესაუბრა. არადა, სხვადასხვა ასაკში მოსულ გრძნობას ვგულისხმობდი. მიუხედავად ამისა, სასაყვედურო ამჯერად მაინც არაფერი მაქვს. საკმაოდ საინტერესო ამბები დამიმესიჯეთ. გამიხარდა, პარიუანკა რომ გამოჩნდა და როგორც სჩვევია ხოლმე, კარგი ამბავიც გვიამბო. მოკლედ, თავს აღარ შეგაწყენთ და გირჩევთ, „გზავნილები“ გულდასმით წაიკითხოთ.

ახდენილი სიზმარი

„ამ კვირის თემამ იმდენი კარგი ამბავი გამახსენა, აღარ ვიცი, რომლით დავიწყო. თუმცა, ერთს გამოვარჩევ და მოხარული ვიქნები, თქვენც თუ მოგეწონებათ. გაზაფხულის ერთი მზიანი და ლამაზი დილა იყო, როცა ჩემი ვირტმეგობარი ფერად-ფერადი და უმაგრესი სიზმრის ნახვის წყალობით, საწოლიდან გახარებული წამოფრინდა და შუადღემდე ჯერ კიდევ ნანახ სიზმარში დანანაობდა. მის თითქმის უცნობ ვირტმეგობარს, ანუ მე, გამანდო, მაგარი სიზმარი ვნახეო. მე კი ერთი მეგობრული რჩევა მივეცი, სიზმარი არავის გაუმხილო, თორემ არ აგიხდება-მეთქი. იმის მიუხედავად, რომ ძალიან უნდოდა ნანახის მეგობრებისთვის გამხელა, პირში წყალჩაგუბებული დადიოდა. საღამო ხანს თავზე ტუზი დაეცა. მეგობარმა თავის იუბილეზე მიიწვია. ქეიფი გახურდა. ნატოც გამოთვრა. სუფრის თამადა როცა ნატოსთან გადავიდა ალავერდს, ნატომ წარმოთქმულ სადღეგრძელოს გვერდი აუარა და ერთი მეტად მნიშვნელოვანი სადღეგრძელო წარმოთქვა: ლამაზი სიზმრის ახდენას გაუმარჯოსო. რა სიზმარი, რის სიზმარიო, ვერ გაუგეს მეგობრებმა, მაგრამ მისი ხათრით მთლიანად გამოცალეს ჭიქები და ნატოს ნანახი სიზმრის თამადობით ყველას ნანახი ლამაზი სიზმარი დალოცეს. ერთი-ორი ჩაეძია ნატოს, ასეთი რა ნახეო და ისიც ალაპარაკდა. უფრო სწორად, ღვინომ აალაპარაკა და დააფქვევინა ყველაფერი. ეს რა ლამაზი სიზმარი გინახავს, გვაჩუქეო, სთხოვეს მეგობრებმა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ნატო ასეთ ლამაზ სიზმარს ვინმეს აჩუქებდა? მერე გაახსენდა ჩემი რჩევა და ენაზე იკბინა, მაგრამ რაღა დროს? მერე იმის შიშით, სიზმარი აღარ ამიხდებაო, ღვინოს მიეძალა. ნატო მეგობრებმა ძლივს გაიყვანეს მასპინძლის ოჯახიდან, უფრო სწორად, გაიტანეს და ღამის 10 საათზე ფეხით გადაწყვიტეს სახლში დაბრუნება. მოგეხსენებათ, პატრული ამ ბოლო 2 წლის მანძილზე როგორ აქტიურად დადის ქალაქის ქუჩებში. ჰოდა, სად იყო და სად — არა, ქუჩაში მონარნარე გოგონებს ორი სიმპათიური პატრული ბიჭი დაადგა თავზე. ერთ-ერთს გოლიათის გარეგნობა ჰქონდა და მაინცდამაინც ის გადაეკიდა ამ ჩემს გაჩხინკულ მეგობარ ნატოს. ნატო სიმთვრალემ „ააჩრიტინა“ და გინდა თუ არა, დამიჭირეთო, ტვინი შეუჭამა პატრულს. რა დააშავე, რომ დაგიჭიროთო? ინტერესით ჰკითხა მისით მოხიბლულმა, პატრულმა გოგიტამ. ახლა დავაშავებო და წაიმღერა: „ასეთია ქურდი კაცის ბედიი“... გაგონილი გექნებათ, ამ სიმღერის ქუჩაში მღერა აიკრძალა. გოგიტას ჩაეღიმა და გოგონები შინ მიაცილა. იმ დღის მერე, მოსვენებას არ აძლევდა გოგიტა ნატოს, ყველგან ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, აკონტროლებდა და მისი შიშით, ნატოს ვერავინ ვერაფერს უბედავდა. სამი თვე იყვნენ შეყვარებულები, მერე კი თავის საპატრულო მანქანაში ჩატენა ნატო და გააქანა სახლში ისე, რომ ნატომ არც იცოდა, გოგიტა მასზე 12 წლით უფროსი თუ იყო. თუმცა, მათთვის ასაკს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მთავარია, რომ ერთმანეთი იპოვეს და ბედნიერები არიან. აი, ასე აუხდა ნატოს სიზმარი. ყველას გულით გისურვებთ ლამაზი სიზმრებისა და ოცნებების ახდენას. მუდამ თქვენი ლუნა“. ■

იპოვა!

„საერთოდ, კაცები ქალებისგან განსხვავებით ოჯახის შექმნას არ ჩქარობენ. ჩემმა მეზობელმა დიტომაც, ადრეულ ასაკში ოჯახური უღლის დადგმას, გართობა და მოლხენა ამჯობინა და ამ სმა-ჭამა-მოლხენაში, დრო ისე სწრაფად გაფრინდა, ვერც კი იგრძნო, ისე მიუკაკუნა 40 წელს. ნახევრად გამელოტდა, დარჩენილ თმაში კი აქა-იქ ჭაღარაც შეერია, წონაშიც მოიმატა და ამ ყველაფერთან ერთად სამსახურიც დაკარგა, მაგრამ გული მაინც 20 წლის ბიჭივით უძგერდა და ნორჩ გოგონებსაც ისევ ისე ეტანებოდა, როგორც 20 წლის წინ. ძალიან შეაშინა დიტო ჯერ იმან, რომ გამელოტდა და ღიპი დაედო, მერე კი იმაზე ფიქრმა, რომ სიბერეში მარტო დარჩებოდა და მისი პატრონი არავინ იქნებოდა. დარდი დაეტყო დიტოს. ძმაკაცებმაც შეატყვეს. შეძახილმა ხე გაახმოო და აქეთ ერთი ძმაკაცი შეუჩნდა, არაა გვიან, ცოლი მოიყვანეო, იქით — მეორე და დიტოსაც ჭკუაში დაუჯდა ოჯახის შექმნა. ნათქვამია, ვინც ეძებს, ის პოულობსო. დიტომაც ეძება და თვალი ერთ პატარა, 19 წლის გოგოს დაადგა. პატარა გოგოს სიყვარული ძნელი აღმოჩნდა მისთვის, მაგრამ საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ გოგოს მშობლები წინააღმდეგი იყვნენ და თავად საპატარძლოც ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, რომ დიტოს ქმრობა უნდოდა, მაინც მისი ცოლი გახდა და მასთან გატარებული პირველი ღამისა და მისი სითბოს შეგრძნების შემდეგ დარწმუნდა, რომ არ შემცდარა. ნანატრ გოგოს დიტო ხელისგულზე ატარებს, მარიც უბედნიერესია, ორი პატარა გოგონაც აჩუქა, ქმარს აღმერთებს და სულაც არ ადარდებს, რომ ქმარი მასზე 21 წლით უფროსია. აი ასე, სიყვარულს მარტო ასაკი კი არა, არც სიმსუქნე, არც სიმელოტე და არც სიღარიბე სცოდნია“...

მთავარია, რას გრძნობ!

„ჰოოდა, ჩემს დაქალზე მოგიყვებით (აბა, ჩემი ამბები რა მოსაყოლია?). ელენეს (პირობითად) უყვარდა პოეზია, ლექსების წერა და ოცნება. მეგობრები ხუმრობდნენ, ელე მონაზონია და არ გათხოვდებაო, მااააგრამ, ნურას უკაცრავად! ერთი-ორი წარუმატებელი სასიყვარულო თავგადასავლის შემდეგ ელეს ნამდვილი სიყვარული ეწვია. ერთ დღესაც მითხრა, რომ გათხოვებას აპირებდა და მისი რჩეული 16 წლით დიდი იყო. მე მხარი დავუჭირე. ოჯახისგან კი დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ეს ჩვენი წყნარი ელენე ისეთ მებრძოლ ქალად იქცა, აოცებდა ყველას. ბოლომდე იბრძოლა. თურმე რამდენი შესძლებია სიყვარულს. სწორედ სიყვარულის დღეს მოაწერეს ხელი, სიყვარულის ქალაქში. ელე 20 წლის იყო, მისი ქმარი — 36-ის. შემდეგ ჯვარიც დაიწერეს სამებაში. ჩემი დაქალი ისეთი ლამაზი და ბედნიერი იყო, ბრწყინავდა. ახლა უკვე პატარაც ჰყავთ. მათმა ამბავმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სიყვარული არანაირ კანონს არ ემორჩილება. რა მნიშვნელობა აქვს ასაკს, დროს და სივრცეს? მთავარია, რას გრძნობ. ანა“.

სიყრმის სიყვარული

„აურაცხელ ყვავილთა შორის ჩასვენებულ უძვირფასეს ადამიანს მივჩერებოდი და ცრემლები უწყვეტად მდიოდა სახეზე. მისკენ გადახრილი, საყვარელ ბებოს იმას ვეუბნებოდი, რაც სიცოცხლეში არ ან ვერ ვუთხარი. ვუცქეროდი და გული ტკივილით მეწურებოდა. ქვითინი სათქმელს მაწყვეტინებდა, ბებოს გარდა არავინ მახსოვდა. ის იყო დარდი, რომელიც გულსა და თვალებში მედგა და ვერ ვამჩნევდი ხალხს, რომელიც უწყვეტად მოდიოდა და მეხებოდა, მკოცნიდა, მისამძიმრებდა. ყველას ერთფეროვან მასად აღვიქვამდი. უცებ, რაღაც ძალამ კარისკენ მიმახედა. იქ მოხუცი კაცი შევნიშნე, ხელში ჯოხითა და ქუდით. უსაზღვროდ ნაღვლიანი მზერით იდგა უცნობი. სასახლეს მიუახლოვდა და ბებოს სასოებით შეახო ხელი ჭაღარაზე. — მე ის იმ დროიდან მახსოვს, ეს თმა წელამდე რომ ეფინა ნაწნავებადო, ჩაილაპარაკა თავისთვის. შუბლზე სათუთად ეამბორა და მსხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი ცრემლები ჩამოეღვენთა ნაოჭებით დაღარულ სახეზე. საშინელებაა კაცის ტირილი. შეძრულები მივჩერებოდით უცხო ადამიანის ტანჯვას. მან კი მოიბოდიშა და ისე უხმაუროდ გავიდა, როგორც შემოვიდა. მას მერე ისეთი დღეები დამიდგა, უცნობი აღარც გამხსენებია, მაგრამ მოგვიანებით გადავწყვიტე, იმ კაცის ვინაობა გამერკვია. კი გამიჭირდა, მაგრამ მაინც გავიგე, რომ ამ ადამიანს მთელი ცხოვრება ჰყვარებია ჩემი ულამაზესი ბებია და თურმე უიღბლოდ შორიდან ეტრფოდა. მისი სიყვარული არც ამ ასაკში განელებულა და მერწმუნეთ, მას ეტყობოდა, რომ ბებოს გარდაცვალება მისი პირადი ტრაგედია იყო. სიყვარულმა ასაკი და საზღვრები არ იცის და მოხუცის სიყვარულით სავსე გულწრფელი ცრემლიც, მჯერა, რომ იმ ქვეყნადაც იგრძნო ბებომ. P.S. გაუფრთხილდით ამ გრძნობას ახალგაზრდებიც და ასაკში მყოფნიც. დრო მიდის, ნამდვილი სიყვარული კი სამარის კარზეც გაგვათბობს, სამუდამოდ გულგაყინულთ. პარიუანკა“.

შვილებისგან გარიყული დედის სიყვარულის ამბავი

„ქალბატონი ლეილა გვიან ღამემდე მუშაობს... დილით 7 საათზე დგება, საოჯახო საქმეებს აწესრიგებს, სოფლის მეურნეობაზე, ცხოველებზე ზრუნავს და 9 საათზე უკვე ხალხის სადარაჯოზეა... ერთი შეხედვით უდარდელი, მუდამ მოღიმარი და ბედნიერი პიროვნების მიღმა გულჩათხრობილი, ტკივილით სავსე ქალი იმალება, რომლის დანახვაც საზოგადოებას არ შეუძლია ან არ სურს... ტკივილის გაქარწყლებას სასმლით ცდილობს... დალევს და შემდეგ გინებას იწყებს, გინებას ცრემლები მოსდევს და ყველაფერი ისევ თავიდან იწყება...

მეორე დღეს ყველა მასზე ჭორაობს... ხალხის აზრს არასოდეს ითვალისწინებს და მიაჩნია, რომ საკუთარ ცხოვრებას იქით წაიყვანს, საითაც მას სურს... საკუთარი თავის „ტრანსპორტიც“ თავად არის, მგზავრიც და მძღოლიც... მიაჩნია, რომ სწორი მიმართულება აირჩია... უზარმაზარ სახლში ახლა მარტო ცხოვრობს, თავს დიდი სახლის პატარა დიასახლისს უწოდებს და თავისივე ნათქვამზე გულიანად იცინის... მხოლოდ შვილებთან ჩადენილი შეცდომების გამოსწორება სურს და როცა მტკიცე „არას“ ეჯახება, სიცოცხლის ხალისს კარგავს... ნანობს, რომ ცხოვრებაში მთავარი — სიყვარული ვერ იგემა. არ მალავს, რომ უამრავი „მაიმუნური“ თავგადასავალი ჰქონია და იმ ქალებს, ვინც მასზე ჭორაობს, შურიანებს ეძახის... მინდოდა, მიზიდავდა, მსურდა და მქონდაო, ნაძალადევი ღიმილით ამბობს ხოლმე და კმაყოფილების განცდა ეუფლება...

შვილებმა ისე მიატოვეს, არაფერი უთქვამთ, არ აუხსნიათ...

არა უშავს, ალბათ არ სცალიათ, ქალაქია ბოლოს და ბოლოს, ოჯახი, ქმარ-შვილი ჰყავთ, დრო არ ჰყოფნით და ვერ მკითხულობენო, დიდხანს იმშვიდებდა თავს ამ არაფრისმთქმელი არგუმენტებით და ყველაფრის გასარკვევად თბილისს მიაშურა, თან მთელი წლის მოსავალი გააყოლა ხელს... შვილებმა სახლში არ შეუშვეს; მეტიც — მეზობლების თანდასწრებით მაწანწალა, მათხოვარი, ძუნძგლიანი ეძახეს, დაამცირეს და მიწასთან გაასწორეს. კარი (როგორც სახლის, ასევე — გულის) ცხვირწინ მიუჯახუნეს და ვითომც არაფერი, ცხოვრება ჩვეული რიტმით გააგრძელეს... როგორც ჩანს, შერცხვათ ქალის, რომელიც საზოგადოებაში მოწევას არ ერიდება; ქალის, ვისაც ბრბოს აზრი ფეხებზე ჰკიდია; ქალის, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა...

უკან ცოცხალმკვდარი დაბრუნდა და შვებულება ითხოვა... ხუთწლიანი დისტანცია გარემოსგან... მეზობლებისთვის, ნაცნობებისა და უცნობებისთვის მისი ეზოს კარი მიუწვდომელი გახდა... მასისგან განშორება ხანგრძლივი, მაგრამ ნაყოფიერი აღმოჩნდა... ქალი სოფელს, განახლებული იმიჯით, სტატუსითა და „თანამდებობით“ დაუბრუნდა... მან „ბრბოს“ „ბუტკა“ — სახელად „ბუწიკი“ გაუხსნა. :) ერთ დროს ბოზი, ლოთი, ნარკომანი და „თახსირი“ ქალი, ახლა, ნისიების რიგში ჩამდგარი სოფლელებისთვის ნამდვილ სსნად იქცა... ყველას დაავიწყდა, როგორ ექცეოდნენ, დასცინოდნენ, ამცირებდნენ... პატარებს მისით აშინებდნენ და ბავშვებს მუქარით აჭმევდნენ: გააღე პირი და გადაყლაპე საჭმელი, თორემ მოვა გაწეწილი ქალი და მიგბერტყავსო...

გაწეწილ ქალს ყველაფერი ძალიან კარგად ახსოვდა...

მორწმუნეობითა და ღვთისმოშიშობით ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ ღმერთის ძალიან ეშინოდა... სწორედ ამ შიშის წყალობით ვარ ცოცხალიო, აღიარებდა — ბევრი შეცდომა დამიშვია, მაგრამ არასოდეს შემშლიაო...

ადამიანში უპირველეს ყოვლისა, ერთგულებასა და სამართლიანობას აფასებს, ვერ იტანს ღალატს... და თავად არასოდეს აყენებს მიტოვებით გამოწვეულ ტკივილს მამაკაცებს.

თუმცა, ბევრჯერ მიუტოვებია... მიუტოვებია, რომ არ ეღალატა...

ერთი სიტყვით, ლეილა მარტოხელა, „შენახული“ ქალია, მის სახლკარს სულ „ზიმზიმი“ გაუდის, ბოსტანი „სამოთხეს“ ჰგავს, „ბუტკას“ კარგი შემოსავალი მოაქვს და არც გარეგნობა დაეწუნება... სიმართლე გითხრათ, მსმელი, მწეველი, ბილწსიტყვაობით სახელგანთქმული ქალები ჩემში მხოლოდ უარყოფით ემოციას იწვევენ, მაგრამ... ლეილა თითქოს გამონაკლისია... უხდება... მისგან არ გიკვირს, არ ბრაზდები, გული არ გერევა...

მიუხედავად იმისა, რომ 67-ს მიუკაკუნა, არასდროს დაუკარგავს ცხოვრების მთავარი სიყვარულის პოვნის იმედი... სოფელში, სადაც ხალხს თავი თვიდან თვემდე პენსიით გააქვს, სიყვარულის მაძიებელი ქალის „ბუწიკს“ კლიენტი არ აკლდა... თუმცა, იყო ერთი...

„სიყვარულის მატარებელი“ ლეილას რელსებზე ჩამოდგა და ხმამაღლა, მეტისმეტად ხმაურიანად დაასიგნალა...

სოფელი ალაპარაკდა.

— მე პირველ რიგში, ქალი ვარ, შემდეგ — დედა, მეზობელი, ბიცოლა და მამიდა, — მიუგო ლაპარაკის საღერღელაშლილ მეზობელ-ნათესავებს. — იმედია, ჩემს ქალწულობაზე არ გექნება პრეტენზიაო, — სიცილ-ხარხარით უთხრა მომავალ მეუღლეს.

ქორწილის მეორე დღეს, ყურებს არ ვუჯერებდი, როცა ახალი ამბავი გავიგე: თურმე ნუ იტყვი და ნოდარა დაღუპულა. საცოდავი კაცი, მოინელა იმ ახტაჯანამო, ლაპარაკს არ აცდიდნენ ერთმანეთს სოფლის დედაკაცები და ერთი სული ჰქონდათ, ახალი ამბავი ყველასთვის გაეგებინებინათ... ლეილამ ხალხი სახლში არ შეუშვა. მარტომ იგლოვა ცხოვრების სიყვარული და ხანმოკლე პაუზის შემდეგ „პოსტს“ დაუბრუნდა...

— ვიცოდი, რომ ენერგიული და ცეცხლოვანი ქალი ვიყავი, მაგრამ ქორწინების პირველ ღამეს თუ კაცი ჩამაკვდებოდა ხელში, რას ვიფიქრებდიო, იტყოდა ხოლმე ნაძალადევი ღიმილით.

არავის მისცა საშუალება, ატირებული, მიწასთან გასწორებული, დანგრეული ენახა... მხოლოდ ერთს ამბობდა ხოლმე დანანებით: ჩემმა ჩქარმავალმა მატარებელმა კატასტროფა განიცადა, აფეთქდა და ნაცრად იქცა, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ... ზოგი ამ ქვეყნიდან ისე მიდის, ნაცარიც არა ღირსებიაო...

P.S. ერთხელ, ჩემს მეგობრებთან ერთად ალავერდში მივდიოდი... გზად პატარა „ბუტკა“ შევნიშნე, რომლის ირგვლივ უამრავი ხალხი იყო შეკრებილი... ქალბატონი ლეილა ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდებს, საკუთარ თავგადასავლებს უყვებოდა... — კაცები ისე მეხვეოდნენ, როგორც ფუტკრები ლელვის მურაბასო, დამამახსოვრდა მისი ნათქვამი...

— უკაცრავად, ბალი გაქვთ? — გავარღვიე ინტერესით მაცქერალ და მსმენელ ადამიანთა ჯგუფი და შოუს მთავარ პერსონას მივუახლოვდი...

— კი, გენაცვალოს ბებია, 3,50 ღირს...

— ბალიბარათი ყველგან 3 ლარი ღირს, — შევეპასუხე.

რა მიპასუხა „შეურაცხყოფილმა" და განრისხებულმა მოხუცმა და როგორ განვითარდა მოვლენები, ამას „პირადში" მოგიყვებით. „გზა" ცენზურის ქვეშ არსებული ჟურნალია და შეუძლებელია, ლეილას მონოლოგის ცენზურის დაცვით მოყოლა. ასე გავიცანი სუპერქალი2.

P.P.S. ამ ორიგინალურ მოხუცთან ურთიერთობამ მიმახვედრა, რომ სიბერე ცხოვრების აღსასრული არაა; მიმახვედრა, რომ ყოველთვის, ნებისმიერ ასაკში შეიძლება დაიწყო... ააშენო... გაქროლდე და მიიღო... რჩევის მიცემა არ უყვარს „ჩემს" ბებერს, ჭკუასაც არასდროს გარიგებს, უბრალოდ, ერთი რამ აქვს ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის სათქმელი: გვიყვარდეს სიყვარულისთვის... ოოოოოჰ, როოოგორ მიყვარხააართ! ამჯერად, სიყვარულის ბუშტგახეთქილი (თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთიც არსებობს) რუისპირი (YELLOW)".

ისევ მარტო

„გამარჯობა, მარი. პირველ რიგში, მადლობა მინდა გითხრა, ჩემი ამბავი რომ დაბეჭდე. სიმართლე გითხრა, არც კი ველოდი. ყოველთვის ისეთი თემები გაქვს, რაზეც თავისუფლად შემიძლია საუბარი. დღეს ჩემს მეგობარზე მინდა მოგიყვე. ლაშა კარგა ხანია, 30-ს გადასცილდა. მეგობრებსაც მეტი რა გვინდოდა? გულს ვუწყალებდით, ცოლს როდის მოიყვან-თქო. ერთ დღესაც, გადავწყვიტეთ, რესტორანში გაგვეტარებინა საღამო. გვერდით მაგიდაზე 17 წლის გოგონას დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ჩვენმა ლაშამ როგორც კი გოგონა დაინახა, მეხნაკრავივით ფეხზე წამოვარდა, შეიცვალა. მისი ცვლილება მეგობრებს შეუმჩნეველი არ დაგვრჩენია და ცოტა რომ შეზარხოშდა, მასთან მისვლისკენ ვუბიძგეთ. გოგონამ ლაშა უარით გამოისტუმრა და სახელიც კი არ უთხრა. ჩვენი ლაშიკო კი დღეს ისევ მარტო დადის, მასზე 2-ჯერ პატარა გოგოზე უგონოდ შეყვარებული".

მასწავლებლის სიყვარული ძნელია

„ეს წლების წინ დაიწყო. ერთ ჩვეულებრივ დღეს მოხდა ის, რამაც ბევრი არაჩვეულებრივი განცდა მომგვარა. დირექტორმა ახალი ქართულის მასწავლებელი გაგვაცნო. ძალიან ამპარტავანი და „ნაგლი" ჩანდა. პირველივე დღეს ზრდილობიანად გამოგვთათხა, როცა მის მიერ დასახელებული ნაწარმოებებიდან არაფერი აღმოგვაჩნდა წაკითხული. თანდათან ყველაფერი შეიცვალა და მან თავი შეგვაყვარა. გვესაუბრებოდა უკლებლივ ყველაფერზე. ეს ქალი ჩემთვის ნამდვილ აღმოჩენად იქცა. მინდოდა, მარად მისი მოსწავლე ვყოფილიყავი, მისთვის მესმინა, მისი ზღვისფერი თვალებით დავმტკბარიყავი. თუმცა, სხვა რამე აზრადაც არ გამივლია. ის ჩემი პედაგოგი იყო და არაფერი სხვა. XI კლასში ჩემი მეგობარიც გახდა. თავის ამბებს მიყვებოდა: „იდიოტი! არა, წარმოგიდგენია, რა მითხრა?! ავდექი და კარგად გამოვლანძღე!" „ვაიმე, ლაშა, გაგიჟებული ვარ!" მისი ეს ფრაზები ჩემში მორცხვ ღიმილს იწვევდა, შიგნიდან კი პეპლები დაფრინავდნენ, მაგრამ არ ვიცოდი, ეს სიყვარულს თუ ნიშნავდა. დასრულდა სასწავლო წელი და ზაფხულში დეპრესია დამეწყო. მის გარეშე თვე-ნახევარი ნამდვილად მეტისმეტი იყო! ტელეფონზე მისი ნომრის აკრებისას თითები მიკანკალებდა, არ შემეძლო! მას კი მხოლოდ ერთხელ გავახსენდი, ძალიან მშრალად, ფერისცვალება მომილოცა.

XII კლასში გადავედი. სექტემბერში უკვე ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. რამდენიმე თანაკლასელის მსგავსად მეც გადავწყვიტე, ის გამხდარიყო ჩემი რეპეტიტორი. ყოველ სამშაბათს, პარასკევს და კვირას, 6-დან 8 საათამდე, მე — მე აღარ ვიყავი. მან მაზიარა მსოფლიო ლიტერატურას, მიყვებოდა კაფკას, ფლობერის, დრაიზერის შესახებ... მე უხმოდ ვუსმენდი. მეგონა, სახეზე მეწერა, რომ მის გამო მინდოდა ცხოვრება. ამიტომ, თვალებშიც აღარ (და ვეღარ) ვუყურებდი. თავს დავხრიდი, რვეულზე რაღაცას ვჯღაბნიდი და მზერას მისი პატარა, ნატიფი თითებისკენ ვაპარებდი, რომლებიც ასე ახლოს მოძრაობდნენ, თუმცა ჩემთვის მიუწვდომელნი იყვნენ. მარტში 18 წლის გავხდი და უკვე დიდადაც ჩავთვალე თავი. უფრო თამამი ქმედებები დავიწყე. როცა მაისში მას 33 შეუსრულდა, ძალიან ბევრი იასამანი მივუტანე. ბოლო ზარმაც დარეკა. კლასელებმა „მის ინტელექტის" ტიტული მივანიჭეთ. სამადლობელ სიტყვაში თქვა, რომ მე-12III კლასი მისი ცხოვრების ნაწილად იქცა და ცრემლებიც არ დაუმალავს. მინდოდა მივჭრილიყავი, ჩამეკრა, ცრემლები მომეწმინდა, თმაზე მოვფერებოდი. დავითანხმე, ბანკეტზე ჩემთან ერთად წამოსულიყო და მე ვიყავი უბედნიერესი ადამიანი. კაცი, რომელსაც გვერდს ყველაზე ჭკვიანი და გრაციოზული ქალი უმშვენებდა. ხელჩაკიდებულებმა გავიარეთ ეზო და დარბაზში შევედით. სასმელი არ დავლიე — ვიცოდი, სისულელეს ჩავიდენდი. ის ადრე წავიდა, მანამდე კი დაუვიწყარი ცეკვა მაჩუქა. მეგონა, მთელი სამყარო მე მეკუთვნოდა. ის არტისტულად ირხეოდა და ჩვეულად მიღიმოდა. თავისი თვალებისფერი კაბა ეცვა. გამოცდის წინადღეს უკანასკნელი გაკვეთილი ჩამიტარა და მე ვიტირე. მან დამამშვიდა. სულ ასე იყო, ის მასწავლიდა ცხოვრებას, ის მაწყნარებდა და თავს უფრო და უფრო მაყვარებდა. იმავე ღამით „ესემესი" მომივიდა: „მე ყველაფერი ვიცი, არ გკიცხავ. შენ ჩემი პატარა მეგობარი ხარ და ყოველთვის მემახსოვრები. ჩემი საუკეთესო მოსწავლე იყავი და სიყვარულზე კი არა, კარს მომდგარ გამოცდებზე იფიქრე. შენი ია". სიყვარულმა ასაკი არ იცის, რადგან მე ვარ კაცი, რომელსაც პედაგოგი ძლიერ უყვარდა. აგვისტოში, როცა გამოცდების შედეგები ცნობილი გახდა, ქართულის 91 ქულა მომილოცა და ეს იყო ბოლო აკორდი. ყველაფერი დასრულდა. ის ჩემთვის კვლავაც ქალის ეტალონია. ნიკოლო".

■

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ჯრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ქორწ, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა". ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 877.456861 ან მიწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთ შანსს მოღალატეც კი იმსახურებს“

„ჩვენ შვილების გამო ვითმენთ ყველაფერს“

„გზის“ №10-ში დაიბეჭდა 21 წლის უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „2 წელია, რაც საყვარელ მამაკაცს გავყევი ცოლად, 9 თვის ვაჟიც გვყავს, მაგრამ უკვე ყველაფერზე ამიცრუვდა გული, ცხოვრება თავზე მენგრევა და ოჯახის გადასარჩენად ვერაფერს ვაკეთებ...“ როგორც უცნობი გამოგვიტყდა, მას საყვარელმა მეუღლემ უღალატა: „მან ჩვენსავე საცხოვრებელ ბინაში, ჩვენსავე საწოლში მიღალატა... ყველაზე ცუდი ისაა, რომ იმ გოგოსაც ვიცნობ, ვინც ლოგინში ჩაუგორდა. ის ჭაობში ჩაფლული ქალი გახლავთ და მე სულელი მის დახმარებას ვცდილობდი... ორივემ დამცინა, მიღალატა და მას შემდეგ ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა. საშუალება რომ მქონდეს, ჩემს პატარას ხელს ჩავკიდებდი და წავიდოდი, მაგრამ... არ მინდა, საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდე და მათ დავაწვე ტვირთად. ერთხელ თვითმკვლელობაც ვცადე, მაგრამ ქმარმა მომისწრო და გადამარჩინა, მერე კი გონს მოვეგე და მივხვდი, რომ თავის მოკვლა არავის გამო არ ღირს...“

ლიკა ქაჯაია

ელისო, 44 წლის:

„თუ ქმარმა უკვე გიღალატა, თანაც — ნაცნობთან, რა გარანტია გაქვს, რომ იმავეს არასდროს გაიმეორებს? ამის თქმა ძალიან მიჭირს, მაგრამ გირჩევ, მიატოვო. შვილი გყავს და მასთან ერთად, ბედნიერი იქნები. თავის მოკვლაზე არც იფიქრო“.

ქვრივი:

„იცოდე, შვილი ამ მსხვერპლს არ დაგიფასებს. ჯობია, საკუთარ თავს მიხედო, თორემ ბოლოს, ეს მექალთანე ქმარი შეგრჩება“.

რუსპირი (yellow):

„ქალისთვის ალბათ, ძნელად აღსაქმელ-გასაგებია (ან საერთოდ, გაუგებარია), როცა მისი ქმარი სხვა ქალთან ერთობა, მაგრამ ყველაფერი ისე ცუდადაც არ არის, როგორც შენ გგონია. მოდი, ლოგიკურად ვიმსჯელოთ: შენი ქმარი სითბოს, ყურადღებას არ გაკლებდა, უყვარდი და მხარში გედგა, არ ლოთობდა, არ გცემდა, შუა ზამთარში ქუჩაში არ გაგდებდა და როგორც მივხვდი, მატერიალურადაც არ გიჭირდათ. მერე შენ სოფელში წახვედი, მასთან კი შენი დაქალი მივიდა და... ჩემზე კარგად იცი, ქალის ეშმაკობასა და მოხერხებულობას რაც შეუძლია. არ დაგავიწყდეს, კაცისთვის თავის შეკავება ძალიან რთულია, მით უმეტეს მაშინ, როცა ქალი აქტიურობს, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს და პირდაპირ საქმეზე გადადის. შენ გყავს შვილი და კაცი, რომელსაც უყვარხარ, ამიტომ ოჯახის დანგრევასა და თვითმკვლელობაზე ლაპარაკი დეგენერატიზმის გამოვლინებაა და სხვა არაფერი. P.S. ამ ამბავს ერთი დადებითი მხარეც აქვს: შენი მეუღლე ბევრად ყურადღებიანი და თბილი გახდება, რათა პატიება დაიმსახუროს. წარმატებები!“

თიკა:

„ჩემო კარგო, თვით უფალმა შეუნდო ცოდვილებს და ჩვენ ვინ ვართ, რომ ვინმეს დანაშაული ვერ ვაპატიოთ?! ვიცი, ძალიან რთულია, მაგრამ სიყვარულისა და შვილის ხათრით ოჯახი არ დაანგრიო; მეუღლეს ერთი შანსი მიეცი და თუ იმავეს გაიმეორებს, მაშინ უსიტყვოდ მიატოვე. ეცადე, ცხოვრება თავიდან დაიწყო. უფალმა გაგაძლიეროს და გაგახაროს“.

ემილია:

„მეც შენს დღეში ვარ, საყვარელო, და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჩემი ქმარიც ხან ვის ემესიჯება, ხან — ვის, სახლშიც გვიან მოდის, არადა, მაქსიმალურად ვცდილობ, ყურადღება არ მოვაკლო... მართლა ბავშვის გამო ვუძლებ ყველაფერს. თუ სურვილი გექნება, ერთმანეთი გავიცნოთ და იქნებ ერთურთს როგორმე დავეხმაროთ“.

დადუ:

„თავის მოკვლით მართლაც ვერაფერს გააწყობ. იცოდე, ერთ შანსს მოღალატეც კი იმსახურებს. ის დღ[illegible] და ის ქალი თავიდან ამოიგდე“.

TALKER:

„მართლა არ ვიცი, რა უნდა გირჩიო. მეუღლეს დაელაპარაკე და ერთად გაარკვიეთ, რა გინდათ ერთმანეთისგან. რაში გაინტერესებს ხალხის აზრი? „დაიკიდე“, რა. თუ ვეღარ იტან და ძველებურად აღარ გიყვარს, ყოველგვარი სკანდალისა და ცრემლების გარეშე გაეყარე. გახსოვდეს, ცხოვრების მთავარი აზრი შვილია“.

სვანის ასული:

„ბევრისთვის შეიძლება, ეს სამყაროს დასასრულის ტოლფასი იყოს, ზოგისთვის კი აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენა და ადვილად მისატევებელი ფაქტია. ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებ, კარგად დაფიქრდი — ქმრის გარეშე ცხოვრებას ან პირიქით, სიცოცხლის ბოლომდე მასთან ერთად ყოფნას შეძლებ? იცოდე, თუ დანაშაულს აპატიებ, მერე ეს ამბავი აღარ უნდა წამოაძახო, ყველაფერი უნდა დაივიწყო. ვიცი, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ამის გარეშე მიტევებას ფასი არა აქვს. უკეთესია, თუ ერთ შანსს მისცემ, მაგრამ იმის გარანტიას ვერავინ მოგცემს, რომ აღარ გიღალატებს“.

უცნობი:

„შენი ამბავი ძალიან განვიცადე და გული მეტკინა, ვინაიდან მსგავსი შემთხვევა ხშირია, ასე მგონია, გათხოვებას ვერასდროს გავრისკავ, მეტიც — კაცების მიმართ სიძულვილს ვგრძნობ, აღარავის ვენდობი. აქამდე მეგონა, რომ ასეთი რამ სიყვარულით შეერთებულ წყვილებს შორის მაინც არ მოხდებოდა და თავს ამით ვიმშვიდებდი, მაგრამ... მესმის, ახლა რასაც განიცდი. შენს ადგილას მის პატიებას ვერ შევძლებდი. საყვარელი ჰყავსო, — რომ გეთქვა, გეტყოდი, მისთვის იბრძოლე-მეთქი, მაგრამ ისეთ კაცთან, რომელიც საკუთარ სახლში, საკუთარ საწოლში გიღალატებს, ურთიერთობის გაგრძელებაზე ფიქრი არ ღირს. არ აპატიო, თორემ მასთან დაბრუნების შემთხვევაში, იმ ლოგინში მოგიწევს წოლა, სადაც სხვასთან ერთად იყო და ამაზე ფიქრი დაგტანჯავს“.

ლუნა:

„ჩემო კარგო, შენი მესმის და არც კი ვიცი, რა უნდა გითხრა. მართალია, კაცებიც არ არიან წმინდანები, მაგრამ ქალი ყველაფერზე წამსვლელია. იმ ქალს ადამიანობა რომ ჰქონოდა, შენს გულკეთილობას დააფასებდა და ოჯახს არ დაგინგრევდა. დარჩი ქმართან, ოღონდ მას სერიოზულად დაელაპარაკე, მის მიმართ ცოტა სიმკა-

ცრეც გამოიჩინე; მიახვედრე, რომ ღალატს არ იმსახურებ. ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

მაია ჯიგუტი:

„მოგესალმებით. წავიკითხე 21 წლის უცნობის წერილი. ვარ ფსიქოლოგი, ვმუშაობ არასამთავრობო ორგანიზაციაში — „თანადგომა“, სადაც მსურველებს ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს ვუტარებთ (მომსახურება უფასოა). გვაქვს ცხელი ხაზი: 25.18.19. ვმუშაობთ 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. შეატყობინეთ უცნობ გოგონას ჩვენ შესახებ და მის დახმარებას შევეცდებით“.

G.M., 40 წლის:

„რადგან ქმარმა გიღალატა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უყვარხარ. უბრალოდ, კაცია და თავი ვერ შეიკავა, მაგრამ ეს სხვაგან მაინც უნდა გაეკეთებინა და არა — საკუთარ სახლში. შეეშალა, მაგრამ ეს ერთი შეცდომა უნდა აპატიო და თუ უყვარხარ, ამის გადატანაშიც დაგეხმარება. P.S. ჩვენ შვილების გამო ვითმენთ ყველაფერს“.

გრუზინკა:

„არა მგონია, მშობლებმა საკუთარ სისხლსა და ხორცზე უარი თქვან. ჯობია, საცხოვრებლად მათთან გადახვიდე. ახალგაზრდა გოგო ხარ, სამსახური იშოვე და შეეცადე, შვილი თავადვე არჩინო. ჯობია, განათხოვარი ქალის სახელი გერქვას, ვიდრე სიცრუეში იცხოვრო, ღალატის მსხვერპლი იყო. ტელევიზორს არ უყურებ? ხომ ხედავ, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი რამდენი ქალია და გინდა, მათ სიას შენც შეემატო?..“

უწუწური:

„ნაადრევად გათხოვილხარ. მესმის, რომ განადგურებული ხარ, ათას რამეზე ფიქრობ, მაგრამ ძლიერი უნდა იყო. საკუთარ თავს ხშირ-ხშირად გაუმეორე, რომ მალე ყველა პრობლემას მოაგვარებ. მეც შენი ტოლი ვარ და შენს ადგილას იცი, რას ვიზამდი? — მისგან წამოვიდოდი. ნუ გგონია, რომ ოჯახს ტვირთად დააწვები, ახალგაზრდა გოგო სამსახურს იოლად იშოვი, საზოგადოებაში გაითქვიფები და ეს შენზე დადებითად იმოქმედებს. ქმარს კი დაელოდე, ის აუცილებლად მოვა და პატიებას გთხოვს, შეგეხვეწება, — დამიბრუნდიო, მაგრამ იცოდე, პირველსავე დაძახებაზე არ გაეკიდო, ცოტა აწუწუნე — ეს მისთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება. წარმატებები!“ ■

„უცნაური LOVE STORY“

„თუ საცოლე ჰყავს, ის ეყვარება...“

„გზის“ №10-ში დაიბეჭდა ნანას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ დაქალის ძმა, რომელსაც საცოლე ჰყავს, სიყვარულს უხსნის და ამის გამო, ნანამ დაქალთან ურთიერთობაც გაწყვიტა. „მე და იმ ბიჭს ადრე ერთმანეთი მოგვწონდა, მაგრამ რატომღაც, ერთურთს სიყვარულში ვერ გამოვუტყდით და ჩვენი ურთიერთობა არ შედგა. ახლა, როცა ნასვამია, სიყვარულს მეფიცება, ფხიზელ მდგომარეობაში მყოფს კი ახსენდება, რომ „ლოვე“ ჰყავს და ბოდიშს მიხდის. არ ვიცი, რა სჭირს და მეც გაუგებრობაში ვარ“.

უწუწური:

„იმ ბიჭს უყვარხარ! საერთოდ, ბიჭებს ასეთი რამ ახასიათებთ: დალევენ, დარდი მოაწვებათ და გირეკავენ. ალბათ, „ლოვე“ იმიტომ გაიჩინა, რომ შენი დავიწყება უნდა. თუ მის მიმართ რაიმეს გრძნობ, დაელაპარაკე და გაარკვიე, ასე რატომ იქცევა, მაგრამ თუ არ გიყვარს, მაშინ მკაცრად გააფრთხილე, რომ აღარ დაგირეკოს და ისიც შეახსენე, რომ საცოლე ჰყავს. P.S. ამ სიტუაციაში ყველაზე ცოდო მისი შეყვარებულია“.

გრუზინკა:

„მოდი, ეგ ვითომ „პაკლო“ კარგად გამოლანძღე. ვერ ხედავ, ორ კურდღელს ერთდროულად დასდევს. P.S. გოგონები ასეთი მიამიტები რატომ ვართ, ლამაზი სიტყვების რატომ გვჯერა?..“

G.M. 40 წლის:

„დაქალის ძმას არ დაუჯერო. მერწმუნე, მას შენ მიმართ არაკაცური მიზნები ამოძრავებს!“

ლუნა:

„ეჭვი გამიჩნდა, რომ იმ ბიჭს საცოლე არ უყვარს, მაგრამ ვერც იმას გეტყვი, — შენ მიმართ სერიოზული გრძნობა აქვს-მეთქი. ის ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს, მაგრამ ხომ იცი, ასეთები ბოლოს, ხახამშრალები რჩებიან. დაქალს მისი ძმის სისულელეებისა და დაუფიქრებელი საქციელის გამო არ უნდა დაშორებოდი. იმ ბიჭს სერიოზულად დაელაპარაკე და უთხარი, რომ თავი დაგანებოს, შენთან მოსასვლელი ყველა გზა მოუჭერი და აგრძნობინე, რომ სათამაშო არ ხარ. აბა, შენ იცი. გაკოცე“.

მაკუნა:

„შენი დაქალის ძმა ახლაც მოგწონს და ყველაფერს ასე ამიტომაც განიცდი. დამიჯერე, იმ ბიჭისთვის მისი დის თანდასწრებით რომ დაგეცინა, ამ სიყვარულზე გეხუმრა, მეგობართან დაშორება არ მოგიწევდა“.

სვანის ასული:

„არა მგონია, იმ ბიჭმა საცოლე შენ გამო მიატოვოს. კატეგორიულად მოსთხოვე, უკანასკნელად აგიხსნას, შენგან რა უნდა, მერე კი მაქსიმალურად შეეცადე, მასთან შეხვედრას თავი აარიდო. დის დაქალს წესით, ცუდად არ უნდა გეთამაშებოდეს, მაგრამ შეიძლება, ძალიან მერყევი და გაორებული ტიპია. იქნებ როგორმე მოახერხო და მეგობარი არ დაკარგო (თუ ასე ძვირფასია შენთვის), მას ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვდი ხოლმე“.

TALKER:

„ძალიან მიკვირს, XXI საუკუნეში რომ წერ, — დაქალთან მეგობრობა მხოლოდ იმიტომ გავწყვიტე, რომ მის ძმას ვუყვარვარო. ჰმ, ევროპელობას „ვაწვებით“, ხომ? ეს უბრალოდ, სასაცილოა! რას გირჩევ, იცი? — იმ ბიჭს დაელაპარაკე და გაარკვიეთ, ერთმანეთისგან რა გინდათ. P.S. იცოდე, სიყვარულის გარეშე ბედნიერი ვერ იქნები. აბა, შენ იცი“.

დადუ:

„გამაცინე. ადამიანი სიმთვრალეში რასაც წამოროშავს, ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო. თუ საცოლე ჰყავს, ეყვარება კიდეც. ვფიქრობ, დაქალი ტყუილად დაკარგე“.

ატარეძსია:

„საქმე ტიპურ ცანცარასთან გაქვს. ეგეთები ამქვეყნად ოხრად არიან და ცხოვრების გზაზე კიდევ ბევრ ასეთ კაცს შეხვდები. გირჩევ, არ აცანცარდე“.

რუსპირი (YELLOW):

„საუკეთესო მეგობარს იმის გამო დაშორდი, რომ მისი ძმა ძველ, ხავსმოდებულ გრძნობაზე აჭიკჭიკდა? ეს არაა კარგი საქციელი. რაც შეეხება ამ მართლაც და უცნაურ Love Story-ს, თუ იმ ბიჭის მიმართ შენც იმავეს გრძნობ, რასაც არაფხიზელ მდგომარეობაში ის გიმტკიცებს, მაშინ წაიყვანე უკაცრიელ ადგილას, წაიღე ბევრი სასმელი და გამოფხიზლების საშუალება არ მისცე; სულ გალეშილი თუ იქნება, სულ ეყვარები. ჰოდა, მერე დაქალიც დაგიბრუნდება და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებ. აბა, შენ იცი. P.S. ვაიმე, ეს რა კარგად გამომივიდა, რა“. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქალები

1. გავიცნობ სერიოზულ, ფინანსურად დამოუკიდებელ მამაკაცს, ოჯახის შექმნის პერსპექტივით. ვარ დადებითი, სერიოზული. მაქვს ბინა. 42 წლის ქვრივი.

2. ვარ 44 წლის ქალბატონი. ვცხოვრობ თბილისში, მეუღლესთან ვარ განქორწინებული. მსურს გავიცნო 45-დან 55-წლამდე მამაკაცი, უმჯობესია, ოჯახის შექმნის მიზნით.

3. გავიცნობ წესიერ მამაკაცს, მაქვს სუფთა წარსული, ვარ გასათხოვარი, 33 წლის. გასართობად არ დამიმესიჯოთ.

4. ვარ 37 წლის, ქალიშვილი, კარგი მეოჯახე, პატიოსანი. უსაქმურები ნუ გამომეხმაურებიან.

5. ვარ 37 წლის, სერიოზული და კარგი მეოჯახე. ცანცარები ნუ გამომეხმაურებიან.

6. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ყოველმხრივ მოწესრიგებულ, თბილისელ, სიმპათიურ მამაკაცს, 40 წლამდე.

მამაკაცები

7. ვარ 25 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე გოგოს.

8. გავიცნობ ქალბატონს, სლავური წარმოშობის, ან ნახევრად სლავური წარმოშობის, 28-38 წლამდე, სიმპათიურს და მშვენიერს. ვარ 37 წლის, სიმათიური მამაკაცი.

9. ვეხმიანები „გზა“ №2-ის 1-ელი მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი.

10. ვარ 23 წლის, 193 სმ, 85 კგ, სიმპათიური, განათლებული, დასაქმებული, სანდო და სასიამოვნო ადამიანი. გავიცნობ 45 წლამდე ქალს. ველი მხოლოდ რეალურს. გიო.

11. გთხოვთ, მომწეროთ „გზა“ №11, პირველი მესიჯის ავტორის ნომერი. მადლობა წინასწარ.

12. ვარ 24/185, დასაქმებული. ვცხოვრობ თბილისში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ გოგოს. უსაქმურებმა თავი შეიკავონ.

13. გავიცნობ ქუთაისელ მანდილოსანს, 55 წლამდე. დანარჩენი — პირადად. ვარ 39 წლის მამაკაცი.

14. გავიცნობ 35-40 წლამდე ქალს, ფარული ურთიერთობისთვის. ვარ 28 წლის, სიმპათიური ბიჭი, თბილისელი, დასაქმებული.

15. გავიცნობ ლამაზ გოგონას, ქართული ტრადიციების მიმდევარს, განათლებულსა და ჭკვიანს. 20-25 წლამდე. ვარ 27 წლის, სიმპათიური, 184 სმ. ქალბატონებო, გელით.



სხვადასხვა

• ერთხელ, ცა ლურჯი რომ იყო და ქუჩა ახლახან ნაწვიმარი, მივხვდი, რა ბედნიერებაა ლურჯი ცა და ნაწვიმარი ქუჩა, ბედნიერებაა საყვარელი მოთხრობა და ის, რომ ეს იცი. ანა.

• ლაკვასტს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ახლოა უფალთან, თითქმის მშურს კიდეც, მაგრამ მომხდარ მოვლენებს ჩემს ცხოვრებაში ვერ აღვიქვამ უფლის კეთილ ნებად, სამწუხაროდ. ქვრივი.

• დათუნა, რა კარგი იყო, დღეს რომ გნახეთ. პატარა ყველას იმას უყვება, ჯადოსნურ სარკეში მამიკოს ველაპარაკეთო. მერე სახლის სარკეზეც ამბობდა, მამა გამოჩნდებაო. დათუნა, გამაგრდი და გაძლიერდი. თავს მიხედე, მაგარი გამხდარი ხარ. ჩვენი დარდი არ გქონდეს, შენ რომ ყოჩაღად ხარ, ჩვენც ძალა გვემატება. გვიყვარხარ, დათ!

• კასკუ, ჩემო სიყვარულო და სიხარულო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. დავიღალე უკვე ამდენი გაურკვევლობისგან. რაღაც, აირია სიტუაცია და დავიბენით. გაირკვევა, ბოლოს და ბოლოს. ჩემო სიყვარულო, რაც უნდა იყოს, არ ინერვიულო, რა. ხომ იცი, ამდენი ხალხი შემოგყურებთ. უსაშველო არაფერია. უფალი არ გაგვწირავს, მოწყალეა. ძალიან მინდა, გნახო. ჩვენ არა გვიშავს, კარგად ვართ. უბრალოდ, ძალიან ვნერვიულობთ. გკოცნიან ბევრს დედა და ბავშვები. კუს, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ჩემი სუნთქვა ხარ. შენი ლიკუნა.

• სად კაპიტალი ფლობს მთელ ქვეყანას, მილიონერებს მონად ჰყავთ ხალხი, მილიონერის დიდ სასახლესთან, მკრთალად მოჩანდა პატარა სახლი. სადაც ცხოვრობდა ერთი მეეტლე, მუდამ ფიქრებით გატაცებული, სულ დაღონებულს ნახავდით მუდამ, ერთ დღეს კი იყო გახარებული. ეს დღე ის იყო, როცა საბრალოს ვაჟიანობა ხალხმა ახარა და რომ შეხედა თავისა პირმშოს,

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

თითქოს შერცხვა და თავი დახარა. ღარიბი იყო, მაგრამ იმ წუთში, გული ხალისით გადაეშალა, იმას ფიქრობდა, მეზობლებისთვის პატარა სუფრა რომ გაეშალა. რომ დაელოცათ ახალშობილი, გულს უწუხებდა ამაზე დარდი, თუნდ თითო ჭიქა ხვედროდა ყველას, ესურვებინათ ბავშვისთვის კარგი. ამ ფიქრით იყო გატაცებული და სახსრებს ქექავდა გულში, ფიქრობდა, თუ რა მოემოქმედა, რომ გაძახილი მოესმა ყურში. აქვე მახლობლად ერთ სასახლეში, ცხოვრობდა ერთი მილიონერი, სამოცი წლისა არ იქნებოდა, მაგრამ არ ჰყავდა არც ერთი შვილი. დიდხანს ნანატრი და საოცნებო, დილა გათენდა მისთვის მზიანი, ამაზე კარგს და ამაზე ღამაზს, რას ინატრებდა ადამიანი. ქალიანობა ახარეს მასაც, ღმერთმა მიიღო მისი მუდარა და უშვილობით დატანჯულ გულზე, თითქოს მოეხსნა შავი სუდარა. ბავშვის შობის დღის აღსანიშნავად, მთელი ქალაქი მან დაპატიჟა, უწინ კაპიკზე მტირალი კაცი, შვილიანობამ მთლად გააგიჟა. და ამისათვის მან მოწყალება ღარიბებისთვის არ დაიშურა, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, მეეტლე სახლში რომ დაიბარა. უთხრა: გავიგე, რომ შენს ოჯახში, სასიხარულო შუქი ანთია, აბა, საჩქაროდ ას დოლარს გაძლევ და ჭიქით ხელში შეხვდი განთიადს. მომდევნო ნომრებში გავაგრძელებ პოემას. კუნკუკა.

• პატარავ, დედა შემოგევლოს... უკვე ვეღარსად მიმაქვს ჩემი მონატრება. დედი, დაბადების დღე როგორ გაატარე? ანდა, რას გეკითხები? როგორ გაატარებდი? დედა მოგიკვდეს, შენ... ღამისაა, უკვე გზაშიც კი მელანდები, შენაირი აღნაგობის ბიჭს რომ დავინახავ, გული შემიქანდება ხოლმე, მერე გამახსენდება, რომ ის შენ არ იქნები და ღამის გული საგულედან ამომივარდეს ხოლმე. სახლში რომ მივდივარ, პარკის ჩასახვევიდან ვიწყებ შენს თვალიერებას... უკვე ძალიან მიჭირს უშენოდ... გვიან ღამით ხშირად მოვდივარ მანდ, სადაც შენ მეგულები, ვდგავარ რამდენიმე ხანს. ასე მგონია, რომ შენც იგრძნობ, მანდ რომ ვარ... ასე მგონია, ახლოს ვარ შენთან და ვმშვიდდები. აქეთ ახალი არაფერია. უკვე სიცოცხლეც მომბეზრდა, ისე დავიღალე. დე, შენ არაფერზე ინერვიულო, რაღაც გამოსავალს აუცილებლად მოვძებნით. სააპელაციომ უარი თქვა საჩივრის მიღებაზე. მიზეზი ჯერ არ ვიცით, მაგრამ მგონია, ამაშიც ისაა დამნაშავე, ვინც შენ ასე გაგიმეტა. ყველას გვენატრები. საბას სულ შენს სახელს ვეძახი. 2 კვირაში ხელის მოწერის საშუალებასაც მოგცემენ ალბათ. იმ დღეს ნინოს ახლოდან ნახავ, შეგახვედრებენ. ღმერთი გფარავდეს, ჩემო ჯიუტო, გაუგონარო და მწვანეთვალება ბიჭო. გკოცნი ბევრს. დედა.

• გიო-66, როგორ ხარ, შვილო, რაც ჩემმა თვალებმა გნახა, 3 დღე გონზე ვერ მოვდიოდი. გთხოვ, სულ ნუ გაგვანადგურებ, შენს თავსაც და ჩვენც. გიოს გადავეცი, შენი დანაბარები. მამა 24-ში ჩამოგიტანს ტანსაცმელს, წერილსაც მოგწერ, აქეთ ყველა კარგადაა. მშობლების დიდი დარდი მხოლოდ შენ ხარ, სხვა ყველა და ყველაფერი ჩვენთვის მეორეხარისხოვანია. უფალმა მფარველობა არ მოგაკლოს. გკოცნის დედა.

• გიზონ0, როგორ ხართ, ბიჭებო? ლომებო, ხომ არ მოიწყინეთ? მალე გნახავთ გარეთ. შერონ, ნუ ინერვიულებ. ყველაფერი მიდის კარგად. შენთან, ოჯახში ვიყავი. კარგად არიან, ვუთხარი, ბიჭებს ბალეტის გაკვეთილებს რომ უტარებ. შენი მეგობრები ვნახე, თითქმის ყველა, ავსტრიაშიც ველაპარაკე. თქვა, ჩემი და კიდევ ერთის წილი მივა იმასთან სახლში, ვახო რომ ჩამოვა, თვის ბოლოსო. დევი, თეკო ჩემთან იყო სახლში, ყველაფერი არის კარგად. ყველაფრის საქმის კურსში ვარ. ბადო როგორ არის? ვარსა? მოიკითხე ყველა! არ ინერვიულოთ! ღმერთი მოწყალეა! ილოცეთ ბევრი! თქვენ იცით, ჯიგრებო!

• ფლამინგო, ჩემო საყვარელო გოგონავ, შენი პატარა გულიდან გამოსხივებულმა სითბომ სიამით ამავსო. ყველასადმი ასეთი ხარ, მადლობა შენს მშობლებს, რომ ასეთად აღგზარდეს. მეამაყები, გენაცვალოს ნანი დუმბაძე. ფლამინგო, თქვენს ქალაქზე ერთი მოგონება ამომიტივტივდა. ნახევარი საუკუნის წინ, საბჭოთა კავშირის დროს, როცა ტელევიზია არ იყო და კინოც უცხო ხილი გახლდათ, მაშინ სტუდენტი ვიყავი, თეატრალური ინსტიტუტისა. ასაკოვანი კაცი მოვიდა და შემოგვთავაზა ზაფხულში საქართველოს ქალაქებში სტუმრობა, კონცერტებით. ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე აღმოჩნდა (სახელს არ ვწერ). მე და ჩემი თანაკურსელი გოგონა დავთანხმდით. ერთი გოგონა და აკორდიონისტი ვაჟი შემოგვემატა, რომელიც ბრწყინვალედ უკრავდა. საკონცერტო რეპერტუარში შედიოდა იუმორისტული სკეტჩები და სიმღერები. გავინაწილეთ როლები, დავიწყეთ მუშაობა, დავხვეწეთ და მოვიარეთ მთელი იმერეთი. მაყურებელი აღტაცებული იყო ჩვენი პროგრამით. ჩავედით სამტრედიაში. იმ დროს მოდაში იყო სიმღერა — „სამტრედია, სამტრედია, მუდამ მზიანო“. ხელმძღვანელმა ეს სიმღერა მე მომანდო და ბოლოსთვის მოიტოვა. დაიწყო კონცერტი. დარბაზი



ერეკლეანული ბიბლიოთეკა

გადაჭედილია. ყოველი ჩემი გასვლა ოვაციებით მთავრდება. მოვიდა სიმღერის დროც. გავედი სცენაზე, მუსიკალური შესავლის შემდეგ დავიწყე სიმღერა: სამტრედია, სამტრედია, მუდამ მზიანოოო... ეს ოთხი სიტყვა ვიმღერე და გავჩერდი. ტექსტი დამავიწყდა, ვდგავარ გაშეშებული, მუსიკა თავიდან იწყება, მე არაფერი მშველის, დარბაზში სიცილი ატყდა, ჰგონიათ, რაღაც უნდა მოხდეს, მე, [illegible] კულისებში გასვლას ვერ ვახერხებ. [illegible] ცუცებ გავშალე ხელები და ხალხს მივმართე: ხალხო, მიშველეთ, ტექსტი დამავიწყდა, როგორ მოვიქცე, არ ვიცი-მეთქი! სიცილ-ხარხარში და ტაშის გრიალში გამოვვარდი სცენიდან. ასე შევირცხვინე თავი სამტრედიაში.

• მარი, ძალიან გთხოვ, მაიას უთხრა, თავიდან სისულელეები ამოიბერტყოს, თორემ ჩამოვდნი კაცი. მაია, ნუ სარგებლობ ჩემი სიყვარულით, თორემ მალე ფიტული დავრჩები.

• იქნებ მიყვარდი და ვერ ვხვდებოდი,/ იქნება გულმა გაიგო გვიან,/ მერე რა, თუ შენ სულ სხვას ხვდებოდი/ და მერე რა, თუ მე სხვისი მქვია.

• შალვა25, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, ღმერთს ვთხოვთ, მალე ჩვენთან იყო. სახლში წუთი არ გავა, არ გახსენოთ. სხვა ვერაფერზე ვფიქრობთ. ძალიან გვენატრები, გული არ გაიტეხო, სულით, გულით, შენთან ვართ, ღმერთი ყოველთვის გმფარველობდა, ეს შენ კარგად იცი, ეს ცუდი სიზმარიც მალე დამთავრდება.

• ბუცა, შენ იცი, ვინ ვარ, მაგრამ მე არ ვიცი, ვინ ხარ. კუნკულა.

• არ ვიცი, ამ სმს-ს რატომ ვწერ. ალბათ დეპრესიის ბრალია (დეპრესია კი — დაბადების დღის. მეზიზღება!) და რაიმე ახალი მჭირდება. ნუ, რაც უნდა იყოს, იცოდეთ, მე ნიკოლო ვარ.

• ნაომი, ძალიან მეცნობი. ბევრჯერ შემხვედრია შენი მსგავსი სუბიექტები. მთლად უნიჭო მსახიობიც არ ხარ და როგორც ტიპაჟი, საკმაოდ საინტერესოდაც მეჩვენები. ნიკოლო.

• კლეოპატრა, ლუნა და მსგავსნო, ნუთუ არ მოგბეზრდათ? ამაზრზენია თქვენი ფანატიკური იდეების მოსმენა. რელიგია და ღმერთი — თქვენს გულებში რა, ძალიან გთხოვთ! ნიკოლო.

• მადლობა თქვენს ჟურნალს, მისი მეშვეობით ძალიან კარგი ადამიანი და დიდი სიყვარული ვიპოვე. სიყვარული თურმე მართლა არსებობს! მას მოპოვება სჭირდება! ის ქუთაისელი, იმერელი ბიჭია, მშრომელი, პატიოსანი, თბილი და მოსიყვარულე. ასეთ ადამიანზე ვოცნებობდი და 34 წლის ასაკში გამიმართლა. გმადლობ. ბათუმიდან, იაკო.

• აბობოქრებულ ზღვაში გატარეეებ, მე კი ვიქნები ლურჯი ზვიგენი. ჩემი სიკვდილი თუ გაგახარეეებს, შენ შემოგევლოს იმ ზღვის ზვირთები. მე ეგრე მინდა. კუნკულა.

• მუკი, ისე მენატრები, ისე, რომ ვერც კი გეტყვი. აი, ისე მარტო ვარ, რომ ერთადერთი, რაც ძალას მაძლევს, ისაა, რომ შენ აქ გჭირდებით და მე შენ მჭირდები და მიკაი. ბავშვებს ვჭირდები, თორემ ამდენს ველარ ვუძლებ, თან ამ ტირანი სიმამრის ხელში რომ დაგტოვე, აღარც მანქანა მყავს და ვაბშე... გარეკა რა, როგორც იცის... აფრენს. მუკი, გთხოვ, მჭირდები, რომ იყო მაგრად. მოვალ მანდ ამ დღეებში და რაც ზედმეტი გაქვს, გამომიგზავნე, თორემ თუ სხვაგან გადაგიყვანენ, არაფერს არ გაგატანენ, მიკაი. გკოცნი.

• ყველას მოგიკითხავთ და სიამოვნებით გაგიცნობთ. ატარექსია და რუი (YELLOW), ძაან კარგები ხართ, გკოცნით და გეხვევით ყველას. თქვენი ტკბილი ნუჩი.

• გამარჯობა, ხალხო... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ „მობილი-ზაციაში“ ოდესმე მესიჯს გამოვგზავნიდი, მიუხედავად იმისა, რომ „გზის“ აქტიური მკითხველი ვარ და აი, ველარ გავუძელი ცდუნებას და მოგწერეთ და ძალიან ბედნიერი ვარ. მარი, დამიბეჭდე რა, მესიჯი, გამახარე :). აუ, რომ იცოდეთ, როგორ მინდა თქვენი გაცნობა, ბავშვებო. მართლა ძალიან დიდ პატივს გცემთ და იმედი მაქვს, გაგიცნობთ. ნაომი, ატარექსია, LOCUST, ძალიან კარგები ხააართ. რუისპირი (YELLOW) რა კარგი ადამიანი მეჩვენები, იცი? ძალიან გაფასებთ ბავშვებო და უკვე მიყვარხართ მგონი... დამიბეჭდეეე მარ... ეგოისტი ხარო, მეუბნებიან და ამ ნიკით ვიქნები თქვენთან. ეგოისტი.

• „ბრაგასთან“ ფრეს რომ ითამაშებ, ეჰ... ძველი „ლივერპული“ მენატრება. :(P.S. გილოცავთ, გაზაფხული მოიპარა, ნუ, საგარეჯოში თბილა და რა ვიცი...

• სადაც არ უნდა იყო, გესმოდეს! ქეთათოს ამ სიმღერის ტექსტი ამეკვიატა და ველარ ვიშორებ. საოცრად მღერის. კუნკულა.

• ქვრივო, მართალი ხარ, მე ლოვე დამეღუპა, სულიერ სიმხნევეს გისურვებ... დე, გილოცავ დაგვიანებით დედის დღეს. მილე.

• ქალბატონო ნანი დუმბაძე, ბერბიჭა არასდროს დაბრუნდება „გზაში“, აქ მას გული ძალიან დაწყვიტეს, რადგან ნიჭი არ აპატიეს. მილე.

• ატარექსიას გზავნილზე ვიტირე, მართლაც ძნელია, საყვარელი ადამიანის დაკარგვა. ქვრივო, სულიერ სიმტკიცეს გისურვებ, ღმერთმა გახაროს, შენს პაწაწუნასთან ერთად. ფლამინგო.

• ულიბკა სად წავიდა?

• გაიხარე ბუცა, შენც ძალიან კარგი ხარ და მოკითხვა ჩემგან. თოლია, ვინ დაგეღუპა? უნდა გავუძღოთ, რას ვიზამთ? მარიამულ, მიყვარხარ. ქვრივი.

• ატარექსია, ძალიან მომწონს შენი გზავნილები. ჯ.ხავი.

• გიო, პაწი, დე, გილოცავ მოგვიანებით დაბადების დღეს, მომავალი შენს ოჯახთან აღგენიშნოს. ძალიან ენატრები ყველას. ნიკოს და ნიკუშას ენატრები ძალიან. ა...ა.!!!

• მემე, „დე“, გილოცავ დაგვიანებით დედის დღეს, ვამაყობ შენით და ძალიან მაგრად მიყვარხარ. მილენა.

• ხალხო, ზედმეტი ვარ აქ? რაღაც, ასე მგონია და... ზედმეტი ვარ?

• მოვიკითხავ დიდი სიყვარულით ლაკვასტს, კლეოპატრას, ჭრიჭის, ედეს, მილეს, გრუზინკას, CRAZY-ს, ეთოს... ძალიან მიყვარხართ და მენატრებით, ჩემო სიცოცხლე ხალხო. ფლამინგო.

• ეს მგლები რაღამ გაამგელა? კუნკულა.

• დათ, დროის შეგრძნება დავკარგეხან კვირები გადის უცბად, ზოგჯერ კი მგონია, დრო გაჩერდა. ორშაბათიდან ორშაბათამდე მეორდება დაპირებები, ეჭვები... სიზმარში გნახე... მაგარი არეული და აბსურდული სიტუაცია იყო, ისეთი, როგორიც ცხოვრებაში. ანუშკამაც გნახა, წამოჯდა შუაღამისას, მამიკო მოვიდაო! ღმერთმა ქნას, კეთილად აგვიხდეს... თავს გაუფრთხილდი, შენი ჯანმრთელობა მადარდებს. ყოჩაღად რომ ხარ, მიხარია. გკოცნით, გვიყვარხარ და ტკივილამდე გვენატრები. ყივჩაღს ახალი გმირი ჰყავს — ტარზანი. :)) დღეში რამდენჯერ ატრიალებს ამ მულტფილმს, ვერ გეტყვი. ძლივს დავიყოლიე, ჯეინი იყავი-თქო...

• ვერ შეედრება სხვა გრძნობას, დედური გრძნობა ტკბილია, დამემოწმება ამაში, კაცი, ვინც გამოცდილია. დედა მზად არის რომ იხსნას, სიცოცხლის ფასად შვილია, მას ურჩევნია ქვეყანას, შვილის სახელის ჩრდილია. ხოლო შვილი კი დედისთვის, ბევრი ვერაფრის მარგია, ვერ აღუდგინოს დედასა, ამაგი დანაკარგია. დედა შვილს თავში რომ სცემდეს, სხვისა კოცნაზე კარგია, კარგია ყველა გრძნობები, დედა კი კარგზე კარგია. კუნკულა.

• ბუცა, გაიხარე შენ! :) დედაჩემს უნდა წავაკითხო შენი გზავნილი და დავანახვო, რომ მთლად ტარტაროზი არ ვარ, საყვარელი ვარ, საყვარელი! :) ატარექსია.

• შენ მართალი ხარ, ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა. მაისი გაქრა და ბაღი ჩემი გაუდაბურდა. გალაკტიონთან მოვედი. ვარდის თვეა, მაისია... სად გაგონილა კაცს ახალი სიყვარული, ძველ სიყ-

ვარულს ავიწყებდა. გალაკტიონს მესაფლავეში ასეთი ფინალი დრამატიზმისთვის სურდა. დასაბამიდან დაკანონებულს, ვერ გაექცევა ადამიანი. რაც უწერია, ის უნდა მოხდეს, მალე იქნება ან თუ გვიანი. კუნკულა.

• კაკადუ, 2-კვირიანი სირბილის მერე ძლივს მოვაგროვეთ კრედიტებით. ახლა ვსხედვართ და ყველა შენზე ვლაპარაკობთ და ველით პასუხს, სად შევტენოთ ეს ფული. ვიღაც გერჩის, მამა.

• მუკი, არ გასლოკინებს? შენზე ვლაპარაკობთ მთელი დღეები. გვენატრები და რა ვქნათ? ვინ გყავს ასეთი მტერი? რაც მოვაგვარეთ, ვიღაც მაგრად ურევს საქმეს და მერე ამატებენ. მუკი, მოიფიქრე აბა, ვინ გერჩის, ვინ ერევა? სხვა რა, აბა? რაღაც ახალ სამსახურს ველოდები, რომ ეს კრედიტები დავფაროთ. ნიკუშა და ნიაკო ისე დარდობენ, გვენატრებაო. მიკაიი.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლევ, ჯერ კიდევ არ ვიცით, რა იქნება, კიდევ ეს უსაშველო ლოდინი, ოღონდ რაც უნდა მოხდეს, იცოდე, ამით არაფერი მთავრდება. ყველაფერს ეშველება და წინ უამრავი ლამაზი დღე გვექნება ერთად, შენს ლამაზ ოჯახთან, ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვისაც თავზე მეტად უყვარხარ. ქეთი.

• კასკუ, როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენ გაგიჭირდებოდა და მე ვერ დაგეხმარებოდი, ჩემო სიცოცხლევ? გეხვეწები, თავს გაუფრთხილდი, ასე ნუ ნერვიულობ, კასკუ, ხომ იცი, ჩვენ შენით ვსუნთქავთ და ვარსებობთ, იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. უფალი დაგვიფარავს და გაგვაძლიერებს. მიყვარხარ, მენატრები, რას არ გავიღებდი, შენს ერთ ჩახუტებაში. გკოცნი ძალიან, ძალიან ბევრს, გეფერები, მოგიკითხა ყველამ, დიდი სიყვარულით, ჩვენზე არ იდარდო. შენი ქეთი.

• მინდა, ერთი ბავშვობის დროინდელი ამბავი გავიხსენო. საშინლად ვერ ვიტანდი, უფროსების რჩევა-დარიგებებს. განსაკუთრებით, ბებიასთან მქონდა სულ ჩხუბი და დავიდარაბა იმის გამო, რომ მკუხე და უმი არაფერი არ უნდა მეჭამა. არადა, დიდი სიამოვნებით მივირთმევდი მკუხე ყურძენს. მახსოვს, ერთ დღეს, რომელიღაც სერიალს ვუყურებდით. თან მაშინ უფრო მოდაში იყო სერიალები და ერთსაც კი არ ვტოვებდი. გამწარებული მივჩერებოდი ტელევიზორს და უცებ, ეროტიკულმა სცენებმა გამოანათეს, გამიფართოვდა თვალები. თვალები დახუჭეო, მითხრა ბებიამ. არ დავუჯერე. ჰოდა, მომკიდა ხელი და გამაბრძანა გარეთ. გული მომივიდა. გავდივარ და გამოვდივარ ეზოში (ვანო ჯავახიშვილივით ვნერვიულობდი, რაა). უცებ, რას ვხედავ? ბებოს 5 წიწილი მოფანდალებს. უნებურად ავირბინე ჩემი სახლის კიბე და ოთახიდან მდუღარე წყლით სავსე ჩაიდანი გამოვარბენინე და სათითაოდ, ცოცხლად დავმდუღრე წიწილები. კინაღამ მომკლა ბებიამ, მაგრამ ნახევრად მოხარშულ წიწილებს აღარაფერი ეშველა. აი ასე, როცა ბებიაზე გული მომივიდოდა, ჯავრს მის წიწილებსა და ყვავილებზე ვიყრიდი. შარდის ბუშტი ძალიან რომ შემაწუხებდა, ბებიას ქოთნის ყვავილებზე ვსაქმობდი. ყველაზე მაგარი იცით, რა იყო? ვინც არ მომწონდა, ჩემი სახლის კედელზე ცარცით მის სახელს ვაწერდი და გვერდით 2-ს ვუწერდი. აი, ასეთი მავნე და სადისტი იყო ლუნა.

• მეგობარი მყავს ისეთი, ორ მეგობარს გადაამტერებს. ჰოდა, ერთ დღესაც მე და ანი წაგვაჩხუბა — მარიმ შენზე ასე თქვა და ანიმ შენზე ასეო, ამბავი მოგვიტანა ცალ-ცალკე. მე და ანის ერთმანეთის დანახვაც აღარ გვინდოდა. ჩემი მეგობარი კი ძალიან კარგ ხასიათზე იყო. ის და ანა ხელიხელგაყრილები დადიოდნენ, ჩემსკენ თითს იშვერდნენ და დამცინოდნენ. გული დამწყდა, ასე რომ მომექცა ანა და ჩემი მეგობარი, მაგრამ რას ვიზამდი? მაინც არ მჯეროდა, ვამბობდი, ანა ამის მთქმელი არ იქნებოდა-მეთქი. შემდეგ ვცადე მასთან შერიგება და ბოდიში მოვუხადე „ჩემი სიტყვებისთვის“ (მოვატყუე). შემირიგდა. მერე ვუთხარი ჩემს მეგობარზე, შენზე ცუდს ლაპარაკობს-მეთქი. ისეთი გულუბრყვილო აღმოჩნდა, ესეც დაიჯერა. მერე მეგობარს ეჩხუბა. მას ეგონა, ანამ ყველაფერი გაიგოო. თან მეც ვახლდი თან. თქვა, მაპატიეთ, ერთნაირი ტყუილები რომ გითხარითო. თურმე ერთნაირიად მოვუტყუებივართ.

• ეს მესიჯი საერთოდ არ ეხმაურება ამ თემას, მაგრამ მინდა მოგიყვეთ. ჩემს საუკეთესო მეგობარს, იგივე ჩემს დას ჰყავს და, რომელსაც ძალიან ათამამებენ. ჩემი და ფიქრობს, რომ მის მშობლებს მისი და უფრო უყვართ. მართლაც, მის დას უფრო ანებივრებენ. ჩემს მეგობარს უნდოდა მუსიკაზე მისვლა, მაგრამ მშობლებმა იმდენი უჩიჩინეს, გადააფიქრებინეს, მისი და კი ერთი თქმით მიიყვანეს. კიდევ, ჩემი დაქალი ბევრ რამეშია მართალი, მაგრამ მისი მშობლები მის დას უჭერენ მხარს. გული მწყდება, ასე რომ იჩაგრება ჩემი და. ხანდახან კი ეფერებიან. არა, იმას არ ვამბობ, რომ მის მშობლებს ჩემი დაქალი არ უყვართ, მაგრამ აშკარად მისი დის მხარეს არიან. თუმცა, ახლა ჩემთვის აღარ შემოუჩივლია.

• სიყვარულმა ასაკი ნაღდად არ იცის,



გამიგია, 50 წლის კაცმა 19 წლის გოგო მოიყვანა, პირადად მე, 11 წლით უფროსი მეუღლე მყავს, მარა რა? მე ის მიყვარს. მართალია, ახლა გაბუტულია, მაგრამ იმედია, მალე შემირიგდება. ეგეც გამებუტა იმიტომ, რომ მე ვუჩიჩხინებდი ბევრს. ხალხო, გაუფრთხილდით სიყვარულს, მის გარეშე გაგიჭირდებათ ცხოვრება, მე ოჯახი ერთი ჰოპლა მეგონა, და დავრჩი დაჰოპლილი. აუ რა, შემირიგდეს რააა, ზურო, ძალიან გთხოვ, ნუ მტანჯავ ასე, შენი ხმა მაინც გამაგონე, მენატრება შენი ალერსიანი ხმის გაგონება. ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ. დავიჯერო, რომ მართლა დამთავრდა ყველაფერი? არ მჯერა, დამირეკე, ნუ ხარ ჯიუტი, მე ვეღარ გირეკავ შენ არ უნდა დამირეკო? ნუ იტანჯავ შენც თავს, ჩემი სახლში დაბრუნებით აღარ ინანებ, ვაიმე, არ მეგონა, თავმოყვარეობას თუ დავკარგავდი, რას მახვეწნინებ შენც კიდე, ვა, დამირეკეეეე... ზურო, ჩემი ხასიათი ახლა სულ სხვაა, მე შევიცვალე, 1 შანსი მომეცი, გთხოვ, მე ამ 1 შანსს გამოვიყენებ, ზურო დამირეკე, განკარგულება შენშია, გელოდები, მიყვარხარ, გკოცნი საძაგელო. უჰ, მარ, თითები მეტკინა, ამდენ წერით, ვაწკაპუნებ კლავიშებს და არც არაფერი, არ მირეკავს, დამეხმარე შენ მაინც. ვაიმეე... უიმეე.. ზურო, ნუ მაწვალებ ასე ვა, მაგრად მიყვარხარ და მინდა ოჯახი შევინარჩუნოთ, ან რა გჭირს? მოკლედ, მე შენ დაგელოდები რა, აგერ ტელეფონი, ერთხელ გეტყვი, რომ მიყვარხარ და დაგელოდები, თუნდაც სიკვდილამდე, მიყვარხაااااარررررრ! აბა, ჰე და აბა, ჰო, ხალხო და ჯამაათნო, ყველას გემშვიდობებით. ზურო; დაბადების დღეს გილოცავ, 25 მარტს. შენთვის რაღაცები მაქვს ნაყიდი იმ იმედით, რომ დამირეკავ და მეტყვი, ერთად ვიყოთ სამუდამოდო, მიყვარხარ. დიკი ანგელი, სოფიოოო.

• ქალბატონო ნანი, ძალიან საყვარელი ადამიანი ბრძანდებით, თქვენით უნდა იამაყოს ყველამ, იცით, მე ძალიან დაჩაგრული ვარ ცხოვრებისგან. დიკი ანგელი.

• გოგონებო, არც ასაკს და არც გარეგნობას არ უნდა მიანიჭოთ დიდი მნიშვნელობა, მთავარი სიყვარულია, დღეს მამაკაცებს სამწუხაროდ გარეგნობით ვაფასებთ და შინაგან თვისებებს ყურადღებას არ ვაქცევთ. საკუთარი გამოცდილებიდან გეტყვით, ტანჯული ცხოვრება მაქვს, ჯოჯოხეთური ბავშვობა გავიარე. 24 წლის ვარ და თავი 80 წლის მგონია. ცრემლებსა და წმებაში გავატარე ჩემი ცხოვრება. სიყვარული ეძიეთ, ნამდვილი, კაცური კაცი ეძიეთ, რომელმაც ქალისა და ოჯახის ფასი იცის. რას არ მივცემდი, მეპოვა ასეთი ადამიანი, ბედნიერება რომ მომანიჭოს.

• სიყვარულმა ასაკი მართლაც არ იცის, სიყვარული არის მთავარი ცხოვრებაში, მერე რა, თუ ის შენზე უფროსია, მთავარი გაგებაა. ჩემთვის ასაკი არაფერს ცვლის.

• ყოველი თვალის გახელისას, უშენობას ვუხელ თვალს, ყოველი კარის გაღებისას, უშენობას ვუღებ კარს... არც მე მინდა ასეთი სამყარო, მენატრები, უზომოდ მენატრები, ეს მზეც არ იშურებს ამ სხივებს ჩემთვის, უნდა რომ გამათბოს წამით, მე უარს ვეუბენები, ვერიდები, უშენოდ არ მინდა, ვერიდები, უშენოდ ერთი მზის სხივიც არ მინდა. ქვრივი.

• იცით, როგორ სიმშვიდეს ვგრძნობ, როცა აქ ვამესიჯებ? რაღაც, დადებითად ვიმუხტები, ძალიან მინდა, რო მეც თქვენი ოჯახის წევრი გავხდე. P.S. მეგრელი კანიბალკა, სად ხარ? ბუცა.

• თურმე ძალიან ძნელი ყოფილა 18 წლის გოგოსთვის სერიოზული სიყვარული. მიჭირს, მაგრამ მიყვარს, ბევრს ვიტანან მის გამო, მაგრამ როდემდე? :-(როდის მოვა სრული ბედნიერება? ბუცა.

• როგორ ხარ, მარიამულ? გეთანხმები, სიხარულო, მეც ძალიან მომეწონა „გზავნილები". მესიამოვნა მათი წაკითხვა. ნაომ, დიდი მადლობა, გამახარა შენმა სიტყვებმა... შენც ძალიან საყვარელი და ტკბილი გოგო ხარ! ვიცი, რომ ლაპარაკით საქმე არ გაკეთდება, მაგრამ ჯერ დამაცადე გათხოვება... ცეცხლზე ნუ დამსვამ. მეც მიყვარხარ! ბუცა, გაიხარე ჩემო კარგო. გკოცნი. P.S. რუისპირ, ადამიანი როცა კომპლიმენტს გეუბნება და შენ მიმართ სითბოს გამოხატავს, მე მგონი ვალდებული ხარ, რომ მადლობა გადაუხადო. „მობილი-ზაცია" კი ამის ერთადერთი საშუალებაა. ასე არ არის?

• მომენატრეთ, ბეღურებო. სიყვარულით მოვიკითხავ ფლამინგოს, ლაკვასტს, ჩემს გრუზის, ჯაყისმანელს. ჩემს თბილ ნანი ბებოს და ყველას, ვისაც ვახსოვარ. ჩაგეხუტეთ. ტირიფი73.

• გსურს, რომ შეიყვარო უფალი? შეეცადე, გონებით ჩასწვდე მის სილამაზეს ანუ მისი სრულყოფილების სისრულეს, გრძნობით შეიგრძნო მისი სიყვარულის მხურვალება და გულით დატკბე თავად, ამ სიყვარულისგან. სიყვარულის სწავლა შეუძლებელია, იგი ფარულად იბადება გულში, იდუმალი, შეუცნობელი გზით ითესება და ღვივდება ასევე შეუცნობლად, მიწაში ჩავარდნილი თესლის მსგავსად, რომელიც, მთესველმა არც კი იცის, როგორ არსებობს, როგორ იკეთებს ღეროს, იძლევა თავთავს და თავთავში მარცვალს. სიყვარულიც იდუმალ ითესება, ოღონდ მუდამ საყვარელი არსების ჩვენს გულზე მოქმედების შედეგად. გონებით მოიძიე საკუთარ გულში უფლის ნათელი ხატება. ლაკვასტი.

• ნაომს მოვიკითხავ მეც და ვეტყვი, რომ ყველაზე ძალიან ერთი თვისება მომწონს შენში, რაც ყველას როდი აქვს?! :) ლაკვასტი.

• ფლამი, ქ-ნო ნანი, ნაომ, გრუზი, ედე, კლეოპატრა, ეთო, ტირიფი73, ლუნა, ულიბკა, ფიფქია, ქაჯების დედოფალო, კუტრი, გადარეულო, 9717 (მაპატიეთ, თუ ვინმე გამომრჩა), მოგიკითხათ ლაკვასტმა.

• სიყვარული უფალში ეძებე, მიუახლოვდი მას, უფალი მოწყალეა და მადლს აუცილებლად იგრძნობ. ლაკვასტი.

• ქვრივს: ძალიან გთხოვ, მასე ნუ საუბრობ, არავინ ვიცით, რატომ გვივლენს უფალი ამა თუ იმ განსაცდელს, იქნებ ამით სურს, რომ შენ მასთან ახლოს მიხვიდე, შენ კი?! ლაკვასტი.

• მოღრუბლული ამინდი იდგა და აშკარა იყო, წინა დღეების მსგავსად, ადრე თუ გვიან, თავსხმა წამოვიდოდა. იაკობი ანუ იობი, როგორც მას ეძახდნენ მაგიდასთან იჯდა, კედელთან ჩარიგებულ სკამებზე ქალბატონმა ფეფანომ მესამედ მოიცვალა ადგილი. წარღვნაა, წარღვნა, იძახდა იგი, გაბიას მოწაფეს, უსურს უწინასწარმეტყველებია, წარღვნის ნიშნები მალე გამოჩნდებაო. იობი შიგადაშიგ წიგნს კითხულობდა, მობილურზე მიერთებული ყურთსასმენით რადიოგადაცემას უსმენდა და ქალბატონ ფეფანოსაც არ აკლებდა ყურადღებას. ქალბატონი ფეფანო საკმაოდ ხანდაზმული გახლდათ, ხშირად ერთი და იმავე ამბავს თავიდან იხსენებდა. ენთუზიაზმით წამოიწყებდა საუბარს, მერე უცებ ჩათვლემდა, იქვე შეფხიზლდებოდა და ისევ თავიდან დაიწყებდა. საჯარო სკოლასთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში დედები ბავშვების წასაყვანად გარკვეულ დროს, საღამოს 7 საათიდან ჯგუფ-ჯგუფად იწყებდნენ შემოსვლას. ძირითადად, ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ასაკოვნებიც არანაკლებ აქტიურობდნენ... შემოტკეცილი შარვლები ეცვათ, გამომწვევი, თეძოებსა და დუნდულებზე მორგებულ-მომჯდარი. საიდუმლო ხაზებით, ნაკვთებით და მოკლედ, უკანალების პარადს მოჰგავდა. იაკობს მართალია, ხანში შესული კაცი ეთქმოდა, მაგრამ გულის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, თუმც, ცნობისმოყვარეობას ნაკლებად გამოხატავდა. ჰოდა, იმ დღეს, შეფხიზლებულმა ფეფანომ თავისებურად რომ წამოიწყო, წარღვნა მოდის, წარღვნაო, კითხვით გართულმა დარჯმა თავი წამოსწია, უკანალების პარადს თვალი გააყოლა და ამოხვრით დაუდასტურა: კი, სწორედაც, წარღვნაა, აბა რა!

• მოძრაობს, იბრძვის ღამით და დღისით, რაც ცოცხალია, რაც ახალია, არის სიცოცხლის ნაწილი ისიც, რომ ყველაფერი წარმავალია, მთვარეც რომ ბრუნავს, მტვერი ტრამალზე, ტალღებზე მიჯრილს. სხივებს გატყორცხნილს ცაში დაშნებად, ისარს, რომელიც პირდაპირ მიქრის და არ აპირებს დაბლა დაშვებას! მას გაუმარჯოს, გრძნობა სიმძაფრის, მომავალს უთმობს გზას გარდასული და გულუბრყვილო სიცოცხლის ზღაპარს არა აქვს ბოლო და დასასრული. ლაკვასტი.

• მაშ, შთაგონება ახლის შენებას, ადიდე შრომა ალალმართალი, ძველზე ლამაზი შეჰქმენ მშვენება, წიგნიც, რუსთველის წიგნის მდაბალი. ადიდე მძლავრი ზვირთების ზათქი, ცეცხლის გიზგიზი ღამით და დღისით და ხელთუქმნელი ძეგლები დადგი, შენი დროის და სახელის ღირსი... ლაკვასტი.

• აუ, კაჭკაჭის სმს მენატრება „გზაში" დაბრუნდი, رااااا. გაკოცა ლაკვასტმა.

• ჩემს მზეს გრძელი დღე თუ არ ექნება, შენ გქონდეს ფრთები, ჩემო ქართულო! ვაშა, სასწორზე ბედის შეგდებას, ოღონდ სამშობლოს სასიქადულოდ! ვაშა, სიკვდილზე ხმამაღლა მისვლას, ქვეყნის და ხალხის სასიქადულოდ! ლაკვასტი.

• რასაც იტაცებს, რაც აღმა მიდის, რაც განუხრელად მაღლა ისწრაფვის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს უსწორებს დარტყმას და სიკვდილს! რწმენით თრობას და დაუმცხრალ დუღილს! როცა ძარღვებში ცეცხლი ჩაღდება, როდესაც ვაუკაცს არაფრად უღირს, საკუთარ თავზე ხელის აღება! შუქს გაუმარჯოს, არ იქცეს ნისლად, შუქს გაუმარჯოს, სულ რომ მატულობს!

• არ ვიცი რატომ, მაგრამ წერა მინდა, მინდა დავწერო ძალიან ბევრი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ის მენატრება, ყოველთვის მახსოვს მისი სახელი. არ ვიცი, რატომ, მინდა ვიცეკვო, მინდა ვიცეკვო თავდავიწყებით, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე მინდა, ვიცეკვო, ოღონდ მისი თანდასწრებით. არ ვიცი, რატომ, ძალიან მინდა ვიმღერო, ძალიან ბევრი ვიმღერო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე მინდა ყველას ვალი რომ გადავუხადო, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ასეთი საიდანა ვარ, თვითონაც მიკვირს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ზოგიერთს ვუსურვებდი საშინელ სიკვდილს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ხანდახან რატომღაც საკუთარი თავისაც მიკვირს, არ ვიცი რატომ... მაგრამ მე მინდა, თავდავიწყებით მივეცე სიცილს. :) ნაომი.

• მარი, ამ ბოლო დროს ძალიან მგრძნობიარე, გულჩვილი და მტირალაც კი გავხდი... ლექსი დავწერე, მარ... ლექსს დავარქვი „არ ვიცი, რატომ“. ხომ დამიბეჭდავ, მარ? ნაომი.

• გაკაპასებულმა ქალმა აცრემლებული, გამხდარი ბიჭი დარაჯთან მოიყვანა და ულტიმატუმის ენით უთხრა, თქვენთან უნდა დავტოვოო. კი ბატონოო, ჩვეულებისამებრ, ღიმილით მიუგო კაცმა, მერე ბიჭს დაუყვავა, დამშვიდდი, შენისთანა ვაუკაცს ტირილი სულაც არ უხდებაო. ბიჭმა იმედიანი მზერა მიაპყრო. წამოიკვნესა. პედაგოგმა დაუნდობლად დასძახა: გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი, ხმა არ გაიღოო. სკამზე ძალით დასვა, — ხომ ხედავ, მამაშენი იგვიანებს, იჯექი აქ და არ გაინძრე! — ბავშვი უფრო შეშინდა, ცდილობდა, ტირილი შეეკავებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა, მის მკერდში გულს თითქოსდა ბაგაბუგი გაჰქონდა. დარაჯი მის დამშვიდებას შეეცადა, მაგრამ პედაგოგი ისევ დააცხრა. — ნუ ტირი, მოვა მამაშენი და მერე რამდენიც გენებოს, იღრიალე!.. დათრგუნვილი ბიჭი ცრემლების შემშრალებას ვერ ახერხებდა. მოლამაზო სახის, მსხვილკისერა და მსხვილთეძო-ბარძაყოვანი ქალბატონი კი არ ცხრებოდა. დერეფანში შემორჩენილი პატარები ცნობისმოყვარედ იცქირებოდნენ. შორიახლო, თავისთვის მოსაუბრე მასწავლებლები ამ ამბისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ. დარაჯი თავისას ცდილობდა, მაგრამ გაანჩხლებული ქალის ყვირილში ყმაწვილის დამშვიდება არ ხერხდებოდა. — თქვენ წაბრძანდით, დარჩეს ჩემთან, მივხედავ, მოვა მამამისი და ჩავაბარებ, — დელიკატურად შეეცადა ბავშვის გამოხსნას დარაჯი, მაგრამ ბავშვმა კვლავ წამოიტირა და ქალმაც უმალვე დაჰყვირა — გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი! — ჩამოგრძელებული, ვარდისფერი ყურის ბიბილოები უცნაურად შეუთამაშდა. — ასეთ მშვენიერ ქალბატონს, ასე გაცხარება სულაც არ გიხდებათ, — მიაგება მან. ქალი შეყოვნდა, წამით იჭვნეულად შეაჩერდა და მერე, თითქოს მის გულწრფელობაში დარწმუნდაო, გაუღიმა. — მომკლა ამათმა ჭირვეულობამ, წინ და უკან უნდა სდიო, მშობელი კი წესიერ მადლობასაც არ გეტყვის, — ქალბატონო, ესენი განსაკუთებული თაობაა, უმეტესობა ინდიგო ბავშვები არიან, — ვიინ?! აიმრიზა ქალი. დარაჯი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, მაგრამ უკან დახევაც არ ივარგებდა. — მაგათ, ასევე, ახალი ცნობიერების ადამიანებს, ათასწლეულის ბავშვებს, ზეციურ მოციქულებს, იისფერი რასის წარმომადგენლებს ეძახიან. იმისი თქმა მინდა, რომ განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევიან. მერე, ესაა ნიჭიერი, ეს ბატი, ესა, ჩემი სახელი ვერა და ვერ დაიმახსოვრა?! — ქილიკის საბაბი მიეცა ქალს. — კლარა ლათინურად ნიშნავდა ნათელს, — მინიშნებებით ჩაიჩურჩულა ბიჭმა. კაცმა ძლივს შეიკავა სიცილი. მსხვილკისერამ ბავშვის ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ რაღაც იეჭვა. — თქვენ ნუ მოცდებით ქალბატონო, მგონი, სხვა ბავშვები გელოდებიან, — კვლავ თავისებურად გამოესარჩლა დაშინებულ ყმაწვილს დარაჯი. — აბა რა, იქ კიდევ მყვანან ეგეთი ბატები, — ქალი როგორც იქნა, გაეცალა იქაურობას. ბიჭმა წამოისლოკინა და ოდნავ დამშვიდდა. — შენ მართლაც ნიჭიერი ხარ, უბრალოდ, ვერ გიგებენ, მაგრად დადექი, შენი დროც მოვა, — გაამხნევა მოსარჩლემ. — ვიცი, თქვა ბიჭმა. თითქოს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა. ინგრამა? არაა გონივრული აზრის მქონე ჩანაწერი. ეს უბრალოდ, ჩანაწერების სერიაა, იმ ტიპის ანაბეჭდებისა, რომელიც ისეთივეა, როგორც ნემსის ცვილზე გასმისას დატოვებული კვალი. ამ ანაბეჭდებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სხეულისთვის, ჩართვის მომენტამდე, სანამ არ აღმოცენდება აბერაცია და ფსიქოსომატური დაავადებები, გაახსენდა კაცს კარგა ხნის წინათ წაკითხული, რონ ხაბარდის შეგონება და ფიქრი მექანიკურად გააგრძელა: ზოგჯერ არაერთაზროვანი რეპუტაციის მქონე მოძღვრებაც დროულად შეგახსენებს თავს. — ახალ სიხშირეზე გადასვლა ჩვენს პედაგოგებსაც რომ შეეძლოთ, ნაკლები თავსატეხი გაგიჩნდებოდა — ნიშნის მოგებით უთხრა პატარას, — კომპიუტერი ხომ გიყვარს? — ღიმილით ჰკითხა მერე. ბავშვმა ხალისიანად დაუქნია თავი. — ოღონდ კერპად ნუ გაიხდი, შენმა თაობამ აზროვნების უნარი უნდა გაიღრმავოს, მახვილი ინტუიცია კი დაგებედათ, მაგრამ მთლად მზამზარეულად კი არ მოვა ყველაფერი, — ურჩია და უნებლიეთ იგრძნო, ნამეტნავად გაუტია. მეორეკლასელია, რაებს ვეუბნები, უცებ თითქოს ლურჯი ფერის აურა გაუკრთა თვალწინ. — ჰო, მესმის, — თითქოს დაამშვიდა ბავშვმა. ამ დროს მამამისიც შემოვიდა, ცხვირბასრი და თვალებკაუჭა კაცი. ბრაზიანად შეაცქერდა შვილს. — არ გინდა, — ურჩია დარაჯმა, — ისედაც დაშინებულია. — ჰო, დილით გამაბრაზა და ვუთხარი, უკან არ წაგიყვან-მეთქი, თითქოს თავი მოიწონა მან. — ჰოდა, შენი წილი, მასწავლებლისგან ამას ერგო, ნიჭიერებს ხშირად ვერ უგებენ, თუ კაცი ხარ, თავიდან არ აატირო, ცოდოა, შენ უნდა შეეშველო, ვითარებაში გაერკვეს, — გამაფრთხილებლად უთხრა. მან თვალი აარიდა. იფიქრა, ეს კაცი მთლად დარაჯს არ ჰგავსო, წამომდგარ ბავშვს ხელი მორჩილად შეახო მხართან; მიანიშნა, წავიდეთო. გამხნევებული ბავშვი თავისიანად შეგულებულს კეთილად უღიმოდა, მერე მამას ხალისიანად გაჰყვა. დარაჯი ისევ მოძალებულ ფიქრს დაუდარაჯა: იმ ინგრამებით ამ ვაუბატონს და მსხვილკისერას გვარიანად აქვთ დასერილი ტვინის დუნდულები... ბავშვობიდან გაავებული თაობა, ზეციურ მოციქულებსაც ებრძვის...

• წუხელ შორი გზიდან სახლში ვბრუნდებოდი. ვაგლახ, ათასგვარი ფიქრით თავს ვერ ვიცავ. არავინ მელოდა, არსად არ ვჩქარობდი, ძალზე დაღლილი და სევდით სავსე ვიყავ. რაღაც მაწუხებდა, რაღაცას ვდარდობდი, თითქოს ჩემს ცხოვრებას რაღაც აზრი აკლდა, ჩემზე მეუფობდა ვერა ვმძლავრობდი, იმ შინაგან ხმას, მე რომ თან მახლდა. ნეტავ, რა უნდოდა, ნეტავ, რად ბრაზობდა? სანამ მორჩად ვიყავ, ხმასაც არ იღებდა... მგზავრო, მომისმინე, შენი ძმა გზა ვარ, ფეხქვეშ რომ გეგები, აღმართ და დაღმართ. იქნებ, უსახური მე იმ გზას ვგავარ, ცეცხლოვან შანთებს რომ უმზადებს წარმართთ. იქნებ მაცდური ვარ, ღვთისგან განდგომილი, თვით არაფრისმქონე სხვასაც ბევრს ვპირდები. ოცნებებით სავსე ჩემზედ დაყრდნობილი. ვარდის კოკორს ნატრობ ეკალს ერიდები. მგზავრო არ აჩქარდე, უკან მოიხედე, იქნებ აღმართს ასცდი, დაღმართს ჩაგივლია. წამით ჩაფიქრდი და გულში ჩაიხედე. ნეტავ სად იარე, ან და რად გივლია?! საიდან მოდიხარ, ვინა ხარ, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო, რომელმაც ნახნევრა ღიტარბა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

ჯანმრთელობის სამინისტრო აფრთხილებდა

ხარ? ჩემი გზის ბილიკებს ასე რად ენდობი? შენც ალბათ იმ ცოდვილ მოდგმიდან ჩანხარ. ღმერთს რომ ვერ ენდობა, მე კი გაგენდობი. კაცი სტუმარია მგზავრი წუთისოფლის და განკითხვის დღისგან ვერვინ გადარჩება. ღმერთი მოწყურეა, მართალთ დაღვრილ ოფლის, ბნელში დაბურულიც ნათელ კვალად რჩება. მაშ დაგლოცავ მგზავრო, ბევრს ვერ შეგპირდები. მე ყველა ძმის სული ღვთისთვის მიმინდია. თვალს ნუ აგიჭრელებს ის ფერადი გზები. წყალში რომ დგანან და ფერფლად რომ იწვიან, წუხელ შორი გზიდან სახლში ვბრუნდებოდი. ნეტავ სად ვიყავი? ან და სად მივდივარ? ჩანდა ძმის სიტყვებში მტკიცედ ვრწმუნდებოდი, რომ მე ამქვეყნისთვის მხოლოდ გზავნილი ვარ. P.S. მარ, ეს ლექსი მამაოს კალამს ეკუთვნის. ძალიან მიყვარს. თან შიგ (თუმც სხვა მნიშვნელობით) ჩემთვის საყვარელი სიტყვები, გზა და გზავნილია ნახსენები. უბრალოდ, მგზავნელი.

• მარ, სიხარულო, ვთქვი, დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ თავისუფალი დრო იმდენად მწირი მაქვს, რომ არა თუ მოწერა, არამედ „გზის“ ყიდვაც ვერ შევძელი. ძალიან მიყვარხართ! უბრალოდ მგზავნელი.

• ჩემმა დაქალმა დიდი შეცდომა დაუშვა — ბიჭს აკოცა ტუჩებში და ახლა ის ბიჭი ემუქრება, შენს ძმას ვეტყვი, თუ კიდევ არ გაიმეორებო... მაკა ძალიან მეცოდება.

• ვარ 14 წლის, მყავს ლოვე, რომელიც ძალიან მიყვარს და მინდა, რომ მაკოცოს, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე და მოვექცე? მირჩიეთ, გთხოვთ. ლიზი.

• მინდა, ვااااა... :-) მინდა, ყველა ჩემსავით ბედნიერი იყოს, მადლობა ბუცა, ლამაზი დღეებისთვის... ბუცა.

• მიყვარს უზომოდ და მადლობელი ვარ, რომ ის ჩემია, მინდა, ღვთის წყალობით ეს სამუდამოდ გაგრძელდეს.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

მართლა ბედნიერი ვარ და მადლობა, რომ არსებობ. ბუცა.

• ძალიან მინდა, რუისპირი გავიცნო. მაგარი აზროვნება აქვს. თათიკო.

• მარიკუნა, თავიდანვე ხათრი ხათაბალად არ უნდა გექცია, ახლა ვინც წერს, ყველას ჰგონია, მისი გზავნილი კაია, მარა ხომ იცი, შუამავალი უფრო იჭყლიტება ყოველთვის. გრუზინკა.

• ერთ მოზიმზიმე ქალაქში მოუსვენრად დაცუხცუხებდა მთასავით კაცი. დიახ, მისი გარეგნობისთვის შეუფერებელი, ამგვარი სიარული სჩვეოდა. როგორც თავად იკვეხნიდა, სხვის საქმეში და პოლიტიკაშიც არ ერეოდა. ჩაურევლობის ალიბი მის ფსიქიკას ლამის ჯავშანივით ერტყა. დაცუხცუხობდა სახლიდან სამსახურში, სამსახურიდან ბაზარსა და მაღაზიებში, ბრუნდებოდა საქარავნო აქლემივით დატვირთული და არც შინ ჰქონდა მოსვენება. პოლიტიკურად აჟიტირებული ცოლი ტვინს უბურღავდა. წელს აუცილებლად წავალ მთაში, დავჯდები ჩვენი ძველისძველი სახლის საფეხურზე, ისე, როგორც ბავშვობაში, შევაცქერდები ცას და ავღიღინდები, იქადდა გულუბრყვილოდ, მაგრამ მის თანამეცხედრეს ზღვისკენ, უფრო სწორად, ნაქები კურორტებისკენ მიუწევდა გული. ვითარებათა გამო, ამას ვერ ახერხებდა და ქალიშვილებთან ერთად ზღვისპირეთში მცხოვრებ, შორეულ ნათესავს მიაშურებდა. ქმარსაც ჩვეულებისამებრ, გაიყოლიებდა. მთასავით კაცი იქაც ბაზარსა და მაღაზიებში დაცუხცუხებდა. ზღვასაც ესტუმრებოდა ცოტა ხნით, მაგრამ ისევ სოფლურ იდილიაზე ოცნებობდა. ერთხელ, ბედად, შორეულ ნათესავს გადაეყარა. რესტორანში დაპატიჟა. მესამე ჭიქაზე გულაჩუყებულ თანამესუფრეს ბალღობა მოაგონა, მეცხრე ჭიქაზე ცოლთან დაარეკვინა, რაღაც აბდაუბდა ათქმევინა, მერე მანქანაში ჩაისვა და მშობლიური სოფლის მოსანახულებლად გაიტყუა. აცუნდრუკდა მთასავით კაცი, ენად გაიკრიფა, აღიღინდა და აყვირდა. ისე, როგორც ბავშვობაში ექოს მიყურადებით ერთობოდა. ალიონისას ნივამ აღმართი აათავა. მძღოლმა მანქანა წყაროსთან შეაჩერა. სტუმარმა ნაცნობ სანახებს ჰკიდა თვალი, მანქანიდან გადავიდა, სუფთა ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. მერე ფეხსაცმელები წაიძრო, შარვლის ტოტები აიკაპიწა, შეაბიჯა გზისპირა, ცვრიან ბალახში, მთებშუა ამოცურებულ მზეს შეაცქერდა; აღარც ახსოვდა, თუ ოდესმე ენახა მსგავსი სილამაზე; გაიტრუნა, ფეხისგულზე სასიამოვნოდ შეუღუტუნა ცვარმა, აამსუბუქა, ააბუმბულა და ვეებერთელა ქალაქსა და ზღვასთან თავისებურად შეთამამებული მთასავით კაცი გულგახეთქილი დაეცა.



გილოცავ!

• თუ არ ვცდები, 16 მარტს ჩვენი უსაყვარლესი ქალბატონის, ნანი დუმბაძის იუბილეა. გილოცავ ნანი ბებო, გაიხარე, ჩემო სიამაყევ, უფალი გფარავდეს. ძალიან მიყვარხარ. ფლამინგო.

• მამუკა გრძელიძე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წარმატებას, სწავლასა და პირად ცხოვრებაში. გკოცნით, ირმა და მანანა.

• ლევანი ნაროუშვილი, მედიკო და დაიკო, ნინო კომახიანი დაბადების დღეს ულოცავენ ირაკლი კომახიანს, 26 მარტს. უსურვებენ ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას. ფოთი.

• ირაკლი კომახიანს ფოთში დაბადების დღეს ულოცავენ 26 მარტს, ოზურგეთიდან, ბიძია, გელა ქურდიანი უსურვებს ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას. იყავი ტკბილად და ბედნიერად.

• ჩემს უსაყვარლეს და მონატრებულ დაიკოს, თბილისში ერთ-ერთ ულამაზეს ქალბატონს, ციური ლიპარტელიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 მარტს, სულ ჯანმრთელად და კარგად გვყავდი, დაიკო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაიმ-აუტი

ციხიდან გაქცევის ორიგინალური მეთოდები

1755 წელი – კაზანოვა გაქრა

ქალების გულთამპყრობელს — ჯაკომო კაზანოვას ერთ-ერთ საყვარელთან შეუსწრეს და რქებდადგმული ქმრის ხელშეწყობით ვენეციის პიომბის „ტყვიის“ ციხეში ჩასვეს. ციხეს ასეთი სახელი იმის გამო შეერქვა, რომ მისი კედლები და სახურავი ამავე ლითონით იყო დაფარული. კაზანოვა საკნის კუთხეში რამდენიმე თვის მანძილზე ხრიდა გვირაბს და ბოლოს, თანამესაკნე ბერის თანხლებით ციხიდან გაქცევა შეძლო. ეს შემთხვევა კაზანოვამ თავის წიგნშიც აღწერა.



1864 წელი – როუზის გვირაბი

აშშ-ში, სამოქალაქო ომის დროს პოლკოვნიკი თომას როუზი 1200 თანამებრძოლთან ერთად დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. პოლკოვნიკმა მეგობრებთან ერთად, ჯიბის დანებისა და ხის ფირფიტების გამოყენებით, რამდენიმე თვეში 15-მეტრიანი გვირაბის გათხრა მოახერხა. სამშვიდობოს გასული როუზი გვირაბით ისევ ციხეში დაბრუნდა და მეგობრებიც — სულ 93 ოფიცერი — გაათავისუფლა. ამ ფაქტს „ექსტრაორდინარული აფერა“ უწოდეს.

1933-1939 წლები – პაპილონი

ყაჩაღ ანრი შანრიერს 1931 წელს სენტ-ლაურენტ-დიუ-მარონის ციხეში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 2 წლის შემდეგ პატიმარი გაიქცა და თავი კოლუმბიის ერთ-ერთ სოფელს შეაფარა. ცოტა ხანში კვლავ შეიპყრეს და 1934 წელს ისევ გაქცევით უშველა თავს. ამჯერად მარგალიტის მაძიებლების სოფელს შეაფარა თავი და ცოტა ხანს ქალებთან ნებივრობით იქცევდა თავს. დაჭერის შემდეგ იგი კუნძულ წმინდა იოსების ციხეში გამოამწყვდიეს, საიდანაც 5-ჯერ სცადა გაქცევა. ბოლოს თავს ყველას შეშლილად აჩვენებდა, ამიტომ სამკურნალოდ საგიჟეთში გადაიყვანეს. გაქცევა იქიდანაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ჰოლივუდში შანრიერზე ფილმი გადაიღეს. ჟურნალისტებმა მას პაპილონი შეარქვეს: კოკერსპანიელის ჯიშის ეს თავისუფლებისმოყვარე ჯუჯა ძაღლი დახურულ სივრცეში ყოფნას ვერ იტანს.

1962 წელი – დამხრჩვალი ტრიო

ალკატრასის ციხეში განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები ჰყავდათ გამომწყვდეული. პატიმრები — მორისი, კლარენსი და ანგლინი სავენტილაციო შახტამდე მისაღწევ გვირაბს მაკრატლითა და კოვზებით თხრიდნენ. ციხიდან თავის დაღწევის შემდეგ, დინებას ძველი საწვიმრებისგან შეკერილი გასაბერი ნავით გაუყვნენ. ვერც ცოცხალ პატიმრებს და ვერც მათ გვამებს ვერავინ მიაგნო. დროთა განმავლობაში კი ისინი დამხრჩვალებად გამოაცხადეს.

1965 წელი – რონი ბიგსის ორმაგი ტრიუმფი

ყაჩაღმა რონალდ ბიგსმა ორჯერ გაითქვა სახელი. ერთხელ, როცა გლაზგო-ლონდონის საფოსტო მატარებელი გაქურდა და მეორედ, როდესაც ვანდსვორდის ციხიდან გაიქცა (იქ 15 თვე დაჰყო). ნაქურდალმა ბიგსის ქონება 3 მლნ დოლარით გაზარდა. ციხიდან გაქცეულმა ყაჩაღმა თავი ჯერ საფრანგეთს, შემდეგ ავსტრალიასა და ბრაზილიას შეაფარა. საფრანგეთში პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ბრაზილიაში გატარებული 35 წლის შემდეგ ბრიტანელ სამართალდამცავებს ჩაჰბარდა.

1975 წელი – თავისუფლებისმოყვარე ამერიკელი

1970 წელს 22 წლის ბილი ჰეისი ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის თურქეთის პოლიციამ შეიპყრო და 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. საგმლიკარის ციხეში გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ იგი ერთ-ერთი კუნძულის ციხეში უნდა გადაეყვანათ, მაგრამ ბილიმ გაქცევით უშველა თავს. მამის გამოგზავნილი 2 ათასი დოლარი ფოტოალბომში დამალა, მეთვალყურეს უნიფორმა მოჰპარა და ღამით ნავით მატერიკისკენ გაცურა. შემდეგ, საბერძნეთის საზღვრამდე ფეხით გაიარა, იქიდან კი სამშობლოში დაბრუნდა.

2001-2007 წლები – მაშველი ვერტმფრენი

2001 წელს პასკალ პაიეტი მკვლელობისთვის დააპატიმრეს, 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს და საფრანგეთის ქალაქ ლუნესის ციხეში გადაიყვანეს. იქიდან პასკალი ვერტმფრენის საშუალებით გაიქცა და ცოტა ხანში თავისი მეგობრებიც ამგვარად დაიხსნა. 2007 წელს პაიეტი კვლავ დააპატიმრეს და გრასის განსაკუთრებულად დაცულ ციხეში გადაიყვანეს. გაქცევა იქიდანაც ვერტმფრენით შეძლო.

საფრანგეთში ბოლო 20 წლის მანძილზე ციხიდან გასაქცევად ვერტმფრენი 10-მა პატიმარმა გამოიყენა.

სამდღიანი პატიმრობა

ახლახან სკოტლანდ-იარდის პოლიციამ 39 წლის ფრანგი ჯულიან შატორდი დაიჭირა და 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მას რამდენიმე სახლის გადაწვა ედებოდა ბრალად, მაგრამ ციხეში გატარებული 3 დღის შემდეგ პატიმარმა გაქცევა მოახერხა. იგი იმ მანქანის ძირს მოეჭიდა, რომლითაც პატიმრები გადაჰყავდათ და ციხეს თავი ამგვარად დააღწია. ■

ოქროს კერძები და სასმელები

✖ შოტლანდიელმა დომენიკო კროლამ ოქროს პიცა გამოაცხო. ჩვეულებრივი ინგრედიენტების გარდა კერძს კონიაკში ჩაბასტურმებული ომარის ნაჭრები, ხიზილალა და 24-კარატიანი ოქროს ფანტელი ამშვენებდა. პიცა 4.200 დოლარად გაიყიდა. მზარეულმა თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაურიცხა.

✖ ამერიკაში 24-კარატიანი ოქროს მტვერშერეული ღვინის ერთი ბოთლი 2500 დოლარი ღირს.

✖ 1.000 დოლარად დააგემოვნებთ ოქროს ფურცლებით გაფორმებულ ფუნთუშას.

✖ ცნობილმა იტალიელმა მზარეულმა — ლორა სანტინიმ რესტორნის გლამურულ კლიენტებს საშობაოდ შემწვარი ქათამი ოქროს ფურცლებითა და ოქროს მტვრის სოუსით მიართვა.

✖ ფილიპინელმა მზარეულმა გურმანებს ოქროს 5 ცალ სუშიში 2.750 დოლარი გადაახდევინა.

✖ იტალიის მდიდრულ კაფეში ოქროს მტვრითა და დარიჩინით შეზავებულ კაპუჩინოს მოგართმევენ. ერთი ფინჯანი ყავა 250 ევრო ღირს.

✖ ნიუ-იორკის ერთ-ერთ კაფეში, 25 ათას დოლარად დააგემოვნებთ მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო დესერტს: ნაყინს 5,7 გრამი 23-კარატიანი ოქრო აქვს შერეული და ოქროთი დაფერილი შოკოლადის კანფეტები მოჰყვება (მხოლოდ ნაყინი და კანფეტები 2.600 დოლარი ღირს). დესერტს ოქროთი მოვარაყებული ბროლის ფუჟერითა და ალმასისთვლიანი კოვზით მოგართმევენ. სურვილისამებრ, ტკბილეულის დაგემოვნების შემდეგ, ჭურჭელი შეგიძლიათ შინ წაიღოთ. ■

ოქვენთვის და ოქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ტომი №56

ნოდარ წულეისკირი

თუთარჩელა

წიგნის ფასი 3 ლარი!

24-დან - 31 მარტამდე!

წაიკითხე წიგნები-უკეთესად იქნები!

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№1 გურამ დოჩანაშვილი
№2 ფიროსმანი ალეკო ცეტვერაძე
№3 ლონგინ ფრეშეანუ
№4 ილია ჭავჭავაძე
№5 ბერნარ რიჩარდსონი
№6 ბალზაკი
№7 რენუკა ჯიბლაძე
№8 ალალა ნინიძე
№9 გურამ ფანეულიანი
№10 ფლაუბერი ალბერ კამიუ
№11 ოლივერ ოლიანერი
№12 ბორხესი ბორხესი (ნაწილი I)
№13 ბორხესი ბორხესი (ნაწილი II)
№14 ალბერ სალესკაინი
№15 ნიკო ლორკიძეულანი
№16 ბერნარდ შოუ
№17 ლუკან ბერეტა
№18 პაპ ფოლოლიანი
№19 ბაკურ ბარბერეი
№20 ისაბელ ალიენდე
№21 ჩარლზ ბუკოვსკი
№22 ნიკო ლეფერეანი
№23 ბერნარ ფენელონიდან
№24 ალბერტ ბაბალეანერეა (ალბერ I)
№25 ალბერტ ბაბალეანერეა (ალბერ II)
№26 ალბერტ ბაბალეანერეა (ალბერ III)
№27 ეფერეანი ბერეანელი
№28 ლაბანელი ალბერ ბაბალეანერეა
№29 ფრანკ ოლანერეანელი
№30 ალექსანდრა ბაზაკიძე
№31 ნენეზარ ბაბალეანერეა
№32 ფაბიანელ (ალბერ ალბერ ბაბალეანერეა)
№33 ფლორა ბაბალეანერეა
№34 ბალზაკ ბერეანელი
№35 ალბერ ბაბალეანერეა
№36 ფლორა ბაბალეანერეა (ნაწილი I)
№37 ფლორა ბაბალეანერეა (ნაწილი II)
№38 ბაბალეანერეა ალბერ
№39 ალბერ ბაბალეანერეა
№40 ბალზაკ ბერეანელი
№41 ბალზაკ ბერეანელი
№42 ბალზაკ ბაბალეანერეა
№43 ბალზაკ ბერეანელი
№44 ალბერ ბაბალეანერეა (ნაწილი I)
№45 ალბერ ბაბალეანერეა (ნაწილი II)
№46 ალბერ ბაბალეანერეა (ნაწილი III)
№47 ბალზაკ ბერეანელი
№48 ეფენტაკ ბერეანელი
№49 ალბერ ბაბალეანერეა (ნაწილი I)
№50 ალბერ ბაბალეანერეა (ნაწილი II)
№51 ალბერ ბაბალეანერეა
№52 ბალზაკ ბერეანელი
№53 ალბერ ბაბალეანერეა
№54 ანტონ ბერეანელი
№55 ალბერ ბაბალეანერეა

გამოიწერეთ „გზა" და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ელვა.ჯი" ტელ: 38 26 73; 38 26 74

ვის მოჰპარა კასპელმა ზაურამ „ოსური ზღაპრები“

„მინდა, ტომ სოიერისნაირი მეგობარი მყავდეს“



„ბავშვობაში ხშირად რაჭაში მამიდაშვილებთან ერთად ვისვენებდი, ისინი სულ წიგნებს კითხულობდნენ. მე კითხვა დიდად არ მიყვარდა, ცულლუტი ბავშვი ვიყავი და წიგნთან საათობით ჯდომას, თამაში მერჩივნა“, — მითხრა „კომედი-შოუს“ მსახიობმა ვახო ბიჭიკაშვილმა. მას თურმე მამიდაშვილები დასცინოდნენ, — რომ გავიზრდებით, განათლებულები ვიქნებით, შენ კი — უწიგნური, არაფერი გეცოდინებაო; ამაზე ბრაზდებოდა და მართლა მათი დასაცინი რომ არ გამხდარიყო, წიგნების კითხვა დაიწყო. ყველაზე მეტად რომანები უყვარს. მისი საყვარელი ავტორები — ბერტოლტ ბრეხტი და ბერნარდ შოუ არიან.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ვახო, მამიდაშვილები ახლა რას გეუბნებიან?

— ახლა აღარ დამცინიან. ისინი განათლებული ადამიანები არიან, ცოტა რამ მეც ვისწავლე. მიყვარს პოეზია, ზეპირად არაერთი ლექსი ვიცი, განსაკუთრებით „ყივჩაღის პაემანი“ მომწონს.

— გაიხსენე პირველი ნაწარმოები, რომელმაც შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა...

— „ოკეანეში დაკარგულები“ და „80000 კილომეტრი წყალქვეშ“. ამ წიგნებმა ჩემს ფანტაზიას ფრთები შეასხა. როცა მათ ვკითხულობდი, თავს ნაწარმოების ერთ-ერთ გმირად აღვიქვამდი.

— კარგი მეხსიერება გაქვს?

— არა, ამით ნამდვილად არ გამოვირჩევი, სკეტჩის დადგმის დროს, ტექსტის დაზეპირებაზე ბევრს ვვარჯიშობ.

— რომელ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— ტომ სოიერთან. ცელქი, მხიარული ადამიანია.

— თავად თუ ჰგავხარ ტომ სოიერს?

— არა.

— აბა, როგორი ხარ?

— „კომედი-შოუს“ მსახიობი ვარ.

— მაინც?

— კასპელი ზაურა (*იცინის*). მინდა, ტომ სოიერისნაირი მეგობარი მყავდეს, რაღაცებში მივბაძავდი. დამეხმარებოდა, რომ მისნაირი ვყოფილიყავი.

— წიგნი მოგიპარავს?

— ჩემი მეზობელი სხვა ბინაში გადადიოდა, სახლი რომ დაცალეს, წიგნები ეზოში ეწყო და „ოსური ზღაპრები“ მოვიპარე. არ ვიცი, რატომ გავაკეთე, ის წიგნი არც წამიკითხავს.

— 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისადმი პროტესტის ნიშნად, ოთხმა ახალგაზრდა ინტელიგენტმა გლოვის ნიშნად, შავი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა. ვინ იყვნენ ისინი?

— ოთხივე უნდა დავასახელო? არ ვიცი. არადა, ეს ამბავი მეცნობა.

— მიგანიშნებ, მათი ფოტოც არის შემონახული.

— ა! კონსტანტინე გამსახურდია და კიდევ სამი ჩოხოსანი რომ არიან? მგონი, ერთი პავლე ინგოროყვაა. დანარჩენ ორს ვერ დაგისახელებ.

— ვახტანგ კოტეტიშვილი და ალექსანდრე აბაშელი არიან. როგორც ცნობილია, ამერიკელებს თავისუფლების ქანდაკება ფრანგებმა აჩუქეს. მისი ავტორი მოქანდაკე ფრედერიკ-ოგიუსტ ბარტოლდია. მოდელად ვინ გამოიყენა მოქანდაკემ?

— არ ვიცი.

— საკუთარი დედა. რომელ წელს ჩამოყალიბდა შვედური ჯგუფი — „აბბა“?

— 1970-იანი წლების დასაწყისში.

— 1972 წელს.

— ვერ გავიგე, ამ კითხვაზე პასუხი ჩამეთვალა?

— რა თქმა უნდა. რას ზომავს სეისმოგრაფი?

— შორს ჩვენგან, მიწისძვრის ბიძგებს.

— რა ეწოდება სამხედრო იარაღის გამოსაცდელ ადგილს?

— პოლიგონი.

— ვის გადასცეს წმინდა გიორგის პირველი ორდენი საქართველოში?

— არ ვიცი.

— ჯორჯ ბუშს.

— მართლა? პირველად გავიგე.

— რა ერქვა ბიბლიური ისაკის მამას?

— ვერ გიპასუხებ.

— აბრაამი. რომელია ინდოელების წმინდა მდინარე?

— განგი.

— ალკოჰოლთან „მეგობრობ“?

— ოოო! საინტერესო თემას მივადექით, ღვინოზე, არაყზე, ლუდზე რაც გინდა, მკითხე, პასუხის გაცემა არ გამიჭირდება.

— რა ჰქვია ვაშლის ღვინოს?

— ვიცოდი, მადროვე და გავიხსენებ.

— იმდენი იტრაბახე, როგორც კასპელი ზაურა იტყოდა, ემ საათში უნდა მიპასუხო.

— ემ საათში, არა? სიდრი არ ჰქვია მაგასა?

— ეგრეა. იზაბელა, საფერავი, ალექსანდროული, ცოლიკაური — ამ ყურძნის ჯიშებიდან რომელს არ აქვს შავი ნაყოფი?

— ცოლიკაურს.

— ახლა მითხარი, რა შეიძლება, იყოს ბლაგვიც მართიც და მახვილიც?

— კუთხე.

— რა არის მათემატიკაში წესიერი და არაწესიერი?

— ზმნა.

— მათემატიკაში-მეთქი.

— არ ვიცი.

— წილადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თავგზა ამიბნიე, ვიცოდი და ვერ გიპასუხე.

— **რა მოსდით ყვავილებს, თუ მათ ხშირად ვასმენინებთ მუსიკას?**

— გააჩნია, რა მუსიკას მოვასმენინებთ. კარგ მუსიკაზე უფრო დიდხანს ხარობენო, გამიგონია.

— **ძაღლების ხომ არ გეშინია?**

— ძაღლმა ერთხელ, დაბადების დღეზე მიკბინა, მაგრამ არ მეშინია.

— **რა ჰქვია ძაღლების მიმართ შიშს?**

— კინოფობია.

— **რა განაპირობებს თვალის და თმის ფერს?**

— არ ვიცი.

— **პიგმენტები. რომელი მდინარე მიედინება ამერიკისა და მექსიკის საზღვარზე?**

— არც ეგ ვიცი.

— **რიო-გრანდი. თბილისის მიდამოებში რომელი გეოგრაფიული სახელია ნაწარმოები — „ხმელი ტბიდან“, რაც წყალმცირეობაზე მიგვანიშნებს?**

— ტაბახმელა.

— **რომელ ენაზს განეკუთვნება ცეკვა „ქართული“ — სატრფიალოს, სახუმაროს თუ საწესოს?**

— სატრფიალოს.

— **„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები,/ მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,/ ხელშეუხები, როგორც მზის სხივი,/ მიუწვდომელი, როგორც ედემი“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ...და თუ არა ხარ, ის ვისაც ვფიქრობ,/ მე დღეს არ ვნანობ, დაე, ვცდებოდე,/ ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ტრფიალის/ თეთრ ანგელოზად ევლინებოდე... კიდევ გავაგრძელო?

— **ზეპირად რომ იცი, კარგია, მაგრამ მე ავტორის დასახელება გთხოვე.**

— გალაკტიონი.

— **ვინ დაწერა „რევიზორი“ და „მკვდარი სულები“?**

— გოგოლმა.

— **სარდინია, სიცილია, კორსიკა — რა აქვს საერთო ამ კუნძულებს?**

— არ ვიცი.

— **ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარეობს. დასახელებული კუნძულებიდან ტერიტორიულად რომელია ყველაზე პატარა?**

— კორსიკა იქნება, არა?

— **გამოიცანი. კასპი, ქუთაისი, გორი, თბილისი — ამ ქალაქებიდან რომელია ყველაზე უძველესი?**

— ქუთაისი.

— **არჩილი, ბაგრატ III, დემეტრე I, გიორგი II — ამ მეფეთაგან რომელი არ არის დაკრძალული გელათის ტაძარში?**

— (*ფიქრობს*) არჩილი.

— **ილია ჭავჭავაძის რომელი ნაწარმოების მთავარი გმირია პეტრე?**

— არ ვიცი.

— **„სარჩობელაზედ“.**

— ეს ნაწარმოები წაკითხული არ მაქვს და როგორ გიპასუხებდი.

— **რატომ ააგეს ჩინელებმა დიდი კედელი?**

— თავი მტრის შემოსევებისგან რომ დაეცვათ.

— **„თუ მიზნის მიღწევა გსურთ, ნუ ეცდებით, იყოთ დელიკატური და გონიერი“. ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?**

— არ ვიცი.

— **უინსტონ ჩერჩილი. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ სედრაქ უფლისწულს ურჩევს, იყოს ერთგული, როგორც ძაღლი, ჰქონდეს ჭიანჭველის ძალა და სახედრის...**

— შრომისმოყვარეობა.

— **სახედრის გონიერება. ახლა ერთ ძველ იტალიურ გამოცანას გეტყვი: „რაც უფრო მოკლდება, და მით უფრო გრძელდება უკან“. რა არის?**

— (*ფიქრობს*) ცხოვრება.

— **გამოიცანი, ცხოვრების გზაა. ბოდრუმი თურქეთის პატარა ცნობილი ქალაქია. მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი ამ ქალაქში იყო. დღეს მისი ნანგრევების მოსანახულებლად ბევრი ტურისტი მიდის. დასახელე ეს საოცრება.**

— ვერ დავასახელებ.

— **ჰალიკარნასის მავზოლეუმი. იერუსალიმში სიონის მთის ფერდობზე მდებარეობს წმინდა პეტრეს სახელობის ეკლესია. ლეგენდის თანახმად, ეკლესია სწორედ იმ ადგილზეა აშენებული, სადაც პეტრე იმყოფებოდა იმ დროს, როცა ქრისტეს 3-ჯერ უარყოფის შემდეგ ეს ხმა შემოესმა. მიპასუხე, რისი ხმა შემოესმა პეტრეს?**

— მამლის ყივილის.

— **რას უწოდა ამერიკელმა პუბლიცისტმა ვენს ჰაკარდმა: „ხელოვნება — დაუმიზნო თავში და მოარტყა საფულეში“?**

— არ ვიცი, მინიშნება რომ მითხრა, არ შეიძლება?

— **ეს რაღაც გვხვდება ტელევიზიაში, ჟურნალ-გაზეთებში, ქუჩაში. მგონი, გამოცნობა ახლა აღარ უნდა გაგიჭირდეს.**

— რეკლამაზეა ლაპარაკი.

— **ყოჩაღ! რომელი მეტია: 20-ის 25% თუ 25-ის 20%?**

— ტოლია.

— **ერთ-ერთი ფრანგი მხატვრის მოპარულ ტილოს დიდი ხნის განმავლობაში ძვირად ყიდდნენ, ბოლოს ავტორმა გაიგო და თქვა — საღებავები კატამ დამიქციაო. ვინ იყო ეს მხატვარი?**

— არ ვიცი.

— **შაგალი. ის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორვჯონიკიძის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებული — გოგი თუშურაშვილი გახლდათ. რა მეტსახელით ვიცნობთ მას?**

— კუკარაჩა.

— **სპორტის რომელ სახეობაში მოასპარეზის აქსესუარებია — თეთრი კოსტიუმი, ლითონისბადიანი მუზარადი და ხელთათმანი?**

— ფარიკაობაში.

— **რამდენი 9-იანია 100000000-1-ის სხვაობის ჩანაწერში?**

— რამდენი 0-იც არის.

— **ანუ?**

— (*ითვლის*) რვა 9-იანი იქნება.

— **რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი?**

— (*ფიქრობს*).

— **მიგანიშნებ, ამ ზღვის სანაპიროზე მდებარეობს კოპენჰაგენი, სტოკჰოლმი...**

— ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

— **შრომისმოყვარე ადამიანი ხარ?**

— ცოტა ზარმაცი ვარ.

— **რა უფრო აუცილებელია ადამიანისთვის — ნიჭი თუ შრომისმოყვარეობა? — ჰკითხეს ერთხელ ბერნარდ შოუს. მან კითხვის ავტორს კითხვითვე უპასუხა. დამისახელე იგი.**

— არ ვიცი.

— **„...მაშინ მიპასუხეთ, რა უფრო აუცილებელია ველოსიპედისთვის; წინა თუ უკანა ბორბალი?!“**

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეკდოტები

* * *

სტუდენტი შვილი მამას უყვირის:

— აღარ მინდა სწავლა! მე ღვინო, ქალები და თავგადასავალი მჭირდება! ერთი სიტყვით, სახლიდან მივდივარ!

გასასვლელში მამა გადაეღობება.

— არც იფიქრო ჩემი შეჩერება!..

— არც მიფიქრია...

— აბა, რა გინდა?

— მეც წამიყვანე, რა...

* * *

ტელეფონის ზარია. ქმარი ყურმილს იღებს:

— ალო!.. ჰო, დედა!.. ჰო, ისევ ვიჩხუბეთ!.. ჰო, მახსოვს, რომ მაფრთხილებდი, ნაგიჟარია და ცოლად არ მოიყვანოო!.. მართალი იყავი, როგორც ყოველთვის!.. ვნანობ, რომ არ დაგიჯერე!.. ყველაფერი ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა... რა თქვი?.. კი, ბატონო, ეგეც ვცადე, სულ ტყუილად... გინდა, რომ დაელაპარაკო? კარგი, ახლავე დავუძახებ!.. გკოცნი!.. — და ცოლს გასძახა:

— ძვირფასო, დედაშენი გირეკავს!..

* * *

კახელი საზღვარგარეთ მცხოვრებ ნათესავს „სკაიპით“ ელაპარაკება:

— საქართველოში თუ სადმე რკინა იყო, ყველა ჯართად გაყიდეს!..

— არ გადამრიო!..

— მაა!.. ამირანი კავკასიონზე სკოჩით არის მიკრული!..

* * *

მანქანა, რომელმაც წითელ შუქზე გადაკვეთა გზაჯვარედინი, პოლიციელმა ქალმა გააჩერა. მძღოლმ ფანჯრის შუშა ჩასწია და ეკითხ ბა:

— რა დამიჯდება?

— 80 ევრო.

— კარგი, ჩაჯექი.

* * *

— უოტსონ, — ეუბნება ჰოლმს მეგობარს, — გინდა, გამოვიცნ რასაც ეწევით?.. „დედოფალ ვირ ჯინიას“ ალუბლის არომატით...

— პირდაპირ მაოცებთ, ჰოლმ საიდან მიხვდით?

— აბა, მისის ჰადსონი ხომ ა ამწაპნიდა განჯინაში შენახულ უკ ნასკნელ კოლოფს!..

* * *

— შენ თუ ჩემს 41 წლის ქალ იშვილს ცოლად შეირთავ, მაგარ საჩუქარი ჩემზე იყოს.

— კარგი, კარგი, ოღონდ ვერცხ ლისფერი და დიზელზე!..

* * *

კახელმა თავი დაიბანა და ყლორ ტები ამოუვიდა.

* * *

ლამაზი გარეგნობის მასწავლ ბელი ბავშვებს ეუბნება:

— მითხარით, რა მოგწონთ ჩემ ში და გეტყვით, რა გამოხვალთ.

— თმა, — შესძახა ერთმა.

— შენ პარიკმახერი გამოხვალ.

— კბილები! — ამბობს მეორ.

— შენ სტომატოლოგი გამოხ ვალ... მიხო, შენ რატომ არაფერს ამბობ?

— უკვე მივხვდი, რძის კომბი ნატში ვიმუშავებ...

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის „ნაქურთუნი“?
2. ვისი დახმარებით მოიგო ჩიკაგოში ჯონ კენედიმ არჩევნები?
3. ვის ეძახიან რუსი დეპუტატები „მასტერ სლოვა ი კულაკა?“
4. რა არის „თანგირა“?
5. ლონდონში თავის დროზე გავრცელებული იყო ორცხვნიანი ეკიპაჟები, რომლებშიც ცხენები არა გვერდიგვერდ, არამედ ერთმანეთის მიყოლებით იყვნენ შებმულები. რით იყო გამოწვეული ამგვარი აუცილებლობა?
6. გადასახლებიდან გამოქცეული ანარქისტი კრაპოტკინი მდინარე ამურს ღამლამობით ნავით მიუყვებოდა. რას აკეთებდა იგი უკუნეთ სიბნელეში მგზავრობისას იმის გასაგებად, იყო თუ არა ახლომახლო დასახლებული პუნქტი?
7. 1932 წელს ლოს-ანჯელესში ჩატარებული ოლიმპიური თამაშების დროს ამერიკელები ძალაუნებურად თვალს ხუჭავდნენ კანონდარღვევაზე, რომელსაც სისტემატურად ჩადიოდნენ ევროპელი გულშემატკივრები. რომელ კანონს არღვევდნენ ისინი?
8. „მავრ სდელალ სვიო დელ. მავრ მოჟეტ უსადიტ“. რა სახის ცვლილება განიცადა ამ წინადადებამ მას შემდეგ, რაც ეგვენი ჰეტროსიანმა მასში სასვენი ნიშნები შეცვალა?
9. ეს მსახიობი ერთ-ერთი პირველი იყო თბილისში, ვისაც ავტომობილი „მერსედესი“ ჰყავდა. მას ძალზე უყვარდა ძვირად ღირებული ტექნიკა და ქალაქში ერთ-ერთმა პირველმა შეიძინა ვიდეომაგნიტოფონი და იაპონური აუდიოტექნიკა. დასახელეთ იგი.
10. რა კომპლიმენტი უთხრა ედგარ დეგამ მენატურე ქალს, რომელმაც საკუთარ ქორწილში დაპატიჟა?
11. ბასილი კეისარ ბულგართმყლეტის ბრძანებით ტყვედ ჩაგდებული ყოველი ასი ჯარისკაციდან 99-ს თვალებს სთხრიდნენ. რითი ისჯებოდა ყოველი მეასე?
12. ერთ-ერთ სამგლოვიარო ცერემონიაზე, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში თბილისის საოპერო თეატრში შედგა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები შავი ვოლგებით მივიდნენ. „მოშავდნენ!“ — ჩილაპარაკა მათ დანახვაზე ერთმა ქართველმა კომპოზიტორმა. დასახელეთ იგი.
13. იაპონიის შემდეგ რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ყველაზე მეტი იაპონელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— რას ჩაფიქრებულხარ, მიტო?

— შვილებმა შემჭამეს, ცუდი ფერი გადევს და ანდერძი დაწერეო.

— მერე?

— დავწერე, მაგრამ ნოტარიუსი არ მიმოწმებს — „თქვენი პატრონი დედა“ და „ჩემი ფეხები“ ამაიღეო.

* * *

— რატომ ეყრები ცოლს?

— სიგარეტს ეწევა.

— რა მოხდა მერე, ახლა ყველა ქალი ეწევა.

— ლოგინში ეწევა.

— მოსწიოს ლოგინში, დიდი ამბავი!

— ყურში მაფერფლებს.

* * *

— ადე, მიხო, მელამ ქათმები მოიპარა!

— რამდენი, დედაკაცო?

— რვა!..

— ვაა, ზურგჩანთით იყო ეგ შობელძაღლი?!.

* * *

ბავშვი ეზოდან აივანს ასძახის:

— დედა, ამოვიდე?

— იყავი, შვილო.

— დეე, ამოვიდე?

— იყავი, იყავი.

— ამოვიდე?

— ამოდი.

— აუ, ვიქნები, რა!..

* * *

— მოდი, ძვირფასო, გამოცანას გეტყვი. თუ გამოიცნობ, ცოლად გამოგყვები.

— კარგი.

— მწვანეა, ჭაობში ცხოვრობს და ყიყინებს...

— მტვერსასრუტი!

— სწორია!

* * *

— მოგწონთ ჩემი ცოლის სიმღერა?

— რა მითხარით?

— მოგწონთ ჩემი ცოლის სიმღერა-მეთქი?

— ბოდიშს გიხდით, ეს იდიოტი ქალი ისე გაკივის, რომ არაფერი მესმის!

* * *

ნარკუშებმა ტარაკანი დაიჭირეს, 2 ფეხი მოაძვრეს და ეუბნებიან:

— წადი, რა, ტარაკანო...

ტარაკანი მიდის.

დაიჭირეს, კიდევ 2 ფეხი მოაძვრეს, ეუბნებიან:

— წადი, რა, ტარაკანო...

ტარაკანი მიხოხავს.

დაიჭირეს, დარჩენილი ორი ფეხიც მოაძვრეს და ისევ ეუბნებიან:

— წადი, რა, ტარაკანო... აუ, წადი, რა!.. აუ, ბიჭებო, ტარაკანი დაყრუვდა!..

* * *

ოსი ქალაქიდან სოფელში ბრუნდება. გააჩერა სატვირთო მანქანა და მძღოლს ეკითხება, — სოფლამდე რამდენი უნდა გადაგიხადოო?

— კაბინაში თუ დაჯდები, 5 ლარი, ბორტზე — 3 ლარი.

— სულ ერთი ლარი მაქვს, სენი წირიმე...

მძღოლმა იფიქრა, მაინც სოფელში მივდივარ და წავეკაიფებიო:

— ერთ ლარად კაბინის სახურავზე დაჯექი, თუ გინდა.

დაჯდა ოსი კაბინის სახურავზე. სოფელს მიუახლოვდნენ, დაიწყო ცუდი გზა და ისმის ოსის კივილი:

— გააცერე მანქანა!..

— რა მოხდა, კი მარა? — ეკითხება მძღოლი.

— სამლარიანში გადავვარდი, სენი წირიმე!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ასე ეძახიან ხის ქერქსა და მერქანს შორის არსებულ შრეს.
2. მაფიის დახმარებით.
3. ვლადიმირ ჟირინოვსკის.
4. სპილენძის მოზრდილი, ფართოძირიანი ქვაბი.
5. გზების სივიწროვით.
6. ძაღლივით ყეფდა.
7. ევროპელები არას დაგიდევდნენ შეერთებულ შტატებში არსებულ მშრალ კანონს.
8. „მავრ სდელალ სვაიო დელა. მავრ მოუეტ. უხადიტ?“.
9. დოდო აბაშიძე.
10. სტუმრად მისულმა მხატვარმა საპატარძლოს საჩუქარი გადასცა და ღიმილით შენიშნა: ჩაცმულიც ძალზე ლამაზად გამოიყურებითო.
11. მეასეს მხოლოდ ცალ თვალს სთხრიდნენ და დანარჩენების გამყოლობას აიძულებდნენ.
12. ბიძინა კვერნაძე.
13. ბრაზილიაში.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

ჰოროსკოპი

24-30 მარტი

ვერძი

გახსოვდეთ, რომ წარმატების მისაღწევად ყველაფერი გამოგივათ. ეს სამსახურსაც ეხება და პირად ცხოვრებასაც. კვირის ბოლოს ელექტროტექნიკა შეიძინეთ.

ჯუჯრი

დაძაბული კვირა გელით — საოჯახო საქმეები, მშობლებისა და შვილების პრობლემები თქვენი მოსაგვარებელი გახდება.

ტყუპი

რომანტიკულმა ურთიერთობამ შესაძლოა ისე გაგიტაცოთ, რომ დაქორწინებაც კი გადაწყვიტოთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

ჯიჯგანტი

პრობლემების მიუხედავად, საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. შეხვდით იმ ადამიანებს, რომელთა ნახვაც სიამოვნებას განიჭებთ. მათი ხელშეწყობით შესაძლოა საკუთარი ბიზნესიც წამოიწყოთ.

ლომი

ახალი იდეებისა და პროექტების განხორციელების დროა. დაიხმარეთ თანამოაზრეები და საქმეს შეუდექით. საოჯახო წვეულება მოაწყვეთ და მშობლები დაპატიჟეთ.

ქალწული

გაიხალისეთ ცხოვრება. გულის კარნახით იმოქმედეთ. ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეთ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მოგწონთ.

სასწორი

კვირა საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. შაბათ-კვირას მეგობრებს შეხვდით.

ობოლი

ახლობლებისა და ოჯახის წევრების მიმართ მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეთ. საყვარელ ადამიანს რომანტიკული შეხვედრები მოუწყვეთ.

ეშვიდეზოსანი

დამატებითი შემოსავალი საკუთარი სიამოვნებისთვის დახარჯეთ. მეგობართან ერთად დილაობით ივარჯიშეთ. იარეთ აუზზე.

თხიზს რქა

ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს. ხელშეკრულებების გაფორმებისას, საკუთარი უყურადღებობის გამო, შესაძლოა წაგებული აღმოჩნდეთ.

ეთერული

საქმეების მოსაგვარებლად დიპლომატია გამოიჩინეთ. ნუ გახდებით საკუთარი გრძნობების მსხვერპლი და ნუ გააბამთ რომანს თანამშრომელთან.

თევზები

გარშემო მყოფთა ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე, დაისვენეთ. ნუ მიეძალებით ალკოჰოლს.

როგორ მეუღლეებს ირჩევენ ზოდიაქოს ნიშნები?

ვერძი

ქალი — სურს, რომ გვერდს რაინდი უმშვენებდეს, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში დაიცავს. ვერძის რაინდი ათლეტური აღნაგობის უნდა იყოს.

კაცი — უპირატესობას ენერგიულ, ერთგულ მანდილოსანს ანიჭებს. მის რჩეულს პასუხისმგებლობისა და იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს; არ უნდა აეჭვიანოს.

ხარი

ქალი — თავდაჯერებულ, ძლიერ და განათლებულ ადამიანს ანიჭებს უპირატესობას. ერთად უნდა წავიდნენ საყიდლებზე, მოამზადონ სადილი და დაგეგმონ მომავალი.

კაცი — კონსერვატორ, ინტელექტუალურსა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ქალზე ოცნებობს. მისი რჩეული კარგი დიასახლისი და მზრუნველი ცოლი უნდა იყოს.

ტყუპი

ქალი — ისეთი თვისებებისა და ხასიათის მქონე მეორე ნახევარს ეძებს, როგორიც თავადაა, რათა შემოქმედებითი იდეებიც განახორციელონ და საოჯახო საკითხებიც ერთად მოაგვარონ.

კაცი — შემოქმედი ქალი ხიბლავს. მისი რჩეული კარგად უნდა ხატავდეს, ცეკვავდეს; იყოს ერუდირებული და მეგობრული... ნაკლებად ეკამათოს.

ჯიჯგანტი

ქალი — მისი მეუღლე პატიოსანი და ავტორიტეტული უნდა იყოს. მოლაყბე და უინტელექტო პიროვნებას დაამცირებს და დაჩაგრავს.

კაცი — მის გვერდით ისეთი ქალი იქნება, რომელიც თავს საყვარელ მამაკაცს მიუძღვნის, ყოველდღე გემრიელი კერძებით გაუმასპინძლდება და გარეცხილ-გაუთოებულ პერანგებს დაახვედრებს.

ლომი

ქალი — ქმრის გვერდით თავი დედოფლად უნდა იგრძნოს. ისეთ მამაკაცზე ოცნებობს, რომელიც მხიარულ, უზრუნველ ცხოვრებას შეუქმნის.

კაცი — მისთვის შესაფერისია მხიარული, თავგადასავლებისა და მოგზაურობის მოყვარული ქალი, რომელიც საჭირო დროს გვერდით დაუდგება და დახმარების ხელს გაუწვდის.

ქალწული

ქალი — მზრუნველ, ერთგულ მამაკაცს ეძებს, რომელიც დაეხმარება, რჩევებს მისცემს, საჩუქრებითა და თაიგულებით გაანებივრებს.

კაცი — სურს, გვერდით აკურატული და განათლებული ქალი ჰყავდეს, რომელიც კარგ შვილებს აღუზრდის; დალაგებულ სახლს, ცხელ სადილს დაახვედრებს და ოჯახურ სიმყუდროვეს შეუქმნის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ 1. მაკრატელი; 2. კენჭი; 3. რეგატა; 4. ტიპიკონი; 5. ბერულავა; 6. კლარნეტი; 7. სინგაპური; 8. ჭაღარა; 9. ტირე; 10. ჭიკარტი; 11. ღარიბი; 12. აზარტი; 13. ალაბამა; 14. კარაბადინი; 15. კეკე; 16. აია; 17. არაქისი; 18. ტრიბუნა; 19. ფატა; 20. ნოსტე; 21. ტირი; 22. გვირილა; 23. ინტერესი; 24. ფსკერი; 25. კატა; 26. მალარია; 27. მურაბა; 28. ანკარა; 29. კეიტ; 30. კლანჭი; 31. მანილა; 32. ჰავა; 33. ერი; 34. ბზიკი; 35. ნომინაცია; 36. ლირიკა; 37. ლიტანია.

სურათებზე: 1. მისტერ ბინი; 2. ბენი ჰილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფვიორო კროსვორდი



შენიშვნა: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. სომეხი მწერლის, ოვანეს თუმანიანის ცნობილი მოთხრობა; **ზ.** უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, ჭექა-ქუხილის ღვთაება; **ა.** რა ერქვა ანარქისტს მხატვრულ ფილმში „ლაზარე“, მღვდელს რომ უშრობდა სისხლს, — ქრისტე-ღმერთი გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქაო? **ვ.** რა ჰქვია ადვოკატს ქართულად? **ი.** შინაური ფრინველი, რომლის ხორცისგან მომზადებულ ტოლმას ხუმრობით ახსენებენ ხოლმე; **ს.** ქალაქი-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში; **თ.** წვრილი ღვედი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი.** სისხლის აღრევა; **ს.** შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **ო.** კანადის დედაქალაქი; **მ.** გახრწნისაგან ბალზამირებით დაცული ადამიანის გვამი; **კ.** დაასახელეთ ადამიანი, რომელმაც კაცობრიობის ერთი მეოთხედი ამოწყვიტა; **ი.** მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე; **თ.** პატარა ცხოველი, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მუდოს ეძახიან; **ხ.** რქოსანი საქონლის ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ვ.** ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება, მზის ღმერთი; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ლ.** რა ერქვა ბეთჰოვენს? **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ს.** იაპონური ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ვ.** რა ჰქვია ტრამვაის მძღოლს? **ი.** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის, დედალოსის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან. ფრენისას ძალზე მიუახლოვდა მზეს, რის გამოც ცვილი, რომლითაც ფრთები ჰქონდა მიმაგრებული გალღვა და ზღვაში ჩავარდა; **ს.** სათათბირო ორგანო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან; **ა.** ტროპიკული ხილი; **ო.** ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ. გესტაპო; **ზ.** ზაური; **ა.** აკლდამა; **ვ.** ვოევოდა; **ი.** იალაღი; **ს.** სტიმული; **თ.** თასმა; **ვ.** ვუალი; **ი.** იუმორი; **ს.** საყელო; **ა.** აკორდი; **ო.** ოსლო; **მ.** მზიური; **კ.** კათედრა; **ი.** იხვი; **თ.** თეირანი; **ხ.** ხითხითი; **ვ.** ვიოლინო; **ე.** ერნესტო; **ლ.** ლიახვი; **ი.** ინცესტი; **ს.** სესია; **თ.** თხუნელა; **ვ.** ვალეტა; **ი.** იმედი; **ს.** სალიერი; **ა.** ალიზი; **ო.** ოტავა.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
სულელის ამყოლი თვითონაც სულელია

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

2 5 8	4 9 6	3 7 1
7 9 1	2 3 5	8 4 6
4 6 3	8 1 7	5 2 9
5 3 2	7 4 9	6 1 8
1 4 9	6 8 2	7 3 5
6 8 7	3 5 1	4 9 2
9 7 5	1 6 4	2 8 3
8 1 4	5 2 3	9 6 7
3 2 6	9 7 8	1 5 4

9 3 5	6 1 8	2 7 4
1 2 8	7 3 4	6 9 5
7 4 6	9 2 5	3 8 1
2 7 9	1 6 3	4 5 8
8 1 3	4 5 2	9 6 7
5 6 4	8 7 9	1 3 2
4 5 2	3 8 6	7 1 9
3 9 7	5 4 1	8 2 6
6 8 1	2 9 7	5 4 3

1 9 7	3 2 8	5 4 6
5 2 4	1 9 6	3 7 8
6 8 3	4 7 5	9 2 1
3 7 1	8 4 9	2 6 5
8 4 5	2 6 7	1 3 9
2 6 9	5 1 3	7 8 4
9 1 2	7 8 4	6 5 3
4 5 6	9 3 2	8 1 7
7 3 8	6 5 1	4 9 2

* მარტივი

. 2 .	. 3 .	5 . .
. 8 .	. . 4	2 7 .
. 1 .	. 8 .	. . 9
7 . .	. . 9	. 6 .
. . 6	1 . 5	4 . .
. 5 .	. 4 .	. . 1
4 . .	. 9 .	. 2 .
. 9 3	4 . .	. 8 .
. . 8	. 6 .	. 5 .

** საშუალო

. 8 .	2 . 4	. 1 .
. 5 .	. . 7	8 . .
9 . .	5 . .	. 4 .
3 6 .	. . 8	. . 4
1 . .	4 . .	. . 7
8 . .	. . .	. 2 1
. 3 .	. . 9	. . 6
. . 4	7 . .	. 3 .
. 7 .	6 . 1	. 5 .

*** რთული

9 . .	8 . .	. . 2
. 3 .	. 7 4	6 . .
. 2 .	. . 3	. . 1
. 6 .	. . 1	7 9 .
. 7 .	. . .	. 8 .
. 5 1	. 9 .	. 2 .
3 . .	6 . .	. 1 .
. . 7	1 2 .	. 3 .
5 . .	. . 8	. . 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტოკუთხეები





მალე! ჟურნალი „ისტორიანი" ნარმოგიდგენთ!

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი. სრული ვერსია 8 ნაწილად

შევსებულია საბჭოთა ცენზურის მიერ ამოღებული მონაკვეთებით

„ისტორიანის" ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის" თითო ნაწილი (წიგნის ფასი 3 ლარი)

ევროტექნიკა
ბიზნესიმოთავა

სამსუნგის ოფიციალური დილერი!

ევროტექნიკა

ტექნიკა, რომელიც გიზიდავს!



შეიძინეთ სამსუნგის ECOBUBBLE სარეცხი მანქანა და მიიღეთ საჩუქრები

SAMSUNG

ჰაერბუშტუკოვანი სარეცხი მანქანა უზრუნველყობს ცივ წყალში რეცხვის მაღალ ხარისხს და ამცირებს ელექტრო ენერგიის ხარჯს!

საჩუქრად

მაღაზიათა ქსელი

ვაჟა-ფშაველას 35 ☎ 144 501
გამრეკელის 19 ☎ 144 502
მარჯანიშვილის 16 ☎ 910 363

სავაჭრო ცენტრებში

მეგალაინი ☎ 341 556
ქარვასლა ☎ 665 625
თბილისი ცენტრალი ☎ 729 027

30 61 61, 30 62 62 www.eurotechnics.ge

სენალექსი

იგრძენი სიამოვნება
წარმოუდგენელი შვებისაგან!

ობიექტური არჩევანი:

- ატონიური შეკრულობისას
- ბუასილის დროს, პროქტიტებისა და უკანატანის ბზარებისას
- არარაციონალურ კვებასთან დაკავშირებული შეკრულობა
- სიტუაციის შეკრულობა
- აძლიერებს ნაწლავის მოძრაობის ფუნქციას, განსაკუთრებით მსხვილი ნაწლავისა.
- მოქმედებს რბილად, უმტკივნეულოდ, ნელა.
- ხანგრძლივი მოხმარებისას არ ახორციელებს ტოქსიკურ ზემოქმედებას ორგანიზმზე.
- არ იწვევს შემდგომ შეკრულობას.

Nabros Pharma Pvt. Ltd.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ფლუკოლდი

ფლუკოლდი თქვენი ოჯახის მეგობარი-
გაციების სადარაჯოზე!

გამოცდილი საშუალება,
თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში!

Nabros Pharma Pvt. Ltd.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

b 117/10

ეროვნული ბიბლიოთეკა



წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

11-დან — 18 აპრილამდე



ერიხ მარია რემარკი

2-დან — 9 მაისამდე



ფრედერიკ ბეგბედერი

16-დან — 23 მაისამდე



ედგარ პო

28 მარტიდან — 4 აპრილამდე

წიგნი 10
ერიხ მარია რემარკი
„ტრიუმფალური თაღი"

და ახლა დიდი ჩიგნები...

ყოველ ორ კვირაში „კვირის პალიტრასთან" ერთად!

მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უკვე გამოსული ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი **შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა" და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელფ.ფ